სიმონ სხირტლაძე



ძმაჭალძალი

თბილისი 2000



ცნობილი პედაგოგის, მკვლევარისა და მამულიშვილის სიმონ სხირტლაძის (1912-1974) ადრე გამოცემულ კრიტიკულ წერილებთან ერთად პირველად ქვეყნდება ახლად მოკვლეული ჩანაწერები და ნაწყვეტები უსათაურო ლექსებიდან.

წიგნს თან ერთვის მისი ახლო მეგობრებისა და მოწაფეების მოგონებები და პორტრეტები.



წერილები



ახლად მიკვლეული ჩანაწერები
ლექსები



გაბრიელ ქიქოძე — პისკოპოსი იმერეთისა

„ბევრსაც კიდევ იგყვის შთამომავალობა“...
ილია

იქნებ ბევრმა ჩვენგანმა არც კი იცოდეს, რომ ვიდრე პომილეტიკურ ძწერლობას ამავე ჟანრის შედევრებით გააამდიდრებდა და მსოფლიოში უდიდესი მქადაგებლის სახელს დაიმკვიდრებდა, გაბრიელ ქიქოძე ავტორი იყო თავისი დროისათვის ფართოდ გახმაურებული მეცნიერული შრომისა.

მკითხველს რომ ზოგადი წარმოდგენა მიეცეთ ამ წიგნზე და იმ საისტორიე კაცზე (ილიას გამოთქმაა), რომლის სახელის ხსენებაც ყოველ ღირსეულ ქართველს ეამაყებოდა, საჭიროდ მიგვაჩნია, ცოტა უკან დავიხიოთ და გონების თვალით არცთუ შორეულ წარსულს გადავწედეთ.

დაამთავრა თუ არა პეტერბურგის სასულიერო აკადემია (1849 წ.), ახალგაზრდა მაგისტრი თბილისის სასულიერო სემინარიაში შეუდგა ინსპექტორის მოვალეობას. მათემატიკურ საგნებში განსაკუთრებულმა ნიჭმა და მომზადებამ გაბრიელ ქიქოძეს გზა გაუხსნა ამავე სემინარიაში ფიზიკა-მათემატიკის პროფესორი გამხდარიყო (მის ატესტატში ორივე საგანში შეტანილია შეფასება: „Очень хорошо“).

თუ როგორი ქმედითი და პროგრესული რეფორმები გაატარა სემინარიის დახშულ გარემოში გაბრიელმა, როგორც ინსპექტორმა და მასწავლებელმა, ამაზე დამაჯერებლად მოგვითხრობს მისი ყოფილი მოსწავლე, შემდეგში ჩვენი პედაგოგიური აზროვნების მშვენება იაკობ გოგებაშვილი თავის ერცელ ნარკვევში „გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, როგორც პედაგოგი“.

ფრიად ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ახალგაზრდა პროფესორი დაძაბულ მეცნიერულ მუშაობას ეწევა, სისტემაში მოჰყავს კოლოსალური მასალა, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში დაუგროვა. მკაცრ მოთხოვნას უყენებს გაბრიელი საკუთარ თავსაც და ყველას, ვისაც კი მეცნიერების გზაზე დადგომა სწადია.

და აი, როცა „ღრმად მიწვნილი მეცნიერი“ (ესეც ილიას გამოთქმაა) ფილოსოფიური პრობლემების რთულ ლაბირინთში შევიდა, როცა ფსიქოლოგიის საკვანძო საკითხები, მეცნიერული თვალსაზრისით, ძალზე ორიგინალური კლასიფიკაციით ლაგდებოდა, გაბრიელ ქიქოძეს წარმოუდგენელი უბედურება დაატყდა თავს, მის პირად ცხოვრებაში, ნიკო ნიკოლაძის სიტყვებით თუ ვიტყვით, „ძირფესვიანი გარდატეხა მოხდა. 1856 წელს გაბრიელს თითქმის ერთდროულად დაეხოცა ხუთი ქალ-ვაჟი და სიყვარულით შერთული ცოლი. ოჯახური უბედურებით გამოწვეული ტრაგედია იმდენად ძლიერი იყო, რომ სიცოცხლისადმი სიხარულით აღსავსე კაცი ამაოების წყვდიადმა მოიცვა. სულიერ შეშლილობამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა. მაგრამ ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი „ყოველთა დამამხობლის“ ნებას დაემორჩილა, როგორც იქნა, მომაკედინებელ ფიქრთა უსიერი ტყვერიდან გამოვიდა.

გაბრიელი ახლა უფრო ინტენსიურად უბრუნდება შეწყვეტილ სამუშაოს და შედა-



რებით მოკლე დროში ამთავრებს კაპიტალურ ნაშრომს სათაურით: „Основания опытной психологии“.

თავისი ნაშრომი ავტორმა პეტერბურგში გაგზავნა და მისი გამოცემისათვის ყოველმხრივი ძრუნვა განუყრელ მეგობარს, სასულიერო აკადემიის ყოფილ თანაკურსელს ა. რუდაკოვს მიანდო. რამდენადაც გაბრიელის სურვილი იყო მისი წიგნი სასულიერო სემინარიებში სახელმძღვანელოდ დაეშვათ, ოფიციალური კრიტიკა მთელი სიმკაცრით მოეკიდა მას.

მიუხედავად იმპერიაში გამეფებული ობსკურანტიზმისა, აქა-იქ ნათელი გონების ადამიანებიც იყვნენ. და აი, პეტერბურგის აკადემიის კონფერენციაზე გაბრიელის თხზულების ბედი ავტორის სასარგებლოდ გადაწყდა და იგი დაიბეჭდა. ჟურნალ "Исторический вестник"-ის ცნობის თანახმად გაბრიელის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები“ რჩებოდა თითქმის ერთადერთ სასულიერო სემინარიებში. წიგნი, რომელიც 336 გვერდს შეიცავს, 1020 ეგზემპლარი გამოიცა; აქედან საქართველომდე მხოლოდ 34 ცალმა მოაღწია, რის გამოც იგი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა.

გაბრიელის „ფსიქოლოგიას“ ფრიად საინტერესო, მაგრამ ერთმანეთის საწინააღმდეგო რეცენზიები მიუძღვნეს სასულიერო და საერო ჟურნალებმა. ნაშრომიც ხომ ამის საფუძველს იძლეოდა! იდეალისტური მსოფლმხედველობის პარალელურად ავტორს არ შეეძლო უკუეგდო საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მონაპოვარი, გვერდი აეხვია იმ პოზიტიური დასკვნებისათვის, რომლებმაც საქებარი სტრიქონები დააცდენინეს მატერიალისტური ბანაკის წარმომადგენლებს.

სწორედ იმ ხანებში გაისმა მატერიალისტური ფილოსოფიის ერთგული დამცველის დობროლიუბოვის ხმა. გენიალურმა კრიტიკოსმა „სოვრემენნიკის“ ფურცლებზე საგანგებო რეცენზია მიუძღვნა ქართველი ფსიქოლოგის შრომას. დობროლიუბოვმა გააანალიზა როგორც იდეალიზმის, ისე მატერიალიზმისათვის სასარგებლო არგუმენტები და თავის მხრივ აღტაცება გამოთქვა იმ დადებითი დასკვნებისათვის, რომლებიც გაბრიელის წიგნს აშკარა უპირატესობას ანიჭებდა ფსიქოლოგიის სხვა ავტორებთან შედარებით. ეს განმასხვავებელი უპირატესობა თუ ღირსება ფხიზელი ჭკუის კრიტიკოსმა უმთავრესად მისგან მომარჯვებული მეთოდის სიახლესა და ფსიქოლოგიური ფაქტების სიჭარბეში დაინახა.

თავის დებულებათა სადემონსტრაციოდ, მეცნიერული თვალსაზრისით, ყველაზე გამართლებულ და სრულყოფილ მეთოდად გაბრიელ ქიქოძემ ანალიზის მეთოდი აღიარა. ამ მეთოდით ცდილობდა იგი. შეჭრილიყო მოვლენათა ურთულეს ლაბირინთებში, ცდილობდა, სამყაროს მარტო პასიური ჭვრეტით კი არ დაკმაყოფილებულიყო, არამედ მკაცრი ანალიზის გზით მისულიყო ჭეშმარიტებამდე. ამაზე ხატოვნად წერს იგი:

„Творец уже устроил эту чудную машину во всех ее частях; он уже

сделал синтез; нам остается делат анализ" („Осн. опыт. психологии" стр. 146

კიდევ მეტი, დობროლიუბოვი ძირითადად ეთანხმება ქართველ ავტორს და სურველს გამოთქვამს შემდგომში მანვე გააღრმაეოს ეს საინტერესო მეცნიერული ძიებანი. მოვუსმინოთ მას:

„Обращаясь еще к автору рассматриваемой книги, считаем нужным заметить, что мы вовсе не отвергаем его основных положений". (А. Добролюбов, Избранные философские произведения, Москва, 1948 г., т. I, стр. 491).

სრული მოწონების ხმები გაისმა იდეალისტურ ბანაკში, რომელმაც გაბრიელში დაინახა თავისი ერთგული მოკავშირე. კიევის სასულიერო აკადემიის პროფესორებს საგანგებოდ მოუძებნიათ ამაეე აკადემიის სტუდენტი იაკობ გოგებაშვილი და გატაცებით მოუსმენიათ მისგან, რაც კი იცოდა „ფსიქოლოგიის" ქართველ ავტორზე. მოუსმინოთ ი. გოგებაშვილს: „პროფესორებმა გაბრიელში დაინახეს მრავალმხრივი გონებით დაჯილდოებული და ძლიერი, აქტიური ნებისყოფის პიროვნება, აღჭურვილი ყველა მონაცემით ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის" (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954 წ., ტ. 3. გვ. 44).

სამწუხაროდ, ოჯახური უბედურების გამო, ეს უნიჭიერესი და უგანათლებულესი ადამიანი ამ სახარბიელო გზას ასცდა. სამაგიეროდ, თავისი ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური შეხედულებანი საქეეყნოდ განთქმულ, ღრმად მორალისტურ ქადაგებებში ჩააქსოვა.

ვთქვათ ორიოდე სიტყვა ამ ქადაგებებზე, გაბრიელის საერო დამსახურებაზე! სცილდებიან რა რელიგიურ დოგმებს, ეს ქადაგებები საერო ასპექტში განიხილავენ ადამიანის სულიერი მოძრაობის ურთულეს მხარეებს, იმდროინდელი საზოგადოებრიეი ყოფის მანკიერ მოვლენებს, ჩვენს თავზე დატეხილ ათასგვარ უბედურებას: შქადაგებელი ამავე დროს გონების მთელი ძალით ეძიებს გზებსა და საშუალებებს ერის სხეულზე მოდებული წყლულების გასაკურნავად, როგორც დიდი ილია იტყოდა, „ჩვენი დაცემული ვინაობის აღსადგენად".

რა დამაჯერებლად წერდა გაბრიელის გარდაცვალების დღეებში ილიას „იეერია": „მთელი სიცოცხლე აწ განსვენებული გაბრიელისა საესეა ბრძოლითა ათასნაირ ბოროტებასთან და უსამართლობასთან, არის განუწყვეტელი, აუტანელი შრომა მშობელი ქეყნის სასარგებლოდ, არის გრძელი მატიანე კეთილი საქმის, ქეელმოქმედებისა, თავგანწირვისა" („იეერია", 1896 წ., №28).

ფრიად საყურადღებოა, რომ გაბრიელის ქადაგებათა ერთი ნაწილი ინგლისურად უთარგმნიათ (ბულგარულ ენაზეც ყოფილა თარგმნილი) 1867 წელს და, როგორც ირკვევა, უდიდესი ინტერესი გამოუწეევია ცივილიზებულ წრეებში. ჟურნალ „Русская мысль"-ში (1894, XII. გვ. 591) ეკითხულობთ: „ В Англии в последнее время заинтересовались Грузинской историей и литературой. Начало знакомства англичан с грузинской литературой было положено переводом проповедей Кутаисского епископа Гавриила"

ჩვენი მხრივ, ამ გამოძახილს დაუმატებდით ნ. ნიკოლაძის შემდეგ სიტყვებს: „–Этой чести удостоилась одна лишь „барсова кожа" Этим кажется все сказано".

ცალკე ყურადღებას იმსახურებს გ. ქიქოძის პედაგოგიური და საგანმანათლებლო მოღვაწეობა, ამ საპატიო ასპარეზზედაც წარუხოცელი კვალი დატოვა მან მთელი ერის კულტურულ ცხოვრებაში. ტყუილად როდი წერდა ჩვენი შესანიშნაი ისტორიკოსი მ. ჯანაშვილი: „წარსული საუკუნის 60-იანი წლებიდან იმერეთს კეთილ ანგელოზად მოევლინა მსოფლიოში უდიდეს მქადაგებლად მიჩნეული გაბრიელი, ეს ნამდვილი ცოცხალი აკადემიაა დასავლეთ საქართველოსათვის".

გაბრიელ ქიქოძის მრავალმხრივი და ერის სულიერ ტკივილებთან დაკავშირებული მოღვაწეობა პქონდა მხედველობაში დიდ ილიას, როცა თავისი ორატორული ხელოვნებით დამშვენებულ სიტყვაში ბრძანა: „სათქმელი ზღვაა და ან უღონოდ ეგრძნობთ თავსა მისს თვალუწვდენელს კიდეებს ერთბაშად თვალი გადაეაწვედინოთ მთლად და უკლებლივ, ან არ ვიცით, რომელ მხრიდან დაეუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველმხრიდან დიდებული სანახავია. დღეს ერი ცრემლს აფრქვევს მისთვის, ვინც მთელი სიცოცხლე იმის სამსახურში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშინის ცემითა და მადლის ფენითა".

გაბრიელი იყო ის, ვინც ყველაზე ღრმა და მეცნიერულად დასაბუთებული პასუხი გასცა რენეგატ მუხრანსკის, რომელმაც ერთ შეთითხნილ ბროშურაში ქართულ ენას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, ილიას პოეტური სტრიქონებით რომ ვთქვათ, „მას მკვდრის სუდარა გადააფარა".

ეროვნული დამცირებისა და შეურაცხყოფის მძიმე გარემოცვაში ქართული ეკლესიის მაღალი ამბიონიდან მკაფიოდ და გაბედულად გაისმა მისი ყველაზე გამორჩენილი წარმომადგენლის, გაბრიელის ხმა: „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა".

გაბრიელის წერილით აღტაცებული და გამხნევებული იაკობ გოგებაშვილი ქართული ენის წინააღმდეგ ლაშქრობაში ამხედრებულ შავრაზმელთა ასალაგმაეად ბრძენი აღმზრდელის ავტორიტეტს იშველიებდა. „ჩვენმა სასიქადულო გაბრიელმა გამოთქვა იგივე აზრი, რომელიც დიდმა პედაგოგმა უშინსკიმ გამოხატა მოკლე ფრაზით: „Умер язык, умер народ" („ივერია", 1902 წ., № 274).

მაგრამ ეს წერილი არანაკლებ საინტერესოა მეცნიერული არგუმენტაციის თვალსაზრისით, რამაც დიდ ილიას გაბრიელის დაკრძალვაზე ასეთი სიტყვები წარმოათქმევინა: „მთელი მოძღვრება აწ განსვენებულის გაბრიელისა რომ ავიღოთ, ძნელად იპოვნით მაგალითს, რომ მეცნიერება გაეწიროს სარწმუნოებისათვის". და მართლაც, მხოლოდ ღრმად განათლებულ კაცს შეეძლო. ცრუმეცნიერული ბურუსი გაერღვია და თავხედი მუხრანსკის ჩასაქოლად ეთქვა: „თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებიდან უნდა იყოს გამოყვანილი და არა უკუღმა. ე. ი. ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება, თეორია რაც გინდა ღრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერასოდეს ვერ ახსნის მრავალფეროვანსა, მრავალკერძოსა, დაუცხრომლად მოძრავსა, მუდამ ცვალებადსა კაცობრიესა ისტორიულსა ცხოვრებასა" („მოამბე", 1895 წ., №3, გვ. 97).


კიდევ უფრო გასაოცარია სტრიქონები: „ბუნების წესი, ეით თვით, ღვთის წესი, სრულდება ჩვენდა დაუკითხავად, მისთვის სულ ერთია მოგწონს თუ არა მისი კანონი“.

ასევე გამანადგურებელი პასუხი გასცა მან საოლქო განათლების მშრუნველს, ჩევნი ერისა და ენის მოძულეს იანოვსკის, „რა გაბედულად გადაუშალა მას მისი ანტიპედაგოგიური მიმართულება, რომელიც მას შეშოქონდა ჩვენს სასწაელებელში ერის გადაგვარების წადილით“ (დ. კლდიაშვილი).

ბევრმა არც კი იცის, რომ თვითონ სიღარიბეში აღზრდილმა და სიკედილამდე გულწრფელმა დემოკრატმა, გაბრიელმა ჯერ კიდევ რეფორმამდე ქუთაისის მთავარანგელოზის ეკლესიის ამბიონიდან მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა უხამართლო სოციალური ინსტიტუტის — ბატონყმობის წინააღმდეგ და, რომ მისი პირადი გამბედაობა არა, შეიძლება გამძეინვარებული თავადის ხანჯალზეც კი წამოგებულიყო იგი.

ამ დრამატიზმით აღსავსე მომენტს ასე იგონებდა გაზეთი „კვალი“: „გათავდა თუ არა წირვა, გაბრიელი დადგა ამბიონზე და დაიწყო ბატონყმობის ძეინვარე დაძოკიდებულებაზედ ქადაგება. მისმა სიტყვამ მოხეთქა ნიაღვარსავით ძლიერად, მან დახატა ცოცხლად გლეხის უნუგეშო მდგომარეობა ბატონის ხელში. თავადაზნაურობამ დაიწყო დრტვინვა, იგი თანდათან ღელდებოდა. მოისმა საყდარში მქადაგებლის გმობა, მაგრამ გაბრიელი არ შეუშინდა, მან დაასრულა თავისი ძლიერი სიტყვა, მიიხედ-მოიხედა და შეამჩნია, რომ აღარც ერთი მებატონე აღარ დარჩენილა ეკლესიაში, მხოლოდ მის წინაშე გლეხნი იდგნენ და ღრიდნენ მდუღარე ცრემლს“ („კვალი“, 1893 წ., №121).

სამართლიანობა მოითხოვს, ისტორიამ არ დაიწყოს გაბრიელის სამისიონერო ღვაწლი, რის შედეგადაც 19 ათასი აფხაზი ისლამიდან ქრისტიანობაზე მოაქცია და ამ გზით ოსმალეთისადმი ორიენტაციაზე ხელი აადებინა მათ.



მართლაც ბევრი შეიძლება ითქვას ამ საისტორიე კაცზე, მაგრამ შორს აღარ წავალთ— დაეუბრუნდეთ ისევ მის მეცნიერულ ნაშრომს და იმ გულითად საწადელს, რამაც ეს წერილი დაგვაწერინა.

ამჯერად ჩვენთვის ძნელია. აქედან მივწედეთ ყველა იმ გამოსმაურებას, რომელიც რუსეთის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე წილად ერგო გაბრიელის „ფსიქოლოგიას“ — ამ შესანიშნავ შრომას (მისი მალალი შეფასება მოგვცეს ფილოსოფოსებმა რადლოვმა და კოლობოვსკიმ). თავისებურ ინტერესს იწვევს ის ფაქტიც, რომ „თვით გერმანიაში, ამ მართლა ფილოსოფოსთა სამშობლო მსარეში, დიდი ყურადღება და პატივი დაიმსახურა ამ თხზულებამ. ეს გარემოება კი ცოტა რამეს არ ამბობს“ („კვალი“, 1896 წ., №81).

90-იან წლებში გაბრიელის შრომას კიდევ უფ-

რო ერცლად შეეხო მისი ძმისწული. ცნობილი ეექილი მოსე ქიქოძე ნარკვევში: „ეპარიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, მისი ცხოვრება და მოღვაწეობა". ნარკვევის ავტორიც ვვიმოწმებს, რომ გაბრიელის „ფსიქოლოგია" „დიდი ქებით მოიხსენიეს გერმანიაში და მიუთითებს გერბელის ლექსიკონზე. (მ. ქიქოძე უნებლიე შეცდომას უშვებს, როცა დობრილიუბოვის ცნობილ რეცენზიას ჩერნიშევსკის „კუთვნებს).

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გაუგებრობის შედეგად ზოგიერთ (მაგ. ბრაკჰაუზთან) რუსულ ენციკლოპედიაში გაბრიელ ქიქოძის წიგნის ავტორობა სასულიერო მოღვაწეს ეოსკრესენსკის მიაწერეს (ისიც ცნობილი იყო საეკლესიო ტიტულით — „Архимандрит Гавриил").

როდესაც 1896 წელს გელათის ტაძარში ქართველი ხალხი საქართველოს ოქროპირს სამარადისოდ ეთხოვებოდა, აქაც ხმამაღლა გაისმა ამ თხზულების ქება, მისი ავტორის წელილი საკაცობრიო მეცნიერების წინაშე. მოგვაქვს გაზ. „კვალში" გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილიდან დამახასიათებელი სტრიქონები: „პოი, მნათობო და დიდებაე ქართველი ერისაე! შენ ის ღრმა მეცნიერი ხარ, რომელმაც თავისი მეცნიერული თხზულებით „Основания опытной психологии" აალაპარაკა წარჩინებულნი მწერალნი ევროპისანი და მოიხვეჭა სახელი მაღალაზროვანი კაცისა!"

არანაკლები მჭევრმეტყველებით ადიდა ეს წიგნი და მისი ავტორის სამქადაგებლო მასშტაბი ნიჭიერმა რიტორმა გრიგოლ დადიანმა, როცა თქვა: „შენ იყავ სიქადული ქართველთა, პირველი ქართველი ამა საუკუნისა, რომელმანცა დაანახე ქვეყანას ძალი საქართველოს შვილის გონებისა, რომლის სიბრძნის მოყვარეობას და ქადაგებას თანასწორ გვიქებენ ჩვენ ფრანგნი, გერმანელნი, ინგლისელნი, ე. ი. მთელი განათლებული ქვეყანა".

გაბრიელ ქიქოძის „ფსიქოლოგიას" სხვადასხვა კუთხიდან შეეხნენ შ. ნუცუბიძე, ა. ქუთელია, გრ. კალანდარიშვილი, გ. მეგრელიშვილი, შ. გაგოიძე, თ. კუკავა და სხვები. მიუხედავად ამისა, ამ საინტერესო მოაზროვნის როლი და ადგილი ქართული ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური აზროვნების ისტორიაში მთელი სისრულით ჯერ კიდევ არაა შეფასებული.

ფრიად საყურადღებოა, რომ გ. ქიქოძეს და მის დამსახურებას ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური აზროვნების წინაშე, თავის ფურცლებზე საპატიო ადგილი დაუთმო „დიდმა საბჭოთა ენციკლოპედიამ" (მეორე გამოცემა, 1953 წ., გვ. 616).

„Г. Кикодзе автор капитального труда „Основания опытной психологии". Это труд получил положительную оценку в прогрессивной прессе того времени. В своих сочинениях Кикодзе критикует антинаучные направления в философии, в частности философию И. Канта. Во многих вопросах натурфилософии и гносеологии Кикодзе приближался к материализму".

აქ ყველაფერი მოკლედ, მაგრამ მკაფიოდაა ნათქვამი.

ყოველივე ამის შემდეგ, ჩვენი სურვილი და საწადელი ორ განზრახვაში იყრის თავს. ჩვენ პირდაპირ ვაყენებთ საკითხს, რათა სათანადო შერჩევითა და კომენტარებით გამოიცეს გაბრიელ ქიქოძის ქადაგებათა შედევრები, რომლებშიც ავტორი უდიდესი ორა-

ტორული ძალითა და მორალისტური სიღრმით ეხება გასული საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების საკრებოლოტო საკითხებს, ეთიკის, აღზრდისა და განათლების პრობლემებს (გვინდა შეკითხველს მოვახსენოთ, რომ გაბრიელის ქადაგებებიდან ჩვენ უკვე გამოვკრიბეთ რჩეული აზრები, რაც კარგა ხანია გამოსაცემად გამზადებული ძევს ყოლოსოფიის ინსტიტუტში).

ილია ჭავჭავაძეს, ღრმად ესმოდა რა გაბრიელის ქადაგებათა ზემოქმედების ძალა, წერდა: „რომ მართლა იგი ქება-დიდება შრომისა დაგვრჩენოდა, რომელიც მან გვიღადა ერთ თაეის დაუეწყარ ქადაგებაში და სხეა არარა, ისიც საკმაო იქნებოდა, რომ მისი სახელი ქეეყანას მოჰფენოდა და ჩვენ გეეგრძნო რა დიდებული და ბრძენი მღვდელმთაეარი დაეკარგეთ".

და განა მარტო ეს? თითქმის ყველა მისი ქადაგება საერო კილოზე ყყერს, ცხოვრების სიღრმეში იჭრება და ჩამოწოლილი წყედიადის გასაფანტაედ ცხოვრებასაეე უკუეყინება: როგორც თეითონვე ამბობს ხატოენად, „სიტყეანი მისნი არ არიან სედა მაეალნი".

რად ღირს თუნდაც გაბრიელის პომილეტიკური მემკეიდრეობა ორატორული თეალსაზრისით, მისი ენამზეობა და ლოგიკის შემმუსერელი ძალა. უსმინეთ მის სიტყეებს, თაეისებური ენობრივი სურნელებით ცხებულს: „ნეტაეი ეინმემ მომცეს მე ისეთი სიტყეა, რომელი შეეიდოდეს შინაგანსა მსმენელისა და გამოსცელიდეს მის გულსა. ანუ ეითარცა ზარი დაეცემოდეს მძინარესა სინდისსა ცოდეილისასა– ანუ ცეცხლად მოკიდებოდეს და დასწეიდეს ყოეელსა ღეარძნილსა და კუროსთაესა ცოდეილის გულისა: შემუსერიდეს გულსა ამაყისასა, ხოლო გულსა შინა მწუხარებისაგან დამძიმებულსა იქნებოდეს ეითარცა ნელსაცხებელი".



როცა გ. ქიქოძის ქადაგებები რუსულ ენაზე გამოიცა (1893 წ. შეიცავს 520 გვერდს) , რუსულმა ჟურნალ-გაზეთებმა თაეისი ფურცლები გაბრიელის მახეილად მოქნეული ციტატებით დაამშეენეს.

ეს რაც შეეხება ქადაგებებს.

გულითა გვწადია და დროულიცაა, ქართეელმა მკითხველმა მშობლიურ ენაზე გადმოთარგმნილი იხილოს, აგრეთეე, გაბრიელ ქიქოძის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძელები".

დაე, მოაზროვნე საზოგადოებამ სოლომონ დოდაშეილის გეერდით უფრო ახლოს დაინახოს გასული საუკუნის მეორე ქართველი ფილოსოფოსის ნაიელი და მაღალი შუბლი, მისი ხალასი ინტელექტის სიღრმე და ძალა.

ამით ჩვენ ვალმოხდილი ეიქნებით დიდი ილიას წინაშეც, რომელიც გელათის დი-

დებულ ტაძარში საქართველოს ოქროპირს ასეთი სიტყვებით გამოეხმაურა: „მე ამაზე ბევრს არას ვიტყვი, რადგანაც ბევრი უკვე ითქვა და ბევრსაც კიდევ იტყვის შთამომავლობა, რომელიც ამ საისტორიე კაცს განიკითხავს თავისი სამართლიანის განკითხვითა".

ეს სიტყვა, დაე, ჩვენმა თაობამ თქვას!



სულხან-საბა ორბელიანის გაზანაშვილი საბანძურიდან

ძველი ქართული ლიტერატურის ხელნაწერთა უმდიდრესი საგანძურიდან, მართალია, ბევრი სათანადო მეცნიერული სიღრმითაა გამოცემული და შესწავლილი, მაგრამ ამავე დროს ერთი ნაწილი ჯერ კიდევ მიუწვდომელია ფართო საზოგადოებისათვის. ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნის გამოსენილი მწერლის სულხან-საბა ორბელიანის ქადაგებათა კრებული „სწავლანი“ (სულხან-საბა ორბელიანის ეს ძეგლი, რომლის სრული სახელწოდებაა: „სწავლანი ანუ ქადაგებანი, თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ“, ამჟამად მხოლოდ ორი ხელნაწერის სახითაა ცნობილი. პირველი გადმონუსხულია საბას ძმის ზოსიმეს მიერ 1729 წელს ქ. მოსკოვს, შეიცავს 708 გვერდს და ჩასშულია მაგარ ყდაში (დაცულია საქართველოს კ. კეკელიძის სახ. მეცნ. აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში, A-473). იგივე „სწავლა-მოძღვრებანი“ გადაწერილია მხედრული ხელით ვიღაც უცნობის მიერ 1811 წელს და ინახება გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში (ფონდი, № 20068-B).

რაც შეეხება თვით კრებულს, იგი შედგება 46 სწავლა-მოძღვრებისაგან, რომლებიც საბას ბერობის პერიოდში (1698-1710 წლებში) წარმოუთქვამს ქადაგებათა სახით გარეჯის ნათლისმცემლის უდაბნოში. ყურადღებას იპყრობს წარწერები ძეგლის თავსა და ბოლოში. შესავალში ეკითხულობთ: „სწავლანი თქმულნი სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ვინც მისი სახელი აღმოხოცოს ამ წიგნიდამ, წყეულ იყოს უკუნისამდე“. ასევე საგულისხმოა ხელნაწერის ბოლოში გადამწერის, საბას ძმის, ზოსიმეს შემდეგი მინაწერი: „აღიწერა სულთა განმანათლებელი წიგნი ესე თეთრ რუსეთს ღვთისაგან კურთხეულს სამეფოსა ქალაქსა დიდსა მოსკოვს, ხელითა ჩემს ცოდვილისა ზოსიმე ორბელიანის და თვით ორბელის ძისათა_ ჩღკთ“ (1729 წ. - ს. ს.)) და თეოლოგიური სახის შრომა „სამოთხის კარი“.

მართალია, ორიეე ძეგლი ახალი და ძველი აღთქმის დამრიგებლობითს მოტიეებსა და მამხილებელ იგავებსეა აგებული, მაგრამ მათში საერო თვალსაზრისით ისეთი მებრძოლი სული ტრიალებს, რომ დღეს სულ სხვაგვარად უნდა იქნას წაკითხული და შეფასებული.

და არამარტო საბას ეს შრომები! საჭიროა, ჩვენი უმდიდრესი მატერიალური და სულიერი კულტურის ყველა ქმნილება ერთხელ კიდევ დავდოთ კრიტიკული განსჯის სასწორზე და მათში რელიგიური საბურველიდან მკვეთრად გამოვთიშოთ მიწიერი ცხოვრების აღტაცებით გამოწვეული სიხარული, კაცთა მოდგმის კეთილდღეობისათვის ბრძოლის იდეალები.

რა თქმა უნდა, ეს როდი ნიშნავს, თითქოს ამ კულტურულ ძეგლებთა საკმაოდ დიდი ნაწილი, და მათ რიცხვში საბას ლიტერატურული მემკვიდრეობაც, ხარკს არ უხდიდეს ეპოქის მოთხოვნებს, დაზღვეული იყოს გარკვეული რელიგიური და კლასობრივი შეზღუდულობისაგან. აქ ლაპარაკია პროგრესულ, შეიძლება ითქვას, ისტორიულად მისაღებ და ანგარიშგასაწევ მხარეებსა და მომენტებზე. უდავოა, როგორი სულისკვეთებითაც უნდა იყოს შესრულებული ეს ძეგლები, მათში ასე თუ ისე უკუფენილია ჩვენი ხალხის ისტორიული წარსული, მისი იმდროინდელი სოციალური და პო-

ლიტიკური ვითარება, ურიცხვ მტერსია გარემოცეაში სიცოცხლის შენარჩუნებისათვის თავგანწირული ბრძოლების ბუკი და ნაღარა. მართლაც, ისტორიის ტრაგიკულ გზაჯვარედინებზე სანგრძლივ შრომასა და ბრძოლაში სელდამკლაეებული ქართველი ხალხი შეუძლებელია რომელიმე რელიგიის, კერძოდ ქრისტიანული კოსმოგონიის, მისი მკედარი დოგმების ბრმა მონა გამხდარიყო. რამდენის მთქმელია თუნდაც რელიგიური ეკსტაზით შეპყრობილი პოეტის დ. გურამიშვილის გამგმირავი სტრიქონები, თქმული სეეგამწარებულ სამშობლოს მტერთა და ორგულთა მიმართ:

თავის მჭრელი ლახვარი ლესოს გაიმახოსა
ჩემს მტერს გულზედ აძგეროს არა წყნარად ახოსა.

ჯეშმარიტად საოცარია, რომ ხშირად ჩვენს ფრესკებზე გამოხატული უწყინარი ანგელოზებიც კი მახვილით ხელში მტრის შესამუსრავად არიან შემართულნი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ დიდ ხელოვანს, მწერალი იქნებოდა იგი თუ ხუროთმოძღვარი, შემოქმედებითი დამოკიდებულების გარეშე არ უსარგებლია საქრისტიანო კულტურის საგანძურიდან.

თითქმის ყველა შემოქმედი, ეროვნული სპეციფიკისა და შექმნილი სიტუაციის შესაბამისად, მისგან შერჩეულ თემას თუ ეპიზოდს ახლებურად, საერთო ასპექტში გარდაქმნიდა, ორიგინალური მიდგომით აქსოვდა მასში საკუთარ აზრს, ეპოქის სულს, თავის ფილოსოფიურ, სოციალურ და პოლიტიკურ იდეალებს.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მატერიალური კულტურის ანსამბლიდან ნიკორწმინდის დასახელებაც კმარა. შეხედეთ ჩვენი ხუროთმოძღვრების ამ საკვირველებას, რა ხალისიანი, სიცოცხლის ტრფობის აღმძრელი ფერები, თვითმყოფი და უაღრესად მიწიერი ჩუქურთმებია „მიკარგულ-მოკარგული" მის ცით დამშვენებულ სვეტებსა და თაღებში.

ახლა ჩაიხედეთ სულხან-საბა ორბელიანის ჩვენთვის საინტერესო, დღემდე გამოუქვეყნებელ ნაშრომებში,[1] შემოაძერეთ მათ რელიგიური მანტია და ნახავთ, რა მხატვრული სახეები აელვარდება თქვენს თვალწინ, ზნეობის რა გამაკეთილშობილებელი მარგალიტები გამობრწყინდება მათი სიღრმიდან, როგორი გოლიათური სული ბორგავს სტრიქონებში, რომელთა მიზანია მაჰმადიანური გარემოცვის მღვრიე ტალღებში მოხვედრილი ქართული ხომალდის ჩაძირვისაგან ხსნა.

მართალია, შინაგანი ინტრიგებისა და პოლიტიკური მარცხის გამო, საბა დროებით მოწყდა საერო ცხოვრებას, მაგრამ რა დააოკებდა იმ ებრძოლ სულსა და მღელვარე გულს, რომელშიც, ვაჟას ძარღვიანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მტრის ჯაერი შავი ალაზნის გუბედ იყო ჩამდგარი. იგი აქაც, დავით გარეჯის ტრამალ უდაბნოშიც, არაა მოცლილი „სოფლის საქმეთაგან" და კელავაც ბრწყინვალე ვარსკელავის ძიებაში მო-

[1] ამ წერილის გამოქვეყნებიდან 4 წლის შემდეგ ორივე ეს ძეგლი შეკრიბა საბას თხზულებათა III ტომში (1963 წ.)

ნასტრის ეიწრო სარკმლიდან გასცქერის პირქუშ ზეცას. საბა აქაც კალმით ხელში იბრძვის ისლამური წყვდიადის გასაფანტავად, სპარსოფილურად განწყობილ უღირს თანამემამულეთა გამოსაღვიძებლად და დასამოძღვრავად.

სწორედ ასეთად გვეველინება საბა საერთოდ, და კერძოდ, იმ ორ ძეგლში, რომლის შესახებაც გვწადია მკითხველთან საუბარი. შევჩერდეთ პირველზე.

„სწავლანის" - ამ ფრიად საყურადღებო ძეგლის არსებობა ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი გახდა 1899 წელს, როცა გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნდა პ. კარბელაშვილის წერილი სათაურით: „სულხან-საბა ორბელიანის „სწავლა-მოძღვრებანი".

წერილის შესავალში ავტორი სიხარულით აუწყებს მკითხველს, რომ მღვდელ ზ. დავითაშვილს იმერეთის ეპისკოპოს ლეონიდისათვის გადაუცია საბას დღემდე უცნობი „სწავლა-მოძღვრებანი".

პ. კარბელაშვილს მოჰყავს ქადაგებათა სარჩევი და მოკლედ ეხება დიდი მწერლის ტრაგიკულ ბიოგრაფიას, კერძოდ, ვახტანგ VI-ის ამალასთან ერთად მის გადახვეწას რუსეთში, სადაც საბას უმცროს ძმას, ბერად შემდგარ ზოსიმეს (ერისკაცობაში ზაალს) 1729 წელს გადმოუნუსხავს სასიქადულო ძმის ქადაგებათა პირი.

პ. კარბელაშვილი აღძრავს საზოგადოების ყურადღებას უცნობი ძეგლისადმი და ასეთი მოწოდებით ამთავრებს თავის წერილს: „ურიგო არ იქნებოდა რომელიმე შთამომავალს დიდის ორბელიანებისას ეთაენა ამ ძვირფასი ხელნაწერის დაბეჭდვა და დაენახვებინა ქვეყნისათვის, თუ რა მქადაგებელი პყოლია ძველად ქართველ ერს და რამდენი გონებრივი სიმდიდრე გვაქვს ჯერ უცნობი და შეუსწავლელი" („ივერია" , 1899 წ. , №21, გვ. 4).

პირველი მეცნიერული გამოხმაურება საბას ქადაგებებზე ეკუთვნის ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის, რომელმაც 1899 წელს „ივერიაში" (№ 61) გამოქვეყნებულ მოკლე მიმოხილვაში აღნიშნული ძეგლი პატრიოტული და პოლიტიკური ტენდენციების შემცველ ნაწარმოებად მიიჩნია.

წერილში „ახალი შრომა სულხან-საბა ორბელიანისა" მ. ჯანაშვილი შენიშნავს: „შიგა და შიგ საბა აღიმაღლებს ხმას და იწვევს ქართველთა სამღვდელოებას დაიცვას სამწყსო გათათრებისაგან, რას გძინაესო, თქვენი ცხოვარნი მგელმა წარიტაცაო".

უფრო გვიანდელ სამეცნიერო ლიტერატურაში ამ შესანიშნავ ძეგლზე განსაკუთრებული ყურადღება აღარაეის გაუმახვილებია. თავის კაპიტალურ შრომაში აკადემიკოსი კ. კეკელიძე მას მხოლოდ გაკვრით იხსენიებს იმ გამოუქვეყნებელ საეკლესიო თხზულებათა გვერდით, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნის.

დაახლოებით ასეთივე ზოგადი შენიშვნით კმაყოფილდება პროფ. ა. ბარამიძე, როცა წერს: „სულხან-საბა ორბელიანის კალამს ეკუთვნის აგრეთვე სასულიერო-საეკლესიო შინაარსის მრავალი ნაშრომი" (ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. 1940 წ. , გვ. 275).

საბას ქადაგებებისადმი შედარებით მეტი ინტერესი გამოიჩინა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ, რომელმაც თავის მონოგრაფიულ ნარკვევში „სულხან-საბა ორბელიანი" აღნიშნულ ძეგლს ასეთი შეფასება მისცა: „საბას ქადაგებებში ცოცხლად მოჩანს ავტორის ინდივიდუალური ბუნება. მისი პოლიტიკური და რელიგიური ფიქრები. ამ ქა-

დაგებში საბა გეეელინება, როგორც დიდი მორალისტი და მხურვალე ტრიბუნი" (სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა" , 1928 წ. , გვ. 24).

საბას ამ თხზულების შესახებ თაეიანთი აზრი გაქოთქვეს აგრეთეე ივ. ლოლაშეილმა და ლ. მენაბდეე. მაგრამ ძნელია ამ ძეგლზე სრული წარმოდგენა ეიქონიოთ მანამდე, ვიდრე იგი არ დაიბეჭდება. ჯერ კიდეე 1928 წელს გ. ლეონიძე მართებულად შენიშნაედა: „საბას ეკლესიური ორატორული შემოქმედება შეუსწაელელია და სრულიად უცნობი, ამასთანაეე დიდმნიშენელოეან მასალას შეიცაეს იგი საბას ბიოგრაფიისათეის. საერთოდ საბას ქადაგებანი, რომელიც ცალკე მკელეეარს მოელის, შესანიშნაეი ძეგლია მე-18 საუკუნის ქართული ორატორული ლიტერატურისა" (სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა" , 1928 წ. , გვ. 24).

მართალია, ჩეენს წერილს ასეთი ფართო გამოკელეეის პრეტენზია არა აქეს, მაგრამ მისი მიზანია, ზოგადი წარმოდგენა მაინც მისცეს მკითხველს, თუ რა ხასიათის ძეგლია საბას გამოუქვეყნებელი „სწაელანი" და თაეისი ეპოქის რა მტკივნეულ საკითხებზე ამახეილებს ყურადღებას მებრძოლი პატრიოტი, დიდი ზნეობრიეი მოძღვარი და უბრო მქადაგებელი.

***

სულხან-საბა ორბელიანის „სწაელანი", რომელიც 46 ქადაგებისაგან შედგება, არსებითად სასულიერო-საეკლესიო შინაარსის ნაწარმოებია და ამ ჟანრის საკაცობრიო შედეერებს განეკუთენება.

ჰომილეტიკური ლიტერატურის ამ საუკეთესო ნიმუშებში მქადაგებელი პათეტიურად ლაპარაკობს ისეთ თეოლოგიურ დოგმებზე, როგორიცაა ღმერთის ყოელისშემძლეობა, სულის უკედავება, მეორედ მოსელის მოლოდინი, სამოთხის მშენიერება, ჯოჯოხეთის საშინელება, მართალთა ცხონება, ცოდეილთა განკითხეა და სხე.

ამ განყენებულ ბიბლიურ მსჯელობაში საბა საერო ფონზე მოხდენილად აქსოეს და აზაეებს ქრისტიანული რელიგიის მიერ დაკანონებულ საკულტო დღესასწაულებს, ყოფაცხოვრებით რიტუალებს, რომლებიც უხსოეარი დროიდან დიდი პატივით სარგებლობდა ძეელ საქართველოში.

როგორც მოსალოდნელია, ყეელგან, სადაც კი საბას ძეელი და ახალი აღთქმის დოგმებზე უხდება მსჯელობა, ამქეყნიური ცხოერება წარმოდგენილია, ეითარცა კვამლი და აჩრდილი, „რომელიც მცირედ ჟამ ჰსჩანან". რელიგიური თეალსაზრისითაც რომ ეიმსჯელოთ „სწაელანის" ამ ნაწილის შესახებ, მათი აეტორი მთლიანად მაინც არაა თეოლოგიურ არტახებში მომწყდეული ადამიანი.

როგორც საფუძელიანად განსწაელული და პრაქტიკულ ცხოერებაში ღრმად ჩახედული ბრძენი, საბა ეპოქის მოთხოენილებათა შესაბამისად დიდი გატაცებით გეელაპარაკება ადამიანის ამქეყნიურ დანიშნულებაზე, მის მაღალ მოქალაქეობრიე მოეალეობაზე სამშობლოსა და თანამოძმეთა წინაშე.

ამ მხრივ მრავლისმეტყეელია თეით აეტორის მოკლე განმარტება ქადაგებათა დანიშნულებაზე: „რომელი არს ქადაგება ერის მიმართ სწაელად". „სწავლანი" რომ საერო და აღმზრდელობითი ხასიათის ძეგლიცაა, საკმარისია თუნდაც სარჩევს გადაეხე-

დოთ: სწაელა სიმდაბლისათეის: სწაელა სტუმართმოყვარეობისათეის: სწაყლა ეერ-ცხლისმოყვარეობისათეის: სწაყლა ურჩებისათეის: სწაელა მრისხანებისათეის: სწაყლა სნეულთა მიხედეისათეის: სწაელა სიმთვრალისათეის: სწაელა სიმშეიდისათეის: სწაე-ლა მაგინებელთათეის: სწაელა ზეაობისაგან დაბნელებულთათეის: სწაელა ძეირის არა ხსენებისათეის: სწაელა სამწყსოს დამწყემსისათეის და სხე.

ოით:ქის ყეელა ეს ქადაგება განხორციელებაა დიდი მწერლის სანუკვარი ღეცნია-სა: „საქმე სიტყეიანი და სიტყეა საქმიანი". ადამიანი უნდა ფასდებოდეს არა თაფლისმ-წეთავი ენით, არამედ „საქმითა და აღსრულებითა".

აქეე უნდა შეენიშნოთ, რომ პარალელის თეალსაზრისით სპეციალური შესწაელის ღირსია ის საზიარო მოქალაქეობრიეი მოტიეები, რომლებიც გეხედება „სიბრძნე სიც-რუესა" და ქადაგებებში ჩაქსოეილ იგავებს შორის.

საბას ქადაგებანი უხეად შეიცავს პატრიოტულ სოციალურ-პოლიტიკურ, დიდაქ-ტიკურ-მორალისტურ, სამწერლო-ფოლკლორისტურ და ფილოსოფიური ხასიათის შე-ხედულებებს, რაც აღნიშნულ ძეგლს გარკეეულ საერო ღირებულებას ანიჭებს. რო-გორც ეპოქის ანარეკლში, მასში ნათლად გამოკრთის იმდროინდელი საქართველოს სული, ქართეელი ხალხის ყრუ ტკიეილები. კითხულობთ ამ ძეგლს და გაოცებული რჩებით ავტორის მრავალმხრიეი ეანათლებით. მართლაცდა, რა ცნობებს არ შეხეღე-ბით აქ ცოდნის სხეადასხეა დარგიდან? ასე გასინჯეთ, საბა ასტრონომიის საკითხებსაც კი ეხება და პელიოცენტრიზმის პოზიციებიდან მსჯელობს. იგი გარკეეით მიუთი-თებს, რომ უსასრულო სოლარულ სამყაროში ჩვენი პლანეტა ყეელაზე პატარა წერ-ტილია. აი, ეს სტრიქონებიც: „აღიხილენ თეალნი და იხილენ სიმრაველენი შეენიერთა ეარსკელაეთანი: და განიგულენით, ეითარ დიდ არიედ ეარსკელაენი, რამეთუ ქეეყანა-თა მრაეალისა ზომითა უდიდე არიან თეითო და თეითო ეარსკლავთაგანი, და მოიგონე თუ ეარსკვლავეთა შორის ცალიერნი ცანი ეითარ ვრცელ არიან: და გონებით განზომენ სიდიდე ცათა მათ, თუ რაოდენისა ათასსა ბეერისა ეჯითა უდიდეს არს სრულიად ქეეყა-ნათასა".

სულხან-საბა ორბელიანი თავისი დროის უაღრესად თვალსაჩინო პიროენება იყო და. როგორც მშობელი ქეეყნის შაებედობის დიდი ჰპირისუფალი, არ შეიძლებოდა ეპოქის მღელვარე მოელენებს განზე გადგომოდა.

საბა მთელი ძალით აშიშვლებს იმდროინდელ საქართეელოში არსებულ სოციალურსა და პოლიტიკურ უსამართლობას, მაღალი წრეების ყოფა-ცხოვრებაში ღრმად ფესეგადგმულ ბიწიერებას. ამიტომაა, რომ ქადაგებათა ცენტრში დგას მოქმედი ადა-მიანი, როგორც რთული სოციალური არსება, რომლის ბედსა თუ უბედობას მწერალი გარკეეულ სოციალურ-პოლიტიკურ ეითარებას უკაეშირებს. როცა სნეობის მწყემსი, ქრისტიანული სწაელის შესაბამისად, მოეეასის სიყეარულსა და შებრალებაზე გეე-ლაპარაკება, იქეე მიუთითებს იმ სოციალურ უფსკრულზე, რომელიც მაღალ და და-ბალ კლასებს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლისათეის სთიშაეს.

რაც უფრო ღრმად ეიხედებით საბას თხზულებაში, ეით უფრო შესაშინეი ხდება საერო ტენდენციებისაკენ გადახრა, სინამდეილით დაინტერესება და მასთან მიახლო-ება.

თავის ქადაგებებში დიდი მორალისტი გამიზნულად ურთავს გონიერულ იგავებს, ზნეობრივი ხასიათის დარიგებებს, ეთიკურ სენტენციებს. ამდენად, მქადაგებლის სიტყვაც ალმზრდელობით სფეროში ტრიალებს და ღრმად იჭრება მსმენელის გულში, ცდილობს გამოაღვიძოს მძინარე, საიმედო გზაზე დააყენოს გზააბნეულნი.

ამ მხრივ საბას ქადაგებათა ლეიტმოტივს შებრძოლი შეგონება წარმოადგენს: „მოეგეთ გონებას, ეძიენით გზა საცალი_ ნურვინ წარიკეცეთ სასოებას“.

თუ რამდენად ახერხებს იგი რელიგიური შინაარსის ქადაგებებში თავისი სოციალურ-პოლიტიკური და ზნეობრივი იდეალების მოხდენილად ჩაქსოვას, ამას ქვემოთ დავინახავთ.

***

ყველაზე დიდი უბედურება, რომელიც მე-18 საუკუნეში ქართველ ხალხს ეროვნული სახის დაკარგვით ემუქრებოდა, გათთრება იყო.

ქართველი ხალხის ეროვნული მეობის ფხიზელი მეთვალყურე საბა ლუი მეთოთხმეტისადმი მიწერილ მოხსენებითს ბარათში წუხს იმის გამო, რომ: „საქართველოს ერთიანად გამაჰმადიანება მოელის და დიდ განსაცდელშია“.

იგი ხედავს გათათრების მომძლავრებულ საფრთხეს და გული უკედება, რომ ერის ბურჯი — მშრომელი გლეხობა უპატრონოდაა მიგდებული და რომ ანგარებით შეპყრობილ მმართველ წრეებს გული არ ერჩით. თანამოძმენი „მძეინვარე მხეცს“ გამოსტაცონ. ერთ-ერთ ქადაგებაში — „სწაელა სამწყსოს დამწყესისათვის“ საბა შექმნილი მდგომარეობის ასეთ ალეგორიულ სურათს გვიხატავს:

„ცხოვართა ჩემთა აღარ აძოებთ, დაუძლურებულთა არ განაძლიერებთ, სნეული არა განკურნეთ, შემუსერილი არა შეუკართ და შეცდომილი არა მოაქციეთ და წაწყმედილი არა მოიძიეთ_ და განიბნიენ ცხოვარნი ჩემნი არა ქონებითა მწყემსთთა, და იქმნეს საჭმელი ყოველთა მხეცთა ველისათა, და განითესნეს ცხოვარნი მთათა ზედა ყოველთა ბორცვთა მაღალთა და პირსა ყოვლისა ქვეყნისასა განიბნიეს და არვინ გამომძიებელი და არცა მომქცეველი მათდა: ცხოვარსა ამათ არღარა ესმის ხმა მწყემსისა, არღარა შეკრბებიან სტვინვასა ზედა სალამურთასა, არა უყეფს ძაღლი თეოსა ზედა. იავარ იქმნა ფარეხნი კრაეთა და თიკანთა, განაბნიენა მხეცმან სამწყსო თქვენი. მიგტაცნათ მპარავმან ცხოვარნი უფლისანი და შეჰამნა მგელმან“ (ციტირებული ადგილები საბას „სწაელა-მოძღვრებიდან“ მოტანილია საქ. გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურულ მუზეუმში დაცული ხელნაწერიდან, №20068-B.)

მქადაგებელი აღარ კმაყოფილდება საღვთო წერილის იგავებით და ცხოვრების სინამდვილიდან აღებული ცოცხალი მაგალითებით პირდაპირ ნიშანში იღებს დასამოძღვრად საგანს. მან კარგად იცის ადამიანზე მაგალითის ზემოქმედების ძალა (გაიხსენოთ, თუ როგორ განმარტავს იგი მაგალითის არსს ლექსიკონში: „მაგალითი აჩვენო და წინ დაუდვა იგი, რათა მსგაეს მისთა ყონ“).

მეტად საყურადღებოა, რომ მწერალი სამშობლოსათვის თავგანწირვის პატრიოტულ მაგალითებს მდაბიო ფენებში ეძებს და კიდეეაც პოულობს მათ. საქართველოს ეროვნული უბედურების დასახატავად საბას ხოდაშნელი მწყემსის თაეგადასაელის შესანიშნავი ეპიზოდი მოჰყაეს ამის ნათელსაყოფად, თუ როგორ დადო თავი უბრალო,

უსწავლელმა სოფლელმა ბიჭმა მიბარებული ცხვრის მტაცებელი ნადირისაგან გადასარჩენად.

საბა ცხადად ხედავს, რომ მაჰმადიანური ჩვეულების მოძძლავრებამ უარყოფითი გავლენა იქონია ხალხის ზნეობაზე. მქადაგებელი ყველას გასაგონად აცხადებს: „– ვხედავ გულნი თქვენნი მადლისაგან ღმრთისა განშორებულ არიან და ქრისტიანობისა წესთა მოწყალება უგულებელს გიყოფიეს და ეელურთა მზეცთა ბუნებაოა ზედა იქცეეით, იესო ქრისტეს სჯული დაგიტეეებიეს, ამისათვის უმჯობეს არს სჯულსა ვასწაეებდე". მქადაგებელი წუხს, რომ მისგან შეყვარებული საპყრო „ეშმაკისაგან წარიტაცებას" და იქვე სინანულით დასძენს: „ეშმაკის მეგობარ ქმნილხარ. ეკლესიაში უგეანოდ ჰყვერ და მთვრალივით იცინი, არა უწყია, რაიცა გარეგან ამაონი სიტყვანი გითქამნ, ანუ უწესოდ გიცინიან, ანუ რაიმე ბოროტად გიქმნიან".

საბა კარგად ხედავდა ზნეობრივი ქცევის ნორმებისა და ქრისტიანული რელიგიის აშკარა რღვევის ნიშნებს, რასაც თან ერთვოდა პატრიოტული გრძნობის მოდუნება. იგი მხურვალედ ემუდარება მსმენელთ: „ოდეს შეხვიდეთ ეკლესიად, განიწმინდენით თავნი თქვენნი და მოკეეთეთ ქმნილნი ცოდუანნი თქვენნი".

ერთ-ერთ შესანიშნავ ქადაგებაში — „გიორგობის დღისა და ქართველების თათრობისათვის" „საბა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავგანწირული ბრძოლისაკენ მოუხმობს ყველას. იგი ვერ შერიგებია მმართველი კლასების პოლიტიკურ სიბეცეს, აზრისა და ნებისყოფის სამარცხვინო დალაჩრებას განსაკუთრებით მაშინ, როცა ეროვნული და რელიგიური თვითმყოფობა შელახულია, როცა მაჰმადიანური ტალღები წალეკვას უქადიან წინაპართა მიერ დაგროვილ გონებრივ თუ ნივთიერ ფასეულობებს.

საესებით მართებულად შენიშნავდა საბას ქადაგებათა პირველი შემფასებელი, ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი, როცა წერდა: „ნუ დაივიწყებთ, რომ სულხან-საბა ასეთ ცეცხლს აფრქვევდა მაშინ, როდესაც ოსმალებმა შეიპყრეს იმერეთი, გამაგრდნენ თბილისში, მოინდომეს სიონის მეჩეთად ქცევა" („ივერია" , 1899 წ. , №61.).

დიახ, ასეთ უმძიმეს დროში მიუძღოდა წინ თავის ერს სიტყვის უბადლო ოქროპირი და უაღრესად მაღალი პატრიოტული შეგონებით მოძღვრავდა მას: „რად ახსნი ქრისტესა მიერ დაბმულსა ეშმაკთა, რად მოისტუმრებ ნებითა შენითა მტერსა შენსა, რად შეიკრავ თავით თვისით ხელთა შენთა, და მიეცემი ხელთა მტრისათა; ძმანო საყუარელნო, მოეგენით გონებასა– განიღვიძენით ძილისაგან მძიმისა. ნუ განცხრებით შევებით, ნუ მომედგრდებით გარეველითა, ღაღადებისათა მცირითა თქვენცა დადეეით სული თქვენი მსგავსად დიდისა მის მწყემსისა, შეიყვარენით ცხოვარნი, რომელნიცა მოგითვალნა უფალმან ღმერთმან ხელთა შინა თქვენთა".

სულხან-საბა ორბელიანის პატრიოტული და პოლიტიკური იდეალები განასკეულია ორ სიტყვაში: „ძალა ერთობაშია". ორატორული სიტყვის უძლიერესი მოქნევით იგი ებრძვის განცალკეევებას, პარტიკულარიზმს და ქეყნის სსნას სნეობრივ განახლებასა და პოლიტიკურ ცენტრალიზმში ხედავს.

***

სულხან-საბა ორბელიანი დიდი ყამბეჯაობითა და სიმართლით იცავდა სხვას სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ.

რამდენადაც მქადაგებელს ნიშანში ამოღებული ჰყავს გაბატონებული წრეები, ამდენად კიდევაც ითვალისწინებს „მართლის მთქმელის“ ვეებერს.

ამიტომ საბას ერთგვარი წინასწარი მობოდიშებაც კი უწდება მათ მიმართ, ეისაც მისი მაშხილებელი სიტყვა მისწვდება და შეეხება: „ძრცხვენიან, საყუარელნო, ეინათგან ვსდენი ბოროტნი ყოქვი თქვენდა მიმართ, მეშინის, უფალსო ჩემსო და მთავარნო, ეინათგან ეკადრე მე უდარესმან თქვენთან უალრესისა მიმართ ჩემთასა ესეთი კადნიერებაი“.

მაგრამ მქადაგებელი იქვე დასძენს, რომ მას ალაპარაკებს არა სიძულვილი და მტრობა, არამედ უალრესად კეთილი განწრახვა — ამოიყვანოს ამორალიზმის წუმპედან თანამოძმენი: „არა სიძულვილისათჳს თქვენისა მიქმნიეს, არცა მტერობისა შურითა თქვენთა, უწყით რამეთუ აღშენებისა თქვენისათჳს ვიტყვი“.

ჩაგრულთა და ღატაკთა დიდ ქომაგს ზიზღსა პგვრიან „მეპატრონენი ქვეყნისანი“, რომელნიც „სისხლსა ყმათასა დასთხევენ“. იგი მოურიდებლად ამხელს იმ მრისხანე და ტირან მეფეებს, „რომელნი მძლაერობენ სოფელსა ამას და განფენილ არს შიში მისი თქვენ ზედა“.

დიდ ჰუმანისტს მოსვენებას არ აძლევს მაღალი კლასების სიხარბე, შეუბრალებლობა, გულქვაობა გაჭირეებაში მყოფ თანამოძმეთა მიმართ. ფრიად საყურადღებო ქადაგებაში — „სწაელა სნეულთა მიხედვისათჳს თქმული“ , საბა ასეთი სასაყვედურო სიტყვებით მიმართაჳს შეძლებულ და გაელენიან ფენებს: „რაოდენნი ძილნი განიფრთხევ, რაოდენი სმა და ჭამანი დაიმწარენ, რაოდენ გზის მოუარე სნეულსა და შეუმზადენ თაეი, გინდა გვერდნი უცვალენ ანუ მკერდთა მიეყრდენ“.

საბა პირდაპირ ეშუდარება და აეალებს გაბატონებულ კლასებს — გულისხმიერი, ადამიანური დამოკიდებულებით გაიმსჭვალონ უძლურთა და დავრდომილთა მიმართ: „აწ გეეედრები, საყუარელნო, რომელნი ხართ მოღვაწენი უძლურთანი, ნუ მოაკლებთ მადლსა ამას პატიოსანსა და რომელთა არა გიმსახურებიეს აწ მოიგეეით მადლი ესე და ისწაეეთ მსახურება სნეულთა. და ნუ იტყჳით, რაჳ თუ სნებაი იგი გარდამდებ არს და უკეთუ შემედეა — მომკლაეს, ანუ მრაეალხან უძლურმყოფს“.

გაბატონებული კლასების გაუმაძღრობას, მწვაეე უფლებრიე და სოციალურ უთანასწორობას ორატორული სიტყვის უბადლო სელოეანი ასეთი მაგალითებით გვისურათებს: „ლოშმან დაუტეეა მძვინვარება და შენ მრისხანებ მოყუასთა შენთა ზედა, მგელი არღარა იტაცებს დღისი, არც არას იპარავს ღამე, და შენ– განიგულაე ტაცებასა მოყუარეთასა და პარვასა მეზობელთასა–“, „ქორნი დაშეიდებულ არიან კაკბთა შეპყრობად და შენ პლამი რაიცა ვისმე რაიმე ისილო კეთილი შენთჳს შეპყრობად– ძაღლი არღარა სდევნის ყურდგელთა, არა ღრენს შემაეალთა უცხოთა, ხოლო თქვენ სდევნით გლახაკთა და შეიპყრობთ ქვრივთა და დაბზარაეთ ტყაეთა ობოლთასა“.

საბა არ ფარავს, რომ გაბატონებული კლასები პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან და სხეის მონაგარს ურცხვად ითვისებენ. იგი ქება-დიდებას ასხამს მშრომელთა მარჯვე-

ნას და მათ შრომა-საქმიანობას მიხაბაძად მიიჩნევს ყველისათვის: „იხილე მომაკლნი ყანათანი, ეითარ მოითმენენ სიცხესა შესეოასა და სიგრძესა დღეთასა, მუშაკობენ ცხელთა და ურწყულთა ველთა– ბოროტსა პაერსა არა რიდობენ– მაშინ არს დრო სნეულებისა და ხარეებისა, მაშინ არს გესლოვანებაი ბოროტი გველთა და მკბენარება ღრიანკელთა. არამედ არა განეკრძალებიან და არცა წამსა განსვენებას მისცემენ თავთა თვისთა. უკეთუ მას ჟამსა არა შეუკრიბა იფქლი თავთავისთა, ვერ გამოიზრდების წელიწადსა სიგრძესა მისსა".

საბა თვალნათლივ ხედავს, რომ სიზარმაცეს და მცონარობამ პრივილეგირებულ კლასებს ცოცხალი ქმნილების სახე დაუკარგა და თითქმის მკვდარ ლეშად აქცია. მეტად საყურადღებოა, რომ მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს შრომის პიგიენას, საერთოდ მის გამაჯანსაღებელ გავლენას ადამიანის მთელ ფსიქო-ფიზიკურ არსებაზე: „განიცადენით მუშაკნი მოთმინენი სიცხეთა და სიცივეთანი, ეითარ ოფლთა დენათა განაქარვებენ და განდევნიან უმგვანოთა პაერთა და მავნეთა სნეულებათა და იშვიათ არიან მუშაკნი შრომისა მოთმინენი სნეულ, და რომელნი უდებ და მჯაველ და უთმინო არიან, იგინი არიან სნეულ და მონა მკურნალთა და მკუნესელ და მევალალე, და ვერცაღა მოითმენენ სნეულებათა მათთა".

საბა ერთგვარი სამედიცინო რჩევის სახით დასძენს: „ამას სოფელსა შრომისა მოთმინება მრთელად ამყოფებს გუამთა, ბოროტთა პაერთა და სნეულებათა განდევნიან".

ამგვარად, საბა იმ დროისათვის უაღრესად კრიტიკულ დამოკიდებულებას იჩენს მაღალი წრეების უკუღმართი სოციალური და ზნეობრივი იდეალების მიმართ.

***

პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობათა გართულებამ, საწარმოო ძალთა უმაგალითო დაქვეითებამ, რაც განპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის მძიმე საშინაო და საგარეო ვითარებით, მეტად უარყოფითი გაელენა იქონია ხალხის ზნეობაზე.

ცხოვრებაში ღრმად ჩახედულმა საბამ კარგად იცის, რომ ხალხის დამხობა-გადაგვარება იწყება იქ, სადაც ძირი ეთხრება ეროვნულ თვითმყოფობას, საუკუნეებით შემუშავებულ ზნესა და ხასიათს.

ჩვენი ეროვნული ზნეობის დიდი მეთვალყურე მამაშვილური დარიგებით მიმართავს თანამემამულეთ — არ დაემონონ ვერცხლისმოყვარეობას, არ დაიწყონ წინაპართა ჩვეულნი, მათი სახლის კარი ყოველთვის ღია იყოს კეთილი სტუმრისა და მოყვრისათვის. „ნუ, საყუარელნო, ნუ დაემონებით ვერცხლსა– არამედ ვერცხლი მონებისათვის– სხვანი იტყვიან: გლახაკთა პური არა განუტეხნა. სტუმარნი სძულდა, უცხონი არა შეიწყნარა და აწ უცხო ექმნა მონაგებსა თვისსა". საბას რჩევაა: როგორ გარემოშიც არ უნდა მოექცეს ქართველი ხალხი, თუკი სურს, არ აღიგაეოს პირისაგან მიწისა, მტკიცედ უნდა დაიცვას და შეინარჩუნოს ისტორიულად შემონახული ეროვნული ზნე-ჩვეულებანი.

თავის ქადაგებებში საბა ადამიანის მრავალ მანკიერებაზე ამახვილებს ყურადღებას. ერთ-ერთ უმძიმეს სენად მას მიაჩნია ვერცხლისმოყვარეობა, რომლისადმი დაუკმაყოფილებელმა მისწრაფებამ გაბატონებულ კლასებში წარმოშვა „სიბოროტე, ამპარ-

ტაენება, ზეაობა, ნაყროეანება, სიძულეილი, ლალეა, მრისხანება და სოფლისა ამის სიყუარული“.

მქადაგებელი წუხს და დრტვინავს იმის გამო, რომ ხორციელ განცხრომაზე დაუძინებელმა ფიქრმა მისი დროის ადამიანებში ჩაკლა ისეთი სულიერი საუნჯენი, როგორიცაა „სიმშეიდე, სიმდაბლე, სიყუარული, მოთმინება“. ამგუარი მიდრეკილების წყალობით, — ამბობს იგი, — „დაეაბნელებთ სულსა ჩუენსა ღუთიე განათლებულსა, და ვაფოფინებთ ხორცთა ამათ მატლთა საზრდელსა წუთხსა მყრალსა. კაცმან რომელმან განაბნია მარგარიტი და აღკრიბა კუროსთავი, ჩუენ ვემსგავსებით მას, ყოველი სამკაული სულისა განგეიბნეეიეს და მოსურნე ვართ ხორციელთა საქმეთა“.

მქადაგებელი განსაკუთრებით ამსედრებულია ეკლესიის იმ მსახურთა მიმართ, რომელთაც „სული ეშმაკს მიჰყიდეს“ და, დაივიწყეს რა ზნეობრივი მწყემსის საპატიო ვალდებულება, ვერცხლის მოყვარულნი, სხეისი მონაგრის ურცხვად მიმტაცებელი გახდნენ.

სულხან-საბა ორბელიანი თავის ღრმააზროეან ქადაგებებში დაუღალავად ებრძვის საზიზღარ მანკს — ენატანიაობას. ამ მხრივ საყურადღებო დიდაქტიკური აზრების შემცველია „სწავლა მაგინებელთათვის თქმული“.

საბას საერთოდ ეზიზღება აუგის მთქმელი, კარგის მეძეირე. ენის ღვარძლიანად მიტან-მოტანას, მის ბოროტად გამოყენებას, დიდი მორალისტი შემდეგი სიტყვებით კიცხავს: „– განეკრძალენით სიტყეათა ბოროტთა და საძაგელთა, რომელთა მიერ წარწყმდების სული კაცისა, და ნუ შეიქმთ პირთა თქუენთა ჭურჭელ სიბილწისა, რომელ უსაძაგლეს არს ორმოთა სანეშტეთასა“. საბა მთელი სიღრმით ითვალისწინებს იმ მძიმე შედეგებს, რაც შეიძლება მოჰყეეს ბოროტმეტყველებას: „გინება აღაშფოთებს გონებასა კაცთასა, გინება მოუღებს საცნობელსა ბრძენთასა, გინება მოამზადებს ცემათ ხელთა ყვრიმალთათვის, და შეპკრავს მჯიღთა ქედთა და ღაწუთათვის, გინება განლესს ხმალთა და წამახუავნ ლახვართა. გინება დასთხეეს სისხლთა და იქმს კაცთა წყელასა და სიკუდილსა“.

ბოროტის მთქმელსა და ენის მიმტან ადამიანს მეიგაეე მწერალი გესლიან გველზე უფრო საშიშრად მიიჩნევს: „გველი არღარა უმზერს ბრჭყალთა კაცთასა, არცარა გამოაქეს გესლი პირით მისით. ხოლო შენ აუბნებ გესლოეანსა ენასა შენსა და უცადებულად რომლითა მოკუდებიან მრავალნი კაცნი“.

საბა მართებულად ასკენის, რომ ენის მიტან-მოტანით, თანამოძმეზე უადგილო ძვირის თქმით, ერის მთლიანობა ირღვევა, ინტერესთა ერთიანობა იბზარება და შინაური კინკლაობის შედეგად მტერს შესაძლებლობა ეძლევა. თავისუფლად აფათუროს ხელი დაპყრობილი ხალხის სულში.

მრავალი ხორციელი თუ სულიერი მანკიერებიდან, რომლითაც დაავადებული იყო იმდროინდელი საზოგადოების ერთი ნაწილი, საბა ცალკე გამოჰყოფს გადაჭარბებულ ღვინის სმას, მემთვრალეობას. მართალია, ამ საკითხზე საკმაოდ ბეერი რჩეეა-დარიგება წარმოუთქვამთ როგორც მოციქულებს, ისე ქართული პომილეტიკური მწერლობის წარმომადგენლებს (მაგალითად, X საუკუნის მოღვაწეს იოანე ბოლნელს), მაგრამ საბა სულ სხეა თვალით უცქერის ამ მანკს.

გარდა იმისა, რომ ალკოჰოლის გამუდმებული გამოყენება დიდძალი მატერიალური დოვლათის დანთქმას იწვევს და გაბანადგურებელი ძალით მოქმედებს ადამიანის გონებრივ თუ ფიზიკურ ძალებზე, ამავე დროს, ძმიმე ზნეობრივი შედეგების მოტანითაც ემუქრება პიროვნებას.

ადამიანის სულის ღრმა ფსიქოლოგმა იცის, რომ მთვრალი კაცი კარგავს წონასწორობას, ანგარიშს არ უწევს საზოგადოების მიერ შემუშავებულ საეალდებულო ქცევის წესებს და ხშირად ამორალიზმის წუმპეში ეშვება. მისთვის არაა უცხო და სამარცხვინო „ამაო საუბარი, უშვერი სიცილი, ურცხვი ალერსი, ბილწი სიმღერა, ბოროტი როკვა".

საბას გულს უკლავს იმის შეგნება, რომ ღვინის მიმდევარ კაცს გული უცრუდება ქრისტიანულ რელიგიაზე, იგი წყდება ეროვნულ ნიადაგს, სიმთვრალით გონებადაბნეული ადვილად იქცევა გარეშე მტრის სათამაშო ობიექტად. საბა გვაფრთხილებს, რომ „მთვრალობა არის ყოელისა ცოდვის თაეი და შემძინებელი უსჯულოებასა ზედა უსჯულოებისა. მეთვრალეს აღერეევის თვალნი კეთილად მხედეელნი, აღარა ესმის ალერსი სხვათა და თვით უბნობს ეითა სელი: უკეთუ ზეაღდგა, ფერხნი შეაყრობილ აქუნ და არა ძალუც დგომად. ეხვეეიან ბრუ და პგრონებს ქეყანისა ბრუნეად".

მქადაგებელი გამოუეალ ჩიხში იმწყედეს მეთვრალე კაცს და ორატორული სელოვნების მომარჯვებით პირდაპირ აიძულებს. კატეგორიული პასუხი გასცეს მის კითხვებზე: „მითხარ მე, საყუარელო, რა სიხარული შეგძინა სიმთვრალემან. სიბრძნე და ჭკუა მოგმატა, სიმშეიდე და სიწყნარე მოგიძღვნა, საპატიო ყოფა-ქცევა გასწაეა, ოქრო და ვერცხლი შეგიკრიბა, ღვინო, პური და ხვასტაგი განგიმრაელნა, საუნჯე საზრდოთ აგიესო, კაცთა დაგამეგობრა, მტერთა დაგაზაეა. ანუ სათნოება ღვთისა გაქმნია. რა სასიხარულო გიძღვნა ღვინომან, მაჩვენეთ მეცა".

„სწაელანის" ავტორი საგულდაგულოდ ჩერდება ადამიანის სხვადასხვა სულიერ თვისებებზე, რომელთა ანომალია, უკიდურესობა, მქადაგებლის აზრით, უარყოფითს გაელენას ახდენს პიროვნების მთელ ფსიქო-ფიზიკურ არსებაზე.

ადამიანის ერთ-ერთ ფსიქიკურ მანკად საბას უთმინობა მიაჩნია. ორატორული სიტყვის დიდი ოსტატი მისთვის ჩეეული მხატერული შედარებების გზით ასე გეიხატაეს ამ სულიერი აფექტის უაღრესად მაენე ზემოქმედებას ადამიანზე: „ეითა ზღეათა მყუდროსა შინა კეთილშავალსა ნაესა ეკეეთნეს ქარნი სასტიკნი, და შეახეთქნეს კლდესა, და დაინთქას შემუსერილი აგრეთეე სული მყუდრო, რაი იყოს გონებასა შინა თეისსა, ოდეს ეცეს ქარნი უთმინოებისა, იგი დაინთქმის სიღრმესა ქუესკნელისასა. უთმინოებაი შეიქმს არა პატიეისცემასა მამა-დედათა თეისთა, უთმინოება იქმს ბრძოლასა და კაცის კლვასა, უთმინოებაი განამრაელებს პარვასა, ავაზაკობასა, დატაცებასა".

საბა გეეელინება სათნოებისა და პუმანიზმის ერთგულ დამცეელად და მოურიდებლად ამხელს იმდროინდელი გაბატონებული საზოგადოების ტირანულ თვისებებს. ასე, მაგალითად, ქადაგებებში იგი საკმაოდ ერცლად ჩერდება მრისხანებაზე, როგორც ადამიანის ფსიქიკის უმძიმეს გამოვლინებაზე. აი, როგორი ფსიქოლოგიური წვდომით ძერწავს საბა მრისხანე კაცის სულიერ სამყაროს: „მრისხანე კაცსა ვერა შეაგონებს ერთგული, ვერა შემართებს კადნიერი, ვერა რაისა უმჯობესსა ეტყეის თანა განმზრა-

ხი: მრისხანე კაცი ვერა ოდეს მხიარულ პყოფს თავსა თვისსა, თუმცა შეიღისაცა ქორწილი აქუნდეს– მრისხანე კაცისა მეგობრობა მზგავს არს ასპიტისა ხელთა ჭირვასა, რომელსა მარადის აქუს გესლი მაკუდინებელი– მრისხანესა კაცისა თანა ჯდომასა უსაწადელეს არს ქაცუთა შიგან ჯდომა მრაჟალ ეკლოვანთა– მრისხანე კაცი არა უპატიოსნეს არს ძაღლსა განცოფებულსა, ვინათგან არცა მან იცის კეთილი და ბოროტი და არცა მან, ორიენე სწორად პკბენსა".

საბას დაკვირვებით, მრისხანება იმდენად აფორიაქებს ადამიანის სულიერ სამყაროს, რომ თითქმის შეუძლებელი ხდება, ამ სენით დაავადებული ადამიანის გრძნობა-გონება მოიმართოს კეთილი სწავლისა და ზნის მისაღებად. აი, როგორ შედარებას მიმართავს იგი: „უკეთუ წუეთი მარადის სიპთა ქუათა დასდიოდეს, ლბილი წყალი მას გახურეტს და შევალს, ხოლო მრისხანისა კაცისა გულთა კეთილი სწაელა არა შეეალს".

„სწავლანში" დიდი მორალისტი სარკასტულად ამათრახებს სწავლის მოთაკილე, განდიდების მოყვარე და ამპარტავან ადამიანებს. ეს სენი, საბას დაკვირვებით, ყველაზე მეტად ფეოდალურ არისტოკრატიას და სამღვდელოებას ჰქონია მორეული.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი შთამაგონებელი ძალით ამხელს საბა ამპარტავნებით შეპყრობილთ, მოვიტანოთ ამონაწერი საბას ქადაგებიდან — „სწავლა ამპარტავნებისათვის".

„მე ესრეთ მგონიეს, რამეთუ სადაცა შევალს ამპარტავნება, მუნ შეუძლებელი არს დადგრომად ყოველნი სათნოებანი კეთილნი, და დააბნელებს გონებასა კაცთასა, ვით დააბნელოს კვამლმან ძლიერმან თუალნი კაცთანი ტკივნეულნი– ვითა ქარი სასტიკი ეკვეთოს ხვაესა ბზისასა და განაბნიოს, ეგრეთვე ამპარტავნება, რაი შეეიდეს კაცთა შორის მადლთა ხვავთა მისდა სრულიად განაბნევს, ამპარტავანი გონებითა მივალს ზე აღმართ დიდებისად, ხოლო საქმეთა მიერ აღმოჰკუეთს ქვე მთხრებელთა და შთავალს ჯოჯოხეთსა მიმართ".

ეს სენი იმდენად უმძიმესად მიაჩნია საბას, რომ იგი თითქმის შეუძლებლად მიიჩნევს ამპარტავანი და მრისხანე კაცის შეგონებას, მის ზნეობრივ მოქცევას. კიდევ მეტი: ამპარტავან კაცზე მოძღვრის მიერ გაწეულ შრომას საბა წყლის ნაყვად თვლის, როცა დასძენს:

„ეგრეთვე ცუდად მაშერალი იქმნებიან მოძღუარნი ამპარტავანთანი, რამეთუ რაი იგი მას ნებავს, არა ისწავლის და რაი იგი მოძღვარსა სწადს, არა შეისმენს– საყუარელნო, უხმარ არს გონიერთაგან ამპარტავანისა კაცისა სწავლებაი და შეუსმინარისა შეგონებაი".

საბას გულს უკლავს თავისი დროის საზოგადოების გონებრივი და ზნეობრივი დაკნინება. მსგავსად აღორძინების ხანის მოწინავე მწერლებისა, დიდი მორალისტის აზრითაც ზნეობრივი და გონებრივი დაქანება უმეტესად ხვედრია უვიცი და უწიგნური ადამიანებისა.

განა საბას ბაგემ არ წარმოთქვა „ქილილა და დამანაში" ასეთი მოხდენილი შედარება:

„კაცსა სწავლა განანათლებს, ვითა მთვარე ღამე ბნელსა".

ადამიანის დარღვეული ბუნების აღმადგენელ ძალას საბა საღვთო წერილში ხედავს. თავისი მსჯელობის ამ ნაწილში საბა, ცხადია, რელიგიური აღსრდის თვალსაზრისზე დგას.

საბას რწმენით, ვინც ქრისტიანული მოძღვრების სათაყვანებს დაეწაფება, მას ხელთა აქვს „შეცნიერება კეთილთა და ბოროტთა". ამიტომ ურჩევს იგი მსმენელთ: „ასწავებდით და მოძღვრიდით თავთა თქვენთა ფხალშუნებითა და გალობითა". ან კიდევ: „უკეთუ უნჯთა გაშრაველება გენებოს, განეამრაველოთ სამღვთოთა წერილითა, უკეთუ მოვაქრება გეტკბობოდეს, მოვიეაქრნეთ სწაელანი სულიერნი".

ადამიანი რომ მოზღვავებული ცოდვებისაგან განთავისუფლდეს, კეთილი გზისაკენ შემობრუნება რომ შეძლოს, საბას ფსიქოლოგიური დაკვირვებით, იგი პირველ რიგში საკუთარი თავისადმი კრიტიკული განსჯის უნარით უნდა აღიჭურვოს.

როგორც ირკვევა, დიდი მწერალი კარგად იცნობდა სოკრატეს ფოლოსოფიურ ნააზრევს, როცა ერთ-ერთ თავის ქადაგებაში — „ცოდუასა ზედა დაუდგრომლობისათვის" ამბობს:

„პოი, ცოდვილო, იცან თაეი შენი და შენცა ადრე პყაე მოქცეეა ცოდეისაგან".

საბას შეგონებაა: ყოველი პიროვნება თვითეე დაუდგეს დარაჯად საკუთარ ყოფაქცეეას და საწყისშიეე აღკვეთოს „რტონი ცოდვათანი".

მქადაგებლის დაკვირვებით, საკმარისია ადამიანმა ოდნავ შეანელოს გულისყური საკუთარი თავისადმი და შეწყვიტოს ჭიდილი ბოროტ საწყისებთან, რომ აპორალიზმის გზაზე დაეშვას, მარცხი განიცადოს. ამ მხრივ საგულისხმოა საბას მიერ მოტანილი ასეთი მაგალითი: „რაისათვის პკიდია სირაქლემისა კეერცხი თქვენ წინაშე, ამისათვის რომელ სირაქლემი კეერცხთა სადამდის გამოსჩეკდეს, წინარე უცს და თვალმიუღებლად უმზერს, უკეთუ თეალი და გონება მოაშორვას, განულაყდების".

ცხოვრებაში ჩახედული ბრძენი საბა ადვილად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ხილულ სამყაროში ყველაფერი მარადიული ცვალებადობის კანონს ემორჩილება და კაცსაც, როგორც ბუნების ყველაზე სრულყოფილ ქმნილებას, თუკი მოინდომებს, თვითაღზრდის გზით ადვილად შეუძლია გარდაიქმნას, უკეთესი გახდეს. „ყოველნი სოფლისა ამის მშეენიერებანი შეიცელებიან ადრე, ვინათგან სოფელიცა იქცევს ზნეთა თეისთა და საქმეთა– და შენცა ისწაელე სოფლისაგან ერთსა საქმესა ზედა დაუდგრომლობაი და ნურცა შენ დადგრები მარადის ცოდუასა ზედა".

ფერუთეალაე მცენარეთა და ცხოელთა სამყაროდან მქადაგებელს მჭევრმეტყველების დიდი ძალით მოპყავს იმის მაგალითი, თუ როგორ კანონზომიერ ცვალებადობას განიცდის ყველაფერი გარდაქმნა-განახლების წყურეილის გამო. საბას მოწოდებაა, ადამიანმაც გადაშალოს ბუნების ეს დიდი წიგნი და შიგ გონებისა და გულის მასაზრდოებელი აზრები ამოიკითხოს: „გიხილაეს ჭადარი უგრძნობელნი, ეითარ განყრიან ქერქთა მქისეთა და არა მარადის უტეეებენ გუამსა ზედა თეისთა: არცღა ნერგთა ოდენი ძალი გაქუს, რათა ცოდვისა შებღალული ქერქი მოიძარცო და ახალი შეიმოსო– ირემთა უგულისხმოთა რაი რქანი დაეზარდენ და დაუდიდდნენ და დაუძიმდენ, წლითი წლად განაგდებენ, და არღარა იქონებენ და ჩრეილთა აღმოხეთქენ: ფრინეელნიცა განიყრებიან რაი განერყუნას და დაუმწიკლდეს ნაკრტენთა თეისთა, და ახალთა

და კეთილთა შეიმოსენ. შენცა ნუ უდარეს იქნები ფრინველთა და ვანიყარე ფიცხელნი მწიკულეანი ენებანი და კეთილი სინანულით შეიმოსენ; არწიენი რაი დაბერდებიან, აღფრინდებიან პაერთა შინა, და განახლდებიან და განჭაბუკდებიან სიბერისაგან: დათვი ძძინვარე და ყაბუზუნა მებრძოლი შეიცცალებენ ბუნებათა თვისთა და კაცთა მიერ სწაულითა დაშენდებიან, და დაუტეევებენ ეკლურებასა მათთა და ეთა კაცნი ელენან და რაკეენ და საბელთა განელიან, და შენ პირმეტეველი და გულისხმიერი იქმენ სწაულასა და ძრაელსა მოძღურებასა და არა დაუტეება მაგას ეელურებისა უსაძაგესსა ცოდეასა ჩეულებასა".

ცხოერების გზაზე ზნეობრიეად წაბორძიკებულთ საბა თეალწინ უშლის ბუნების განახლების გრანდიოზულ სურათებს, მის იდუმალ წადილს გარდაქმნა-გაუმჯობესებისას და ასეთი შეგონებით მიმართაეს მათ: „შენცა განიდვიძე უძრაეისა მისგან ძილისა, და იწყე ძერად აღმოცენებად ნაყოფთა და განაბნიე განსმული და დამპალი ძოლან ნაქნარი ცოდუა– შენცა აღაფრინე გონებაი შენი– და განიჭაბუკე ცოდეით დაბერებული სული შენი".

საბას შეგონებაა: „განიწმინდენით თავნი თქენნი და მოკეეთენით ქმნილნი ცოდუანი თქენნი".

მართალია, საბას დიდი სურეილია, ადამიანი თეითაღზრდის გზით გასდეს სათნო და კეთილი, მაგრამ იგი საესებით მაინც ეერ მაღლდება საკუთარი კლასის თეალსაზრისზე: მასაც ავიწყდება, რომ პიროვნება საზოგადოებრიეი ყოფის პროდუქტია და რომ მარტო საკუთარი ძალებით არ ძალუძს ამაღლება და სრულყოფა.

საბას პედაგოგიური რჩეაა, ადამიანმა სიყრმიდანეე შეიყვაროს კეთილი და გაეძიჯნოს ბოროტს. იგი გეაფრთხილებს: ნუ დაეელოდებით მოხუცებულობას, რომლის მიღწეაც წუთისოფლის ეკლიან გზაზე ხშირად სათუოა. კიდეეც რომ მიეაღწიოთ ღრმა სიბერეს, — გეეკითხება მქადაგებელი, — მაშინ რაღა მადლი ექნება ჩადენილ ცოდეათა მონანიებას, ვისღა გამოადგება იგი?!

„ჰოი, საწყალობელო, ჟამსა სიბერისასა გნებავს სინანული და არა გიხილავს — ყრმანიცა ჩჩეილნი მოკუდებიან, შენ ვითა უწყი დაბერებაი შენი. და უკეთუ ეგე ეგრეთ იყოს და დაბერდეცა, სადა არს ჟამსა სიბერისასა სინანული, სიყრმე შენი და სიჭაბუკე შენი, და სიმხნე და ძლიერებაი შენი ცოდუასა შინა აღასრულე და ოდეს დაბერდე და ძრწი, მაშინ მოხუალა სინანულად?"

საერთოდ, საბა ადამიანისადმი, აღსაზრდელისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას ქადაგებს, აღმზრდელის ეალია, დიდი გულისყური გამოიჩინოს, რათა მანკიერი ჩეეების აღმოფხერის პროცესში კეთილი ნაყოფიც არ დააზიანოს: „მარგლასა შინ ფრთხილ იყოს კაცი, რათა ეკალთა წილ არა ამოფხერას ჴენჴილი".

მაგრამ თუ ადამიანმა თეითაღზრდის გზით, შინაგანი ძალების დაძაბეით ეერ შეძლო კეთილ გზაზე დადგომა, მაშინ, საბას რჩევით, მან უნდა მიმართოს შესაფერის ოსტატს, ანუ აღმზრდელს.

რუსთაეელის ცნობილ აფორიზმს მქადაგებელი ასეთი პროზაული ვარიაციით გადმოგვცემს:

„მკურნალი ოდეს დასნეულდების, თეით ეერღარა მკურნებს თავსა თვისსა, არამედ

სხვასა მკურნალსა მოუწოდებს კურნებად. აგრეთვე, თქვა კაცი ექრა იკურნებს ცოდვათა თვისთა, უკეთუ სხვასა არა აღუაროს, ცუდად მაშერალობს თავით თვისით კურნებად."

საბა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს სულიერ მოძღვარს, აღმსრდელს და აღვილად მიდის იმ ჯანსაღ პედაგოგიურ დასკვნამდე, რომ კარგი სულმძღვანელის აქტიური ჩარევით აღზრდის ობიექტი ადრე თუ გვიან სნეობრიები განახლებისა და გონებრიები წარმატების გზაზე დადგება. აი, როგორ შედარებას ამიმართავს ორატორული სიტყვის ოქროპირი: „ვითარცა ოქროი განრყუნილი შთააგდო ბრძმედსა შინა, განიწმიდოს განრყუნილებაი მისი და ოქროი იგი იოფაზ წმიდაი გამოვიდეს ცეცხლისა მისგან, აგრეთვე ოდეს განრყუნილებაი სულისა ჩვენისა შთავაგდოთ ყურთა შინა მოძღვრისათა, ცეცხლმან მადლისა დიდისა მოძღვრისამან შეჰამნეს განრყუნილებაი და შესეარულებაი სულისა ჩვენისა, და გამოვიდეს განწმენდილი და განახლებული უმჯობეს ოქროისა. უკეთუ წყალთა ძალუძს განრეცხაი მწიკულისა სამოსელთაგან, და აგრეთვე ცეცხლსა განწმედა განრყუნილებისა ოქროისა დადნობითა, ვინა მკურნალსა ხორცთასა წარმოთხრობითა სნეულისა მიერ სენთა მათ რომელნიცა სჭირან მას განკურნებაი მისი".



საბას, როგორც სიბრძნის მიყვარულს, სიამოვნებას პგვრის საღმრთო წერილის ცნობილი სტრიქონები: „ნეტარ არს კაცი, რომელმან პპოვა სიბრძნე და მეცნიერება და გარდასცა იგი მოყუასთა". მაგრამ თავისი პედაგოგიური დამოძღვრის პროცესში იგი არც რუსთაველის ღრმააზროვან შეგონებას ივიწყებს: „არას გარგებს სწავლულება, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა".

დიდად საყურადღებოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი იმდროინდელი საზოგადოების ფიზიკური და ზნეობრივი გადარჩენის რეალურ გზას ეძიებს. მისი აზრით, მოქმედი ადამიანი არამარტო იმქვეყნიური დაპირებებით უნდა ტკბებოდეს, — იგი იმავე დროს ვალდებულიცაა სიცოცხლეში დაუღალავი შრომით ქმნიდეს რაიმე სახის მატერიალურ და სულიერ ღირებულებას. საბა მიუთითებს შრომის დადებით გაელენაზე, რომელიც, მისი სიტყვით, „სრულად განაცხოველებს და კეთილად და მყუდროებით ამყოფებს სულთა".

აქედან მკადაგებელი პირდაპირ მიდის ფიზიკური შრომის საყოველთაო აღიარებამდე.

***

ორიოდე სიტყვა გვინდა ვთქვათ საბას ქადაგებათა ენაზე. „სწავლანი" საკმაოდ არქაული ენითაა დაწერილი. ქადაგებათა უმრავლესობა გადატვირთულია სქოლასტი-

კურ-საღეთისმეტყველო ტერმინოლოგიით, ბიბლიური გამოთქმებით. ეს გარემოება ადვილი ასახსნელია: თეით ქადაგებათა საგნის სპეციფიკა, საკულტო-რელიგიური თემების შინაარსი სწორედ ამგვარ ფორმათა გამოყენებას მოითხოვდა.

საეკლესიო რიტორიკის ეს არქაული ფორმა, საერთოდ, თაეიდანვე იყო დაკანონებული და, ცხადია, ბერის მანტიაში გახვეული საბაც ვერ გადაუხვეედა ამ გზიდან. მიუხედაეად ამისა, შიგადაშიგ იგი მოხდენილად ურთაეს სადა მეტყეელების ნიმუშებს, პოეტურ შედარებებს, იგაეებს, აფორისტულ გამოთქმებს, რითაც საღეთისმეტყეელო კილოს საერო ელფერით ასაეებს. როცა საჭიროა ნიშანში ამოღებული დასამოძღვრი საგნის გამათრახება, მაშინ საბა დიდი ძალით იყენებს იუმორსა და სატირას, რაც ეეზომ დამახასიათებელია მისი იგაე-არაკებისათვისაც.

სულხან-საბა ორბელიანის „სწაელანის" მხატვრულ-იდეური წყაროები სხეადასხეა სათაეიდან მომდინარეობს. რა თქმა უნდა, როგორც სასულიერო შინაარსის ქადაგებანი, ისინი. უწინარეს ყოელისა საღეთო წერილიდან, მისი ისტორიული და საკანონმდებლო ნაწილიდან იღებენ სათაეეს, ბიბლიური დოგმებითა და იგაეებით იკეებებიან.

გარდა ამისა, მათში საკმაოდ ჭარბად შეინიშნება პომილეტიკური მწერლობის, აგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ძეგლების, ბერძნულ და ქართულ საგალობელთა კვალი.

ქადაგების აგების რიტორიკულ ხერხებს საბა გაცნობილია იოანე ოქროპირის, ბასილი დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველის, იოანე დამასკელის, ეფრემ ასურისა და სხვათა საეკლესიო მჭევრმეტყველების შედეერებში.

მაგრამ მქადაგებელი სცილდება თეოლოგიურ ფარგლებს და თავს დასტრიალებს თავისი ეპოქის მღელეარე საკითხებს, ფართოდ უღებს კარს საერო და მოქალაქეობრივ მოტივებს.

ამ მიმართულებით იგი ახლოს იცნობს ბერძნულ და ქართულ ფილოსოფიურ აზროვნებას, მათ წარმომადგენელთა მორალისტურ და ეთიკურ შეხედულებებს.

საერო ასპექტში საბას ქადაგებათა იდეური წყარო ასეე სათაეეს იღებს შოთა რუსთაეელის უკედაეი პოემის სიბრძნეთა უძირო ზღეიდან, თავის სახელოეან წინამორბედთა, კერძოდ, აღორძინების ხანის პოეტის არჩილის მორალისტურ-დიდაქტიკური შეხედულებებიდან. და რაც მთავარია, საბა, როგორც წუთისოფლის ეკლიან გზაზე ჭირგამოელილი ბრძენი, თავის ქადაგებებს ხორცს ასხამს ცხოვრების მდიდარი გამოცდილებით, მისთვის ეგზომ მიმადლებული უნიეერსალური ნიჭით.

მქადაგებელი. ენდობა რა თავისი სიტყვის ზემოქმედების ძალას, ამავე დროს. არ უგულებელყოფს დაჯერების, მაგალითის, დარწმუნების მეთოდების აღმზრდელობითი მიზნის გამოყენებას.

უნდა ეივარაუდოთ, რომ თავის დროზე უდავოდ დიდი იქნებოდა „სწაელანის" გავლენა იმ საზოგადოებაზე, რომელიც ირანელ და თურქ დამპყრობელთაგან მეტად დამამცირებელ ფორმებში განიცდიდა ეროენულ, სოციალურ და პოლიტიკურ ჩაგერას. ეს შესანიშნაეი ძეგლი უთუოდ ძლიერ პატრიოტულ გრძნობას გაუღეიძებდა მათ, ეისთვისაც ასე ძვირფასი იყო სამშობლის თავისუფლება და დამოუკიდებლობა, გათათრებისაგან მამა-პაპათა ტრადიციული ზნე-ჩეეულებების დაცეა-შენარჩუნება.

უდავოა ისიც, რომ ქადაგებათა კრებული ხელიდან ხელში გადადიოდა ისტორიული ბედუკუღმართობით სამშობლოდან გადახვეწილ ვახტანგ VI-ის მრავალრიცხოვან ამალაში, კერძოდ, იგი, ალბათ, დიდ ზნეობრივ საზრდოს მისცემდა ემიგრაციის მშვენებას, პოეტ დავით გურამიშვილსაც.

ამ მხრივ დავკმაყოფილდეთ თუნდაც მცირე ამონაწერის მოტანით იმ ქადაგებიდან, სადაც საბა დანტესებური ძალით ხატავს სიკვდილისა და ჯოჯოხეთის საშინელებას ქრისტიანული რელიგიის მიხედვით. „ვაი რა აღი მოსასვლელი მოგეელის, ვაი რა უწვევი სტუმარი არს, ვაი რა შუსაძრწუნებელი არს განმზადებაი მისთვის, ვაი რა საზარელი არს შეყრა მისი და საშინელი ხილვა პირისა მისისა.

სიკუდილი უხმო და უსიტყვო არს და სიტყვათა ჩვენთა დამადუმებელი არს. სიკუდილისა ზარმაცი ცხენი გვეწეევა, და ჩვენი სწრაფი ცხენი ვერ წარეელტის, სიკუდილისა უქონელი რხმალი ჩვენთა ხორცთა განკუეთს და ჩვენის რკინის მახვილი მას ვერას აენებს, სიკუდილისა უხმო ხმაი განგვანქრევს და ჩვენი მრავალ მოუბარი ენა მას ვერას შეასმინებს, ჩვენი ეედრებაი მას ვერ მოაშვიდებს, ჩვენი ლიქნა მას ვერ დააწყნარებს, ქრთაში ვერ დაგვამეგობრებს, ოქრო და ეერცხლი ეერ დაგვაწყობს ეხრეთ უწყალოთა ჩვენზედა“.

რატომ არ შეიძლებოდა გეეფიქრა, რომ თაეის მხრივ ამ შემაძრწუნებელ სურათსაც ერთგვარი ბიძგი მიეცა სიკედილთან ცდილობაში ჩაბმული გურამიშვილის კაეშნით ამღერებული სტრიქონებისათვის:

ამისთვის მწყდება მე წელი
და უკან ზურგის მალები
მოვა და მომკლავს სიკვდილი
მას ვერსად დავემალები
გაეექცე ვერცად წაუვალ
ცხენებიც მყვანდეს მალები
შაეებნა ვერას დანაკლებს
ჩემნი თოფნი და ხმალები.
სიკვდილი ქრთამს არ აიღებს
ოქროს ვერცხლს არცა რვალებსა
არც არას გვისმენს ხვეწნასა
არც არას შეგვიბრალებსა.

ემიგრაციის დედაბოძის ვახტანგის წაქცევის შემდეგ მეფის რუსეთის თეალუწვდენელ ტერიტორიაზე გაფანტულ ქართველ პატრიოტთა სულიერი თანამგზაერი და ზნეობრივი ლამპარი უთუოდ იქნებოდა მათი საამაყო პატრიარქის საბას ქადაგებათა კრებულიც, რომელსაც სასიქადულო მწერლის ძმამ, ზოსიმემ სამართლიანად უწოდა „სულთა განმანათლებელი წიგნი“.

***

მართალია, თავის „სწაელა-მოძღვრებაში", ქრისტიანული თვალსაზრისის შესაბამისად, მქადაგებელი გზადაგზა სხეულის მოკვდინებისკენაც მოუწოდებს, მაგრამ საბოლოოდ მაინც საბა სიცოცხლის მშვენიერების მოტრფიალედ გვევლინება. ცხოვრების არც ერთ ვითარებაში, მონასტრული იქნებოდა იგი თუ საერო, საბასთვის სიცოცხლე არასოდეს მოსაწყენი არ გამხდარა. ხალხში დაბადებულსა და აღზრდილს, მას საზოგადოებისათვის ზურგი არასოდეს შეუქცევია, ერთხელაც არ გაუელია გულში რეალური ცხოვრების უარყოფა. პირიქით, იგი ყველა ადამიანისგან მოითხოვს, მადლობა შესწიროს ცისა და ქვეყნის შემოქმედს, რომელმაც „უკვდაეი სული შთაგებერნა, და სიტყვიერნი შეგვქმნა, და სიბრძნე და გონიერება მოგვანიჭა, შეგობარი ჩვენი მიწა ფერხთა ჩუენთა ქუეშე დაგვიდვა, ასრე შავიცა არა გვაკადრა, მწუანითა და ფერად-ფერადითა ყვავილითა მოგვიფინა".

საეკლესიო შინაარსის ქადაგებებშიც კი საბა დიდ ოპტიმიზმს ამჟღავნებს. მისი აზროვნების დიდი ძალა ჩანს არა მარტო მორალისტურ და რელიგიურ მსჯელობაში, არამედ ადამიანის შინაგანი ბუნების ფილოსოფიურ განსჯაში. როგორ გარემოშიც უნდა მოქცეს ადამიანი, მისი საღი გონება და უკეთესი მომაელის რწმენა არავითარ შემთხვევაში არ უნდა შთანთქას სულიერმა დეპრესიამ. საბა თანამემამულეთ გამძლეობისა და მოთმინების გრძნობებს უნერგავს. ერთ-ერთ ქადაგებაში იგი ასეთ გამამხნევებელ სიტყვებს ურთავს: „განეიფრთხოთ ძილისაგან მძიმისა, იღვაწეთ, ძმანო, გამოეიღოთ ნაყოფი სულიერი, ნურვინ წარიკვეთთ სასოებასა, რათა ჩვენც აღგვადგინნეს დაცემულნი და განგვაძლიერნეს".

მეტად საყურადღებოა, რომ საბას მსოფლმხედველობა არაა შებოჭილი ეკლესიასტეს პესიმიზმით, გაბმული სამდურაეით ცხოვრების ამაოებაზე.

მართალია, თავისი ქვეყნის უბედობა, მმართველი წრეების ზნეობრივი დემორალიზაცია დიდი პატრიოტის ღრმა აღშფოთებას იწვევს, მაგრამ ეს გულისწყრომა სრულიადაც არ გადადის ხალხის საერთო წყევლა-კრულვაში. ასეთ მძიმე მდგომარეობაშიც კი ცხოვრების სიყვარულით აღგზნებულ ბერს სრული უფლებით შეეძლო გაემეორებინა თავისი მამიდაშვილის, მეფე-პოეტის არჩილის სიტყვები: „სოფელს ეაგინებ, მაგრამ მე მიყვარს და ვერ ვეშვებია".

საბას, როგორც დიდ ოპტიმისტს, ნათელ ფერებში ეხატება სამშობლო ქვეყნის უკეთესი მყოფადი, იგი არაა შეპყრობილი მომავლისადმი რაღაც გაურკვეველი შიშით. მერე რა ვუყოთ, თუ ანალოგიური ბედის გამო მასაც შეეძლო თავის თავზე გადაეტანა ვახტანგ მეექვსის ამონაკვნესი: „ჩემი ჭირი ქვას პგონებოდა, დადნებოდა, ჩემი ფიქრი და ნაღველი ზღვის ალაგს აავსებდა".

საბას მებრძოლი სული არასოდეს დაღვენთილა, მისი ნებისყოფა არასოდეს გაღვერილა, იგი მარადის სამშობლოს საკურთხეველს ეფინებოდა და მის კიდეებს ეელებოდა გარშემო.

უდაოა, ღვთისმშობლის ხატის წინ ხელაპყრობილი საბა სამშობლოს კეთილდღეობისათვის უფრო მხურვალედ ლოცულობდა, ვიდრე საკუთარი სულის ცხონებისათვის. თუმცა რა ცოდვები შეიძლებოდა პქონოდა იმ ადამიანს, რომელიც სულის უკანას-

კნელ ამოხდომამდე მშობლიური ხალხის ჭირისა და ლხინის მოზიარე გახდა, რომელიც საქვეყნოდ აცხადებდა: მე ქართველთათვის ვალდებული ვარო. უთუოდ ბედის ერთგვარი ირონია იყო, როცა ცხოვრებისაგან გატანჯულ უმწიკვლო მოხუცს რომის პაპმა ცოდვების შესანდობად ოქროს ხატი უბოძა.

სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი" მის სხვა უკვდავ ძეგლებთან ერთად ცხადად მეტყველებს მისი აეტორის დიდ ერუდიციაზე, საერო, სახალხო ინტერესებზე. მასში მძლავრად ჩქეფს მებრძოლი ბერის ანთებული სული, რომელიც საქმაოდ მძიმე დროში დაეით გარეჯის სრიოკი უდაბნოდან გამამხნეველი ძალით ეფრქვეოდა თანამოძმეთა გულს და მაღალი მოქალაქეობრივი ვალდებულებით აღაგზნებდა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დიდი მამულიშვილის იდეალია, მარად ნაყოფიერი და სიკეთის მომცემი იყოს ქართველთა სამკვიდრებელი მიწა: უკუნითი უკუნისამდე დღეგრძელი ის ხალხი, რომელიც უხსოვარი დროიდან ამ მიწაზე ცხოვრობს და მრავლდება.

***

სიძველეთა საცავებში თელემს ბრძენი მწერლის მეორე ნაშრომი — „სამოთხის კარი", რომელიც თავისი ხასიათით ქართული დოგმატიკური მწერლობის ციკლს განეკუთვნება.

მასში, როგორც ერთგვარ კატეხიზმოში, კითხვა-მიგების ფორმით მოძღვარი (მასწავლებელი) ყრმას (მოსწავლეს) თანმიმდევრულად უხსნის ქრისტიანული ეკლესიის ძირითად დოგმებს.

მართალია, ეს ნაშრომი თეოლოგიის სახელმძღვანელო წიგნს წარმოადგენს, მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა იქაც, მსგავსად „სწავლანისა", შიგადაშიგ საერო-საგანმანათლებლო და დიდაქტიკურ-მორალისტური ტენდენციებიც არ დაგვენახა.

აღსანიშნავია, რომ იმდროინდელი პოლიტიკური და რელიგიური სიტუაციის გამო, კათოლიკოსმა ანტონ პირველმა ამ წიგნს „ჯოჯოხეთის ბჭე" უწოდა და მასზე სასტიკი საეკლესიო ცენზურა დააწესა (დღემდე 21 ხელნაწერი მაინცაა ცნობილი). მაგრამ ჩვენ გვგონია, ანტონისა და. საერთოდ. მართლმადიდებელ კლერიკალთა აღშფოთება უფრო ამ წიგნის საერო ტენდენციებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული.

თვითონ საბა ამ წიგნს თავის ქმნილებათა შორის თვალსაჩინო ადგილს უთმობდა და სიკვდილამდე უბით დაატარებდა.

აღნიშნულ თხზულებას, როგორც გარკვეულ საგანმანათლებლო წყაროს და ენობრიებად მდიდარ საგანძურს, მაღალ შეფასებას აძლევდა რუსეთში გადახვეწილი ქართველობა, კერძოდ: ამ ძეგლის შესამე რედაქცია საბას ძმის ნიკოლოზ ორბელიანის მიერაა შესრულებული, ხოლო ვახუშტი ბაგრატიონმა 1750 წელს მისი მეოთხე რედაქციაც შეიმუშავა, საბოლოოდ გაწმინდა იგი კათოლიკური რელიგიის რეციდივებისაგან და ამით საბას ქმნილებას პირვანდელი მართლმადიდებლური სამოსი შემოაცვა.

საბას „სამოთხის კარი" გარკვეულ ურთიერთობაშია როგორც „სწავლანთან", ისე „ქართულ ლექსიკონთან" (ბევრი ცნებისა და სიტყვის განმარტება ორიგინალში ანალოგიურია).

მაგრამ ამ%ერად, გარდა რელიგიური დოგმატების განმარტებისა, უფრო საინტერესო იხსა, რა საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი ნაკადით შეიძლებოდა ესაზრდოებინა ამ ძეგლს თავისი დროის მსმენელი თუ მკითხველი? როცა ამ თვალსაზრისით ვაფასებთ საბას შრომას, პირველ რიგში თვალში გვეცემა ავტორის დამა%ერებელი მს%ველობა ქრისტიანული რელიგიისა და საუფლო რიტუალების უპირატესობათა შესახებ მაჰმადიანობასთან შედარებით. ცხადია, ეს საბას გარკვეული პატრიოტული მოსაზრებითაც ესაჭიროებოდა. მისი მიზანი იყო, მომძლავრებული გათათრებისგან ეხსნა თანამოძმენი.

„სამოთხის კარი“ საინტერესოა პედაგოგიური და მორალისტური თვალსაზრისითაც (იქნებ ამ წიგნმაც მისცა სტიმული ი. გოგებაშვილს თავისი უკვდავი სახელმძღვანელოსათვის „ბუნების კარი“ ეწოდებინა!). მასში იშვიათი პედაგოგიკური ოსტატობითაა დალაგებული და გადმოცემული კითხვა-მიგებანი. დახელოვნებულ მოძღვარს თანდათანობით, და არა ნახტომების გზით, ნაცნობიდან უცნობისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ მიჰყავს მოსწავლე. ავტორი განყენებული სიტყვიერი მს%ველობის პარალელურად ხშირად ჩერდება აღმზრდელობით მომენტებზე და წუთითაც არ ივიწყებს მათ სასარგებლო ზემოქმედებას აღსაზრდელის სულიერ ფორმირებაზე. თავის მს%ველობაში საბა უხვად აქსოვს ცხოვრებისეულ ბრძნულ იგავებს, დიდძალ სენტენციაფორიზმებს.

„სამოთხის კარში“, როგორც სასწაელო სახელმძღვანელოში, მრავალი მანამდე ახალი და საინტერესო ცნობაა მოცემული მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან, რაც აღნიშნულ შრომას გარკვეულ თეორიულ ღირებულებასაც ანიჭებს.

ამდენად, ეს სახელმძღვანელო, თუ შეიძლება ითქვას, თავისი დროისათვის ერთგვარი ენციკლოპედიური ხასიათისაა.

ასე, მაგალითად, როცა საბა ლაპარაკობს ნივთიერებათა თვისებებზე, სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ვერცხლისწყალი, როგორც თხევადი ლითონი, გარკვეული სპეციფიკური თვისებით ხასიათდება. „ვერცხლის წყალი, — წერს იგი, — არს ერთი ნივთთაგანი. მოიღე და დასთხიე მიწათა და რა განიბნას, არღარა იხილვებიან და უჩინარ, არამედ რა მიწა იგი მოკრიბო და მოპგავნე ცოცხითა და განანიავო მიწა იგი, მოკრებით პპოო ვერცხლის წყალი იგი უნაკლოდ“.

ამ ძეგლში ბევრი საინტერესო აზრი და გამონათქვამი გვხვდება ფილოსოფიური სამყაროდანაც. როგორც ფილოსოფიურად განსწავლულმა ადამიანმა, საბამ კარგად იცის, რომ მატერიალიზმისა და იდეალიზმის სახით დასაბამიდან ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო ფილოსოფიური სისტემა იბრძოდა. ერთგან იგი ძალზე გამოკვეთილად შენიშნავს: – „მრავალნი ფილოსოფოსნი იტყოდეს ქვეყნისას თავით თავისით ყოფასა და არა ღმრთისაგან დაბადებასა“. საბას ფილოსოფიურ ნააზრევში ბევრი რამ შეიძლება ვნახოთ ორივე თვალსაზრისის სასარგებლოდ. მისი განს%ვით „გონებისაგან იშვების სიბრძნე და გონებისა და სიბრძნისგან გამოვალს სიტყვა“.

საბას გარდუვალად სწამს სიკეთის კეთილგონიერება და მარადისობა. იგი ადამიანებს მოუწოდებს, ცდუნებათაგან დაბზარული გული მორწყან სიკეთისაგან მომდინარე წყაროთი, „რაოდენნი არიან დასაბამნი კეთილობათანი და სათაენი, რომლისაგან გამოელენ ყოველნი სიკეთენი, ვითარცა მდინარენი წყაროთაგან“.

თუ საერთო შეუპასებას მიეცემოთ დიდი მწერლის ფილოსოფიურ თვალსაზრისს, იგი ბრძოლისა და შრომის მქადაგებელია, ამაში ხედავს კაცთა ბედნიერი განვითარებისა და გარდაქმნის გზას.

ერთი სიტყვით, ორიენ ძეგლში საბა მარტო რელიგიური დოგმატებისა და ულტრა-კლერიკალური აზრების მქადაგებლად კი არ გვეელინება, როგორც ეს შეცდომით ჰგონიათ ზოგიერთებს. მათი აეტორი ამაყე დროს, და უმეტესად, გაბედულად ეძიებს იმ საშუალებებს, რომლებითაც შეეძლება ისტორიული ბედუკუღმართობის გამო გონებადაბნეულ თანამოძმეთ „სიძნელე გზისა გაუადვილოს“.

ჟამთა ჭექა-ქუხილში გამოელილ და გამობრძმედილ საბას დაბეჯითებით სწამდა, რომ ბოროტს კეთილი სძლევდა, ბნელს ნათელი მოერეოდა.

პირველი ქართული სტამბა

დაარსების 250-ე წლისთავის გამო

ქართველმა ხალხმა გარეშე და შინაური ბედუკუღმართობის გამო შედარებით ვეიან გაუღო კარი გუტენბერგის უდიდეს გამოგონებას. ამიტომაც არ იწყეეს გაკეირვებას, რომ პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნები ჩვენი სამშობლოდან საკმაოდ დაშორებით გამოვიდა, სახელდობრ რომსა (1629 წ.) და მოსკოვში (1705 წ.).

მე-18 საუკუნის დასაწყისიდან, ელირსა თუ არა მცირე ხნის მშვიდობიან ცხოერებას, ქართველმა ხალხმა და მისმა მოწინაეე ძალებმა გაორკეცებული ენერგიით გააჩაღეს საკმაოდ ფართო სამეურნეო და კულტურულ-საგანმანათებლო საქმიანობა. ამ დიდ ეროვნულ წამოწყებათა ინიციატორი იყო გამოჩენილი პოეტი და მეფე — ვახტანგ მეექესე.

მშობელი ქვეყნის უანგარო მოამაგემ მტკვრის ნაპირას, თავისი სახახლის მახლობლად, სტამბისათვის საგულდაგულო შენობა ააგებინა.

ვახტანგმა დიდი მატერიალური ხარჯის გაწეეით და გულშემატკივარ თანამოაზრეთა დახმარებით, რუმინეთიდან მოიწეია სასტამბო საქმის სპეციალისტი, რუმინეთში მოღეაწე სახელოვანი ქართველი — ანთიმოზ იერიელის შეგირდი მიხაილ იშტვანოვიჩი (უნგროვლახელი).

ფრიად საყურადღებოა, რომ ქართული ასოები და სტამბის სხვა მოწყობილობა თბილისში დამზადდა.

ასე დაარსდა თბილისში 1709 წელს პირეელი ქართული სტამბა და დაიწყო წიგნების ბეჭდვა.

მართალია, იმ სტამბაში გამოცემული წიგნების უმრავლესობა საეკლესიო შინაარსისა იყო, მაგრამ ამით იმ დროისათვის მაინც დიდი ეროვნული საქმე კეთდებოდა. იგი ხელს უწყობდა ჩვენი ხალხის ეროვნულ გაერთიანებას და მომძლავრებული მაჰმადიანებისაგან მამაპაპეულ ზნე-ჩვეულებათა დაცვა-შენარჩუნებას.

გარდა საეკლესიო წიგნებისა, თბილისის ახლად დაარსებულ სტამბაში საერო შინაარსის წიგნებიც იბეჭდებოდა. ასე მაგალითად: 1711 წელს ამ სტამბაში გამოიცა ორიგინალური სახელმძღვანელო: „სწავლა თუ ვითარ მართებს მოძღვარსა სწავლება მოწაფისა“.

ქართველი ხალხის კულტურულ ცხოერებაში უდიდეს მოელენად უნდა ჩაითვალოს მხედრული შრიფტით „ეეფხისტყაოსნის“ გამოცემა 1712 წელს, ვახტანგისაეე რედაქციითა და მეცნიერული კომენტარებით.

ვახტანგ მეექესის პოლიტიკურ კატასტროფასთან დაკაეშირებით სტამბის მუშაობა საგრძნობლად შეფერხდა, თუმცა საგამომცემლო საქმიანობა მაინც არ შეწყვეტილა.

1713 წელს გამოდის „კურთხევანი“. ამ ხანებში ვახტანგის სტამბის დიდი მოამაგე მიხაილ იშტვანოვიჩი სამშობლოში ბრუნდება, ხოლო მისგან ასე მხურვალედ დაწყებულ საქმეს მისიეე აღზრდილი ქართველი მოწაფეები განაგრძობენ. 1717 და 1720 წლებში იბეჭდება „ჟამნი“ და „პარაკლიტონი“.

1721 წელს აღნიშნულ სტამბაში მხედრული ასოებით იბეჭდება ვახტანგისაგან სპარ-

სულიდან გადმოთარგმნილი ასტრონომიული შინაარსის შრომა „ქმნულების ცოდნის წიგნი“ , იგივე „აიათი“.

საყურადღებოა, რომ თბილისის სტამბაში გამოცემული წიგნების უმრავლესობა მხატვრული და ტექნიკური გაფორმების თვალსაზრისით იმ დროისათვის საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ დახელოვნებას ერთგვარი ნიადაგი შეუმზადა ქართული ხელნაწერი წიგნების მხატვრული კაზმულობის შესანიშნაებამ ტრადიციამაც, რომელიც დიდი პატივით სარგებლობდა ძველ საქართველოში.

მომდევნო ისტორიულმა კატასტროფამ, რომლის მძიმე შედეგებმაც ვახტანგი თავისი ამალით რუსეთში გადაისროლა, საგამომცემლო საქმეც შეაფერხა.

მიუხედავად ამისა, საქართველოდან გადახვეწილი ვახტანგის თანამოღვაწენი სხვადასხვა დროს რუსეთის ქალაქებში განაგრძობდნენ ქართული წიგნების ბეჭდვას.

1749 წელს მტრისაგან აოხრებული და მოშლილი თბილისის სტამბა კვლავ მწყობრში ჩადგა ერეკლე მეორისა და ანტონ პირველის ინიციატივით, რაც თავისი დროისათვის ჩვენი ერის ცხოვრებაში უაღრესად დიდი კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო.

დღეს ქართველი ხალხი დიდი მადლიერების გრძნობით იხსენიებს პირველ ქართულ სტამბას და მის დამაარსებელს ვახტანგ მეექვსეს, რომელმაც მაკმადიანობის წყვდიადში ჩაფლულ სამშობლოს შეძლებისდაგვარად სწავლა-განათლების ნათელი სხივები მოჰფინა.



დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ნაკადი დავით გურამიშვილის პოეზიაში

თავის ხანგრძლივ, მაგრამ ბედუკულმართ სიცოცხლეში დ. გურამიშვილი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ოდესმე მისი შემოქმედება მოძმე საბჭოთა ხალხების მრავალფეროვანი კულტურის საგანძურში ესოდენ ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებდა.

როდესაც მეორე სამშობლოდან — საყვარელი უკრაინიდან, რომლის მადლიანი მიწაც ახე სათუთად ინახავს უკვდავი პოეტის ნეშთს, ქართველი უფლისწულის ხელით იგი თავისი ხელნაწერი ლექსების ძეირფას კრებულს საქართველოში გზავნიდა, მას ამოქმედებდა სურვილი იმისა, რომ მისგან შორსმყოფ სამშობლოს ბედკრული ძის მწარე გოდება ესმინა, მისი რჩევა-დარიგება მიეღო.

დავით გურამიშვილი, როგორც პოეტი და მოაზროვნე, დიდაქტიკოსი და მორალისტი, მისთვის განკუთვნილი საზომით შედარებით გვიან დააფასა მშობელმა ქვეყანამ. ამის მიზეზი იმ ეპოქის ეითარებაში მარხია, რომელშიც მას უხდებოდა ცხოვრება და მოღვაწეობა.

პოეტის სიცოცხლეში და შემდეგაც ქართველმა ხალხმა იმდენი უბედურება გამოიარა, რომ მას სულიერი სიმშვიდე თითქმის არც უგრძვნია, თავისი ეროვნული კულტურის საგანძურში დამკვდარი გონების თვალით ერთხელაც კი არ ჩაუხედია. მხოლოდ მე-19 საუკუნის ზღურბლიდან ჩვენი ქვეყნის ისტორიული მსვლელობა სრულიად ახალი პოლიტიკური და კულტურული გზით წარიმართა.

ჩვენი ეროვნული ყოფის ბრძენი მსჯავრმდებლის ილია ჭავჭავაძის დახასიათებით ამიერიდან „დამშვიდდა დიდი ხნის დაუშვიდებელი, დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილზე, გაჰქრა ცეცხლი, რომელიც სწვავდა და პბუგავდა ჩვენს მამა-პაპათა ბინას, ჩვენს საცხოვრებელს, გათავდა დარბევა-აკლება".

მიუხედავად თვითმპყრობელობის კოლონიური სისტემის მეტად მძიმე შედეგებისა, ბუნებით მამაცმა და ნიჭიერმა ქართველმა ხალხმა მაინც შეძლო თავისი შემოქმედებითი პოტენციის გაშლა, კულტურულ ღირებულებათა აწონ-დაწონა, გაჩხრეკა და გადაფასება.

დავით გურამიშვილის დროც დადგა. თუმცა სამშობლოს უბედურებით გულგასენილ პოეტს დიდი ხანია მირგოროდის მიწაში ეძინა, მაგრამ მისმა სულიერმა შემკვიდრეებმა — ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა და ვაჟა-ფშაველამ სრულიად ახლებური და ფრიად მაღალი შეფასება მისცეს თავის „უძვირფასეს პაპას" (ვაჟას გამოთქმით).

მართლაც, დ. გურამიშვილის შემოქმედება ყველა ჩვენგანს არა მარტო დიდი პოეტური ცეცხლით აღაგზნებს, არამედ ღრმად აფიქრებს, საკაცობრიო აზრებს აწაფებს, გულსა და გონებას უწმენდს, დიდაქტიკურ-პედაგოგიკური იდეებით ასაზრდოებს.

ჩვენი წერილის მიზანია, მოკლე წარმოდგენა მისცეს მკითხველს დ. გურამიშვილის პედაგოგიკურ ნააზრევზე, რომელიც მარგალიტებადაა გაფანტული მის უკვდავ „დაყოიანში".

***

რამდენადაც დ. გურამიშვილის პედაგოგიკური შეხედულებანი სწაელა-აღზრდის საკითხებზე ეპოქის საერთო ხასიათითაა განპირობებული, საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვით გავიხსენოთ იმდროინდელი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური ვითარება, კულტურულ-მორალური დონე.

როგორც ცნობილია, ბედუკუღმართი ისტორიული ვითარების შედეგად ქართველი ხალხი სანგრძლივი წლების მანძილზე სპარს-ოსმალთა ბატონობის ძძიმე უღელს ატარებდა; ზედდართული ლეკთა გამუდმებული თარეშიც სულიერ სიმშვიდეს უკარგაყდა ხალხს.

თემურ-ლენგის ბარბაროსული შემოსევის შედეგად, ჩვენი ქვეყნის გმირული ბრძოლის ისტორიაში მე-17—18 საუკუნეები ყველაზე შავბნელ ხანას განეკუთვნება. გარეშე და შინაური მტრის შემმუსვრელმა ხელმა საესებით მოშალა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ბაზისი, რასაც შედეგად მოჰყვა გაუგონარი პოლიტიკური სიბეცე და კულტურული დაკნინება.

მთავარი უბედურება, რომელიც ქართველ ხალხს ეროვნული სახის დაკარგვით ემუქრებოდა, გათათრების ეპიდემია იყო. მეფეთა და მთავართა ლტოლვამ განცალკევებისაკენ ლახვარი ჩასცა ეპოქის საუკეთესო შვილთა მისწრაფებას — კიდევ მეტი ძალით ებრძოლათ საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ქვეყნის ეს საერთო უბედურება მთელი თავისი სოციალური და ეკონომიური სისასტიკით მშრომელ გლეხობას დაატყდა.

ამავე დროს საზოგადოების ფართო წრეები შემარყეველმა გონებრიემა ობსკურანტიზმმა და ზნეობრიემა სრწნამ მოიცვა. ვერ ხუჭავს რა თვალს არსებული სინამდვილის წინაშე, გულდაკოდილი პოეტი სიმართლის მთელი ძალით აშიშვლებს ირგელივ ჩამოწოლილ სოციალურ-პოლიტიკურ უსამართლობას, ჩვენი ეროვნული უბედურების მიზეზებს, ხალხის ფართო ფენებში ღრმად ფესვგადგმულ ბიწიერებას.

ეპოქის ეს ტკივილები დ. გურამიშვილმა ძირითადად „დავითიანის" იმ ნაწილში გამოხატა, რომელსაც „ქართლის ჭირი" ეწოდება. მაგრამ თავის სათქმელსა და საფიქრალს პოეტი მარტო ეროვნული და ფილოსოფიური მოტივებით როდი შემოფარგლავს. იგი საგულდაგულოდ ჩერდება საერთოდ ადამიანის, კერძოდ, მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების საკითხებზე, რაც დ. გურამიშვილის პოეზიას აღმზრდელობითი თვალსაზრისით გარკვეულ პედაგოგიურ ღირებულებას ანიჭებს.

ამდენად, დ. გურამიშვილი ჩვენთვის ძვირფასია არა მარტო როგორც პოეტური სიტყვის უბადლო ოსტატი, არამედ როგორც დიდი განმანათლებელი, ზნეობრივი მოძღვარი, დაკვირვებული პედაგოგი და თვალსაჩინო მორალისტ-დიდაქტიკოსი.

ამაოდ როდი უთქვამს დაუვიწყარ ი. გოგებაშვილს:

„თუ ქართველი მწერალი მგოსანია, საკმარისი არ არის იგი გენიალური პოეტი იყოს, — უკიდურესად საჭიროა, რომ ეს გენიალური პოეტი იყოს აგრეთვე გენიალური მოძღვარი, გენიალური პედაგოგი თავის ერისათვის".

***

ლექსების ერთადერთ კრებულში, რომელსაც თვით დავითმა „დაეითიანი“ უწოდა, ავტორი სიამაყით აცხადებს, რომ მისი მიზანია, დამოძღვროს ახალგაზრდობა, სულისა და გულის მარგებელი საზრდო მისცეს მას. უთუოდ შორს იხედებოდა უშეილობის გამო „სახლკარ დასამხობლად“ განწირული პოეტი, როცა აცრემლებულ თვალს მომავლისკენ მიაპყრობდა:

თუ არ შევკრებ და არ ვუძღვნი
ყრმათ ია-ვარდის კონებსა
ცოცხალიც არვის ვახსონვარ
მკვდარს ვინღა მამიგონებსა?!

საწუთროზე გულაღრენილ პოეტს მუდამ სტანჯავდა ფიქრი იმისა, რომ თუ ეს „სულთა მარგებელი“ წიგნი დაიღუპებოდა, მასში დარგული ხეც გახმებოდა და მისი უტკბილესი ნაყოფით პირს ვეღარაინ ჩაიგემრიელებდა. ამდენად, საესებით გამართლებულად უნდა ჩაითვალოს დავითის გულწრფელი თხოვნა:

ყრმათ შევაჲედრე ეს წიგნი
არ შექმნან დასახველად.

დ. გურამიშვილის პოეზიის დიდაქტიკურ-აღმზრდელობით ნაკადს ერთი არსებითი მიზანი გასდევს: მრავალტანჯულ სამშობლოს, ხშირად თავისაეე უღირს ძეთაგან გეემულს, ახლო მომავალში მაინც აღუზარდოს ისეთი მოქალაქენი, რომელნიც წინაპართა მომაკვდინებელ ცოდვებს აღარ გაიმეორებენ, გონებრიეად და ზნეობრიეად გარდაიქმნებიან, ახალ საეალ გზებს გაკვალაეენ.

დავითი მთელ თავის ოქროპირობას იმაზე ხარჯავს, რომ თანამოძმენი ფეხზე დააყენოს, მისიეე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოარჯულოს“. მაგრამ მძიმე საზოგადოებრიე გარემოს პირობებში ხშირად მისი ხმა რჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ამიტომ პოეტი დიდხანს აღარ ჩერდება მათზე და იმედის თვალი ახალგაზრდობაზე გადააქვს. იგი პირდაპირ უცხადებს უფროს თაობებს:

მე შენთვის აღარ მცალიან
ყმაწვილის ვალი მკიდია.

პოეტი წინასწარ ბოდიშობს, რომ იგი ცხოერების ავბედითი პირობების გამო უწერთნელი და უსწავლელია, რომ მისი შეგონებისა და დამოძღვრის ძალა ვერ გაუტოლდება შოთა რუსთაველის სიბრძნის თვალუწედნელ ზღვას; თანაც იქვე მოკრძალებით დასძენს:

სად მაღალი არ ცად იყოს
მუნ დაბალი გამაღლდების.

დავითის შემოქმედების, კერძოდ, დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ნაკადის სათავეე უმთავრესად რუსთაველისა და აღორძინების ხანის მწერლების (არჩილი, ხაბა, ვახტანგ VI) ნაწარევიდან მომდინარეობს. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ცხოვრება-ზე ღრმა დაკვირვების ნიჭმა პოეტს უდიდესი გამოცდილება შეუძინა, რაც ჰუმანისტური შესაცნობად მისთვის ყველაზე უტყუარი კრიტერიუმი იყო.

გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ ბრძენი რუსთაველის შემდეგ ადამიანის აღზრდის პრობლემას არც ერთი პოეტი არ შეხებია ისეთი ძალითა და სიღრმით, როგორც დ. გურამიშვილი. იგი ბევრად შორს წავიდა თავისი ეპოქის პოეტებზე და ზნეთასწავლულების საინტერესო სისტემა შექმნა.

მიუკერძებლად რომ ვთქვათ, დავითი დიდი წინის დიდაქტიკოსია, რომელმაც შესანიშნავად იცის ნორჩის ბუნება, ღრმად იხედება მის სულში და იშვიათი პედაგოგიური სიფრთხილით უკაფავს სავალ გზებს. ეს რომ ასე არ იყოს და პოეტს თავისი ზნეობრიები მოძღვრების კეთილისმყოფელი გავლენის არ სწამდეს, მაშინ იგი დაბეჯითებით აღარ ურჩევდა შთამომაელობას:

მაგ ჩემს წერილსა წიგნებსა
წაიკითხვედეო:
რაც რომ ანდერძად დამეგდოს
ალასრულებდეო.

ახლა დავუბრუნდეთ საკითხს, თუ როგორი გზებითა და პედაგოგიური ხერხებით ნერგავს დიდი დიდაქტიკოსი მომავალ თაობაში სწავლა-ცოდნის სიყვარულს. წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ დ. გურამიშვილის აღზრდის სისტემა ღრმად ნაციონალურია, ეროვნულ საწყისებს ემყარება. მას გაუმართლებლად მიაჩნია, რომ ახალგაზრდობას ადრეული სწავლა-აღზრდის პროცესში თავს მოახვიონ უცხო აზრები, უცნობი ზნე-ჩვეულებანი. ამიტომ ემუდარება იგი ბრძენ კაცს, „დავითიანი" დაკვირვებით გადაიკითხოს და იქ

თუ რამ იყოს სხვის სჯულისა
მამიქციოს გამიქართლოს.
ან კიდევ:
ეგ წიგნი წმინდად სახმარი
არვინ გამიჩირქოსაო!

ბუნებრივი პედაგოგიური ნიჭითა და ალღოთი დაჯილდოებული დიდაქტიკოსი წინასწარ მომართავს ყმაწვილის სმენას ცოდნის შესათვისებლად. ახასიათებს რა მრავალი პროფესიის ადამიანს, იგი ყველაზე მეტად ცოდნითა და სიბრძნით აღსავსე პიროვნებას შენატრის:

ესძებნე და ვერა ვპოვე რა
მჯობი ამ სწავლა-მცნებისა

ბრძენსა აქვს თავისუფლება
სოფელში ყოფნა ნებისა.

„დავითიანის" დიდაქტიკური ციკლის ცენტრალურ ნაწილში, რომელსაც „სწაელა მოსწაელეთა" ეწოდება, პოეტი ჩაგონების ტონით მოუხმობს სწავლის მაძიებელთ, ყურადღებით ისმინონ მისი რჩევა-დარიგება და სარბად დაეწაფონ სწაელა-მეცნიერებას. არაჩვეულებრივი პედაგოგიური ხელოვნებითა და დიდაქტიკური ძალით გეელა-პარაკება იგი ცოდნით განმტკიცებული სიბრძნისა და სიბრძნით დამშვენებული ცოდნის სიდიადეზე:

ცოდნა თან დასდევს მცოდნესა
რაზომსაც დაეტარების
აქვს უხილავი საუნჯე
ხელი არ შეეკარების.

დავითის წრფელი ნატერაა, რომ ახალგაზრდობა სწავლას მთელი გულისყურით ეკიდებოდეს. ცოდნა ზეციდან როდი ცვივა, მისი შეძენა იოლი საქმე როდია.

საფუძვლიანი ცოდნა მოითხოვს მტკიცე ნებისყოფას, ხანგრძლივ და მოუწყინარ შრომას. დ. გურამიშვილი გვირჩევს, რომ არც ერთი წუთი უქმად არ დაეკარგოთ:

ვიდგეთ ვიჯდეთ ანუ ვიწვეთ
ხანსა ცუდად არ დავზმიდეთ.

პოეტს სძაგს და ეზიზღება ზარმაცი, სწავლაზე ურჩი და გულაცრუებული ახალგაზრდა. ოჯახმა და ფართო საზოგადოებამ ასეთი ყმაწვილი სასტიკად უნდა გაკიცხოს:

სწავლაზე ურჩი და მორცხვი
თვალით არ დასანახია.

დავითი იმდენად აღშფოთებულია ზოგიერთი ახალგაზრდის უვარგისი საქციელით, რომ წკეპლით დასჯასაც არ ერიდება. რა თქმა უნდა, ამ უკიდურესი ფიზიკური ღონისძიების გატარებას იგი ყველას მიმართ როდი ქადაგებს. პოეტი გვირჩევს. ერთგვარი ინდივიდუალური მიდგომის გზით „თავზე ხელაღებულნი" სასურველ კალაპოტში ჩავაყენოთ და სწავლის სურვილი შინაგან მოთხოვნილებად ეუქციოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მშობლები და საზოგადოება მეტად სავალალო ნაყოფს მოიმკიან. ეს ჟამი, პოეტის განმარტებით, მთელი სიმწვავით მაშინ დადგება, როცა ყმაწვილს „რიყფაინის დრო გარდუა" , და ცხოვრებასთან ბრძოლას, უცრდინარობის გამო, დიდი ანგარიშით წააგებს. საგულისხმოა მოხდენილი სტრიქონები ასეთი გზააბნეული კაცის მიმართ:

ეძებდეს ვერას პოებდეს
საქმესა სამყობინარსა
თავს იწყეელიდეს ამბობდეს
დედ-მამის შესაგინარსა.

დავითის პოეტური შედარებით, როგორც რკინას არბილებს ცეცხლი, ისე ყრმას აკეთილშობილებს და ადამიანურ ღირსებას ანიჭებს აღზრდა-განათლება.

ცოდნის ანკარა წყაროს ადამიანი მთელი სისარბით უნდა დაეწაფოს შანამდე, ვიდრე მისი ნორჩი ძალები არ გამოფიტულა და სიჭაბუკის დილა სიბერის ჩრდილებს არ შეუცელია. კიდევ მეტი: დაკვირვებული თვალის პოეტი იმ დასკვნამდეც კი მიდის, რომ ხანდაზმული კაცის განსწავლა ძალზე საძნელოა და თითქმის შეუძლებელიც. ამ მხრივ საგულისხმოა ცნობილი სტიქონები:

ვით ძნიად წწორი ბერ-ფუყი
დაიგრიხების წწელადა
აგრეთვე კაცი მხცოვანი
განისწავლების ძნელადა.

პოეტი არც იმას ფარავს, რომ სწავლა რთული და ერთგვარად მომაბეზრებელი პროცესია. სამაგიეროდ, ამქვეყნად ვერაფერი შეედრება იმ ნაყოფის გემოსა და სურნელებას, რომელსაც სიბრძნის ხე ისხამს და გამოსცემს. პოეტი დასძენს:

სწავლის ძირი მწარე არის
კენწეროში გატკბილდების.

და რაც მთავარია: განსწავლა, ცოდნის სრულყოფა, გარდა იმისა, რომ ცხოვრებასთან ჰიდილში ორლესული იარაღია, ამავე დროს სულიერი შეების მომნიჭებელიცაა. ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვების შედეგად დავითი ასეთ დასკვნამდე მიდის:

ეგრეთ მოსწავლე სწავლასა
რა სრულჰყოფს განისვენებსა.

ცოდნა არ უნდა იყოს თვითმიზანი: იგი პრაქტიკულად უნდა მოხმარდეს და დაუბრუნდეს ხალხს. ადამიანმა ბუნებისაგან მომადლებული ნიჭი ცოდნის საშუალებით უნდა ამრავლოს, ამოქმედოს, არ გაიელოს გულში სინანული იმისა, რომ ამით მას რაიმე აკლდება ან ეკარგება.

ცოდნა, რომელიც ნაყოფს არ გამოიღებს, მოქმედებაში არ გადაყა, დავითის შედარებით, იგივეა, რაც მიწაში დაფლული მოუხმარებელი საგანძური.

კარგად უთქვამს რუსთაველის სიბრძნეზე აღზრდილ პოეტს:

თქმულა: საუნჯე უხმარი
არა-რად გამოსაყენად.

საფუძველიანი სწავლა-განათლება ადამიანს უადვილებს ჭეშმარიტების შეცნობას, აძლევს ორიენტირებას, უნეითარებს ინიციატივას და თვითმოქმედების უნარს. ცოდნა პატრიოტული და ზნემაღალი სულისკვეთებით გვაკავშირებს მშობელ ხალხთან, მის ისტორიულ წარსულთან და აწმყოსთან, მთელ გარემყართან.

ცხოერება დავითს წარმოდგენილი აქეს, როგორც ადიდებული მდინარე, რომელიც დახრჩობას უქადის ყველას, ვინც ცურვა არ იცის. ამაზე საუცხოოდ უთქვამს პოეტს:

თუ ცურვასა არ ისწავლი
ვერ გაუზვალ წყალთა ღრმათა.

დავითს სათამაშო ნივთად მიაჩნია უწიგნური და უცოდინარი კაცი და შებრალების ტონით დასძენს:

თუ კაცსა ცოდნა არა აქვს
გასტანჯავს წუთისოფელი.

მაგრამ ცოდნაც არის და ცოდნაც! ბრძენი პოეტი ასალგაზრდობას ურჩევს, რომ შეძენილი ცოდნა იყოს მტკიცე და მყარი, შესწევდეს უნარი მოვლენებში გარკვეისა. იგი ემუდარება სწავლისმაძიებელთ, თავს ყველაფრით ნუ გამოიტენით, რაც აუცილებელია, ის შეიძინეთო:

ალაბულათი ნუ ავსებ
წმინდად გარცხულსა მენასა
გაგიჭირდების გარეცხა
შეიქ ობერას და ქშენასა.

ამავე დროს დავითი იმ აზრისაა, რომ ცოდნას ამშვენებდეს და მხარდამხარ მისდევდეს ჭკუა, წინდახედულობა. ცოდნის გარეშე ჭკუა ბრმაა, მაგრამ უჭკუო ცოდნაც მჩატეა და წონადობას მოკლებული. შესანიშნავად უთქვამს დავითს:

ჭკუა უხმარ არს ბრიყვთათვის
ჭკვა ცოდნით მოიხმარების.

კიდევ მეტი: ჭკუას დავითი ადამიანის სულიერ ღირსებათა შორის ერთ-ერთ უძვირფასეს საუნჯედ მიიჩნევს, როცა წერს:

ჭკვის უკეთესი საქონლად
არა რა საქონელია.

თუ ყმაწვილის ჭკუა და გონება სიკვდილამდე შეთანხმებით იმოქმედებენ, ცხოვრების მრავალფეროვან მოვლენებში უფრო ღრმად ჩაიხედავენ, მაშინ მისთვის ადვილია. დადინჯებულად გასცეს პასუხი ამაღელვებელ კითხვებზე:

ვინ არის სიდამ მოსულა
სად არის წავა სადაო?

ვინაიდან ცხოვრების საკვალი გზა სვეგამწარებულ პოეტს ეკლიანად ეჩვენება, იგი მომავალი თაობისაგან დაბეჯითებით მოითხოვს სიდინჯეს, სიფრთხილეს, წინდახედულობას, ჩასავარდნად გამზადებულ ორმოს გვერდის ავლას. ამ მხრივ შეგონების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს დიდაქტიკური სტრიქონები ლექსიდან „სიმღერა ქართლ-კახეთის ჯვარობის სანაცელოდ თქმული“:

ყრმაე გონება უგუნური აგონიარეო
თავს ნუ გაბდი უღონოდა აღონიარეო
აქეთ-იქით მიიხედე ათვალიერეო
არს გზა ვიწრო ორმო ხნარცვი მოგანიარეო
გაუფრთხილდი არ ჩავარდე ამოდ იარეო.
... დავით რაც გპრქვა შვენიერად ამშვენიარეო.

დ. გურამიშვილი მრავალი დიდაქტიკური ხერხით ცდილობს. ეოსწავლეში განამტკიცოს ყურადღება, მიმბაძველობა, წვრთნის მოუწყინრობა, ნებისყოფა, აზრისა და მოქმედების ერთიანობა. ახალგაზრდობისაგან, საერთოდ ადამიანისაგან, დავითი მოითხოვს დახახული იდეალისათვის შეუპოვარ ბრძოლას.

პოეტის ღრმა რწმენით მხოლოდ გამბედაობას და მიზნის სიცხადეს შეუძლია სძლიოს ყველა ის დაბრკოლება, რასაც კი ცხოვრების ეკლიან გზაზე შეეყრებით.

გავიხსენოთ თუნდაც, რა წარმოუდგენელი სიძნელეების გადალახვა მოუხდა დავითს, ოდეს იგი დაღისტნის ტყეებიდან გამოიპარა!

***

ანიჭებს რა უპირველეს და, შეიძლება ითქვას, არსებით მნიშვნელობას გონებრივ განათლებას, დავითი ქებას არ იმეტებს ისეთი ახალგაზრდისადმი, რომლის ცოდნაც დამშვენებული არ იქნება სამგალითო ზნეობით.

ამ საკითხის დაყენება-გადაწყვეტაში დიდი დიდაქტიკოსი გაბედულად აყენებს პარმონიული პიროვნების აღზრდის პრობლემას, რითაც იგი ბევრად უსწრებს წინ თაობის ეპოქას, შეკუმშული ფორმით რომ გამოეთქვათ, დავით გურამიშვილს უბედნიერესად მიაჩნია ის, ვისაც სიცოცხლის მიზნად სიკეთის სამსახური გაუხდია და ხმალაძოწედილი ებრძვის ბოროტებას.

პოეტის აღიარებით, ნამდვილად უბედურნი და შესაბრალისნი არიან ის მშობლები, რომელთა მემკვიდრენიც ეზრდელნი და უსაქციელოსი არიან.

სჯობს ყოლა უწვრთის ძაღლისა
უწვრთელის შვილის ყოლასა.

მორალში, როგორც ზნეობრივ ნორმათა მთლიანობაში, დავითი მრავალ საგულისხმო ვალდებულებას ითვალისწინებს. ახალგაზრდობას მოეთხოვება: შრომისმოყვარეობა, მოკრძალება, თავაზიანობა, ზომიერება, უფროსების პატივისცემა, მშობლებისა და მასწავლებლების ღირსეული დაფასება. როგორც რელიგიური აღზრდის მსურვალე დამცველი, დავითი ახალგაზრდობას მოუწოდებს ზნეობრივი თაედაჭერილობისა და სათნოებისაკენ.

გარდა ლირიკული ლექსებისა, სადაც უხვადაა გაფანტული პოეტის შეხედულებანი აღზრდის საკითხებზე, განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ბუკოლიკური პოემა „ქაცვია მწყემსი".

დავითის იდეალია, რომ ქრისტიანული წესით შეუღლებულმა ცოლ-ქმარმა შექმნას ისეთი მყარი ოჯახი, რომელიც მყუდრო საკანე იქნება წესიერი, ერისათვის გამოსადეგი შვილების აღსაზრდელად.

პოემაში პოეტი წარმტაცი ფერებით გვიხატავს უბრალო ადამიანების ცხოვრებას, მშრომელ ხალხში ღრმად შემონახულ ზნეობას, რასაც ხშირად დაშორებულნი იყვნენ გაბატონებული წრეები.

დიდი მორალისტი ოჯახს, მის სიწმინდეს ერის სასიცოცხლო უჯრედად თვლის. როცა დაავადდება ეს უჯრედი, მთელ სხეულს დაშლა და ხრწნა მოიცავს.

***

დავით გურამიშვილი მოზარდის გონებრივი და ზნეობრივი ფორმირების საქმეში უაღრესად დიდ, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მასწავლებელს, მშობლებს, გამზრდელს, საერთოდ, უფროსებს.

მართალია, საგანმანათლებლო კერების მოშლის გამო დავითს არც აღმზრდელი მასწავლებლის ალერსი უგემნია და არც შინდის წკეპლით ასწვია ბეჭები, მაგრამ უფროსების რჩევა-დარიგება კი მრავალგზის ჰქონია დაცდილი. ბაეშვისადმი მეთვალყურეობა, მისი ბედით დაინტერესება დავითს ფრიად საჭირო და კანონიერ პედაგოგიურ პროცესად მიაჩნია.

დავით გურამიშვილმა, როგორც დაკვირვებულმა ფსიქოლოგმა, კარგად იცის, რომ საერთოდ ბავშვის გული და გონება დაფანტულია, რომ მისი შინაგანი მოთხოვნილებაა, მთელი ენერგია უანგარიშოდ დახარჯოს, სწავლას, როგორც „სატანჯველს", თავი აარიდოს. ამიტომ პოეტი-დიდაქტიკოსი მოითხოვს უფროსების ჩარევას, მათი მხრივ მტკიცე კონტროლის დაწესებას. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დავითი ოსტატს, ანუ მასწავლებელს.

აღორძინების ხანის პოეტებიდან ჯერ კიდევ არჩილმა, რომელიც თვით იყო პრაქტიკოსი პედაგოგი, ფრიად საყურადღებო, პედაგოგიურად გამართლებული აზრი გამოთქვა:

სიბრძნე ის უფრო მტკიცეა
ვის ოსტატი ჰყავს – ძასწაველის.

დაეითიც საგანგებოთ აღნიშნავებს იმ შეხედულებას, რომ მოსწაველის აღზრდა-განათლება ოსტატის, მწერთნაცლის ხელმძღვანელობით უნდა მიმდინარეობდეს.

ნიშანდობლივია, რომ, შოთა რუსთაველის მსგავსად, გურამიშვილიც მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს უმეტესად საბრძნოთ განსწავლულ ადამიანს მიანდობს.

რამდენადაც ურთიერთობა აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის მშობლიური უნდა იყოს და ერთი სანუკვარი მიზნით მიემართებოდეს, პოეტის იდეალია, რომ აღმზრდელი უწინარეს ყოელისა. სწაულობრივი სრულყოფილებით ბრწყინაედეს. აქედან დასკვნა: დაეით გურამიშვილის სწავლა-აღზრდის სისტემაში მასწაველებლის შერჩევას გადამწყვეტი როლი ენიჭება.

თუ რამდენად კეთილისმყოფელია კარგი მასწაველებლის მზრუნველი ხელი მოსწაველზე, დაეითი ასეთ პოეტურ შედარებას მიმართავს:

ვით ახალ მორჩი ვაზისა
ხელს მიყვეს საფურჩნელადა
ეგრეთ ახალი მოზარდი
ყრმა-ოსტატს გასაწვრთნელადა.

ფრიად საყურადღებოა, რომ დიდაქტიკოსი პოეტი ერთგვარ ღონისძიებასაც კი ქადაგებს, რათა მოსწაველეს არ გაუძნელდეს შესასწაელი მასალის ათვისება და გადახარშვა. საგულისხმოა დაეითის რჩევა:

რაც არა ჰხამდეს ჩიორას
ნუ უყრი ასაკენკადა.

დაეითი მკეთრად ასხვაეებს „ბევრთა და ცოტას მწველელთ", კარგ და ცუდ აღმზრდელს. პოეტი გვაფრთხილებს, რომ ერთნაირი საზომით არ მივუდგეთ კარგსა და აეის მთესველს, ვაზისა და ეკლიანი ჯაგის დამრგეელ-გამხარებელს:

ვაზის მრგველთან ის არ ვაქო
ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო.

მიაჩნია რა მასწაულებლის ხეედრი დიდ და საპატიო საქმედ, დ. გურამიშვილი ამაეე დროს არ ივიწყებს, რომ მოსარდის მოჭარბებული ძალების შეკაეება, მისი სასარგებლო გზით წარმართვა, ერთი პიროვნების ძალ-ღონეს აღემატება.

დაეითი საგულდაგულოდ ჩერდება საქართველოში უძეელესი დროიდან გაბატონებულ საოჯახო აღზრდაზე, კერძოდ, მშობლებისა და გამზრდელის, ეგრეთ წოდებული „ლალას" მოეალეობაზე.

მომაეალი თაობის ბედით დაინტერესებული პოეტი საგანგებოდ აფრთხილებს მათ,

რომ მოზარდის სწავლა-აღზრდის საქმეს თავიდანვე მთელი სერიოზულობით მოეკიდონ, გაითვალისწინონ მისი ინდივიდუალური თავისებურებანი და აუცილებლობის შემთხვევაში ფიზიკურ დასჯასაც კი (გაწკეპვლას) მიმართონ.

აღმზრდელისა და მშობლების მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ბოლოს მათ ასცილდეთ მოსალოდნელი საყვედური უსწავლელობით გზააბნეული და უნაყოფო შრომით ილანგაწყვეტილი ადამიანისაგან.

დავითი შენატრის მათ ბედს, ვინც კარგი, დახელოვნებული ოსტატის ხელში ჩავარდა, ვინც მისგან გონებრივად, ზნეობრივად და ფიზიკურად სრულყოფილ წვრთნას მიიღებს.

დავითის მოხდენილი შედარებით, როგორც მელვინისაგან გულმოდგინედ გარეცხილი ჭურჭელი არ უცვლის ფერსა და გემოს საუკეთესო ხარისხის ღვინოს, ასევე გამზრდელთაგან ზნეობრივად განსპეტაკებული ახალგაზრდა სიკვდილამდე არ შებღალავს შეძენილ სულიერ საუნჯეს. საზოგადოებაში გაელენიან პიროვნებას, ვინც უნდა იყოს იგი, მარადის უნდა ახსოვდეს, რომ მისი ყოველი ნაბიჯი სათვალთვალო, სამაგალითო და ყველასათვის მისაბაძია.

ეს მაღალი ღირსება განსაკუთრებით უნდა ამშვენებდეს სწავლა-სიბრძნით აღჭურვილთ, ვინაიდან

ბრძენის ურიგოდ ქცევათა
ბაძით წაბდების ერია.

დავითი კიდევ უფრო შორს მიდის: ადამიანი რაც უფრო ბრძენია, მით უფრო შეუწყნარებელია მისგან დაშვებული უმნიშვნელო შეცდომაც კი. ამიტომ დავითის რჩევაა: ყმაწვილმა ურიგო ქცევის ადამიანს, თუნდაც ბრძენი იყოს იგი, ზურგი აქციოს, მისი არ ისმინოს.

დიდაქტიკოსი პოეტი მთელი შეურიგებლობით მოითხოვს მათ განკითხვა-მხილებას, ვინც თავისი ქცევით ცუდ მაგალითს აძლევს წესიერ ადამიანებს:

ბაძით მორც ხვიც გაურც ხვდების
უსირც ხვილოს თუ არ არც ხვენ.

სამაგიეროდ პოეტს სწავლის მაძიებელთაგან ფრიად საქებრად მიაჩნია ყოველივე კარგის მიბაძვა, პირად ცხოვრებაში მისი გადმოღება. ამაზე უთქვამს დავითს:

კარგ საქმე ზედა მიბაძვა
არა რა დასაძრახია
სმენა თქმა სწავლის ძიება
მაძებართაგან ახია.

მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში, მასწავლებელზე, საერთოდ აღმზრდელზე მეტს თუ არა, ნაკლებ მნიშვნელობას როდი ანიჭებს დაითი მშობლებს, მათ როლსა და ავტორიტეტს. მათი სახით შვილებს წინ უდგას სარკე, რომელშიც მთელი სისრულით მოჩანს როგორც კარგი, ისე ცუდი მხარე. პოეტმა კარგად იცის, რომ მაგალითის და მიმბაძველობის ზეგავლენით

ყოველი წული მშობელთა
მსგავსი მსგავსს ემსგავსებიან.

შესანიშნავი პოეტური ოსტატობით დაწერილ პოემა „ქაცვია მწყემსში" დ. გურამიშვილი მრავალი მაგალითით აფრთხილებს მშობლებს. შეუნელებელი ყურადღებით ადევნონ თვალი თავისი შვილების ცხოვრების გზას, სამარცხვინო და გასაკიცხი არ გახდნენ ისეთე, როგორც ეს დაემართათ ქაცვიას მშობლებს.

დაითი არაერთგზის აფრთხილებს მშობლებს, რომ ყოველი მათი ნაბიჯი აღმზრდელობით სფეროში უნდა ტრიალებდეს. მშობლებმა და მასწავლებლებმა რომ სასურველ შედეგს მიაღწიონ და საზოგადოების ხასარგებლო წევრი აღზარდონ, დაითი ურჩევს მათ. ბავშვის მიმართ ქმედითად გამოიყენონ ზნეობრივი ზემოქმედების ისეთი საშუალებები და მეთოდები, როგორიცაა დარწმუნება, შთაგონება, იძულება და სხვა.

მართალია, დ. გურამიშვილის ზრუნვის დიდი საგანი ახალგაზრდობაა, მაგრამ შეცდომა იქნებოდა, თუ „დაითიანს" მარტოოდენ ყრმათათვის განკუთვნილ წიგნად მივიჩნევდით. დიდი პოეტი და მორალისტი უფრო ფართო მიზანს ისახავს.

შ. რუსთაველის უკვდავი პოემის მსგავსად დ. გურამიშვილის შემოქმედება ადამიანის ზოგადი აღზრდის პრობლემასაც დასტრიალებს. მისი, როგორც პატრიოტისა და ზნეობრივი ქურუმის, მიზანია ამამაღლებელი გავლენა იქონიოს მთელ ერზე, დიდსა და პატარაზე.

აღორძინების ხანის სხვა დიდაქტიკოსების მსგავსად დაითი არაა აბსოლუტიზმის ვიწრო რკალში ჩაკეტილი. როგორც ნამდვილი განმანათლებელი, იგი ყველა წოდების ჭირისუფალია, მთელი ერის ხსნა სწყურია.

მართალია, დაითი, როგორც ეპოქის მემატიანე, არ ფარავს ჩვენი „წახდენის" ფაქტს, მაგრამ ამავე დროს იქვე მიუთითებს იმ სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებზე, რამაც ჩვენი მეობა შეარყია, ქართველი ხალხის კულტურასა და მორალზე უარყოფითი გავლენა იქონია.

დაითმა იცის, რომ ადამიანს მთელი სიცოცხლის მანძილზე ესაჭიროება თვალყურის დევნება და რომ რადიკალურ ჩარევას ხშირად ზნეობრივად გაბზარული პიროვნების შემობრუნება შეუძლია.

პატრიოტული აღზრდის თვალსაზრისს პოეტი იმ დასკვნამდე მიჰყავს, რომ ქართველი ადამიანი პრაქტიკული მოქმედებისათვის უნდა ემზადოს, მებრძოლი სულისკვეთებით უნდა გაიმსჭვალოს. წინააღმდეგ ქრისტიანული შეგონებისა — სამაგიერო არ მივუზღოთ მტერსო, — დაითი მახვილსა ლესავს ორგულთა და ბოროტთა შესა-

მუსრავად. ერთ თავის დაჩრდილებლობითი სახიათის ლექსში მტერთან შერკინებული პოეტი სასოებით ემუდარება მხსნელ ძალას:

თავის მჭრელი ლახვარი
ლეშის გაიმახსა
ჩემს მტერს გულზედ აძგეროს
არა წყნარად ახოსა.

ასევე ნიშანდობლიეია, რომ დავით გურამიშვილის შემოქმედების დიდი ნაწილი პესიმისტური განცდებითაა დათალხული. უდავოა, ეს მოჭარბებული გოდება პირადი და საზოგადოებრივი უბედურებით იყო განპირობებული. ერთგან დავითი პირდაპირ აცხადებს:

თავის და თავის ქვეყნისას
უბედობასა ჩიოდა.

მიუხედავად ამისა, პოეტი მთელი ძალით უმღერის „ტკბილ სიცოცხლის“ სიდიადეს, მზის ცხოველმყოფელობას, ყინულის ასვეტას და გამთბარი მიწის საგაზაფხულო ფერებით მორთვას.

დავუბრუნდეთ საკითხს, თუ როგორი თვალით უტრიალებს პოეტი ადამიანის მორალური განახლების პრობლემას.

დავითი თუმცა ემდურის თვალის სიბრმავეს, მაგრამ სიამაყით აცხადებს, რომ იგი გონების თვალით სხვებზე უფრო შორს იხედება:

თუმცა ბრმა ვარ კიდევ ვხედავ
ქვეყნად ჩემგან უფრო ბრმათა.

დიდი მორალისტი და დიდაქტიკოსი ორიენ ხელით ძირკვავს იმ ეკალს, რომელიც ამოსვლას უშლის კეთილი ნაყოფის მომსხმელ ხეს. ავისშემქნელი კაცის მხილება, მისი ნამოქმედარის საქვეყნოდ გამოტანა, დავითს მიზანშეწონილად მიაჩნია. ეს საჭიროა თუნდაც აღმზრდელობითი თვალსაზრისით. პოეტი წერს:

ამად სძრახვენ ვინც ავს ჩადის
კულავ ალარ ჩაიდინოს
სხვა გაფრთხილდეს მისებრ ცრემლი
თვალთა არვინ ჩაიდინოს.

ზოგიერთი ადამიანი მოკლებულია უნარს, შეიცნოს საკუთარი თავი, გაითვალისწინოს და განაზოგადოს ცხოვრების მწარე გაკვეთილები. ასეთი ადამიანი იმდენად დაბრმაებული და ყნოსვადაკარგულია, რომ, პოეტის სიტყვით, მას ხშირად „საკმლად მიუ-

ჩანს თავის სიმყრალის სუნება".

ადამიანი რომ საზოგადოების მკაცრ სამსჯაროს ასცდეს, თავიდანვე უნდა გაუფრთხილდეს თავს, საკიცხაი საქმე არ უნდა ჩაიდინოს. ასეთების მიმართ უთქვამს პოეტს:

ვინც რომ ძრახვას თაკილობდეს
ნურასა იქს საძრახავსა.

დავითის ფილოსოფიური განსჯით ყველაზე დიდი გამარჯვება საკუთარ თავზე გამარჯვებაა.

თუ ადამიანი ფრთხილი გონების თვალით არ განსჭვრეტს ცხოვრების საეალ გზას, მას საწუთროსაგან „არ ასცილდების დაცემა". მისი დაკვირვებით ყოველ ადამიანს თვით უპყრია ხელში ისეთი ქმედითი იარაღი, რომლითაც სამდვილად შეიძლება საკუთარი ბედის გამოჭედვა.

აი როგორ გაფრთხილებას იძლევა იგი:

შენ თვალები ღმერთმან მისთვის
მოგცა ხედო სახედარი
სულ გამოსცნა ავი-კარგი
რაც ნანახი სახედ არი.

ასეთე ვერ იქნება სულიერად მოსვენებული და ზნეობრივად მოწესრიგებული ის, ვის არსებასაც უზომო ნდომის სურვილი დაეუფლება. იმოწმება რა ბრძენი ეპიკურის შეხედულებას, დავითი დაასკვნის:

თუ კაცი ნდომას მიჰყვების
მიდღემჩი არ გამდიდრდება.

ყოველგვარი უბედურების დედად დიდ პოეტს სიზარმაცე, უმოქმედობა მიაჩნია. ფრიად საყურადღებოა, რომ სხვა დიდაქტიკოსებთან ერთად დავითიც დიდსა თუ პატარაში იშვიათი გულმოდგინებით ნერგავს შრომის სიყვარულს. მხოლოდ ის ლუკმაა ტკბილი და შემრგე, რასაც ადამიანის „ცხელი ოფლი ეფრქვევა".

პოეტი წინააღმდეგია სხვისი ნაოფლარის მითვისებისა და ყველასათვის სავალდებულოდ მიაჩნია:

რაც თვით ეხნას-ეთესოს
ანუ დაეფარცხოსა .
ის მოიმკას გალეწოს
დაიფქოს და აცხოსა.

დ. გურამიშვილს ადამიანის უდიდეს მასწავლებლად გამოცდილება მიაჩნია. თვითონ ჭირგამოვლილი პოეტი რჩევა-დარიგებით მიმართავს სხვებსაც:

ერთხელ რომ გემოდ გენახოს
მეორედ რად ჯამ მწარესა?

რათა მომავალ თაობაზე აღმზრდელობითი ზეგავლენა მოახდინოს, დაეითი მთელი გულახდილობით ცდილობს, საშკარაოზე გამოიტანოს წინაპართა ნამოქმედარი, დაგმოს ცუდი და მისაბაძად დასახოს კარგი.

მართალია, დიდაქტიკოს-მორალისტი ყველას მოძღვრაეს, მაგრამ პასუხისმგებლობასაც იხსნის მათ მიმართ, ვინც მის სწავლა-დარიგებას ვერ მოიხმარს, ცხოვრებაში პრაქტიკული მიზნებისათვის ვერ გამოიყენებს. საუცხოოდ ამბობს დაეითი:

მე ეს ხიდი სავლელად დიალ სწორედ გავდეო
შენ თუ მრუდათ გაივლი მე რა წყალში ვევარდეო.

დ. გურამიშვილის პოეზიას სიბერე და სიკვდილი არ უწერია. როგორც სორციელი არსება, იგი სიკვდილის წინაშე ცახცახებდა, მაგრამ ისიც კარგად იცოდა, რომ უკვდავი „დაეითიანით“ უკვდავებას ეზიარებოდა. და მართლაც, მის მიერ გადებული ხიდი ჯერ არავის ჩატეხია, რაც დრო გადის, უფრო მეტი სიმტკიცე ემატება.

ქართველ ხალხთან ერთად პროგრესისა და საკაცობრიო კულტურის პატივისმცემელ ერებს ყოველთვის ექნებათ შესაძლებლობა, დატკბნენ იმ სულიერი საუნჯით, რომელიც დ. გურამიშვილის შემოქმედებაში ობოლ მარგალიტად ციმციმებს.

წერილს ვამთავრებთ დაეითის იმ სტრიქონებით, რომლის გამეორებაც ხშირად უყვარდა ილია ჭავჭავაძეს —

მოკვდა და თავის ანდერძით
აწ ისევ საქმობს მკვდარიო.



ამ რამდენიმე ხნის წინათ ერთმა ახალბედა პედაგოგმა თაეაზიანად შემოგვწერა და უბრალო შეკითხვით, რომ იტყვიან, საგონებელში ჩამაგდო.

როგორც მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს, მას თურმე აინტერესებდა, რა მოსაზრებით უნდა შეერჩია ი. ჭავჭავაძეს თავისი ერთ-ერთი პატრიოტული მოთხრობის სათაურად „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი". და არა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი". ე. ი. რატომ მხოლოდ ამ მოთხრობაში იხმარა მან განსხვავებული ფორმით „ნიკოლოზ" და არა „ნიკოლოზ". ახალგაზრდა კოლეგის შეკითხვას მართლაც რეალური საფუძველი ჰქონდა და. რაკი იმ წუთში ხელჩასაჭიდებელი არაფერი გამაჩნდა, პასუხისათვის დიდროება ვამუხთანე.

როცა ჩვენი საერო თუ სასულიერო კულტურის წინაშე „ნიკოლოზის" სახელით ეალმოსდილ მოღვაწეთა ბიოგრაფიულ ქრონიკებს გაეცანი, დადგინდა, თითქმის ყველა მათგანის საკუთარ სახელად მოხსენებულია „ნიკოლოზ" და არა „ნიკოლოზ". ასე, მაგალითად, აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილისა და კ. კეკელიძის შრომებში ჩამოთვლილნი არიან: ნიკოლოზ რუსთველი, ნიკოლოზ ტფილელი, ნიკოლოზ კათალიკოსი, ნიკოლოზ ხერხეულიძე, ნიკოლოზ ბაგრატიონი, ნიკოლოზ გულაბერიძე და სხვანი.

უყურადღებოდ არ დაგვიტოვებია არც ქრისტიანული ეკლესიის მიერ დაკანონებული სახელები. ცნობილი სასულიერო მოღვაწის სიმონ მჭედლიძის მიერ შედგენილ ნაშრომში — „წმინდანების სახელები" (1913 წ., გვ. 17) ჩვენთვის საინტერესო სახელი ასე მოიხსენიება: „ნ ი კ ო ლ ო ზ".

ეს სახელი ანალოგიური ფორმით გეხვდება თვით „ქართლის ცხოვრებაში". როგორც ხედავთ, ყველგან „ნიკოლოზი" და არსად „ნიკოლოოზი", რაც, ერთგვარი გამონაკლისის სახით, მხოლოდ დიდი ილიას საყვარელ გმირს ჰქვია.

ამ სახელის თავისებურ სახეცვლილებას სახელწოდებით „ნიკოლაოზ" მხოლოდ ერთგან იმოწმებს „ქართლის ცხოვრება" (თეიმურაზ I-ის შვილიშვილს, რომელიც სვეგამწვარებულ პაპას დიპლომატიური მისიით რუსეთში წარუგზავნია, „ნიკოლაოზი" რქმევია).

სახელს „ნიკოლაოზ" ეხვდებით აგრეთვე იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში", როცა ავტორი ჩამოთვლის ერის განსწავლულ კაცებს, კერძოდ, ქართული ორატორული სიტყვის ოსტატებს, მრავალთაგან მოიხსენიებს: ნიკოლაოზ გაბაშვილს, ნიკოლაოზ ჩოლოყაის ძეს, ნიკოლაოზ ბიჭიაშვილს და სხვ. (კალმასობა, ტ. II, 1948 წ., გვ. 162-214).

ასე რომ, დასაბუთებული პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვაზე ჯერ კიდევ არ ჩანდა და აი, მოულოდნელად გამახსენდა, რომ ჩვენი პოეტური გენია ნ. ბარათაშვილი, გარდა ორი გამონაკლისისა („ნიკოლაი" და „ნიკოლაოზ", აღარაფერს ვამბობთ საალერსო სახელებზე ტატო-ნიკო), ყველგან და ყოველთვის წერს „ნოკოლოოზ".

პოეტის მცირე ეპისტოლური მემკვიდრეობიდან გავიხსენოთ მაიკო ორბელიანისადმი 1842 წლის 31 ოქტომბრის თარიღით მიწერილი წერილიდან: „შენი მარად ერთგული ძმა, ნიკოლოოზ ბარათაშვილი", ანდა იმავე მაიკოსადმი 1845 წლის 10 აგვის-

ტოს გაგზავნილი წერილიდან: „შენი შარადის ერთგული თუნდ ტატო და თუნდ ნ ი კ ო ლ ო ზ“ (ხაზი ჩვენია — ს. ს) (ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968 წ. გვ. 180-196).

აღსანიშნავია, რომ ამ ოფიციალური, პოეტისაგან შეუყვარებული და აბოიკოტებული სახელით ვრცელდებოდა გენიალურ ლექსთა აეტოგრაფებიც. მაგალითად, 1843 წელს პოეტის ხელით გადაწერილი ყველაზე უნიკალური აეტოგრაფის სატიტულე ყდაზე ეკითხულობთ: „ლექსნი, თქმულნი თავადის ნიკოლოზ ბარათაშვილისაგან“ (კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის S—2516 ხელნაწერი).

ცხადია, როგორც პირად წერილებში, ასევე სხვა აეტოგრაფებშიც ნ. ინიციალის ქვეშ ყველგან უნდა ეიგულისხმოთ სასელი „ნ ი კ ო ლ ო ზ“ და არა „ნ ი კ ო ლ ო ზ“.

სასელი „ნიკოლოზ“ პოეტისეული აეტოგრაფებიდან უცვლელად გადაჰყვა ბეჭდვით გამოცემებსაც და კარგა ხანს (900-იან წლებამდე) ამ სახით ვრცელდებოდა.

მაგალითად ნ. ბარათაშვილის პირველი ბეჭდვითი გამოცემის (1876 წ., რედაქტორი პ. უმიკაშვილი) წინასიტყვაობაში ეკითხულობთ: „ლექსთაკრება ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათაშვილისა გადმოვბეჭდეთ ჩვენ თვით პოეტის საკუთარის ხელნაწერთაგან, რომელნიც ეკუთვნოდნენ თ. გრიგოლ დიმიტრის ძეს ორბელიანსა“, ხოლო მომდევნო, 1895 წლის (თანარედაქტორები: ე. თაყაიშვილი და დ. კარიჭაშვილი) გამოცემის შიდა, თავფურცელს გამოკეთილად აწერია: „ლექსები ნიკოლოზ ბარათაშვილისა“.

საინტერესოა, რომ ჩვენი ინტელიგენციის წრეებში პოეტის სახელი სხვადასხვანაირად (ზოგჯერ „ნიკოლოზ“ და ზოგჯერ „ნიკოლოზ“) წარმოითქმებოდა და იწერებოდა.

ბარათაშვილის სახელს — „ნიკოლოზ“ მოკრძალებით წარმოთქვამდა და ყველგან უცვლელად იმეორებდა მისი სკოლის მეგობარი კონსტანტინე მამაცაშვილი. გაიხსენეთ მისი ბიოგრაფიული ნარკვევი პოეტზე, სადაც ეკითხულობთ: „მამა ნიკოლოზ ბარათაშვილისა მელიტონ ცხოვრობდა სიყმაწვილიდან თბილისში“ („დროება“, 1881 წ., 4/X), ანდა იმავე წლის „დროებაში“ (№ 232) ამავე ავტორის მცირე ნარკვევი სათაურით: „ნამდვილი ცნობა ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებისა“.

თუ არ ვცდებით, პირველად გ. ერისთავმა დაარღვია ეს ტრადიცია და პოეტის სახელი შეკუმშული ფორმით („ნიკოლოზ“) წარმოგვიდგინა. მხედველობაში გვაქვს მისი ლექსი სათაურით: „ნიკოლოზ მელიტონის ძის ბარათოეის გარდაცვალებაზედ“ („ცისკარი“, 1852 წ., IV, გვ. 13).

1858 წლის „ცისკარში“ (№ 2) გამოქვეყნებულ ლექსებში პოეტის სახელი ყველგან ინიციალით („ნ. ბარათოვი“) მოიხსენიება. ასევე ინიციალით იხსენიებენ პოეტის სახელს კირ. ლორთქიფანიძე („ჩონგური“) და დ. ჩუბინაშვილი.

კიდევ უფრო საკვირველია, რომ თვითონ პოეტის გაუბედურებული მამა მელიტონ ბარათაშვილი 1845 წლის 16 ოქტომბრით დათარიღებულ ერთ თაიის წერილში (თუკი დედნის სიზუსტე დაცულია!) შვილს იხსენიებს არა „ნიკოლოზის“, არამედ „ნიკოლოზის“ სახელით. აი მისი გულსაკლავი სათხოვარი ანჩისხატის დეკანოზის დიმიტრი ალექსი-მესხიშვილისადმი:

„მაღალ ღირსო მამაეო დეკანოზ დიმიტრი! უმდაბლესად გთხოეთ ახლად გარდაცვალებულისა ჩემის შვილის ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს (ხაზი ჩვენია. — ს. ს.) პანაშვიდი შვიდი წირვა გთხოეთ გარდუხადოთ. შესრულების შემდგომად ამის საწირაოს მოგართმეეთ.

რომელზედაც ხელს ეაწერ — მელიტონ ბარათოვი" (ნ. ბარათაშვილის თხზულებანი, 1922 წლის გამოცემა, გვ. 243).

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორიოდე გამონაკლისს, ქართველი მწერლებიდან ი. ჭავჭავაძე ერთადერთი იყო, რომელიც სიკვდილამდე სხვაგვარად ადიდებდა, რომ იტყვიან, გულში იკრავდა პოეტისეულ სახელს — „ნ ი კ ო ლ ო ო ზ".

როცა ნ. ბარათაშვილის გენიით აღტაცებულმა ილიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში პოეტის ხსოვნას რამდენიმე ლექსი მიუძღვნა, ყველგან იხსენიებს სახელი „ნიკოლოოზ" და არა „ნიკოლოზ" (იხ. „ნიკოლოოზ ბარათაშვილზედ", ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. I, 1951 წ., გვ. 58.).

1892 წელს „ივერიაში" (№ 77), ილიას გამოუქვეყნებია საკმაოდ ვრცელი წერილი, რომელშიც მისთვის ჩვეული სიღრმით მიმოიხილავს მებრძოლი რომანტიზმის უდიდესი წარმომადგენლის შემოქმედებას; წერილი ასეა დასათაურებული: „ნიკოლოოზ ბარათაშვილი".

ასევე, როდესაც პოეტის ძვირფასი ნეშტი განჯიდან თბილისში გადმოასვენეს, ი. ჭავჭავაძემ თავის უბრწყინვალეს სიტყვაში სახელი „ნიკოლოოზ" მოიმარჯვა" (ი. ჭავჭავაძე, სიტყვა თქმული ნიკოლოოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსვენებაზე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, 1953 წ., გვ. 250).

საგულისხმოა, რომ სახელით — „ნ ი კ ო ლ ო ო ზ" ილია მხოლოდ და მხოლოდ ბარათაშვილს იხსენიებდა, სხვათა მიმართ კი წერდა და წარმოთქვამდა საყოველთაოდ მიღებული ფორმით: „ნ ი კ ო ლ ო ზ". მაგალითად, ერთ თავის წერილს ნ. ნიკოლაძისადმი იგი ასე იწყებს: „პატივცემულო ნიკოლოზ იაკობის!").

პოეტის სახელს არც ილიას სიტყვიერ ტექსტში განუცდია რაიმე სახეცვლილება, აი, ისიც:

„ – ღმერთმა გამოგვიგზავნა ჩვენდა ნუგეშად და თავმოსაწონებლად ნიკოლოოზ ბარათაშვილი" (იქვე).

ან კიდევ: „ნიკოლოოზ ბარათაშვილი უკვდავია და უკვდავისათვის არც რაიმე ქვეყნიერებაზე გვიანია, არც რაიმე ადრე" (იქვე, გვ. 251).

ნიშანდობლივია ისიც, რომ, ეიდრე ნ. ბარათაშვილის ნეშტს გადმოასვენებდნენ, პოეტის ნათესავთა და პატივისმცემელთა საყურადღებოდ ილიას „ივერია" იუწყებოდა: „კვირას, 25 აპრილს, გადმოსვენებულ იქნება განჯიდან ტფილისს ნეშტი პოეტის ნიკოლოოზ ბარათაშვილის" („ივერია", 1893 წ., № 79).

როგორც უკვე ითქვა, ბევრი ჩვენი მოღვაწე პოეტის სახელს ან მოფერებითი ფორმით (ტატო-ნიკო), ანდა შეკუმშულად („ნიკოლოზ") წერდა და წარმოთქვამდა.

იმავე 1893 წლის „იერიაში" გამოქვეყნებულ ლექსებსა თუ წერილებში ვაჟა, ი. მეუნარგია, ს. ხუნდაძე, განდეგილი (დ. ერისთავისა) და სხვები მიმართავენ არა პოეტისეულ, არამედ შემდეგში თანდათან დაკანონებულ სახელს „ნიკოლოზ".

კიდევ უფრო ადრე, 1881 წელს, პ. უმიკაშვილი პოეტის სახელად იხსენიებს: „ნიკოლოზ" და არა „ნიკოლოოზ" (მისი წერილი: „ერთი შენიშვნა ნიკოლოზ ბარათაშვილზე", „დროება", 1881 წ., №208);

ამავე ფორმითა და გამოთქმით მოიხსენიებს დიდი ლირიკოსის სახელს ა. წერეთე-

ლიც. როცა წერს: „ნაყოფიერი იყოს ეს ხორბალი, როგორც დღეიდღე, ამიერიდანაც. რომელთანაც ერთად დაუვიწყარი იქნება სახსენებელი ნიკოლოზ ბარ ..აშვილისა“, (თხზულებათა სრული კრებული, ტ. XIII. 1961 წ., გვ. 62).

მთელი ეს პარალელები და მიხვეულ-მოხვეული გზით სიარული იმისთვის დაგვჭირდა, რომ საბოლოოდ გვეთქვა: ილია ჭავჭავაძეს აშკარად ბარათაშვილისა და მისი სახელის („ნიკოლოზის“) დიდმა სიყვარულმა უბიძგა, თაეისი მოთხრობის გმირი გოსტა შაბიშვილი ამ სათაყვანო სახელით მოეხსენებინა. მაგრამ ეიცი, მარტო ეს საკმარისი არ იქნება ჩვენი მოსაზრების გასამაგრებლად, ნათქვამის დასამტკიცებლად!

საბედნიეროდ, აქ მეორე, ბევრად უფრო სარწმუნო და ანგარიშგასაწევი მონაცემი წამოგვეშველა, რომელმაც მნიშვნელოვნად შეავსო ჩვენი ეარაუდი ამ ორი სახელის იდენტურობაზე.

თურმე ნუ იტყვით, გენიალური პოეტი და ილიას გმირი გოსტა შაბიშვილი წარმოშობით უახლოესი ნათესაეები, ერთი ძირმოდგმისა და გვარტომობის ადამიანები ყოფილან.

ამოეადგმევინოთ ენა არცთუ შორეული წარსულის მაუწყებელ ისტორიულ წყაროებს:

ჩვენთვის საინტერესო საკითხის თაობაზე თაეის კაპიტალურ ნაშრომში „ქეემო ქართლი“ (ნაწილი III. IV. 1938 წ., გვ. 320—331) მკვლევარი იას. ლორთქიფანიძე წერს: „გარდა იმ პირებისა, რომლებიც საბუთებში მუდამ იწოდებიან მხოლოდ ბარათაშვილებად, ამ გვარიდან წარმოშობილან აბაშიშვილები, გერმანოზიშვილები, გოსტა შაბიშვილები (ხაზი ჩვენია — ს. ს.), ყაფლანიშვილები“.

ირკვევა, რომ ბარათაანთ ბრწყინვალე საგვარეულო, ჯერ კიდევ მე-16-18 საუკუნეებში, როცა იგი ქეემოქართლში პირველობდა (ე. წ. „საბარათიანო“) და „მოწინაეე სადროშოში“ შედიოდა, რამდენიმე სათავადოდ დაშლილა, რომელთაგან ერთ-ერთ მძლავრ განშტოებას გოსტაშაბიშვილები წარმოადგენდნენ.

გოსტაშაბიშვილთა გვარის შტოს სათავე დასდებია გოსტაშაბ ბარათაშვილისაგან, რომელიც ქაეთარ ბარათაშვილის ძე ყოფილა.

ისტორიულ საბუთებზე დაყრდნობით, დოც. გ. ჯამბურია შენიშნავს: „ამ გოსტაშაბის შთამომავლები ყველანი გოსტაშაბიშვილებად იწოდებიან, თუმც შემდეგაც, ხანდახან ბარათაშვილობითაც (ხაზი ჩვენია — ს. ს.) იხსენებიან“ (იხ. ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1955 წ., გვ. 42).

სხვათა შორის, ამ საგვარეულოდან იყო გამოსული ქართველ მეფეთა ერთგული, ჭკვიანი და გაელენიანი კაცი პაპუნა გოსტაშაბიშვილი, რომელსაც თაეიანთ რეზიდენციაში, სოფ. ამლიეში (ალგეთის მარცხენა მხარეს) 1683 წელს მშვენიერი მონასტერი აუშენებია, შემდეგი ეპიგრაფიკული წარწერით:

„ბარათაშვილმან გოსტაშაბისძემან პაპუნამ, თანამეცხედრემან ხვარამზემ, შვილმან გოსტაშაბ, ძეთა და ასულთა ჩემთა, რომელმან აღვაშენე საყდარი ესე და სამრეკლო საძვალედ ჩვენდა ამინ!“

დროთა ვითარებაში ოსმალ-ყიზილბაშთა მუდმივმა თაედასხმებმა თუ ლეკების გამანადგურებელმა თარეშმა XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან საგოშტაბიშვილოც დაასუსტა და გააეერანა.

ყოველივე ის, რაც ამ საგვარეულოს ოდესღაც ძლიერად წარმოგეჩინდა, ხოლო შემდეგში ისტორიის გარდუვალი ნებით გარდახდა, შეუძლებელია საქართველოს წარსულში ღრმად ჩახედულ ი. ჭავჭავაძეს არ სცოდნოდა: წარმოუდგენელია, ილიას ხელთ არ ჩაეარდნოდა ამ საგვარეულოს თაეკაცებისადმი ბოძებული ვახტანგ V-ისა და გიორგი XI-ის წყალობის სიგელები ანდა 1523 წელს შედგენილი „ბარათაანთ გაყრის წიგნი" —ეს ერთ-ერთი შესანიშნავი დოკუმენტი ამ ბრწყინვალე და ძლიერი საგვარეულოს დაყოფის, კერძოდ, გოსტაშაბიშვილების წარმომავლობის შესახებ. მით უფრო, რომ 80-იან წლებში ილიას მესხიერებაში აღუდგენია და მოთხრობის თემად უქცევია ბავშვობაში გაგონილი ამბავი გოსტაშაბიშვილის საცხირო თავგადასავალზე.

ახლა პასუხი გავცეთ კითხვაზე, თუ საიდან აიღო, რა მასალა გააჩნდა მწერალს, როცა ამ პატრიოტულ მოთხრობას წერდა, იქნება ზოგიერთს ეგონოს, რომ ეს ამბავი ჩვენი ტრაგიკული წარსულის მაუწყებელი ისტორიული წყაროებიდანაა ამოღებული! დიახ, ეს ასეა, მაგრამ არა წერილობითი წყაროების, არამედ ზეპირგადმოცემის გზით, როგორც ბევრი რამ სხვა ილიას შემოქმედებაში.

ვისაც ილიას ავტობიოგრაფია წაუკითხავს, კერძოდ, ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია ბავშვობის წლებზე, მის ყურადღებას უთუოდ მიიქცევდა მწერლის ნაამბობი პირველ მასწავლებელზე — სოფლის მთავარზე, რომელიც საგმირო ამბების წარმტაცი თხრობით თავის პატარა აღსაზრდელებს სამშობლოს სიყვარულით ნორჩ გულებს უწრთობდა და უხურებდა.

აი ისიც: „— მომხიბველელი თქმა იცოდა ამბებისა, გვიამბობდა მდაბიურად და ბავშვისათვის ადვილად გასაგების ენით უფრო საღმრთო და სამშობლო ქვეყნის ისტორიის ამბებსა, ვის რა გმირობა მოემოქმედა, ვის რა ფალავნობა გაეწია, ვის რა ღვაწლი და სიკეთე დაეთესა სამშობლოსა და სარწმუნოების სასარგებლოდ და დასაცავად. ბევრი ამ ამბავთაგან ჩამრჩა გულში და ერთი მათ შორის „დიმიტრი თაედადებულის" თემად გამოვიყენე მრავალი წლის შემდეგ. ერთი კიდეე პატარა საშობაო მოთხრობად დავწერე" (თხზულებათა სრული კრებული, ტ. IX, 1957 წ., გვ. 308). აქ ილია უნებლიე შეცდომას უშვებს! მას დავიწყნია, რომ ამ მოთხრობას ქვესათაურად „საახალწლო მოთხრობა" ეწოდა და არა „საშობაო მოთხრობა" (რამდენადაც ამბავს ახალწლის წინა ღამეს უყვება მამა პატარა შეილებს).

ეს გარემოება მართებულად შეუნიშნავს ჩვენს გამოჩენილ მკვლევარს პაველ ინგოროყვას, რომელიც თავის კომენტარებში წერს: „ილიას აეტობიოგრაფიაში აღნიშნული აქვს, რომ ამბავი ნოკოლოზ გოსტაშაბიშვილისა მას მოუსმენია ბავშვობისას და ამ დროიდან ჩარჩენია იგი ხსოვნაში. ეს ამბავი უამბნია პატარა ილიასათვის მის ოსტატს — მთავარს, რომელთანაც ილია სწავლობდა ბავშვობისას სოფლის სკოლაში" (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, ტ. II, 1950 წ., გვ. 590).

ახლა ესეც ვიკითხოთ, რა სახელი უნდა რქმეოდა იმ ლეგენდარულ გმირს, რომლის თავგადასავალიც მასწავლებელმა მოუთხრო ილიას (ძნელად დასაჯერებელია, მას გოსტაშაბიშვილი რაიმე სახელით მოეხსენიებინა). ის მხოლოდ და მხოლოდ გვარით მოიხსენიებდა მას, მაგრამ სახელიც რომ მოეტანა, უთუოდ იტყოდა და წარმოთქვამდა: „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი" და არა „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი" (ცხადია, პატა-

რა ილიას მეხსიერებას პირველი უფრო მტკიცედ შეემორჩებოდა). მაგრამ თუ ხალხისაგან შეყვარებულ გმირს მართლაც „ნიკოლოზი“ ერქვა და მთავარმა .ˆ სახელით მოაქცია იგი ილიას ცნობიერებაში, განა ეს ფაქტი ხელიდან გასაშვებია, მეორე მხრიდან არ ეხმაურება ჩვენთვის საინტერესო საკითხს?!

მაშინ სავსებით უდაეო ხდება, რომ გენიალური პოეტის წინაპრებმა ჯერ ბარათაშვილის პაპას (მელიტონის მამას) დაარქვეს „ნიკოლოზი“ , ხოლო შემდეგ ეს სახელი მომავალ დიდებას — „მერანის“ აეტორსაც დაანათლეს, სახელოვანი გვარისკაცის სეხნია გახადეს.

ვიმეორებთ, თუ ეს ასეა, ნამდვილად რომანტიკული გატაცებით შეუყვარებია პოეტს ბარათაანთ საგვარეულოდან გამოსული გმირი და მისი თავისებური სახელიც — „ნიკოლოოზ“ , სამარემდე უცველად უტარებია (ხომ არ იქნებოდა ურიგო, რომ ამიერიდან მისი ნამდვილი, მისგან ესოდენ შეყვარებული სახელი — ნიკოლოოზ აღგეყედგინა და საყოველთაოდ დაგეკანონებინა!)

მაგრამ, ჩვენ მაინც გვინდა და გვჯერა, რომ ამ ფორმით წარმოებული სახელი („ნიკოლოოზ“) ილიასეულია და გამიზნულია გოსტაშაბიშვილთა სისხლხორცეული ნათესავის, გენიალური პოეტის სადიდებლად, მისი ესოდენ სათაყვანო სახელის გასაცოცხლებლად.

თუ ონომასტიკონში ჩავიხედავთ, გარკვევით ამოვიკითხავთ, რომ სახელი „ნიკოლოზ“ (ასევე „ნიკოლოოზ“) ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს: „გამარჯვებული“, „მძლეველი ხალხისა“ (იხ. ზ. ჭუმბურიძე, „რა გქვია შენ?“ 1966 წ., გვ. 159).

ცხადია, ყოველივე ეს კარგად იცოდა ილიამ და, ალბათ, ამ მხრივაც გააზრებულად მოიმარჯვა ეს სახელი თავისი გმირისათვის.

ვუბრუნდებით რა ისევ ორი სახელის იდენტურობის საკითხს, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ჩვენ მაინც გვგონია, რომ ი. ჭავჭავაძემ ნ. ბარათაშვილისადმი უსაზღვრო სიყვარულის ნიშნად, მის სადიდებლად და სათაყვანოდ თავისი მოთხრობის გმირს — გოსტაშაბიშვილს, გვარტომობით იგივე ბარათაშვილს, უკვდავი პოეტის სახელი „ნიკოლოზი“ დაანათლა.



ვის შეეძრისა ბარათაშვილის შავდავ ლეჩის სამარეში

სიკოლოს ბარათაშვილის აეტოგრაფულ ხელნაწერთა კრებულებში არსად მოიხსენიება საქეეყნოდ ცნობილი სათაური იმ გენიალური ლექსისა, რომელსაც მისი აეტორი გიორგი ლეონიძის ხატოვანი ოქმით — სიკედილის წყედიადს არ დაანება.

ქართული სალირიკო პოეზიის ეს მშვენება პოეტის ძირითად ხელნაწერებში უსათაუროდაა წარმოდგენილი და იწყება სტრიქონით „მირბის, მიმაფრენს_" (იხ. ნ. ბარათაშვილის აეტოგრაფები, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1968 წ., გვ. 65).

აკაკი გაწერელიასა და იეანე ჯაეახიშვილის რედაქციით ახლახან გამოცემულ ბარათაშვილის თხზულებათა კომენტარებში ეკითხულობთ: „სათაური „მერანი" (ან „ჩემს მერანს") პირობითია". (თხზულებანი, 1972 წელი, გვ. 216).

ამ თვალსაზრისით ერთგვარ გამონაკლისად უნდა მიეიჩნიოთ 1842 წლით („მერანის" დაწერის წელი) დათარიღებული აეტოგრაფი, რომელშიც მისი ადრესატის — ილია ორბელიანის განსადიდებლად, პოეტს ლექსის სათაურად შეურქმევია „თაეგანწირული მხედარი" (თუმცა ამაეე აეტოგრაფის სარჩევში იგი შეტანილია სახელწოდებით „მირბის, მიმაფრენს_") (კ. კეკელიძის სახ. ხელნ. ინსტ. E-II 1115). 1842 წლის აეტოგრაფი პოეტს სამუშაო ეგზემპლარად უქცევია და, როგორც პ. ინგოროყეა შენიშნავს, იგი წარმოადგენს ბარათაშვილის ლექსთა არა „საგარეო" გამოცემას, არამედ მომაეალი საგარეო გამოცემის საფუძველს (იხ. ნ. ბარათაშვილი, თხზულებანი, 1968, გვ. 226).

მაგრამ, როგორც ჩანს, ნ. ბარათაშვილს აღარ მოსწონებია მისიეე სტრიქონებიდან აღებული ეს სათაური და ყველა მომდევნო, მათ შორის ეკატერინე ჭაეჭაეაძისადმი მიძღვნილ ესოდენ სანუკვარ ეგზემპლარში (1843 წლის) გენიალური ლექსი ყოველგვარი სათაურის გარეშე დაუტოეებია. (კ. კეკელიძის სახ. ხელნ. ინსტ. A-S-2515.)

როცა ქართულმა პერიოდულმა პრესამ ნ. ბარათაშვილის პოეტური მემკეიდრეობის პუბლიკაციას მიჰყო ხელი, მხოლოდ „ცისკრის" რედაქტორს, იეანე კერესელიძეს ეყო „გამბედაობა" პოეტის უსათაურო შედევრებისათეის სათაურები ჩამოერიეებინა. (სხეათა შორის, „ფანტაზია" („ეპოეე თამარი") და „თეალები" („ მიყეარს თეალები") კირილე ლორთქიფანიძეს ცისკრისეული დასათაურებით გადაუტანია 1864 წელს გამოცემულ ანოტაციაში „ჩონგურში" , რომლის სახელწოდებაც ბარათაშვილის ამაეე ანოტაციაში დაბეჭდილი ლექსიდან („ჩონგურს") უნდა მომდინარეობდეს.)

(იქნებ ჟურნალის პირეელი რედაქტორის გიორგი ერისთაეის მიბაძეითაც, რომელმაც ბარათაშვილის ლექსს „რად პყეედრი კაცსა" სათაურად შეურჩია „ქალი" („ცისკარი", 1852 წ., №4). ასე მაგალითად ი. კერესელიძემ „ფანტაზია" დაანათლა ლექსს „ეპოეე ტაძარი" , („ცისკარი", 1860 წ., №5); „გალობა სიტურფისა" — „შეეიშრობ ცრემლსა" („ცისკარი", 1858 წ., №2). „თუალები" — „მიყეარს თეალები" („ცისკარი", 1861 წ., №1), „ჩემს სატრფოს" — „არ უკიეინო" („ცისკარი", 1862 წ., №12).

„ცისკრის" რედაქტორმა, რომელმაც 1860 წელს პირეელმა მოახდინა ნ. ბარათაშვილის შედევრის პუბლიკაცია, აქაც თაეისი ხელი შეიტანა და ლექსის სათაურად შიდა სტრიქონებიდანეე ამოატიეტიეა „ჩემს მერანს" („ცისკარი", 1860 წ., №6).

იე. კერესელიძის მიერ შერჩეულმა სათაურმა ვერ დაიპყრო პოეტის მცირე თაყეა-

ნისმცემელთა გულები, ვერ დაეპატრონა მათ ემოციებსა და ესთეტიკურ სამყაროს (თუმცა ამ სახელწოდებით შეიტანა იგი თავის „ჩონგურში“ კირილე ლორთქიფანიძემ 1864 წელს).

ნ. ბარათაშვილის შედევრის ცისკრისეული სათაური — „ჩემს მერანს“ აქა-იქ გაისმოდა და ისიც ვიწრო წრეებში. როცა პოეტის ბავშვობის ამხანაგმა, შემდგომში საკმაოდ მკაცრმა ცენზორმა ლუკა ისარლიშვილმა ითხა მეუნარგიას ბარათაშვილის შესახებ მისთვის საჭირო ცნობები მიაწოდა, ლექსი „მირბის მიმაფრენს...“ ცისკრისეული სათაურით — „ჩემს მერანს“ მოიხსენია (ი. მეუნარგია, ცხოვრება და პოეზია ნ. ბარათაშვილისა, 1954 წ., გვ. 76).

ერთი სიტყვით, სახელწოდება „ჩემს მერანს“ რაღაც აკლდა, ვერ პასუხობდა ლექსის გაქანებას.

და აი, რაღაც სამოცდე წლის შემდეგ (1863 წ.) შორეული პეტერბურგიდან ნიაღვარივით მოსკდა ამ ლექსის ძირმაგარი, საოცრად ჟღერადი და ტევადი სათაური — „მერანი“. (არაა გამორიცხული, რომ ცისკრულმა დასათაურებამ ერთგვარი ბიძგი მისცა უფრო კონკრეტულ, სრულყოფილ სათაურს —„მერანი“.)

ლექსის მონუმენტურმა სათაურმა, რომელიც გაჟღენთა პერანგივით მოერგო შედევრს, მის შინაგან დინამიკას, მაშინვე დაეელექტრონა ჩვენი მოწინავე ინტელიგენცია. ეს იყო და ეს— იმ დღიდან დღემდე ამ სათაურით ვიცნობთ ბარათაშვილის გენიის ყველაზე დიდ შედევრს, აქედანვე გამოთქმა „მერანი“ ისე მაგიურად დაეპატრონა ქართველი კაცის გულსა და გონებას, რომ ამ სათაურის გარეშე ვერც კი წარმოგვიდგენია ეს ლექსი.

დღეს ყველას გვჯერა და გვწამს, თითქოს თვითონ პოეტმა შეარჩია სათაურად „მერანი“.

ახლა კი ღირს ერთგვარი რიდითა და მოკრძალებით ვახსენოთ სახელი იმ ადამიანისა, ვინც პირველმა დაანათლა ამ უკვდავ ლექსს სათაურად „მერანი“. ეს მით უფრო საინტერესოა, რომ დღემდე ძალზე ცოტამ იცის, თუ ვინ შეურჩია მას ესოდენ მშვენიერი სათაური, ვინ იყო მისი, ასე ვთქვათ, პირველი „ნათლია“.

ეს კაცი გახლდათ ჩვენი ეროვნული ლექსიკოგრაფი, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი დავით ჩუბინაშვილი.

დ. ჩუბინაშვილმა სამშობლოდან შორს, პეტერბურგში, ორ ნაწილად დაბეჭდა ჩვენი კაზმულსიტყვაობის პირველხარისხოვანი ნიმუშები. მის მიერ შედგენილ და 1863 წელს გამოცემულ „ქართული ქრესტომათიის“ მეორე წიგნის 129-ე გვერდზე ბარათაშვილის შედევრი დასტამბულია სათაურით: „მ ე რ ა ნ ი“ (ბარათაშვილის პოეტური მემკვიდრეობიდან ქრესტომათიის შემდგენელს აქვე შეუტანია „სულო ბოროტო“, „ჩემი ლოცვა“ და „არაგვი“ — ნაწყვეტი პოემიდან). რა თქმა უნდა, დავით ჩუბინაშვილს შორს არ მოუხდებოდა „წასელა“. სახელი „მერანი“ თვითონ უკვდავ ლექსის სტრიქონებში ბორგავდა, მაგრამ საჭირო იყო გემოვნება და პოეზიის მაღალი გრძნობა ერთადერთი, საუკეთესო ვარიანტის მისაგნებად.

ნ. ბარათაშვილის ლექსის ეს სახელწოდება რომ დავით ჩუბინაშვილის მიერ შედგენილი „ქართული ქრესტომათიიდან“ მომდინარეობს, ამის შესახებ ქრონოლოგიური



შინაარსებიც შეგვიძლია დავამოწმოთ. მხედველობაში გვაქვს წერილი, რომელიც ჩვენგან მითითებული „ქრესტომათიის“ გამოსვლიდან ორი წლის შემდეგ, 1865 წელს მოუწერია მაჩახათის (რომლის რაიონდულ სულსაც აკაკის „გასირთადი“ უძღვნა) მას საყვარელ ძეს, იმხანად პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტს, ნიკოლოზს დიმიტრის ძე ყიფიანს.

როგორც ირკვევა, წერილი გამოუწყვეტია დიმიტრი ყიფიანის ასლო მეგობრის ნ. ბარათაშვილის ნაჭრისა და პიროვნების გარშემო ატეხილ ხმაურს. და აი, თუ არ ვცდებით, ამ წერილში პირველად უნდა გვხვდებოდეს ჩუბინაშვილისეული სათაურის („მერანი“) გახმაურება, თუ შეიძლება ითქვას, მისი საზოგადოებრივი აფიშირება. წერილში ვკითხულობთ: ნ ი კ. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი ს „მ ე რ ა ნ ი“ (ხაზი ჩვენია, ს. ს.) საკვირველი რამ არის. — ნეტა ვინ იყო ნიკ. ბარათაშვილი? შენ მგონია იცნობდი?“ (ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ.)

მაგრამ აქ მეორე აეტორიტეტის დამოწმებაც შეიძლება. იმავე 1865 წელს, როცა ახალგაზრდა ა. წერეთელმა ჟურნალ „ცისკრის“ (№9) ფურცლებზე კირილე ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში გამოცემული ლექსების კრებულს შესანიშნავი რეცენზია მიუძღვნა, პოეტმა ნ. ბარათაშვილის „მირბის, მიმაფრენს...“ ჩუბინაშვილისეული დასათაურებით მოიხსენია.

ასე დაირხა გენიალური ლექსის სათაური, ასე აიტაცა იგი ჩვენმა მოაზროვნე საზოგადოებამ, ასე მოხდა მისი კანონიზაცია.

ი. ჭავჭავაძის ახლო მეგობარი კოსტა აბხაზი, რომელსაც ჩვენგან მითითებული „ქართული ქრესტომათიის“ გამოქვეყნებამდე (1864 წ.) წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა ჰქონოდა ნ. ბარათაშვილის ლექსის ამ სათაურზე, იმდენად მოუხიბლავს გამოთქმა „მერანს“, რომ თავის საკმაოდ მოგვიანო მოგონებაში ილიაზე წერს: „მახსოვს, ერთხელ პაელოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედი და იქ ვეწვიე ქალბატონ დადიანისას. ქ. დადიანისამ გამოიტანა და მოგვცა წასაკითხავად ბარათაშვილის ლექსები; რამდენადაც მახსოვს ეს ლექსები იყო „ქართლის ბედი“ და „მერანი“ (ლიტერატურული მემკვიდრეობა, წიგნი I, 1935 წ. გვ. 564.).

ფრიად საყურადღებოა, რომ ბაირონითა და ბარათაშვილით შთაგონებულ ვაჟა-ფშაველას ჯერ კიდევ საოსტატო სემინარიის წლებში წაუკითხავს შესანიშნავი რეფერატი სათაურით: „ლექსი „მერანი“, როგორც ბარათაშვილის მსოფლმხედველობის გამომხატველი“ (ს. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები. 1937 წ. გვ. 145.).

როგორც ხედავთ, აქაც ჩუბინაშვილისეული დასათაურებაა დომინირებული, ბარათაშვილის ლექსი უკვე „მერანის“ სახელით გაიჭრა ხალხში.

ამ გრანიტისებურ, მაგრამ თანაც მღელვარე და ექსპრესიულ სათაურს საყოველთაო-

სახალხო დიდება დაუმკვიდრა ილია ჭავჭავაძემ, რომელიც ბარათაშვილის საკაცობრიო ღირებულებაზე ყველგან „მერანის“ სახელწოდებით ლაპარაკობდა. გაიხსენეთ თუნდაც მისი შესანიშნავი შეფასება ამ ლექსისა: „ჩვენი ფიქრით „მერანი“ წინასიტყვაობაა „სულო ბოროტოსი“ (თხზულებანი, ტ. III, 1953 წელი, გვ. 218).

ამ სახელწოდებით ხმაურობს ეს ლექსი პოეტების, კრიტიკოსების, ფილოსოფოსების, ესსეისტებისა და ესთეტიკოსთა ნათქვამებსა და ნააზრევში.

ასე გადაიზარდა პოეტისეული სტრიქონი „მირბის, მიმაფრენს–“ ჩუბინაშვილისეულ სათაურში — „მ ე რ ა ნ ი“.

ჩუბინაშვილისეული სახელით აღიმართა ეს შედევრი მსოფლიო პოეზიის პარნასზე, მაგრამ უნიერსალური პოტენციის ძალით იქაც ვერ იოკებს თავს, თითქოს ლამობდეს. კვლავ იმ ზენაართ სამყოფს დაუბრუნდეს, რომლის ღეთაებრივ წიაღშიც იგი იშვა და განსახიერდა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანი“ ამ სახელით იქროლებს სამარადისოდ — პორიზონტიდან პორიზონტამდე–

1974 წ.



ილია ჭავჭავაძის ერთი შენიშვნა წარილისა და მისი გამოქვეყნების მიზეზის გამო

ილია ჭავჭავაძე განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა მათ სახელებს, ვისაც ქართველი ერის წარმატებაში რაიმე ღვაწლი მიუძღოდა.

ფრიად საყურადღებოა, რომ. კერძოდ, მე-19 საუკუნის კორიფეებიდან იგი ერთ-ერთ უპირველეს ადგილს გაბრიელ ქიქოძეს, აკუთვნებდა.

ილია ადიდებდა მას, როგორც „ღრმად მიწვენილ მეცნიერს", შეუდარებელ მქადაგებელს და სასიქადულო მამულიშვილს, რომელიც „მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშის ცემითა და მადლის ფენითა".

თერგდალეულთა მედროშემ გაბრიელი ახლო გაიცნო და მასთან ეროვნული ინტერესების საფუძველზე მჭიდრო ურთიერთობა დაამყარა 1864 წლიდან, როცა საგლეხო „რეფორმის" გატარებასთან დაკავშირებით ქუთაისში საგანგებო მინდობილობათა მოხელის მოვალეობას ასრულებდა.

ახალგაზრდა, მაგრამ საფუძვლიანად განსწავლული პოეტი პირველი შეხვედრისთანავე მოხიბლა გაბრიელ ქიქოძის ენციკლოპედიურმა განათლებამ, მაღალი გონების ძალამ და მრავალმხრივმა საზოგადოებრივ-საგანმანათლებლო საქმიანობამ, რომელსაც იგი, უკვე ეპისკოპოსის ხარისხში მყოფი, ასეთი გატაცებით ეწეოდა იმერეთისა და გურია-სამეგრელოს ეპარქიაში.

ილია ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იცნობდა გაბრიელ ქიქოძის სახელს 1858 წელს პეტერბურგში გამოცემული კაპიტალური შრომით-„Основания опытной психологии". რომელიც ახალგაზრდა მაგისტრმა, მაშინ ფიზიკა-მათემატიკის პროფესორმა, თბილისში მასწავლებლობის პერიოდში დაწერა და რომელიც, ჟურნალ „Исторический вестник"-ის სიტყვით რომ ვთქვათ, „დიდი ხნის განმავლობაში რჩებოდა თითქმის ერთადერთ სახელმძღვანელოდ 1860-იანი წლების რუსულ სემინარიებში".

ყველა მოწინავე ქართველისათვის საამაყო უნდა ყოფილიყო ისიც, რომ ნ. დობროლიუბოვმა „სოვრემენიკის" ფურცლებზე დადებითი შეფასება მისცა გაბრიელის ამ ფილოსოფიურ თხზულებას. თავის დროზე გაბრიელის თაყვანისმცემელთა გული არანაკლებ გაახარა იმ დიდმა წარმატებამაც, რაც წილად ერგო 1867 წელს ინგლისურ ენაზე ლონდონში გამოცემულ მის ქადაგებათა კრებულს.

ცივილიზებული ინგლისის სწავლულთა ყურადღება მიიპყრო არა მარტო ორატორული ხელოვნების თვალსაზრისით ქადაგებათა აგების მომაჯადოებელმა ძალამ, არამედ მისი ავტორის აზროვნების სიღრმემ, იმ მაღალმა ზნეობრიებამ და ეთიკურმა იდეალებმა, რომლებიც ჩაქსოვილი იყო თითქმის ყველა ქადაგებაში ცხოვრების მდიდარი გამოცდილებიდან.

თუ რამდენად დიდი ზეგავლენა მოუხდენია ინგლისის მოწინავე საზოგადოებაზე გაბრიელ ქიქოძის ქადაგებებს, აი რას ეკითხულობთ ამის შესახებ „Русская Мысль"-ში:

„В Англии в последнее время заинтересовались Грузинскою историей и литературой.



Начало знакомства англичан с грузинской литературой было положено переводом проповедей Кутаисского епископа Гавриила".

გაბრიელის ქადაგებათა ეს წარმატება პქონდა მხედველობაში. ალბათ. ნიკო ნიკოლაძეს, რომელიც შენიშნავდა:

„Первое издание проповедей Гавриила переведено было на английский язык в 1867 г. и издано в Лондоне с серьезным успехом".

საესებით კანონზომიერია, რომ ასეთ განათლებულ და სასელმოხვეჭილ ქართველთან ილია ჭავჭავაძეს ბევრი რამ საერთო უნდა პქონოდა: თავის მხრივ გაბრიელიც თავისებური ზომიერებით ეხმაურებოდა იმ დიდ ბრძოლას, რომელიც თეითმპყრობელობის მძიმე წლებში ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ჩვენი ეროვნული კულტურის გადარჩენისათვის მიმდინარეობდა.

იდეალიზმისა და სქოლასტიზმის ბატონობის ხანაში მხოლოდ უაღრესად განათლებულ და მატერიალისტურად მოაზროვნე მეცნიერს შეეძლო გ. მუხრანსკის ანტიმეცნიერული თვალსაზრისის გასაბათილებლად ეთქვა: „პრაქტიკა, გამოცდილება ამტკიცებს, რომ თეორია, რაც გინდა ღრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერასდროს ვერ ასწონის მრავალფეროვანს, მრავალკერძოს, დაუცხრომლად მოძრავსა, მუდამ ცვალებადსა კაცობრივსა ისტორიულსა ცხოვრებასა_ საქმე უდიდესია სიტყვაზედ, ცხოვრება უმაღლესია სწავლაზე" (სულმნათი გაბრიელის საუნჯე (კრებული), ქუთაისი, 1897 წ. გვ. 87.).

აკაკისთან, გ. წერეთელთან, ი. გოგებაშვილთან და ნ. ნიკოლაძესთან ერთად ილია ჭავჭავაძე სიკვდილამდე უდიდესი დამფასებელი იყო გაბრიელის პიროვნებისა.

თუ რამდენად გატაცებით ადევნებდა თვალყურს ილია ჭავჭავაძე დასავლეთ საქართველოს „კეთილ მწყემსს", გაეიხსენოთ მრავალთაგან ერთი საგულისხმო ფაქტიც. როგორც ცნობილია, 1885 წელს ოხრანკის აგენტებმა ეერაგულად მოკლეს გაბრიელის მდივანი, ნიჭიერი ქართველი პუბლიცისტი ესტატე მჭედლიძე, ცნობილი „ბოსლეველის" ფსევდონიმით.

როგორც ბოსლეველის მფარველსა და დამცველს (ბოსლეველს ამ ხანებში პოლიცია სდევნიდა), გაბრიელს რეაქციის ბნელი ძალებისაგან ზედიზედ მოუვიდა მოკლის მუქარის წერილები. იმის რიდმა და შიშმა, მოსალოდნელი მკელელობით ქართველ ხალხს კვლავ ახალი საშარცხვინო ჩირქი მოეცხებაო, გაბრიელს საქართველოს დროებით დატოვება აფიქრებინა.

ამ მოულოდნელმა გარემოებამ ყველანი შეაშფოთა. გაბრიელის მტრების ასალაგმაედ და მოხუცი მწყემსმთავრის გასამხნევებლად გაბედულად აიმაღლა ხმა ილიას

„იერიამ". უაღრესად დაძაბულ დღეებში ილიას პარიზელმა ხელი, მისი ნებისა და სურვილის ნიჭიერი გამომხატველი გრიგოლ ყიფშიძე წერდა: „ვინც იცის, რა ღვაწლი მიუძღვის გაბრიელს ჩვენი ქვეყნის წინაშე, მას ამ ამბავმა თავზარი დასცა. როგორ? გაბრიელი, ეგ ჩვენი სახიადულო კაცი, ეგ ჩვენი ერის გულმტკივნეული მქადაგებელი, მაღალის სწეობისა, მაღალი განათლების მქონი, რომლის სახელითაც თავს უნდა ვიწონებდეთ ყველანი ქართველნი ქვეყნის წინაშე, ჩვენგან მიდის, ჩვენ გვცილდება, ჩვენს სიაევს, უმადურობას ვერ უძლებს. მოდი და თავზარი ნუ დაგეცემა" („იერია", 1885 წ. №6.).

მთელი ქართველი ხალხისა და მისი უძლიერესი ბურჯის ილია ჭავჭავაძის მხარდაჭერით გამხნეებულ გაბრიელს „დროების" კორესპონდენტებთან საუბარში განუცხადებია: „როცა მჭედლიძე მოკლეს, იმ საათშიაე მომივიდა წერილი, რომ შეც ამასვე უნდა ველოდე. ჩემი სულის სიმდაბლე იყო, რომ შევშინდი, მაგრამ მთლად ჩემი თავისთვისაც არ შეშინებულვარ. მე ერთი ხნიერი კაცი ვარ, დიდი ხნის სიცოცხლე მაინც არა მაქვს, მაგრამ რომ მართლა მოვეკალი, რა ჩირქი დაედებოდა მთელ ხალხს, რომელმაც თავის მოძღვარი ასე სასტიკად გაიმეტა. ამან მაფიქრებინა ჩემი ქვეყნის დატოვება, მაგრამ რადგან ვხედავ, მართლა სწუხს საზოგადოება და არა პსურს ჩემი მოშორება, რომ კიდეც გადაწყვეტილი მქონდეს წასელა, მაინც ადარ წავალ და ვეცდები გადავიხადო მცირედ მაინც ეს დაუმსახურებელი პატივისცემა" („დროება", 1885 წ. №141.).

მართლაც, გაბრიელმა მისთვის ჩვეული მხნეობითა და თავგანწირულობით განაგრძო სამშობლო ქვეყნის სამსახური.

ეს ღირსეული დაფახება და საქვეყნო სიყვარული ამ მართლაცდა „საისტორიე კაცისა" ილიამ იმ შესანიშნავი სიტყვით დააგვირგვინა, რომელიც 1896 წლის 10 მარტს წარმოთქვა გელათში გაბრიელის დაკრძალვაზე.

ვის არ ახსოვს გულში ჩამწედომი სტრიქონები ამ სიტყვიდან: „საკმაოა, კაცმა გაიხსენოს მარტო სახელი გაბრიელისა, რომ გულში მადლი ჩაეფინოს, ეითარცა შუქი".

იაკობ გოგებაშვილმა მთელი ქართველი ხალხის სატირალი და საფიქრელი დიდებული ცხედრის წინაშე ასეთი სიტყვებით გამოხატა:

„Да, Грузия потеряла благороднейшего сына, обладавшего редким величием души. Но она может и утешиться тем, что появление в ея среде таких богато одаренных натур есть верный залог ее будущности".

გაბრიელის პიროვნებისადმი მაღალ პოეტურ პიმნს შეიცავდა აკაკის დაგვიანებული სიტყვაც (იმ დროს აკაკი რუსეთში იმყოფებოდა): „როგორც მნათობი, რაც უფრო მაღლა სიმაღლეზეა, უფრო თვალსაჩინოა ყველასათვის და უფრო შორსაც აწვდენს სხივებს, ისე ეს დაუვიწყარი მოძღვარიც, დღეს სიკვდილით ამაღლებული, ყველასათვის საერთოდ სათვალთვალო და ყოველის მხრით თანასწორად ფენს სხივებს, რომლითაც გვინათებს ბნელს აწმყოში და ამაეე დროს ჩვენს წარსულს მომავალთან აკავშირებს".

აღარაფერს ვამბობთ ნ. ნიკოლაძის, გ. წერეთლის, ანტ. ფურცელაძის, დ. კლდიაშვილის, მ. ხიზანიშვილის და სხვათა წერილებზე, რომლებშიც გაბრიელის სახელი, რომ იტყვიან, ცამდეა აყვანილი.

* * *

გაბრიელის გარდაცვალებამ ქართველი ხალხის ეროვნული, ჭეშმარიტად საყოველთაო გლოვა გამოიწვია. იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში დიდძალი წერილი და ნეკროლოგი იბეჭდებოდა. ყველა, თითქმის გამოუკლებლივ, დამსახურებულად ადიდებდა და ღრმა სინანულით ეთხოვებოდა საქართველოს ოქროპირს.

გაბრიელის გარდაცვალებას თავისებური ტაქტით გამოეხმაურა რუსული პრესაც. გლოვის დღეს გაზეთ „Кавказ"-ში დაიბეჭდა უნიჭიერესი პუბლიცისტის ილია ხონელის (ბახტაძე) საკმაოდ ვრცელი ნეკროლოგიც.

ვინაიდან სწორედ ამ ნეკროლოგმა გამოიწვია ილია ჭავჭავაძის სასტიკი გულისწყრომა, რასაც შედეგად მოჰყვა ჩვენთვის საინტერესო, მისი დღემდე უცნობი სტატია, მკითხველის ყურადღებაც მასზე გვინდა შევაჩეროთ.

ი. ხონელი თავის ნეკროლოგში მისთვის ჩვეული კალმის ელვარებით მაღალ შეფასებას აძლევდა გაბრიელის მოღვაწეობას და მის სიკვდილს ჩვენი ერისათვის უდიდეს დანაკლისად თვლიდა. წერილის შესავალ ნაწილში პუბლიცისტი წერდა:

„Сошла с арены крупная личность, исчезла сила которую трудно будет заменить, онемели уста, долгие годы гремевшие с церковной кафедры, не стало одного из даровитейших и замечательнейших архипастырей церкви грузинской".

ნეკროლოგის ავტორი, ახასიათებს რა გაბრიელს, როგორც შესანიშნავ პედაგოგსა და წარმტაც ორატორს, თავისი წერილის პირველ ნაწილს ასეთი ამაღლებული სიტყვებით ამთავრებს: „Да великая скатилася звезда и не скоро Имеретия увидит ея сияние".

ნიჭიერად დაწერილი ნეკროლოგის ბოლო ნაწილში ხონელმა ეეღარ დაფარა დიდი ხნის სიძულვილი და თითქოს შეუმჩნეველი, მაგრამ ნამდვილად დამამცირებელი ტონით გაჰკრა კბილი მიცვალებულის პიროვნულ თვისებებს.

რათა სრული წარმოდგენა იქონიოს მკითხველმა, თუ რამ გამოიწვია ილია ჭავჭავაძის დიდი გულისწყრომით დაწერილი ჩვენთვის საინტერესო ხელმოუწერელი სტატია, მოვიტანოთ დამახასიათებელი სტრიქონები ილია ხონელის ნეკროლოგიდან:

„Но я бы оскорбил память покойного, если бы умолчал что нет света без тени. Просвещеннейший муж своего века, прекрасный педагог, увлекательнейший оратор, Гаврила не был администратором, чтобы не говорили его поклонники".

ასახელებს რა სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც, მისი აზრით, უარყოფითი გავლენა იქონიეს გაბრიელის პიროვნული ხასიათის შემუშავებაზე, პუბლიცისტი ასეთ დასკვნებს აკეთებს:

„Необычайно тяжелый характер делал сношения с ним почти что невозможными. Деспотическая натура покойного не мирилась ни с какими противоречиями и часто приводила его к выходкам которые справедливо стяжали ему имя „воинствующего монаха". Он всех подозревал, на всех нападал, со всеми находился на военном положении".

ილია ხონელის ამ ნეკროლოგმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ქართველ საზოგადოებაში. ეინც იცნობდა ნეკროლოგის ავტორის მიერ ოჯახის დამოკიდებულებას გაბრიელისადმი, მაშინვე მიხვდა, რაშიც იყო საქმე, თუ რატომ იყენებდა გულს გესლიანი სიტყვებით ხონელი. ნიჭიერი პუბლიცისტი ძველ ანგარიშს უსწორებდა მიცვალებულს, რაც დაკავშირებული იყო გაბრიელისა და ხონელის მამის, მღვდელ ლუკა ბახტაძის სამსახურებრივ შეტაკებასთან და რაც ამ უკანასკნელის მორალური განადგურებით დამთავრდა.

აღსანიშნავია, რომ გაბრიელზე ცილისმწამებლური წერილების წერა ბახტაძეების მხრიე არც შემდეგ შეწყვეტილა. ილია ქავქავაძის სიკვდილმა ხელ-ფეხი გაუხსნა გაბრიელის მოძულეებს. და აი, 1916 წელს ჟურნალ „ცხოერებაში“ (№18), რომლის რედაქტორიც ხომლელი (რ. ფანცხავა) იყო, გაბრიელისაგან თაეის დროზე სამართლიანად დასჯილი მღვდლის ლუკა ბახტაძის შეილმა, ილია ხონელის უფროსმა ძმამ ლუკა ბახტაძემ, კვლავ ასლად მოქორილი ბრალდებებით ხელყო მიცვალებულის სახელი.

ლუკა ბახტაძის დაუსაბუთებელმა წერილმა აღაშფოთა საერო და სასულიერო წრეები. საკმაოდ ცუდ ღღეში აღმოჩნდა თეით რედაქტორი — ხომლელი. ცხადია, საზოგადოება არ აპატიებდა მას, საკუთარი ორგანოს ფურცლებზე ურცხვად ეძაგებინა ის ადამიანი, რომლის სიკვდილმაც თეით ხომლელს 1896 წელს წარმოათქმეინა ასეთი სიტყვა: „საუკუნოთ დადუმდნენ ბაგენი საკვირველი და შესანიშნაის იერიელისა, რომლის ცეცხლმფრქვეეი მღელეარე სიტყვანი მედგრად, შეუპოვრად ამხილებდნენ ჩვენს საზოგადოებაში ღრმად ფესვგადგმულ ბიწიერებას და ბოროტებას“.

გაბრიელის თაყვანისმცემლებისაგან ალყაშემორტყმულმა ხომლელმა ურჩია ლუკა ბახტაძეს, დაუყოენებლივ შეეწყვიტა გაბრიელზე წერა. ამ მხრიე მეტად საინტერესოა ხომლელის ღია ბარათები ლუკა ბახტაძისადმი (ამჟამად ინახება ილია ხონელის დისწულთან). გამოუეალ მდგომარეობაში ჩავარდნილი რედაქტორი ასე იწყებს ერთ ბარათს:

„ჩემო კარგო ლუკა!

საშინელი საბედისწერო შედეგი იქონია შენმა წერილმა გაბრიელზე. ვინც კი იწერდა „ცხოერებას“, ყეელამ უკან გამომიბრუნა — არა, ჩვენს ოჯახში ამისთანა ჟურნალს ვერ შეეიტანთო. შარშან გაბრიელის გულისთვის ჩამომეცალა 80-100 ხელისმომწერი. მე და სერგი (ლაპარაკია ლუკა ბახტაძის ძმაზე: — ს. ს.) გაკეირებული ვართ: რა დიდი ავტორიტეტი, უფრო მეტი — წმინდანი ყოფილა გაბრიელი ქუთაისურების თვალში“.

გაბრიელის სახიათის სიფიცხეს, რომელსაც ასე ჩასჭიდეს ხელი ძმებმა — ილია (ხონელმა) და ლუკა ბახტაძეებმა, ხომლელი იმ საზოგადოებრივი გარემოს თავისებურებითაც ხსნის, რომელშიც გაბრიელს უხდებოდა მოღეაწეობა. „იმ ხალხში, — წერს ხომლელი, — სადაც ტრიალებდა გაბრიელი რატომ მთლად არ გაგიყდა ეს მეტისმეტად ფიცხი გურული ხუცის შეილი, როცა ირგელივ ყაჩაღები და მექრთამეები ერტყა! ამასთანაეე ებარა სამი ეპარქია: იმერეთის, გურია-სამეგრელოსი და აფხაზეთის. როგორ ადიოდა კაცო, ამდენ საქმეს?“

1916 წლის 5 დეკემბრით დათარიღებულ წერილში ხომლელი ურჩევს ლუკა ბახტაძეს, ღრმად დაუფიქრდეს იმ საგანს, რომელზედაც წერს: „ერთი, სიტყვით, ამ საგანს

ძალიან დაუფიქრდი, ყველაზე უფრო წასატეხი გაბრიელზე წერაა. ჩვენს დემოკრატთ ასეთი დიდი შვილი (ნიკო ნიკოლაძე კიდევ) ჯერ არ დაუბადებია და მის ასეთ დამცირებას არავინ გვაპატიებს".

მართლაც, 1917 წელს ჟურნალ „თავისუფლებაში" (№6) გაბრიელის დასაცავად დაწერილი მიხეილ სხირტლაძის ვრცელ სტატიას თვით რედაქტორი ხომლელი ასეთ შენიშვნას ურთავს: „საგანი საკმაოდ გამორკეეულია, ამიერიდან ესპობ ამაზე პოლემიკას".

* * *

დაეუბრუნდეთ ისევ ილია ხონელის ნეკროლოგს და მისგან გამოწვეულ შედეგებს.

პირად ინტერესებზე აგებულმა ნეკროლოგმა, ავტორის გამკილავმა ტონმა საომარ ფეხზე დააყენა გაბრიელის ღრმად პატივცემული და მოსიყვარულე ილია ჭავჭავაძე. და აი, 1896 წლის 2 თებერვალს „ივერიაში" (№29) იბეჭდება პატარა „ნარკვევი", რომელშიაც გაზეთის რედაქცია საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ რუსული გაზეთები და, კერძოდ, „კავკაზი" ჯეროვნად ვერ აფასებდა მიცვალებული გაბრიელის პიროვნებას. „გაბრიელის გარდაცვალების ამბავს, — წერს „ივერია", — ადგილობრივი რუსული გაზეთები მეტად უცნაურად მიეგებნენ. ერთმა გაზეთმა მხოლოდ „ახალ ამბად" აუწყა თავის მკითხველთ ეს გარემოება".

„ნარკვევის" ავტორი აღშფოთებულია, რომ გაზ. „კავკაზმა", რომელსაც იმ ხანებში მილიუტინი რედაქტორობდა, თავის ფურცლებზე ადგილი დაუთმო ცილისმწამებლურ ნეკროლოგს და „შესანიშნავი ქართველის დაფასება მიანდო ადამიანს, რომლისთვისაც არ არსებობს არავითარი წმიდათაწმიდა".

გავიდა რამდენიმე დღე და გაზ. „ივერიაში" (1896 წ. 11 თებერვალი, №32) გამოქვეყნდა უსათაურო ხელმოუწერელი სტატია, რომელშიაც მრისხანე პოლემიკური ტონით გამოხატული იყო მთელი ქართველი ხალხის უსაზღვრო გულისწყრომა ილია ხონელის დამამცირებელი ნეკროლოგის გამო. თუ როგორ აფასებდა უცნობი ავტორი გაბრიელის პიროვნებას და როგორი შეუპოვრობით იცავდა იგი ქართველი ხალხის ეროვნულ ღირსებას ი. ხონელისა და „კავკაზის" რედაქტორის თავხედური საქციელისაგან, ამოვწეროთ დამახასიათებელი სტრიქონები საკმაოდ ვრცელი წერილიდან: „სტირის და გლოვობს მთელი საქართველო. მართლაც უნდა იტიროს და იგლოვოს. დაკარგვაც არის და დაკარგვაც. დღეს საქართველომ დაკარგა ერთი იმისთანა დიდებული კაცი, რომელიც არამცთუ ჩვენში, საცა ასე იშვიათია კაცური კაცობა, სხვაგან ყველგანაც, საცა დიდბუნებოვანება ადამიანისა ხშირია, იქაც კი იმისთანა კაცი სასახელოა და თავმომწონებელი მთელი ერისათვის.

აღარ გვყავს ჩვენი სასიქადულო, ჩვენი განთქმული და სამართლიანად სადიდებელი მღვდელმთავარი, ყოველად ბრწყინვალე და პატიოსანი ეპისკოპოსი გაბრიელი.

როცა რომელიმე ერის სიკეთე გნებავთ დაანახეთ ვისმე, ერის აღმატებულება დაანჯეროთ, სწორედ ამისთანა კაცებს დაასახელებენ ხოლმე, აი, ამ ერს ამისთანა კაცები ჰყავსო. ამისთანა კაცების ჩამოთვლით ერის ღირსებას პზომავენ.

დღეს ჩვენ ამისთანა კაცი დავკარგეთ და მოდით ნუ იტირებთ, ნუ იგლოვებთ. ვაი,

რომ ჯერ, როცა ამისთანა კაცი საფლაოში არ ჩაგეისვენებია, როცა მისი წმინდა ეკალი თითქმის არც კი გაციებულა, როცა მისი კუბო ჯერ კიდევ თვალწინ გეისვენია და ველით, საუკუნოდ სახსენებელი ვუთხრათ ცრემლთა გოდებითა — ჩვენი რუსული გაზეთი „კავკაზი“ გვიგინებს მიცვალებულსა, მთელის საქართველოს წმინდა ცრემლში ურევს უწმინდურს დორბლს ილია ხონელისას და ზედ აყრის ჯერ არ გაციებულს გვამსა–“

წერილის მომდევნო ნაწილში ავტორი საფუძვლიანად აბათილებს ხონელის ბრალდებას, თითქოს გაბრიელი არ ვარგებულიყო, როგორც ადმინისტრატორი, და მტკიცე საყვედურით მიმართავს „კავკაზის“ რედაქტორს, რომელიც უსაბუთოდ აჰყვა „ამისთანებში ყოელად ცნობილს ავყიოობას და ენაჭარტალობას იმისთანა კაცისა, როგორც ილია ხონელია“.

„საბუთი, საბუთი!– ბ. რედაქტორო, — განაგრძობს ავტორი, — ყოველ ამაზე საბუთი გვიჩვენეთ, საბუთი, უსაბუთოდ ვერ გაგაქელეინებთ ამისთანა კაცს, ვერ გაგაუპატიოსნებინებთ გრძნობას საკუთარი ღირსებისას მთელის საქართველოსას.

ეგ კაცი ჩვენი სახელი იყო და არის. ჩვენი ღირსება იყო, არის და იქნება კიდეც, ვიდრე ქვეყანაზე სიტყვა „სამართალი“ არ გაუქმდება, ასე როგორც გაუუქმებია იგი თქვენს საყვარელ ილია ხონელს, რომლის პირითაც მოგედგომიხართ და საყვარელს მკედარსაც არ გეამარხვინებთ შეუგინებლად. აქ ან საბუთი, ან ბოდიში!– სხვა არარა დააწყნარებს აღშფოთებულ გულს პატიოსანი კაცისას.

– არავის შევაბღალვინებთ ჩვენს ძვირფას მკედარს, ჩვენს წმინდა ცხედარს, რომლის კუბოსაც დღეს მუხლმოდრეკით თაყვანსა სცემს დიდი და პატარა–“ და ა. შ.

ბოლომდე ინარჩუნებს რა მძაფრ პოლემიკურ კილოს, ბრძოლის ასპარეზზე გამოსული ავტორი დაუნდობლად ცელავს და მიწასთან ასწორებს ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების დამამცირებელთ.

წერილის გამგმირავი სარკაზმი, აზრისა და სიტყვის ბარაქა მკაფიოდ შეტყველებდა, რომ მისი ავტორი „ივერიის“ რედაქტორი უნდა ყოფილიყო.

და თუ ილია ჭავჭავაძემ ამ წერილს ხელი არ მოაწერა, ესეც თავისებური მოსაზრებით იყო ნაკარნახევი. ამით დიდ პატრიოტს სურდა, ქართველი ხალხის სამართლიანი პროტესტი გამოეხატა როგორც ნეკროლოგის ავტორის, ისე გაზეთ „კავკაზის“ რედაქტორის მიმართ, რომელმაც ცილისმწამებლური წერილის გამოქვეყნებით „შხამი გადაასხა“ სასიქადულო მიცვალებულის ცხედარს.

ილიას პოლემიკურ წერილთან დაკავშირებით აქვე უნდა დავუმატოთ, რომ გაბრიელის დიდებით დაკრძალვა და ქართველი ხალხის საყოველთაო გლოვა იმდროინდელმა რუსულმა რეაქციულმა პრესამ ნაციონალური მოძრაობის გამოვლინებად მიიჩნია. კერძოდ, ბათუმში გამომავალმა გაზეთმა —„ჩერნომორსკი ვესტნიკმა“, რომლის რედაქტორი ცნობილი შავრაზმელი პალმი იყო, გაბოროტებული ცინიზმით აღწერა დაკრძალვის ცერემონია. ეს უხვში გამოხდომა პალმს არ აპატია გაბრიელის პიროვნებისა და ქართველი ხალხის უსაზღვროდ მოყვარულმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა მან სასწრაფოდ დაასახელა სეკუნდანტები და ჩვენი ეროვნული ღირსების შეურაცხმყოფელი პალმი სამკედრო-სასიცოცხლო დუელში გამოიწვია. მხდალი და უპ-

რინციპო პალში მამაცი ოფიცრის ტყვეობისაგან მხოლოდ ლაჩრულმა ბოდიშმა იხსნა.

ნიშანდობლივია, რომ არც უმაღლეს მთავრობას და არც უწმიდეს სინოდს გაბრიელის გარდაცვალების გამო არავითარი სამძიმრის დეპეშა არ გაუგზავნია. ამის თაობაზე „ივერია" შენიშნავდა: „— რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ტფილისის აგენტმა ხომ ჩვეულებრივად არ სცნო ქართველთ საეალალო საქმე საყურადღებოდ" (ივერია, 1896 წ., №29.).

ბიუროკრატიული, განაპირა ერების მოძულე მეფის მთავრობა, ცხადია, დიდად არ შეიცხადებდა იმ ადამიანის სიკვდილს, ვინც, დ. კლდიაშვილის სიტყვით, მედგარ „წინააღმდეგობას უწევდა უმაღლეს მთავრობას, რომელიც ასე რყვნიდა ქართულ ეკლესიას და ყველაფერს".

* * *

დავუბრუნდეთ ისევ „ივერიის" სელმოუწერელ სტატიას.

წერილის ავტორის გამოცნობა, ცხადია, არ გამხდარა თაესატეხი, ილიას წერის მანერისათვის დამახასიათებელი უტყუარი ნიშნებით იგი თეითონვე მიუთითებდა დამწერის ვინაობაზე.

პირველ რიგში. ეს ენიშნაო ხონელსა და „კავკაზის" რედაქტორს, რომელსაც თარჯიმნებმა „მიუთვალეს" ილიას სათქმელი.

ცოფმორეული ხონელი აქეთ ეცა, იქით ეცა და ბოლოს „კვალის" რედაქციის საშუალებით ღია წერილით მიმართა ილია ჭავჭავაძეს.

„ღია წერილი ბ. ილია ჭავჭავაძისადმი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

„ივერიის" №-29 და 32 ნომერში თქვენ დასტამბეთ რამდენიმე წერილი, რომელშიაც ჭშვერი სიტყვებით, თქვენი აგრეთ დამასურათებელი ლანძღვა-გინებით შემოიხსენეთ მე და ჩემი ფელეტონი „კავკაზ"-ში, ახლად განსვენებულ გაბრიელ ეპისკოპოსის შესახებ"– („კვალი". 1896 წ., №8.).

* * *

საკვირველია, რომ ილია ჭავჭავაძის ეს შესანიშნავი წერილი დღემდე უყურადღებოდაა მიტოვებული და. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ილია ხონელის საკმაოდ დიდი ხნის წინანდელ განცხადებას, თითქოს სრულიად არაა მითითებული, რომ მისი ავტორი „ივერიის" რედაქტორია და არა სხვა ვინმე.

ამაზე ცხადად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აღნიშნული წერილი ილია ჭავჭავაძის არც ერთ გამოცემაში არაა შესული.

ჩვენ მიერ მითითებული ილიას უსათაურო წერილი კი მრავალმხრივ იმსახურებს ყურადღებას: პირველ რიგში ეს წერილი ერთხელ კიდევ ლაპარაკობს ილიას დიდ პოლემისტურ ნიჭზე; ეს წერილი ნიშანდობლივი დოკუმენტია იმ დიდი მოქალაქეობრივი და პატრიოტული ვალდებულებისა, რომელსაც ილია სიკვდილამდე განუხრელად ემსახურებოდა ქართველი ხალხის ეროვნული ღირსების, მისი სასულიერო შეილების დასაცავად და ასამაღლებლად.

დასახრულ, აღნიშნულმა წერილმა სტიმული მისცა და ხორცი შეასხა იმ ჭეშმარიტად სწორუპოვარ სიტყვას, რომლითაც ილია ჭავჭავაძემ 18% წელს გელათში ღია სამარის წინ განსაცვიფრებელი ძალით გაჰოკეეთა გაბრიელის ისეთი სრულყოფილი მედალიონი, რომელსაც, ილიასავე სიტყვებით რომ ეთქვათ, „არ ვიცით, რომელ მხრიდან დაეუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველი მხრიდან დიდებული სანახაობაა".

დღეს, როცა შთამომაელობისათვის ესოდენ ძვირფასია უკვდავი მწერლის ყოველი უცნობი სტრიქონი, სამართლიანობა მოითხოვს, ილია ჭავჭავაძის მრავალფეროვან პუბლიცისტურ მემკვიდრეობაში აღნიშნულმა წერილმა შესაფერი ადგილი დაიკავოს.

1959 წ.



ილია ჭავჭავაძის და რაჭველის იმიგრაციის
(წარსულის ფურცლებიდან)

ჩვენს რამეტე საუკუნის ბუმბერაზებიდან მხოლოდ აკაკის, და ისიც სიცოცხლის დასასრულ, ერგო ბედნიერება სამშობლო ქვეყნის ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხე — რაჭა-ლეჩხუმი მოენახულებინა.

საკმაოდ, წიწამურის შემსრაველმა ტრაგედიამ ჩაშალა იობა ისაკაძის გულითადი განზრახვა — რაჭაში ერთდროულად მიეწვია ჩვენი სიტყვაკაზმული მწერლობის ორი ხატება — ილია და აკაკი, მათი ღვთაებრივი შარავანდედი გადაეფინა იქაურობა-სათვის.

ვინ იცის, რამდენი რამ შეემატებოდა ილიას ეთნოგრაფიულ ცნობისმოყვარეობას, რამდენი რამ დამატებით მოექცეოდა მისი ისედაც უკიდეგანო თვალთახედვის არეში.

მაგრამ მშობლიური ენის ფიქრთამპყრობელმა, რომელსაც ერთი თანამებრძოლის მოხდენილი გამოთქმით „საქართველოს მაჯა ხელთ ეპყრა", ისედაც კარგად იცოდა რაჭის გეოგრაფიული მდებარეობა, მკვიდრთა ზნე-ჩვეულებანი, ეკონომიკური და სულიერი საწადელი. რომ აღარაფერი ვთქვათ ვახუშტი ბატონიშვილის ფუძემდებლურ ნაშრომებზე, მოგზაურთა თუ ეთნოგრაფთა ჩანაწერებზე, ილია რაჭის შესახებ დიდძალ მასალას გაეცნობოდა პერიოდულ პრესაში, კერძოდ, „ივერიის" ფურცლებზე, რომლის რედაქტორიც თვითონ ბრძანდებოდა.

ანდა ქართული ფოლკლორის უბადლო მესაიდუმლე განა ვერ გაშიფრავდა სოფლიდან სოფელში მოხეტიალე ფარახელი მესტვირის გაპაექრებას საწუთროსთან, მის მწარე ჩივილსა და სამდურავს თავის ბედშავობაზე.

თუ ამას დაეუმატებთ იმასაც, რომ ილია ბევრ რაჭველს პირადად იცნობდა, დამეთანხმებით: გულთამხილავ ბრძენს არ გაუჭირდებოდა. გონების თვალით წაეკითხა რაჭველთა სულისა და გულის მოძრაობა, შეუმცდარად ამოეცნო. რა ტკივილით მტკივნეულობდა მშობელი ქვეყნის ეს კუთხე.

როგორც ირკვევა, ილიას ჭაბუკობიდანვე უძგერდა გული რაჭისა და რაჭველებისადმი სიყვარულით. ვის არ ახსოვს „გლახის ნაამბობიდან" უკეთილშობილესი ჭაბუკის, რაჭველი გლახუკას პორტრეტი. პირველად მან გაუთბო გული ჭეშმარიტი ადამიანური სიყვარულით მოთხრობის ცენტრალურ პერსონაჟს, ბატონყმური კირთების ქვეშ გათელილ ყმას — გაბრიელს. გლახუკას გასხსნილი გონებისა და მოწყალე გულის გამოსხივებით ეზიარა იგი ქართულ ზღაპრებს, ჩაიხედა სიბრძნისა და სნეობრივი საუნჯის უძირო მორევში — „ვეფხისტყაოსანში". ანდა ესოდენ დიდი პუმანიზმით გამთბარი ლექსი — „მუშა"– განა ლუკმა-პურისათვის საშოვარზე გადმოხვეწილი რაჭველი გლეხკაცი სოციალური ტკივილების პოეტური უკუფენა არაა? ამაზე ჯერ კიდევ 60-იან წლებში მიუთითა ნიკო ნიკოლაძემ „კოლოკოლის" ფურცლებზე, როცა თქვა: უმეტესობა თბილისელი მუშებისა რაჭველი გლეხები არიანო.

ქართველთა დიდი მოამაგის მზერა სიკვდილამდე არ მოშორებია სამშობლო ქვეყნის არც ერთ კუთხე-კუნჭულს. როცა კახეთში, ქართლში, იმერეთში, სამეგრელოსა თუ

გურიაში რაიმე ძნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ კულტურული მოვლენა მოხდებოდა, ეროიანი საქართველოს ტრფიალი ან ფიზიკურად გაჩნდებოდა იქ, ანდა გარემოების შესაფერისად თავისი ფოლადის კალამს ხან ლომის ბრჭყალებს შეასხამდა, ხანაც ბულბულის ნისკარტით აგალობებდა. გაიხსენეთ ილიას ჩასვლა სამეგრელოში ანდა მისი მრისხანე გამოხმაურება ალიხანოვ-აავარსკის მიმართ, რომელიც გურიის ახალგაზრდა ემზადებოდა.

ვაჟას თქმისა არ იყოს, ეინ არ დაუგდებდა ყურს ასეთ ბრძენკაცს, ეინ არ მიიღებდა სამოქმედოდ მის ჭკუადამჯდარ რჩევა-დარიგებას.

და აი, გასული საუკუნის 80-იან წლებში დიდი ილია შეუშფოთებია ერთ საგულისხმო ეკონომიკურ და სოციალურ ფაქტორს, რასაც თავი უჩენია ზემო რაჭაში და რის თაობაზე საგანგებო წერილიც კი დაუწერია, სახელწოდებით — „იმიგრაცია საქართველოდან", (იხ. „იეერია", 1886 წ., №214. თხზულებათა სრული კრებული, 1957 წ., ტ. VIII, გვ. 301).

საქმე ეხება რაჭიდან გლეხობის ერთი ნაწილის აყრას და მის გადაადგილებას სამშობლოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ, ალაგირში (ჩრდილოეთ კაკასიაში, თერგის ოლქში).

ამ მტკიენეული მოვლენით დაინტერესებული ილია გულმოდგინედ ეძებს მიზეზებს იმისას, თუ რამ შეიძლება აიძულოს ადამიანი, ფეხი აიდგას იმ ადგილიდან, „საცა დაბადებულა, საცა უმოქმედია, ოფლი და სისხლი უღვრია მამა-პაპასა. საცა ულოცნიათ, უჭირნახულიათ, ულხენიათ და დასასრულ, საცა დამარხულან. საცა ყოველივე ეს იმისთანა ზნეობრიეს კუთვნილებას შეადგენს ადამიანისას, რომლის დაკარგეა, რომელზედაც ხელის აღება ჩვენის გლეხკაცისა თუ კეთილშობილისათეის ხორციელ სიკვდილზედ ნაკლები აღარ არის".

კითხულობთ ციტირებულ სტრიქონებს და უნებლიეთ გიპყრობთ ფიქრი ილიას წერის მანერაზე, მისი ლოგიკის ძალაზე, ორატორულ წიაღსელაზე, სულიერ მღელვარებაზე, შინაგან დაძაბულობაზე.

ყველაფერი ეს ერთ გამადაა შეკრული. სატკივრის ესოდენ ღონიერად და გულისშემძვრელად გამოთქმა მხოლოდ ხალხის ისეთ ჭირისუფალს შეეძლო, „ვინც რომ თავის სამშობლო თეით ღმერთზე მეტად იწამა" (ვაჟა).

სტატისტიკური მონაცემების გულმოდგინედ შესწავლის საფუძველზე ერის მოამაგე ადვილად მიდის იმ დასკვნამდე, რომ ამ მომაკედინებელი ბიძგის სათავე სახნავ-სათესი მიწების ნაკლებობაში უნდა ეეძიოთ. ცხოვრებისეული ლოგიკის ძალით ილია ირწმუნება, რომ არავითარ სხვა ფაქტორს არ შეუძლია კაცს გული აუყაროს მამაპაპეულ სამკვიდრებელზე გარდა ხორციელი დამჭლეებისა და კარებთნ ატუზული სიკვდილის შავი აჩრდილისა.

მოვუსმინოთ წერილის ავტორს:

„ჩვენებური მკვიდრი ყოველგვარ უბედურებას გაუძლებს, ყოველგვარ უბედურებას აიტანს მარტო იმ ყოველადშემძლებლის გრძნობის ძალით, რომელსაც სამშობლო ადგილის და ბინის სიყვარულს ეძახიან, ამიტომ, რომ სხვა ყოველს უბედურებას სული ებრძვის და შიმშილს კი მარტო ხორცი, რომლის გაძლებას და მოთმინებას ბუნებითვე



აქეს დადებული საზღვარი, და მიტომ უღონოა ამგვარის ჭიდილისათვის, როცა სიცოტავე ადგილ-მამულისა ეელარ უძლებება ხალხს, როცა ეელარ ჰყოფნის, მაშინ სხვა რა გზაა, თუ არა აყრა და სხვაგან ძებნა ახალის ბედისა".

წერილის მომდევნო აბზაცებში ავტორს მოჰყავს დამაჯერებელი სტატისტიკური მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენი კომლი გადასახლებულა რაჭიდან ჩრდილოეთ კავკასიაში 1879 წლიდან და რა ეკონომიკური ფაქტორები ასდევნენ გაელენას ამ გადასახლებაზე.

ილია წერს: „ზემო რაჭაში ერთი ქცევა (900 ოთხკუთხი საჟენია) სახახლის ადგილი 100-200 მანეთამდე ჰფასობს, ონში — 500-1000 მანეთამდე, ნაფუზარი 100-220 მანეთამდეა და ისე სახნაეი 40-100 მანეთამდე". ითეალისწინებს რა გლეხობისათვის მიუწედომელ ფასებს, ილია გულისტკივილით, მთელი იურიდიული მართლმსაჯულებით დაასკვნის: „ამისთანა ფასები პირდაპირ გვანიშნებენ, სად უნდა ეეძიოთ სამუდამო მიზეზი გლეხთა გადასახლებისა რაჭიდან".

საქართველოს მომაელის უძლიერესი ბურჯის — გლეხობის დიდი ქომაგი და ყოველგვარ განსაცდელთა მორევანშე — ილია რაჭიდან იმიგრაციის გაძლიერების შიშს შეუპყრია და ამიტომაც მთელი კატეგორიულობით მოითხოვს. ყველა ღონისძიება ეიხმაროთ, რათა ეს გლეხობა შეეინარჩუნოთ. ამ მხრივ გამოსაეალიც ადვილად მიუგნია მის გამჭრიახ გონებას. ილია მოითხოვს, რაჭეველი კაცის მძლაერმა მარჯვენამ გაკაფოს და მოსაელიან ადგილებად აქციოს ტყეები, რომლებიც. მიუხედავად რაჭის მთაგორიანი მდებარეობისა, საკმაოდ ბევრი მოიპოვებოდა. „ძნელად საჟიქრელია, — წერს ილია, — ამოდენა ტყეები იმისთანა ადგილებზედაც არ იყოს, რომ შესაძლო გახდეს გაიკაფოს, ახლები გამოიღოს და ნაკლებობა სახნავ-სათიბისა ამით შეიეხოს".

ილია ესარჩლება უუფლებო, ბედისანაბარა მიტოეებულ რაჭეულ გლეხკაცობას და სახელმწიფო ქონებათა გაშგეობას შეაგონებს, დაუთმოს მას „დღეს ეერაფერში გამოსარჩენი ტყე". მართალია, ეს შებრძოლება ბუნებასთან დიდ შრომას მოითხოვს, მაგრამ ილია იმედოენებს, რომ „შრომისმოყვარეს და დაუზარელს რაჭეელს რომ ამისი ნება დაუთმოს სახელმწიფო ქონებათა გამგეობამ, ხუთ-ექვს წელიწადში რაჭეელი წალკოტად გადააქცეედა. ამ გზით რაჭეელი იძულებული აღარ იქნება თაეის მკეიდრი ბინა მოშალოს, მაცდურს იმედს ხვალისას მიეცეს და შინეე მოტრიალდება".

ილიას დიდი სურეილია ქართეელი ხალხის ეს მშეენიერი ტომიც მამპაპეულ მიწა-წყალზე მკვიდრობდეს, იქ იბრუნებდეს სულს, იქ მიეგებოს უკეთეს მომავალს, რომლის მაუწყებელი ცისარტყელაც ერის დიდ ქურუმს მოელვარე ფერებით ეხატება.

ამიტომაც დასანანია — დასძენს ილია, — რომ „ეს ღირსეული და საყეარელი ხალხი ჩვენს ქვეყანაში ეერ მოთავსდეს. ჩვენ გამოეკლდეს და სხვაგან დაბინაედეს" (ალსა-

ნიშნავია, რომ ალაგირიდან რაჭველები 1921 წელს მთლიანად დაბრუნდნენ სამშობლოში).

დასასრულ, ილია ეელარ იკაევებს თავს და მისთვის ჩვეული სიმკაცრით იძლევა რაჭველების სრულ დახასიათებას, რომლის მსგავსი ჩვენს სოციოლოგიურ და ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არ გვეგულება.

აი, ეს სტრიქონებიც: „– რაჭველი თავშენახული, შრომისმოყვარე, ფრთხილი, დამზოგველი, გონდერად ხელმოკერილი და ხელღონიერი კაცია და ამ თვისებით ბევრს ჩვენში აღემატება“.

ბედნიერია ის, ვინც ამ სიტყვებს შეიფერებს, სორცს შეასხამს, ფეხს აადგმევინებს და ცხოვრების დიდ გზაზე სამოქმედო პროგრამად გაიხდის.


დროა, ყველამ, და განსაკუთრებით რაჭველების უმრაელესობამ, პირი მშობლიურ სოფლებისაკენ იბრუნოს, მამა-პაპათა სამკვიდრო გააძლიეროს, ჩამქრალი კერა და სუროხვეული სახლი აახმაუროს, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, — იქაურობა წალკოტად გადააქციოს.

ნუ გეავიწყდება ჩვენი ეპოქის ფესვმაგარი პოეტის, გიორგი ლეონიძის სტრიქონები, დიდი გულიდან შთამაგონებლად ამოხეთქილი:

მე მინახია ბევრი ქვეყნები
და ქალაქები ათასეული
მაგრამ სუყველგან მე ხელს მიქნევდა
ჩემი პატარა პატარძეული.

ჩვენც ჩვენი სოფლები გვიქნევენ ხელს– ნუღარ ვაყოვნებთ–

1974 წ.



საქართველოს ისედაც მორთულ-მოკაზმულ მიწა-წყალზე ჩვენი მატერიალური კულტურის უთვალავი ძეგლია მიმობნეული.

ბევრ მათგანს ჟამთა დევნამ და ეერაგი მტრის შეშმუსერელმა ხელმა პირეელქმნილი სახე უცვალა, ბევრიც სავსებით ეოსპო და აღგაეა პირისაგან მიწისა. სოლო ის, რაც ამ სიავეს გადაურჩა და შეობელი მიწის კალთამ დღემდე შეიფარა, ახლაც გეხიბლაეს და ვალმოხდილი წინაპრების ქებათაქებას წარმოგეათქმეეინებს.

უცქერით გრძნობა-გონების ამ მომაჯადოებელ ძეგლებს და გაოცებთ მამა-პაპათა საქმენი საგმირონი, მათი სულიერი და ფიზიკური ძალების კიდე-ვანი. ან როგორ არ ვაქოთ იმათი დაძარღეული მარჯვენა და მოუღალაეი მუხლი, ეინც ეს პიტალო ლოდები ჩვენი სამშობლოს ქარაფებსა და მწვერეალებზე აზიდა! როგორ არ ვადიდოთ ის საქვეყნოდ ცნობილი თუ უსახელო ოსტატები, რომელთა უშრეტმა გენიამ ცივ ქვებს მეტყველი სული ჩაბერა და მრავალსახოვანი ჩუქურთმები ააყღერა!

უდაეოა, ჩვენი ეროენული ხუროთმოძღვრების ეს საეირეელებანი, შრომისა და აზრის ეს ულეეელი საგანძური მთელი ქართველი ხალხის შემოქმედებითი გენიის უკუეეა. და ის, რაც ხალხმა შექმნა, ცხადია, ხალხმაეე უნდა დაიცვას და გააპატიოსნოს.

ახლა, როცა კულტურის ძეგლთა დაცვა საყოველთაო სახალხო საქმედ იქცა, საკმარისი როდია. მარტოოდენ ამ ძეგლთა აღრიცხვა-გამოელინებით დაეკმაყოფილდეთ.

დროა, საქართველოს მიწაზე და მის გარეთ მიმობნეული ყოველი მნიშენელოვანი ძეგლი ამაეე დროს კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისითაც იქნას შესწაელილი, რომ მომავალმა თაობებმა კიდეე უფრო ხმამაღლა ისმინონ „ქვათა ღაღადი".

ჩვენც სწორედ ამ მიზნით გეწადია ვესაუბროთ მკითხველს ქეითა და ჩუქურთმით დაწერილ „ქართლის ცხოვრების" ერთ-ერთ საკმაოდ ძეელ ძეგლზე, მრავალძალის წმ. გიორგის ტაძარზე.

ვისაც ერთხელ მაინც ჰქონია ბედნიერება მოწმენდილ ამინდში ლეჩხუმის ან ნაქერალას გზით რაჭას სწვეოდა, შეუძლებელია მისი თვალი შორიდანეე არ მიეზიდა ცის მახლობლად, მაღალი მწვერეალებიდან ყელმოღერებული გედიეით თეთრად გადმომზირალ მრავალძალის ეკლესიას.

ეს ისტორიული ტაძარი ონის რაიონში, სოფ. მთისკალთაში (უწინ მრავალძალი) მდებარეობს, ზღვის დონიდან 2000 მეტრის სიმაღლეზე.

არანაკლებ პოეტური განწყობილება აღგეძერებათ, როცა ამ ეკლესიის მაღალი სამრეკლოდან გადასცქერით რაჭა-ლეჩხუმის მომხიბლავ ხედს, მშფოთეარე რიონის თვალუწედენელ ხეობას.

მზეზე ეერცხლისფრად აელეარებული რიონი თითქოს უძრაეად წეეს თაეის კალაპოტში და მარადიული ძილი მორეეიათ ტალღებს, რომელნიც სინამდვილეში თავბრუდამხვეეი სიჩქარით მიექანებიან შავი ზღვისაკენ.

მრავალძალის ტაძრის კალთებიდან პორიზონტამდე გადაშლილმა ამ მომაჯადოე-

ბელმა პანორამამ ბევრ სტუმარსა და მოგზაურს მოაგეარა აღტაცება.

მაგრამ მარტო გარეგანი სილამაზით როდი იწონებს თავს ეს ტაძარი და მისი შემოგარენი. იგი მრავალი ისტორიული განსაცდელის, ჭირისა და ლხინის უტყეო მოწამეც გახლავთ.

***

გადმოცემით სოფ. მრავალძალში (ახლანდელი მთისკალთა) უძველესი დროიდან ყოფილა მონასტერი, სადაც შაად შემოხილი ბერები ფსალმუნის კითხვასა და გაბმულ ლოცვა-ვედრებაში ატარებდნენ წუთისოფლის ერთფეროვან დღეებს.

მაგრამ მათი თაედაპირველი ადგილსამყოფელი დღევანდელი სოფლიდან დაახლოებით 3 კილომეტრით ყოფილა დაშორებული. ჭოლეეის კლდის დაბოლოებასთან, „ჭიქის ტბის“ ზეით, ახლაცაა ქვის შენობათა ხავსმოდებული ნანგრეეები, რომელთაც ხალხი „ნაეკლესიევს“ უწოდებს.

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ არაბების ბატონობის ხანაში, რაღაც მიზეზის გამო, ბერები აქედან აყრილან და უფრო ფართო სამონასტრო ცხოერება გაუჩაღებიათ იქ, სადაც ახლა კვინწიხის გორის უბე-კალთებზე მრავალძალის შესანიშნაეი ტაძარია აღმართული.

აღსანიშნავია, რომ ეს ადგილი მთიანი რაჭის იმ ზონას მიეკუთენება, რომლის გეოგრაფიულ მდებარეობასაც ვახუშტი ასეთი სიტყეებით გეაცნობს: „ფრიად მაგარი მთითა, კალთითა, ხრამითა, ხეეთა და ტყითა, შეუეალი გარე ეტრისაგან“.

ადვილი წარმოსადგენია, რა იქნებოდა ეს ადგილი შორეულ წარსულში, როცა ეველური ბუნება იდუმალ მყუდროებას ინარჩუნებდა და პირვანდელი სიქალწულით ჰშეენოდა. უდავოა, ასეთი მიყრუებული და თაეისებური გარემო მყუდრო საეანე იქნებოდა განმარტოების მოყვარე ბერებისათეის.

საინტერესოა, რომ სწორედ აქ, ბუნების ამ მეტად მკაცრ სამეფოში, გადმოცემით, ოდესღაც თაეი შეუფარებია ჯან-ღონით აღსაეს ეაჟკაცს, რომელსაც სოციალური უსამართლობის ნიადაგზე რაღაც უბედურება შემთხვეეია. სათნოებით აღსაეს ბერებს ლტოლვილი მამაშეილურად მიუღიათ და ყოველგეარად ხელი შეუწყეიათ, რაცა ოჯახს მოაკიდებოდა. გადმოცემით, მისი განშტოებიდან წარმომდგარა დღევანდელი სოფლის ძირითად მკვიდრთა გეარი — სხვრტლაძე.

მრავალძალში რომ უხსოეარი დროიდან მონასტერი ყოფილა, ზეპირგადმოცემისა და ანგარიშგასაწევი ტოპონიმიკური მონაცემების გარდა, ისტორიული საბუთებითაც დასტურდება.

ჩეენ მიერ ახლახან მიკვლეულ ერთ-ერთ სიგელ-გუჯარში, რომელიც იმერეთის მეფის სოლომონ II და მისი მეუღლის მარიამ დედოფლის მიერაა გაცემული და 1804 წელს დიდი რიტორის სოლომონ ლიონიძის ხელითაა დაწერილი, გარკეეით ეკითხულობთ:

„ჩეენ კეთილმსახურებით მორწმუნენი და დამსდებელნი სასოებისა ჩეენისანი, მრავალძალსა და საკეირველთ მოქმედსა ხატსა შენსა ზედა, მპყრობელი სრულიად იმერეთისა დაეითიან ბაგრატოანი მეფე იმერთა სოლომონ, და თანამეცხედრე ჩეენი და-

დიანის ასული დედუფალი მარიამ, გიძღვნით ღ(ვთ)ისა ამას სასოებით სასხენებლად და განსაძლიერებლად ჩვენდა, და საოხად სულისა და ცხოვრებისა ჩვენისა წარმართებად კეთილდღეობით: ესრეთ რომელ წმინდა და სასწაულმოქმედი ეკლესია შენი იყო ძველთაგან მონასტერ წმინდა საკრებულო, სადა იგი აწცა იხილვებიან ქვაბნი სადაყუდებულონი და ცელილებისგან დაუწყნარებელთა დროთასა შექმნილიყო საერისკაცოდ" (სა:ქ. სახ. მუზეუმი, ხელნაწერთა განყოფილება, Ad 7234.).

მრავალძალში მონასტრის არსებობას ისიც ადასტურებს, რომ ეკლესიის მიდამოებში ახლაც შეინიშნება სენაკების და ბერებისათვის განკუთვნილი სამარხის კვალი, ე. წ. საძვალე.

ამჟამად ძნელია გადაჭრით ითქვას, თუ რომელი საუკუნიდან ჩაეყარა საფუძველი მრავალძალის მიწა-წყალზე სამონასტრო ცხოვრებას ან რა სახისა და მასშტაბის იყო მოქმედების არე. უცილობლად მხოლოდ ის უნდა მივიჩნიოთ, რომ მრავალძალში ბერებისავე ინიციატივით და უშუალო მონაწილეობით აგებულა ე. წ. მონასტრის საკრებულო ტაძარი, რომელიც თავიდანვე წმინდა გიორგის სახელობაზე წოდებულა.

საფიქრებელი და დასაშვებია, რომ თავისი დროისათვის ამ სერიოზული საქმის წამომწყები რომელიმე მეფეც იქნებოდა, მაგრამ ამის საბუთი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება.

რაც შეეხება ტაძრის მშენებლობის საქმეში ბერების განსაკუთრებულ დამსახურებას, ამის უტყუარი ნიშნები, ჩვენი აზრით, თვითონ შენობის ნაგებობაშიც გამოკრთის. მართლაც, რატომ არ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ეკლესიის კედლებზე ამოკვეთილი წარწერა: „წმინდაო გიორგი, შეიწყალენ კეთილად მოღვაწენი ამის ეკლესიისანი", ან კიდევ: „წმინდაო გიორგი, მეოხ ეყავ სულსა იოვანესა" იქ მოღვაწე ბერების სულის სათხოვარს უფრო შეიცავს, ვიდრე ტაძრის მშენებელი საერო პირების მუდარას.

საკითხი, თუ სახელდობრ რომელ საუკუნეშია აგებული ეს ტაძარი, ვფიქრობთ, უახლოეს დროში გასწდება სპეციალისტების მსჯელობის საგანი. ერთ-ერთ საეკლესიო დოკუმენტში რომელიც 1879 წლითაა დათარიღებული, მხოლოდ ასეთ ზოგად ცნობას ეკითხულობთ: „ეკლესია ქვითკირისაა, სახელსა ზედა წმინდის გიორგისა. აღშენებულ არს უხსოვარ დროშიდ".

აკადემიკოს ბროსეს მიაჩნია, რომ აღნიშნული ეკლესია X საუკუნის ძეგლია. დ. ბაქრაძე და პ. უვაროვა თავს იკავებენ აშენების თარიღის დადგენაზე, ხოლო ისტორიკოსი გ. ბოჭორიძე, რომელმაც საბჭოთა პერიოდში შედარებით ყველაზე უფრო გულდასმით შეისწავლა ეს ძეგლი და მის მიერ თავმოყრილი მონაცემებით აკადემიკოსები ივ. ჯავახიშვილი და გ. ჩუბინიშვილი დაინტერესა, თავის მხრივ ასკვნის: „ეკლესიის აღმოსავლეთ და სამხრეთ კედლის წარწერები და ქანდაკებები ეკუთვნის XI საუკუნეს: ძველი ეკლესიაც ამავე ხანებში უნდა ყოფილიყო აშენებული" (გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები. საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. 8, 1935 წ., გვ. 304.).

თუ დიდი ერუდიტის, აკადემიკოს ბროსეს ამ დასკვნას ანგარიშს გაეუწევთ, უნდა ვიფარაუდოთ, რომ მრავალძალის წმ. გიორგის ტაძარი დაახლოებით X—XI საუკუნეთა ზღვარზე უნდა იყოს აგებული.

***

მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიას უძველესი დროიდანვე დიდძალი ხალხი ეტა-



ნებოდა, ისისი სახელი ძალზე შორს იყო გაიაზრებული. საქართველოს რომელი კუთხიდან არ სახალხო ეპოსით აქ რელიგიურ დღესასწაულსა და დღეობებზე ღამისსათევად მოსულან. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ თავის დროზე მთელ დასავლეთ საქართველოში მისი „გაელენის ძალას" და „აეტორიტეტს" ძნელად თუ შეედრებოდა სხვა რომელიმე საკულტო დაწესებულება.

ამ ეკლესიისადმი საყოველთაო პატივისცემა და მოკრძალება ადვილი ახახსნელი იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ისტორიულად საერთოდ ქართველი ხალხის რწმენაში წმინდა გიორგის წარმართობისდროინდელი მთავარი ღვთაების — მთვარის ადგილი ეკავა.

აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის განმარტებით, „ქართველი ერის სარწმუნოებრივ წარმოდგენაში უფროსობითა და ძლიერებით პირველი ადგილი წმ. გიორგის უკავია, მეორე ღმერთს — შემოქმედს, მესამე — ელიას" (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928 წ., გვ. 44.).

ჩამოთვლის რა წმინდა გიორგის სახელობაზე აშენებულ ტაძრებს დასავლეთ საქართველოში, გამოჩენილ მეცნიერს მათ რიცხვში მოხსენებული აქვს სახელგანთქმული „მრავალძალის წმინდა გიორგი სასწაულთ-მოქმედნი ჯვარითურთ" (უნდა იყოს: „სასწაულთმოქმედიანი ხატითურთ". —ს. ს.).

ამ ეკლესიის საკულტო გავლენის მასშტაბზე კარგად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ ონის რაიონში შემავალ სოფელ სორის საკმაოდ ძველი „ჯვარცმის მონასტერი" (XIII საუკ.) მის სახელობაზე ყოფილა აგებული.

ეს გარემოება არც აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს გამოპარვია, როცა წერს: „რაჭის მაზრაში, სოფ. სორს არის „ჯაჭვის მონასტერი" მრავალძალის წმინდა გიორგის სახელობაზე" (იქვე, გვ. 50.).

ფრიად საყურადღებოა, რომ აღნიშნული მონასტრის (ცნობა მონასტრის სახელწოდებაზე შეცდომით მიუწოდებიათ აკად. ჯავახიშვილისათვის. უნდა იყოს არა „ჯაჭვის მონასტერი", არამედ „ჯვარცმის მონასტერი".) ჩრდილოეთ კედელზე მოხატულია უცნობი თავადი, რომელიც მუხლმოდრეკილი მფარველობას ეშუდარება უზენაესს. ფრესკის თავზე კი ვკითხულობთ: „წმინდაო გიორგი მრავალძალისაო, მეოხ და მფარველ ექმენ წინაშე ღვთისა ჰარელისძესა-ქველსა". თუ ვის მიმართ აღაელენს ლოცვას ეს რელიგიური გრძნობით შეპყრობილი ადამიანი, ამაზე თვით სორის მკვიდრი, განსვენებული ნესტორ მინდელი შენიშნავს: „Мравалдзали или Бравалдзали - село в южной части Рачинского уезда, с церковью св. Георгия, в которой находится чудотворная его икона" (Н. Миндели, Селение Сори, „Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа", 1894 г., стр. 117.).

მრავალძალის ეკლესიისადმი ერთგვარი კრძალვა და რიდი შემოწირული ხატების წარწერებიდანაც იგრძნობა. წმინდა გიორგის ერთ-ერთ საკმაოდ ძველ ხატზე პროფ. ა. ხახანაშვილს ასეთი წარწერა ამოუკითხავს: „ქ. წმ. გიორგი მრავალძალო, შეიწყალე მონა შენი ულირსი, წინაშე ღვთისა მცველ ექმენ დღესა მას სასჯელისასა მონასა შენსა გიორგის" (Материалы по археологии Кавказа; Выпуск IV, стр. 125.).

ისტორიკოს გ. ბოჭორიძის წაკითხვით მრავალძალის ეკლესიაში დაცულ მე-15 საუკუნის ხატს ასეთი წარწერა აქონია: „წმინდაო მრავალძალო ფარახეთისაო, შეოხ და მფარველ ექმენ ხეცსა ფარახეთსა ღუთის წინაშე“.

ასეთი „ძლიერების“ გამო მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიას ანგარიშს უწევდნენ არა მარტო უბრალო ადამიანები, არამედ მეფეებიც. კერძოდ, ამ ეკლესიას დიდი მაცედრებლები და გულშემატკივრები ჰყოლია იმერეთის მეფეების სახით, რომელთა სამეფოშიც იგი კელაე მოქცეულა რაჭის ურჩი ერისთაების როსტომის საერისთაოს განადგურების შემდეგ.

სოლომონ მეორის მიერ მრავალძალის ეკლესიის სახელზე გაცემული ერთ-ერთი ხიცელი გვაუწყებს, რომ მის სახელოვან ბიძას სოლომონ I-ის სიკეთილის გამო ვერარ განუხორციელებია თავისი გადაწყვეტილება, „რითამცა დაეღგინა ეკლესიასა მას ზედა წინამძღვარი“. ამავე სიგელიდან ჩანს, რომ სოლომონ I-ს ამ ეკლესიისათვის დაუბრუნებია „ძველად შეწირულნი მის ეკლესიისადმი და ჟამთა ეითარებისგან გაბნეულნი ოთხი გლეხნი მთის მოსახლენი პეტრიაშვილები და ოთხი ამბროლაურს ტაბუცაძენი“.

აღნიშნული ეკლესიისადმი მოკრძალება და სასოება არ შეუნელებიათ არც სოლომონ მეორეს და არც მის სამეფო კარის მსახურთ. კერძოდ, სოლომონ II-ს 1804 წელს მრავალძალის ეკლესიაზე არქიმანდრიტად გაუწესებია ჯერ არსენიოზ გამყრელიძე, ხოლო შემდეგ ეს ეკლესია დაუქვემდებარებია ჯრუჭის მიტროპოლიტ დავით წერეთლისათვის.

სხვათა შორის, დავით მიტროპოლიტთან ხანგრძლივი ბრძოლა აქონია სოფ. მრავალძალის მკვიდრს გიორხუცესს (იგივე გიორგი სხირტლაძეს), რომელსაც სხირტლაძეების ერთი ნაწილი, როგორც იქნა, გამოუსხნია საჩხერელი წერეთლების ბატონობისაგან.

აღსანიშნავია, რომ მრავალძალის ეკლესიას „ხარჯს, ე. ი. საზედაშო და სასეფისკეროს, აძლევდნენ სოფლები: სარეკი, ბარი, კრიხი და კვაცხუთი, კომლზე თითო თუნგ ღვინოს და თითო ლიტრა პურის ხორბალს“ („ივერია“, 1894 წ., №42.).

მრავალძალის ეკლესიაში ლოცვა-კურთხევის მიღება, იქ ჯვარის დაწერა თუ სხვა სარიტუალო ცერემონიალში მონაწილეობა ყველას ესახელებოდა, ყველას რაღაც რომანტიკულ ოცნებად ჰქონდა გადაქცეული.

მაგრამ ცალმხრივობა იქნებოდა, თუ ვიტყოდით, რომ აღნიშნულ ტაძარში მხოლოდ და მხოლოდ წმინდა რელიგიური მიზნებით მიედინებოდა ხალხი. ეს ეკლესია თავისი დროისათვის გარკვეულ საყოფაცხოვრებო დანიშნულებასაც ასრულებდა.

აქ გამართულ დღეობებში, რომელსაც ძველქართული ხადილის სახე ჰქონდა, საუკუნეთა მანძილზე იჭედებოდა და ყალიბდებოდა რაჭველი ხალხის ზნე-ჩვეულებანი, მისი ეთნოგრაფიული თავისებურებანი.

***

მრავალძალის ტაძრის თაყდაპირველი ნაგებობისათვის გამოყენებულია მოყვითალო და იისფერი სპონდიოს ქვები, რომელნიც ფერთა საუცხოო გამას ქმნიან.

ამ ეკლესიის ადგილმდებარეობასა და მასში დაცულ ნიეთების შესახებ ყველაზე

სარწმუნო ცნობებს გვაწვდის ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი თავის კაპიტალურ ნაშრომში – „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. იქ 159-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ამავე ბარის წყალს ზეით არის მთაში მრავალძალის ეკლესია წმინდა გიორგისა და ჯვარი დიდი ოქროსი, სასწაულთმოქმედი. ამას შესწირა შაბაზ I ხრმალი ოქროთ მოჭედილი, აწცა ძეს მუნ, არა თუ სარწმუნოებით, არამედ სცნან რამეთუ ხმალი მისი პკიდაეს მუნ“.

ვახუშტის ამ საინტერესო ცნობაში განცვიფრებას იწვევს ის ფაქტი, რომ მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიისათვის საკუთარი ხმალი შეუწირავს ჩვენს უბოროტეს მტერს, ქართველთა სისხლით განბანილ მტარვალს, შაჰ-აბაზ I-ს.

ეხება რა შაჰისეული ხმლის ისტორიას, პლატონ იოსელიანი წერს: „შაჰ აბასმა შენიშნა, რომ ლუარსაბ მეფის ბედის შესახებ მოლაპარაკების დროს (რაც ქ. გორში მიმდინარეობდა. —ს. ს.) იმერეთის ელჩები აფიცებდნენ გიორგი საakაძეს წმ. გიორგის სახელით და მისი სასწაულმოქმედი ხატით იმერეთის დაბა მრავალძალში, რომელიც იმერლების უდიდესი სათაყვანებელი სალოცავი იყო. შეიტყო რა, შაჰმა გადასცა იმერეთის დიდებულებს მდიდრულად შემკული თავისი ხმალი, საჩუქრად მათ მიერ თაყვანცემული ტაძრისათვის და სთხოვა, ეს საჩუქარი ტაძრის კედელზე დაეკიდათ.

– ეს ხმალი 1745 წელშიც ხსენებულ ეკლესიაში იყო. არ ვიცი ახლაც იქვე არის თუ არა“ (პლ. იოსელიანი, დიდი მოურავის ცხოვრება (რუსულ ენაზე), 1848 წ., გვ. 47.).

ვახუშტის და პლ. იოსელიანის ზემოთ მითითებულ ცნობებზე დაყრდნობით, ცნობილი სამხედრო ისტორიკოსი ვ. პოტტოც აღნიშნავს, რომ ეს ხმალი შაჰს იმერეთის დიდებულთათვის გადაუცია და თანაც უთხოვნია, „თავისი ძვირფასი ხმალი, როგორც საჩუქარი, მრავალძალის წმ. გიორგის ეკლესიის კედელზე დაეკიდათ“ (ე. პოტტო, საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, 1894 წ., გვ. 37.).

***

აკადემიკოს მარი ბროსეს, რომელმაც რაჭის შესანიშნავი ძეგლები 1848 წელს მოინახულა, აღტაცება მოუგვარა მრავალძალის ტაძარმა.

გამოჩენილმა ქართველოლოგმა საკუთარი თვალით ნახა და დაამოწმა ვახუშტის ზოგიერთი ცნობა ეკლესიაში დაცულ ფასეულობათა შესახებ და თავის მხრივ აღნიშნა, რომ გარდა ოქროთი მოჭედილი ხმლისა, „იქვეა შუბი და ორი ყანწი“.

უფრო გვიან, 90-იან წლებში პ. უვაროვასაც ინტერესით დაუთვალიერებია ეს მართლაცდა იშვიათი ქარასხები. თავის აღწერილობაში იგი შენიშნავს, რომ სხვა განძეულობასთან ერთად მნახველთა ყურადღებას იპყრობს „два огромных рога для питья в серебрянной гладкой оправе“.

ამავე ყანწების შესახებ 1894 წლის „ივერიაში“ (№43) ვკითხულობთ: „ყანწები ფერად წითელის სისხლივით არის– ყანწებში ჩადის თითოში თითქმის თითო თუნგი“.

გადმოცემით, ეს ყანწები იმ ლეგენდარული ხარისა და ძროხის რქებია (ერთი — ხარისა და ერთიც — ძროხისა) , რომლებიც, ნიშნად მრავალძალის წმ. გიორგისაგან ძლევისა, თითქოს ოსმალებს მსხვერპლად შემოუწირავთ ამავე ეკლესიისათვის.

საყურადღებოა, რომ საქართველოში წმ. გიორგის სახელობაზე აგებული ეკლესიების უმრავლესობა თითქმის ანალოგიური ლეგენდებით იკვებებოდა (მაგ., ილორის და სხვ.).

არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც საკმაოდ დიდი დრო დაჰყო სამეგრელოში, მშვენიერად ხსნის ამ გულუბრყვილო, მაგრამ ქრისტიანული რელიგიისათვის სასარგებლო ლეგენდების სამდეილ არსს. ცნობილ ეთნოგრაფიულ ნაშრომში — „სამეგრელოს აღწერა" იგი წერს: „ნოემბრის ოცს დღესასწაულობენ წმ. გიორგის დღეს. ხალხში ის ცრუმორწმუნეობა არის გავრცელებული, რომ ამ დღეს დიდებული მოწაძე მოიპარაეს არემარეში ხარს და ღამით მოიყვანს ილორის ეკლესიაში, რომელიც მის სახელზე არის აშენებული".

ნამდვილად კი, როგორც იგივე ლამბერტი შენიშნავს:

„წმინდა გიორგის როდი მოჰყავს ეს ხარები, არამედ თვით მეგრელებსა, რომლებიც მოკლე ხანში წაელენ მოსაყვანად და მოიყვანენ კიდეც (ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, 1938 წ. , გვ. 41—44.).

თუ ამ თქმულებებს რელიგიურ საბურველს ავხდით და სხვა თვალსაზრისით ჩაეუკვირდებით, უცნაური არაფერია. თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი ქრისტიანულ რელიგიას სხვა რელიგიებზე მაღლა აყენებდა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით მის უძლეველობას მრავალგვარი ლეგენდით აფერადებდა.

მრავალძალის ტაძარში დაცული ზოგიერთი ნივთის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ისტორიკოსი დ. ბაქრაძე, როდესაც წერს: „Кроме того в Мравалдзалской церкви я видел железную корону в виде шапки, неизвестного происхождения" (Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 1875 г., стр. 104.).


უფრო გვიან „ივერიაში" (1894 წ., №42) ვკითხულობთ: „ეკლესიაში ოსმალოს ჯარისკაცთაგან არის შემოწირული უწინდელი მათი გამოჩენილი მეომრის ვებერთელა რკინის ქუდი, ჩაფხუტი და ხმალი, რომელსაც უწოდებენ ხვარასნის ხმალს, აგრეთვე შუბი და სხვა".

როგორც ჩანს, ჩვენს სახელოვან ისტორიკოსს და ამ ცნობის ავტორს იმ ხანებში მიკვლეული არ ჰქონიათ „ამირეჯიბთა გვაროვნებითი სიგელი", რომელიც 1897 წელს თავისი „ქრონიკების" მეორე წიგნში (გვ. 210) გამოაქვეყნა თედო ჟორდანიამ.

ამ სიგელიდან ირკვევა, რომ ეს საომარი ნივთები პირადი საკუთრება ყოფილა ხვარაზმის სულთანის ჯალალედინისა, რომელიც იმერეთის საზღვარზე სასტიკად დაუმარცხებია ამერეთიდან გადახვეწილ რუსუდან მეფეს (თამარის შვილს) და მის ჯარებს.

დასახელებულ ამირეჯიბთა სიგელში ვკითხულობთ: „შევსწირეთ ოდეს წარგჴინა თჳთ და ამისად რუსუდან მეფემან (+1245 წ.) ლაშქარსა სპარსისა და გაგუმარჯჳა: მინდორს შევიბენით და ამოვსწყჳდეთ, მოვართჳთ დროშა და თაჯი თჳთვან მაღლისა სულთანისა და გჳყო წყალობა და გჳბოძა ჯილდოდ, რაც ვიაჯეთ".

ფრიად საყურადღებოა, რომ ეს თაჯი, ე. ი. რკინის საომარი ქუდი, ნიშნად მტერზე გამარჯვებისა მაშინვე შეუწირავთ მთელ იმერეთში სახელგანთქმული მრავალძალის მონასტრისათვის. ამის შესახებ იმავე სიგელში ნათქვამია: „— და დროშაცა შევსწირეთ მეხოშნესა (ე. ი. რუსუდან მეფესა — ს. ს.) ჩუცნა, და თაჯი მრავალძალსა".



ჩვენი მხრით უნდა შევნიშნოთ, რომ ამ თავთან ერთად ეკლესიაში ინახებოდა იმაეე ჯალალედინის დროშა და შუბი, რაც სხვა აღწერილობებშიცაა მოხსენებული. საფიქრებელია, რომ ისინი თვით რუსუდან მეფემ შესწირა მრავალძალს, რადგანაც იქ ჯალალედინის ქუდი ეგულებოდა. ტყუილად რიდი იტყვის რუსუდან მეფეზე ლაშა გიორგის მემატიანე: „ხელთა მისთაგან ნაქმარი საყდართა და ეკლესიათა იგზაენებოდა".

ეკლესია განსაკუთრებით მდიდარი ყოფილა სხვადასხვა სახეობისა და ზომის ხატებით. ამაზე პ. უვაროვაც მიუთითებს: „Церковь весьма богата крестами и иконами".

ხატების უმრავლესობა შემკული იყო ფაქიზად შესრულებული მხატვრობით და ძვირფასი თვლებით—„— украшены они каменьями. Тонкая, изящная живопись" ,— დასძენს პ. უვაროვა.

ისტორიკოს ვ. ბოჟორიძის აღწერილობით მრავალძალის ეკლესიის ძვირფას ფასეულობას ძველთაგანვე ამშვენებდა ვერცხლის ბარძიმი და ფეშხუმი, რომელიც 1806 წელს, ამ ეკლესიაზე არქიმანდრიტობის დროს, განუახლებია არსენიოზ გამყრელიძეს.

ეკლესიის სიძველეთა შორის ყოფილა რვალის სარკე, შემკული ადამიანთა და ფრინველთა საუცხოო გამოხატულებებით. აქვე ინახებოდა სხვადასხვა დროს გადაწერილი სახარება-სამოციქულონი, კონდაკები და სხვ. მათში ერია სამაგალითო სელრთვით შესრულებული ეტრატზე დაწერილი „სამოციქულო".

***

ცალკე ყურადღების ღირსია ეკლესიის უძველესი ნაწილის ფრესკული მხატვრობა და რელიეფური გამოსახულებანი.

როგორც ცნობილია, ბროსეს, დიმიტრი ბაქრაძისა და პ. უვაროვას მოგზაურობის დროს მრავალძალის ტაძრის თაღედაირველი ნაგებობა საუცხოო ხელუხლებელი იყო და, ცხადია, კედლის მხატვრობაც შედარებით უფრო სრული სახით იქნებოდა წარმოდგენილი.

ისტორიკოსი დ. ბაქრაძე მრავალძალის ეკლესიის უძველეს მხატვრობის შესახებ წერდა: „Внутри имеется фресковая живопись, между прочим с изображением мученик св. Георгия от Деоклитиана" (Д. Бакрадзе, Кавказ в древних памятниках христианства, 1875 г., стр. 104.)

პ. უვაროვას ძველი, ერთსაუკუნოვანი ეკლესიის კედლებზე შეუნიშნავს ბიბლიური სამყაროს ანარეკლი — ლომისა და ხბოს თაყვანის გამოხატულებანი: „— На западной стороне телец, на северной - лев".

ჩვენამდე შემონახულ საკურთხეველში დაკვირვებულ თვალს ახლაც შეუძლია შეამჩნიოს უძველესი მხატვრობის გადარჩენილი კვალი. კონქში მოჩანს ტახტზე მჯდომარე მაცხოვარი, რომელსაც მარცხენა მუხლზე გაშლილი სახარება უდევს, მარცხენა მხარეს მოხატულია ღვთისმშობელი, მარჯვენე კი იოანე ნათლისმცემელი.

ტაძრის განახლების შემდეგ გადარჩენილი თავდაპირველი რელიეფური გამოსახულებანი მხოლოდ და მხოლოდ აღმოსაყლეთის ფასადსა შემორჩენილი. საგულდაგულოდ გადაბმულ ქვებზე ამოკვეთილია ჯვარცმა, მის ქვემოთ რელიეფური ხატებაა ფეხზე მდგომი ორი პიროვნებისა, რომელთაც სათითაოდ ჯვრიანი კვერთხი უჭირავთ ხელში. რაც შეეხება ზოგიერთ სარკმელს, იგი საკმაოდ ნატიფი ჩუქურთმითაა ნაქსოვნაწნავი.

მრავალძალის ეკლესიის მთელ ისტორიაში ყველაზე დიდი რომანტიკის შემცველია გადმოცემა, თითქოს რაჭაში მოგზაურობის დროს ეს ტაძარი თამარ მეფეს მოუნახულებინოს, იქიდან კი ჯრუჭში გადასულიყოს. საყურადღებოა, რომ ხიხამთაზე იმერეთისკენ მიმავალი გზის ერთ-ერთ ადგილს დღესაც „თამარის ღელე" ეწოდება. ამ გადმოცემის საფუძველზე, აღნიშნულ ეკლესიასთან თამარის ურთიერთობის შესახებ, დ. ბაქრაძე შენიშნავს: „Говорили, что тут сохраняются волосы царицы Тамары" (стр. 104).

შესაძლებელია ამ გადმოცემაში ერთგვარი გაზვიადებაც იყოს, მაგრამ არც იხაა გამორიცხული, რომ ქართველთა მოწყალე დედას — თამარს მრავალძალის სახელგანთქმული ტაძარიც მოუნახულებინოს. განა ტყუილად იტყვის მემატიანე: მან ქებით აღბეჭდა თავის სახელი საქართველოს მთებსა და მდელოზეო.

***

რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ ტაძრის განახლებაზე, მის ისტორიაზე.

მრავალძალის ეკლესიის განახლებისა და გადიდების საქმეს დიდი ამაგი დახდო ზაქარია მღვდლის შვილმა დეკანოზმა მიხეილ სხირტლაძემ. ეს ნაბიჯი მან იმერეთის ეპარქიის ნებართვით გადადგა და სამუშაოთა შესრულებასაც თვითონ ჩაუდგა სათავეში.

როგორც განათლებულ ადამიანს, მიხ. სხირტლაძეს კარგად ესმოდა ძველი შენობის ისტორიული მნიშვნელობა და 1894 წ. „იერიაში" (№92) წერდა: „შეკეთება და გადიდება აღნიშნულის ეკლესიისა არ არის დაწესებული ძველის ეკლესიის დანგრევით და განადგურებით". რა თქმა უნდა, რეკონსტრუქციის პროცესში ბევრი რამ უდაოდ დაიღუპებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ყველაზე ძვირფასი — აღმოსავლეთ ფასადი, საკუთრივ საკურთხეველით, ხელუხლებლად იქნა დატოვებული, რაც მრავალძალის ტაძარს ისტორიულ ღირებულებას უნარჩუნებს. ექვთიმე თაყაიშვილი, რომელმაც 1920 წელს მოინახულა რაჭის სიძველენი და მათ რიცხვში მრავალძალის ტაძარი, წერს: „მრავალძალის ძველი ეკლესია ყოფილა პატარა, თლილი ქვით ნაშენი და ბარელიეფებით და ჩუქურთმებით შემკული. ახალ ეკლესიაში უცვლელად დაუყოლებიათ ძველი ეკლესიის აღმოსავლეთ ნაწილი: ზემოთ — კუთხეებში ჩანს თითო ჯვრი ხმის გამაძლიერებელი".

ასე იყო თუ ისე, 1894 წელს ლაქვარდ სიერცეში თეთრი სვეტით აღიმართა მკვიდრად ნაშენი, ჭოლევის გათლილი ქვით შემოჯავშნილი განასკლებული ტაძარი.

განახლებული ეკლესია, მთელი მისი ფასადები, არსებითად, ქართული საეკლესიო არქიტექტურის იმ სტილითაა დამშვენებული, რომელიც ფეოდალური მონარქიის გაძლიერების ხანაში იყო შემუშავებული.

ფრიად საყურადღებოა, რომ ეკლესიის დასავლეთ ფასადზე, სამრეკლოს ქვემოთ, სწორედ იმ მხარეზე, საითკენაც ხალხი მიედინება, ყველასათვის სათვალთვალოდ სწორუპოვარი ოსტატობითაა გამოქანდაკებული ლეგენდარული ხარისა და ძროსის თავები.



მრავალძალის ტაძრის ძველსა და ახალ, ოსტატურად გადაბმულ არქიტექტურულ კომპლექსში საესებით დაცულია აღგილობრივ მოსახლეობასთან შეხამება. იქმნება შთაბეჭდილება მთელ გარემოზე ტაძრის შეიადი ბატონობისა, თითქოს იგი თაყვის ყველანას უმორჩილებს ირგვლივ შემორტყმულ არემარეს, მთელი რაჭა-ლეჩხუმის ოვალუწვდენელ ხედს, ჭალარა კავკასიონის დაბღილულ ქედებს.

მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ყველაზე დიდი ესთეტიკური სიამოვნების მომნიჭებელია არა მარტო ლამაზად გამონაკვეთული ტაძრის შენობა, არამედ მისი განუმეორებელი გარემო, საიდანაც მნახველს თითქოს „მთელი ქვეყნიერება“ თვალწინ ეშლება.

კიდევ უფრო სიღაპრულ სამოსში ეხვევა ეს არემარე, როცა დღე და ღამე იყრება, როცა ციური მნათობები დაქათქათებენ ჭოლევის კლდეს, ტევრის დაკლაკნილ ვაზებს, ღვინიისა და სურმულის დაბურულ ტყეებს, ცამდე აზიდულ პირწმიდელის მწვერვალს.

„გეჩვენებათ, თითქოს ეარსკვლავთა ხოშლით მოჭედილ ზეცას ხელით მისწვდებით და რომელიმე მოციმციმე პლანეტას მოსტაცებთ.

მრავალძალის წმ. გიორგის ტაძარი, როგორც ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის, მისი ბედისა და უბედობის თანაზიარი, საგანგებო ყურადღების ღირსია.



აკაკი მრავალძალში

(უცნობი ფაქტი პოეტის ცხოვრებიდან)

დიდ ადამიანს ბიოგრაფიაც დიდი და მრავალფეროვანი აქვს. ბიოგრაფიაში, არანაკლებ შემოქმედებისა, სრულად მოჩანს პიროვნების სულიერი ასოვნება, ზნეობრივი და გონებრივი საწადელი.

ერთი და ორი თაობის მიერ გაწეულ შრომას, რაც უნდა გულმოდგინე იყოს იგი, არ ძალუძს, შეაჯეროს და საბოლოოდ შეკრას საქეყნოდ ცნობილი პიროვნების ბიოგრაფიული რკალი. მოლიანი და დასრულებული მედალიონის შექმნა სამდეილად ხანგრძლივ დროს მოითხოვს, იგი მთელი თაობის საპატიო საქმეა.

როგორც წვეთ წყალში გამოსჭნდება მზე, ასევე პატარა, ერთი შესწორებით უმნიშვნელო ფაქტში შეიძლება ბევრი რამ ამოვიკითხოთ, ბევრი რამ გვეცნიშნოს და, რამდენადაც დიდი პიროვნება უკვდავებასთან წილდებული ადამიანია, ისტორიისა და ხალხის კუთვნილებაა, ამდენად ყოველი მისი ნაბიჯი სათვალთვალო და შესასწავლია, რათა არაფერი დაეუკარგოთ შთამომავლობას მისი ცხოვრებიდან თუ გონების ნაჭირნახულევიდან.

* * *

ამ წერილის მიზანია, დღემდე სრულიად უცნობი, მაგრამ საინტერესო ფაქტით კიდევ ერთი ეპიზოდი შეემატოს დიდი ქართველი პოეტის, აკაკი წერეთლის ბიოგრაფიას.

საინტერესოა საკითხი, ყოფილა თუ არა პოეტი რაჭაში 1912 წლის იმ შარავანდედით მოცულ მოგზაურობამდე, რომელმაც თავის დროზე მთელი საქართველო აალაპარაკა.

ამჟამად თვითონ აკაკის ერთ-ერთი წერილიდან საესებით სარწმუნო ხდება, რომ დიდი პოეტი სიყმაწვილეში მოხვედრილა მთიანი რაჭის საკმაოდ მივარდნილ სოფელ მრავალძალში, რომელიც საუკუნეთა მანძილზე ამავე სახელწოდების მონასტრით იყო ცნობილი.

ამ საინტერესო ფაქტის დასახელებას ვერ ეხედებით ვერსად, ვერც აკაკის აეტობიოგრაფიულ ნაწერებში და ვერც პოეტის ცხოვრების მკვლევარის ლევან ასათიანის ნაშრომში — „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“ , მკვლევარი მდიდარი დოკუმენტური მასალის საფუძველზე ვრცლად გვაცნობს აკაკის სიცოცხლის უკანასკნელ წლებს, კერძოდ, რაჭა-ლეჩხუმში განზრახული მოგზაურობის წინასწარ სამზადისს, და წერს: „ის ცდილობდა უკანასკნელი ხანები თავისი ცხოვრებისა ხალხში გაეტარებინა და გასცნობოდა საქართველოს იმ კუთხეებსაც, რომლებიც მანამდე არ ენახა“.

როგორც უკვე ითქვა, აკაკის ერთი წერილიდან, რომელიც პოეტს 1904 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოუქვეყნებია, ეგებულობთ, რომ ის ბაეშვობაში წაუყვანიათ ზემო რაჭაში, მრავალძალის ეკლესიაზე.

შორეულ წარსულში მომხდარი ეს ფაქტი აკაკის გაუხსენებია გელათის ხელმეორედ გაძარცვასთან დაკავშირებით: აღშფოთებულ პოეტს საგულდაგულო ფელეტონიც კი დაუწერია „სამძიმრის“ სახელწოდებით. სამშობლო ქვეყნის დიდი მოჭირნახუ-

ლე ვედარ ფარავს თავის გულისწყრომას იმის გამო, რომ ხალხის სნეობრიები და მატერიალური ფასეულობანი ასე უმოწყალოდ ნიაღდება. პოეტი წყევლა-კრულვით იხსენებს შეორადებულ ავაზაკებს, რომელთაც დღისით-მზისით ხელპყრიეს დიდებული გულადი და იქიდან გაიტაცეს დავით აღმაშენებლის ბეჭედი, თამარის ქოში, შეფეთა გვირგვინები, ოქროჭედილი შესამოსლები და სხვა უძვირფასესი ნივთები. სამარცხვინო ბოძზე აკრავს მძარცველებს_



აი, რას ეკითხულობთ ამის შესახებ დახელებულ „სამძიმარში“: „ჩვენი ძველები და მათის წამსვლურად სხვა რჯულის ტომებიც, საქართველოს მოწაწყალზე დახახლებულნი, ვერ გაბედავდნენ, რომ საქდრიდან, გინდ მარტო ძველი ნანგრევიც-და ყოფილიყო, გალაენიდანაც კი, გამოეტანათ და წაეღოთ, გინდ თვალი და მარგალიტი ყოფილიყო, ისე დიდი იყო მათი სახოება და პატივისცემა_ მას-ბაზმა რომ რაჭაში მრავალძალის მონასტერს ძვირფასი თეღებით შეჭედილი ხმალი შემოსწირა, ის ხუნძუ, ორას-სამასი წლის განმავლობაში, აქვე გარეთ ერთ ნანგრევში ეყუდა და ყერაენ ხელს ვერ ახლებდა ხატის საკუთრებას. იმ შემოსაწირავმა ჩვენ დრომდი მოატანა და მე ჩემს პატარაობაში კიდეც მინახავს ის ძვირფასი ნივთი_ (ხაზგასმა ჩვენია — ს. ს.).

ეს ამონაწერი კომენტარს აღარ საჭიროებს. საესებით უდავო ხდება, რომ აკაკი ჯერ კიდევ პატარაობისას რაჭაში ყოფილა.

მრავალძალში მთელ იმერეთში განთქმული და დიდად პოპულარული სალოცავი ყოფილა. აღსანიშნავია, რომ მრავალძალის ეკლესიას სადიდებლად და სულის საოხად მიმართავდნენ არა მარტო დაბალი წოდების ადამიანები, არამედ სახელოვანი მეფენი და სამეფო კარის მსახურნი. კერძოდ, ამ ტაძრის დიდი თაყვანისმცემელი ყოფილა დედის მხრით აკაკის წინაპარი, სოლომონ I. დასახელებული ეკლესიისადმი არანაკლებ მზრუნველობას იჩენდა სოლომონ მეორეც. ამ ფაქტზე მეტყველებენ სათანადო სიგელ-გუჯრები, რომელთა ერთი ნაწილი ისტორიულ საცავებში ინახება.

უნდა ვიფიქროთ, რომ უდიდესი სასოებით და რიდით იქნებოდა დაკავშირებული მრავალძალის ტაძართან იმერეთის სახელოვან მეფეთა შთამომავალი, დედა პოეტისა — ეკატერინე და, მაშასადამე, მთელი მისი ოჯახი.

ამიტომ გასაგებია თუ რატომ და რისთვის უნდა წაეყვანათ აკაკი მრავალძალის ეკლესიაზე. ეს შედარებით შორეული მგზავრობა მოხდა ან უშუალოდ მშობლების წინასწარი აღთქმით, ანდა პატარა აკაკის სახელზე შეპირებულ შეწირულებასთან დაკავშირებით. ანალოგიურ ამბავს იხსენებს ნიკო ნიკოლაძე მოგონებათა ციკლში — „წარსულიდან“. ბავშვობის წლებში იგი, ავადმყოფ ბაბუასთან ერთად, სარ-ურმით წაუყვანიათ ჩხარის წმინდა გიორგისა და სკანდეს სალოცავზე.

* * *

გარდა იმისა, რომ მრავალძალის მონასტერი (შემდეგში უკვე ეკლესია) თავისი დრო-

ისათვის მთელ იმერეთში სახელგანთქმული სალოცავი ყოფილა. იქ საუკუნეთა განმავლობაში ინახებოდა ისტორიული თვალსაზრისით ღირსშესანიშნავი ნივთები და სხვა ფასეულობანი.

საკმარისია ითქვას, რომ ამ ტაძრის კედელზე, როგორც სიყმაწვილეში ამისი თვითმხილველი დიდი აკაკიც ბრძანებს, მართლაც ეკიდა და ძნახველოა დიდ ინტერესს იწვევდა შაჰ-აბასის შიერ შემოწირული ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ხმალი, რომელიც ეკლესიის ეზოში მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებულ რელიგიურ დღესასწაულებზე გამოჰქონდათ. ცხადია, ამით უნდოდათ, ხალხის წარმოდგენაში მრავალძალის რელიგიური „აეტორიტეტი" აემაღლებინათ. ყველას უნდა შეესვედა და ეგრძნო, როგორ მოახრევინა ქედი „სასწაულმოქმედმა ხატმა" ისეთ ტირანსა და საქრისტიანო ქვეყნების მაოხრებელს, როგორც შაჰ-აბასი იყო.

მაგრამ მარტო ვერაგი შაჰის მომწყელელი მახვილის ხილვა როდი აუძგერებდა გულს აკაკის. მრავალძალის ტაძარში იგი საკუთარი თვალით იხილავდა ჩვენი მიწა-წყლის კიდევ ერთი მაოხრებლის — ჯალალედდინის მუზარადსა და სხვა საომარ იარაღებს, რომლებიც ბრძოლის ველზე დააყრევინეს მომხდურთ ქართველებმა.

ცნობისმოყვარე აკაკის დააინტერესებდა და მოხიბლავდა უძველესი დროის ხატები, სახარება-სამოციქულონი, კონდაკები და სხვ. ეკლესიის ერთ-ერთი აღწერილობის დამოწმებით, მათში გამოირჩეოდა იშვიათი ხელრთვით შესრულებული, ეტრატზე დაწერილი სამოციქულო და ადამიანთა და ცხოველთა გამოსახულებით შემკული რვალის სარკე.

აკაკი არაერთხელ შეაღებდა თვალს ტაძრის ფრესკულ მხატვრობასაც, სადაც წმინდანების გვერდით თუმცა ფერმკრთალად, მაგრამ მაინც შეინიშნებოდა ბიბლიური სამყაროს ანარეკლი.

არანაკლებ ინტერესს აღუძრავდა მეოცნებე ყრმას ეკლესიის ოსტატურად ნატიფი ჩუქურთმები და რელიეფური გამოხატულებანი, კერძოდ — საკურთხეველის უკანა კედელზე დღესაც უცვლელად შემორჩენილი ჯვარცმა.

ახლა ძნელია წარმოდგენა იმისა, თუ რა შთაბეჭდილებებით დატვირთული დაუბრუნდებოდა აკაკი მშობლიურ სხვეტორს. ერთი კი უცილობელია: თუ გავიხსენებთ, რომ მომავალ პოეტს უკვე 10-11 წლის ასაკში, გარდა „ვეფხისტყაოსნისა" გადაკითხული ჰქონდა დ. ჩუბინაშვილის ქრესტომათია და ზეპირგადმოცემით იცოდა მრავალი ტრაგიკული ეპიზოდი ჩვენი ხალხის ისტორიული წარსულისა, მაშინ ეჭვს აღარ უნდა იწვევდეს ისიც, რომ მრავალძალის ეკლესიაზე ნახულ-განცდილს იგი საკმაოდ გაცნობიერებულად აღიქვამდა და დაეწუებასაც ასე ადვილად აღარ მისცემდა. მით უფრო, რომ, ჩვენი ვარაუდით, აკაკი აღნიშნულ ტაძარში გიმნაზიაში შესვლამდე უნდა იყოს მიყვანილი ანდა სწავლების პირველ წლებში: როცა იგი 13-14 წლის ყმაწვილი იქნებოდა.

ადვილი წარმოსადგენია, ოცნებათა რა იალქნებს გააშლევინებდა ისედაც მეოცნებე ყრმას აქედან თვალდაკრული ჭაღარა კავკასიონის ქედები, საიდანაც მონაბერ ნიავს კიდით კიდემდე მიეჩქონდა იქ მიჯაჭვული, ბედთან შერკინებული ამირანის კენესა.

* * *

მრავალძალის ეკლესიაში მიღებული შთაბეჭდილებანი უკვალოდ რომ გაქრა-ლა დიდი პოეტის ცნობიერებიდან.

თავის უკვდავ შემოქმედებაში აკაკიმ არაერთხელ გააცოცხლა და ადიდა ეს ტაძა-რი, ერთი მხრივ, როგორც ქართველი ხალხის ისტორიული განსაცდელის უტყუარი მო-წმე, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც რაღაც „ძლევაშოსილების" სიმბოლო.

მრავალძალის ტაძარმა აკაკის პოეტურ წარმოსახვაში ერთხელ კიდევ გაიელვა მი-სი სიცოცხლის მწუხრზე, 1912 წელს, როცა „დაბერებული ბულბული" რაჭა-ლეჩხუმს ეწვია.

ეის არ წაუკითხავს სტრიქონები პოემიდან — „რაჭა-ლეჩხუმი":

თითქოს ფიქრს უზიარებდა,
ჩემს მოუსვენარ აზრებსა,
„ნიკორწმინდის" და „მრავალძლის"
შეპღალადებდა ტაძრებსა...

ვინ იფიქრებდა, რომ ამ ზღაპრული მოგზაურობიდან რაღაც სამოდე წლის შემდეგ საქართველოს დიდება სამარადისოდ დაიკრეფდა გულზე ხელებს!

1962 წ.



იაკობ გოგებაშვილი და გაბრიელ ქიქოძე

ღიას, საქართველომ დაკარგა უკეთილშობილესი შვილი, რომელიც ფლობდა სულის იშვიათ სიღიადეს, მაგრამ მას შეუძლია თავი იმუდვაროს იმით, რომ მის წრეში ასეთ უაღრესად დახვილდოებულ პიროვნებათა გამოვლინება მისი მომავლის უგულარი საწინდარია.
ი. გოგებაშვილი

მეცხრამეტე საუკუნის ამ ორი შესანიშნავი და მაღალნიჭიერი ქართველის ურთიერთობა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე დამშვენებული იყო მასწავლებლისა და მოსწავლის, აღმზრდელისა და აღზრდილის უსპეტაკესი შარავანდედით.

დიდი ქართველი პედაგოგის უღრმეს პატივისცემას მისი მასწავლებლისადმი ისიც მოწმობდა, რომ თავის სამუშაო ოთახში ყველაზე თვალსაჩინო ადგილს, დიმიტრი ყიფიანის სურათის გვერდით, გაბრიელის გადიდებული პორტრეტი ჰქონდა მოთავსებული.

იაკობ გოგებაშვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე უდიდესი თაყვანისმცემელი დარჩა ამ მართლაცდა „საისტორიე კაცისა“, სოლო, თავის მხრივ, გაბრიელსაც ძალზე ეამაყებოდა სახელგანთქმული ნამოწაფარი, რომელმაც უკვდავი სახელმძღვანელოებით და კლასიკური პედაგოგიური თუ პუბლიცისტური ნაშრევით ახახელა ეროვნული ლიტერატურა.

უდავოა, ქართველი ხალხის დიდ მოამაგეს მისი სასიცოცხლო ინტერესებისათვის შეუდრეკელ მებრძოლს, ბევრი რამ საერთო უნდა ჰქონოდა გაბრიელთან, იმ ადამიანთან, ვინც, ილია ჭავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მთელი თავისი სიცოცხლე იმის მსახურებაში იყო, რომ თვით მოსწმინდოს ერს თვალთაგან ცრემლი ნუგეშისცემითა და მადლის ფენითა“ (ი. ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1952 წ. , ტ. 8, გვ. 542.).

***

გაბრიელ (გერასიმე) ქიქოძეზე, როგორც აღმზრდელსა და პიროვნებაზე, ყველაზე ნათელი მოგონებები იაკობ გოგებაშვილს თბილისის სასულიერო სემინარიიდან გამოჰყვა, სადაც ის სწავლობდა 1855 წლიდან 1861 წლამდე.

იაკობ გოგებაშვილი თბილისის სასულიერო სემინარიაში გაბრიელ ქიქოძის უშუალო მოსწავლე იყო. ბუნებით ნიჭიერმა, ბეჯითმა და სიცოცხლით აღსავსე იაკობმა თავიდანვე მიიპყრო მასწავლებლის ყურადღება. აქ გაინასკვა უღრმესი სიყვარული აღმზრდელსა და აღსაზრდელს შორის, სიყვარული, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე უბერებელი გრძნობით აღაგზნებდა ორივეს გულს და აი, როდესაც 1861 წელს იაკობი კიევს გადაწყვეტს გამგზავრებას, რჩევა-დარიგებისათვის თავის ძვირფას მასწავლებელს მოინახულებს ქუთაისში.

სწორედ იმ ხანებში, როცა იაკობ გოგებაშვილი კიევის აკადემიის სტუდენტი იყო, „სოვრემენიკის“ ფურცლებზე ცხარე ფილოსოფიური კამათი გაჩაღდა მატერიალის-

ტურ და იდეალისტურ ბანაკს შორის. ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა ბელინსკის ტრადიციები უახლეს პირობებში განავითარეს. ჩერნიშევსკის ეკონომიკური შეხედულებები ეფუძნებოდა ფეხტნერის, ლისტის, ბასტიას, ჩერბულიეს, ჯონ სტიუარტ მილის, ფლორენკურის, ბლანკის, ლეონტიევის, ჩიჩერინის, ბუნგეს, ზიბერის, ტუგან-ბარანოვსკის, ვრედენის, ლოჟკინის, ბოგდანოვის, ზიბერის, ბუნგეს

ამ საინტერესო ეპიზოდს ი. გოგებაშვილი ასე იგონებს: „როცა მესამოცე წლების დამდეგში დაიბეჭდა განსვენებულის თხზულება რუსულად: „Основания опытной психологии“ და ამ თხზულებამ მიიპყრო განსაკუთრებული ყურადღება მოელის განათლებულის რუსეთისა, ამ სტრიქონების დამწერს, რომელიც მაშინ კიევის სასულიერო აკადემიაში სწავლობდა, იქაურმა საუკეთესო პროფესორებმა სთხოვეს ეამბნა მათთვის ყველაფერი, რაც კი იცოდა არქიმანდრიტს ქიქოძეზედ“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 10.).

ოუ როგორი შთაბეჭდილება მოუხდენია მათზე ქართველი სტუდენტის საკმაოდ ერცელ ნაამბობს სახელგანთქმული თხზულების ავტორზე, მოვუსმინოთ თვითონ ი. გოგებაშვილს: „პროფესორებმა გაბრიელში დაინახეს მრავალმხრივი და ცნობისმოყვარე გონებით დავსილდოებული, პუმანიური გულისა და ძლიერი აქტიური ნებისყოფის პიროვნება, აღჭურვილი ყველა მონაცემით ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის“ (იქვე, გვ. 44.).

მაგრამ ი. გოგებაშვილის ეს წერილი გაბრიელის შესახებ უფრო სხვა მხრივ იპყრობს ჩვენს ყურადღებას. იგი ყველაზე სარწმუნო დოკუმენტია 50-იანი წლების თბილისის სასულიერო სემინარიის, კერძოდ გაბრიელ ქიქოძის, როგორც იმ დროისათვის საქართველოში უაღრესად თვალსაჩინო ინსპექტორისა და პედაგოგის დახასიათებლად.

თუ რას წარმოადგენდა მაშინდელი სემინარია და რა სახის რადიკალური ღონისძიებები გაატარა მის სასწავლო-საალმზრდელო სისტემაში „ყველაზე მეტად განვითარებულმა მეცნიერმა“ (გამოთქმა ი. გოგებაშვილს ეკუთვნის) , ამის შესახებ სიტყვა ისევ გაბრიელის ნამოწაფარს, ი. გოგებაშვილს დაეუთმოთ: „შეუდგა თუ არა ინსპექტორის თანამდებობის შესრულებას, მან გააუქმა დისციპლინის ყველა წვრილმანი წესი, უფრო ნათლად, მკვეთრად და კატეგორიულად განსაზღვრა კეთილგონიერული ყოფაქცევის მნიშვნელობა და არსებითი წესები, რომელთა შესრულებას ის მთელი მგზნებარებით მოითხოვდა“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 41—42.).

უნდა ვიეარაუდოთ, რომ ფილოსოფიურ და საბუნებისმეტყველო დისციპლინაში განსწავლულ მაგისტრს ასევე საფუძვლიანად ექნებოდა შესწავლილი პედაგოგიკის გამოჩენილი კლასიკოსების აზრები და იდეები მოზარდი თაობის აღზრდისა და განათლების შესახებ. შეუძლებელია, ავტორს „ცდისეულ ფსიქოლოგიისა“ , რომელშიაც ასე ფართოდ იგრძნობა მეცნიერების ყველა დარგის ცოდნა, პირველწყაროებში არ პქონოდა დამუშავებული კომენსკის, პესტალოცის, ლოკის, რუსოს, პიროგოვის და სხვათა პედაგოგიკურ-მორალისტური ნააზრევი (გაბრიელმა გარდა კლასიკური ენებისა შესანიშნავად იცოდა ფრანგული და გერმანული).

ამიტომაც იყო, რომ ბუნებით ნამდვილმა პედაგოგმა, ბავშვთა ფსიქოლოგიური სამყაროს იშვიათმა მცოდნემ, შეიგა თუ არა ფეხი ამ საპატიო ასპარეზზე, გასაოცარი ენერგიით გაარღვია თბილისის სასულიერო სემინარიაში ჩამოწოლილი სქოლასტიზმის ბურუსი და ფორმალურ სწავლებას მთელი შეგნებით დაუპირისპირა რეალური

განათლების სისტემა. მისგან გაღადგმულ გაბედულ ნაბიჯზე, სემინარიის ისტორიაში ჯერ არნახულ ამ გარდატეხაზე ძოგეთიერობს ავტობი, რომელშიც უშუალოდ გამოსცადა ამ პროგრესული რეფორმების ცხოველმყოფელი შედეგები.

დიდი პედაგოგის წერილებიდან ჩანაწერად არ ჩანს, რომ ახალგაზრდა მასწავლებლის შეძლებისდაგვარად სცადა სწავლების შეერთება აღზრდასთან. გონებრივი და ფიზიკური შრომის დაახლოება, შრომითი აღზრდის ელემენტების შეტანა მანამდე დოგმატიზმით დაობებულ გარემოში. რაც მოვარია, გაბრიელ ქიქოძე პირადი მაგალითის ჩვენებით მისაბაძი შეიქმნა ყველასათვის. მოუსმინოთ ისევ ი. გოგებაშვილს: „ქეთილი, ჯანსაღი და ზნეობრივი ცხოვრების საუკეთესო საშუალებად ის თვლიდა გონებრივი და ფიზიკური შრომის ერთმანეთთან შეწაცვლებას. ამ წესს ის თვითონ მკაცრად იცავდა– მოსწავლეები ბაძავდნენ თავიანთ ინსპექტორს და თვითონაც ხშირად ჩრიდნენ შეშას, მონაწილეობდნენ სამეურნეო საქმეებში“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 40.).

ი. გოგებაშვილის დახასიათებით გაბრიელ ქიქოძის საინსპექტორო და პედაგოგიური მოღვაწეობიდან ყველაზე მეტ ყურადღებას იპყრობდა მისი ზრუნვა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ზოგადი განათლებისათვის, დოგმატიზმის ტყვეობიდან მათი ნიჭისა და უნარის გამოხსნისათვის. გამოიწერა რა რუსეთიდან თითქმის ყველა ჟურნალ-გაზეთი და უახლესი ლიტერატურა, მან სტიმული მისცა მეცნიერული აზრის გაღვივებას, მისდამი ლტოლვის გაძლიერებას. „ყოველ საღამოს, — წერს გოგებაშვილი, — სემინარიის აივანი წარმოადგენდა გაცხოველებულ დავის ასპარეზს“.

კიდევ უფრო საინტერესოა სპეციფიკა იმ ხერხებისა და მეთოდებისა, რომელთაც ქიქოძე მიმართავდა ამა თუ იმ დისციპლინის სწავლების პროცესში. ამ მხრივ პირდაპირ განცვიფრებას იწვევს მის მიერ მათემატიკური საგნების, კერძოდ კი ფიზიკისა და ასტრონომიის სწავლება. საუცხოოდ მოწყობილ, მაშინ ძოელ საქართველოში ერთადერთ ფიზიკის კაბინეტში, თვალსაჩინოების გზით, გაბრიელმა შეძლო თეორიული სწავლებისა და პრაქტიკის თავისებური შერწყმა. საინტერესო და ყველასათვის მისაწვდომი ცდების შემდეგ იგი მიმზიდველი ცოცხალი სიტყვით (სმენითი აღქმით) საბოლოოდ ამტკიცებდა მოსწავლეთა გონებაში ცოდნას. ასევე საყურადღებოა, რომ ახალგაზრდა პროფესორს შეუძენია ზოგიერთი ასტრონომიული ხელსაწყო, „რომელთა დახმარებით იგი– სემინარიის აივნიდან საღამოობით აწარმოებდა ასტრონომიულ დაკვირვებებს“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 39—40.).

როგორც ი. გოგებაშვილი გადმოგვცემს, გაბრიელ ქიქოძემ სემინარიის სწავლა-აღზრდის უვარგის სისტემაში თითქმის ერთმა პირველთაგანმა შეიტანა აქტიურობისა და შეგნებულობის პრინციპი და, რაც მთავარია, მთელი სასწავლო-საალმზრდელო პროცესი მოსწავლეებში მყარი ყურადღების აღზრდას დაუქვემდებარა. იგი თავისი აღსაზრდელებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა არა ზეპირს, არამედ სასწავლო მასალის გაცნობიერებულ, გააზრებულ შეთვისებას. აი როგორი სიცხადით გადმოგვცემს ი. გოგებაშვილი ამას: „ვანამდე სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიებში გამეფებული იყო გამოყეყეჩებული ზეპირობა. ზეპირი ეშვიათად ესმოდა რომელიმე მოსწავლეს მექანიკურად გაზეპირებული გაკვეთილების შინაარსი– ახეთი იყო მაშინ

თითქმის მთელი სწავლება. ზუთხვის აღმოსაფხერელად ახალგაზრდა ინსპექტორმა შემოიღო შემდეგი რადიკალური ზომა: მან გამოუცხადა მოსწავლეებს, რომ მის საგანში სახელმძღვანელოები არ შეეძინათ (რადგანაც უვარგისი სახელმძღვანელო თავგზას აუბნევდა ბავშვებს. — ს. ს.) გაკვეთილები კლასში არ ჩაეწერათ, არამედ ყურადღებით მოესმინათ მისი ახსნა-განმარტება კლასში და მასალა შეეთვისებინათ მისი სიტყვებით. ის გაკვეთილებს ხსნიდა მთელი სიმარტივით, ზედმეტი სიტყვებისა და გამოთქმების გარეშე. გაიმეორებდა მას რამოდენიმეჯერ და შემდეგ კი იმასვე გაამეორებინებდა მოსწავლეებს— კლასში შესწავლილი მასალის სრულ შეთვისებამდე— ამიტომ ისინი სმენად და ყურადღებად იქცეოდნენ კლასში და ეჩვეოდნენ დაძაბულ ყურადღებით ყოფილიყვნენ მთელი გაკვეთილის განმავლობაში" (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 43-44.). მარტო გ. ქიქოძე როდი ირჩევდა ამ გზას. „ცოცხალი სწავლების ეს სერხი გადაიღო ზოგმა სხვა ახალგაზრდა მასწავლებელმაც და ძველი მკვდარი ზუთხვაც გაუქმდა", — დასძენს იაკობი.

თაყვის ფრიად საინტერესო წერილში, რომელიც ამ პერიოდის თბილისის სახულიერო სემინარიის გასაცნობად უტყუარი სარკეა, ი. გოგებაშვილი ჩერდება გაბრიელის მიერ გატარებულ კიდევ ერთ ახალ ღონისძიებაზე — მოსწავლეთა ფიზიკურ აღზრდაზე. „გერასიმე ქიქოძემ, — წერს ი. გოგებაშვილი — სულ სხვა თვალსაზრისი დაამყარა. ის თამაშობას თვლიდა აუცილებლად სასარგებლო მეცადინეობად არა მარტო სხვულისათვის, არამედ სულისათვისაც— ყოველდღე, ნასადილევს, რამდენიმე საათის განმავლობაში სემინარიის ეზო წარმოადგენდა ფრიად მრავალფეროვან, მაგრამ საესებით წესიერ თამაშობათა ასპარეზს— ყველასათვის ცნობილ, მკაცრად განსაზღვრულ მომენტში სემინარიის ეზოში თამაშობა წყდებოდა.

ამის შედეგად, — განაგრძობს იაკობი, — აშკარად შემცირდა ბავშვთა საიდუმლო ბიწიერებანი, რომელიც ასე გაერცელებული იყო დახურულ სასწავლებელში".

აჯამებს რა გ. ქიქოძის უნაყოფიერეს მოღვაწეობას სემინარიაში, მისი სახიქადულო მოსწავლე ასკვნის: „საერთოდ გერასიმე ქიქოძის საინსპექტორო სამასწავლებლო მოღვაწეობა, რომელიც ყოველთვის მიზნად ისახავდა მნიშვნელოვანს და არსებითს და არა ხურდაედებოდა წერილმანებად, უაღრესად ნაყოფიერი იყო და ღრმა კვალი დატოვა სემინარიაში (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 43-44.). კარგა ხნის შემდეგ ასეთივე შეფასებას აძლევდა გაბრიელის პედაგოგიურ მოღვაწეობას იმდროინდელი რუსული პრესაც: „Как педагог, он оставил в своих учениках самые лучшие воспоминания. Ораторский талант давал ему возможность возбуждать в них живой интерес к науке, и нравственные его качества внушали к нему любовь и уважение" („Церковния Ведомости" , 1896 г. , №9, стр. 330.).

დაბრუნდა თუ არა ი. გოგებაშვილი სამშობლოში, მისი თვალი და ყური კელავ გაბრიელისკენაა მიქცეული. თბილისის სასულიერო სასწავლებლიდან, სადაც მას 1864 წლიდან მოუხდა მასწავლებლობა, იგი უწინდელი გულმოდგინებითა და პატივისცემით ეხმაურება ხათაყვანო აღმზრდელის მოღვაწეობას, მაგრამ ახლა უკვე სულ სხვა ასპარეზზე (როგორც ცნობილია, 1860 წლიდან გაბრიელს იმერეთის საეპარქიო კათედრა-

ზე ეხედავთ, სადაც მან ახალი ძალით გაშალა კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობა და პუბლიცისტურ კილოზე წარმოთქმული ღრმად მორალისტური ქადაგებებით მთელი საქართველოს ყურადღება მიიპყრო, ფრიად საყურადღებოა, რომ ი. გოგებაშვილმა თავის უკვდავ „ბუნების კარში" გაბრიელის ცხოვრების სინამდვილიდან შეიტანა აღმშრდელობითი შინაარსის საკმაოდ ერცელი ეპიზოდი „ჭეშმარიტი მოძღვრის" სახელწოდებით.).

ი. გოგებაშვილი აღფრთოვანებით მიეგება 1867 წელს ლონდონში გაბრიელის „ქადაგებანის" ინგლისურ ენაზე გამოცემას (თარგმნა სოლომონ მალანმა). დიახაც რომ საამაყო იქნებოდა იაკობისათვის ქართველი კაცის ეთიკურ — ფილოსოფიურ, შესწავლებათა მოწონებით აღიარება ევროპის კონტინენტზე, რომლის მცხოვრებთა დიდ ნაწილს, ჟურნალ „Русская мысль"-ის (1894 წ., გვ. 594) სიტყვებს თუ ვერწმუნებით, სწორედ გაბრიელის ქადაგებათა წაკითხვის შემდეგ აღძრია განსაკუთრებული სურვილი, უფრო ახლოს გაცნობოდა ქართველი ხალხის ისტორიასა და ლიტერატურას.

იაკობ გოგებაშვილმა ისტორიული თვალსაზრისით შეტად მაღალი შეფასება მისცა იმ დიდ ბრძოლას, რომელიც გ. ქიქოძეს გასწია ქართული ენის დასაცავად. ამ ღვაწლზე ილია ჭავჭავაძეც ხომ მიუთითებს, როცა ამბობს: „იგი თაეგამეტებით იდგა ჩვენი ენის მწედ და მფარველად".

როგორც ცნობილია, ქართული ენის დევნა რუსიფიკატორ მოხელეთა მიერ განსაკუთრებით გამძაფრდა 70-იანი წლებიდან. ამ „ლაშქრობასთან" დაკავშირებით ჩვენი გამოჩენილი პუბლიცისტი ნ. ნიკოლაძე 1876 წელს წერდა: „ამ 5-6 წლის წინათ იცით რა დრო და ამინდი იყო ჩვენთვის_ ქართული ენა ვის ახსოვდა, ქართულ მწერლობას ვინ აქცევდა ყურადღებას".

1873 წელს სინოდის განკარგულებით ქართული ენის დევნამ უკიდურესი სახე მიიღო, როგორც თბილისის სასულიერო სემინარიაში, ისე საეოველთაოდ.

მთელი უბედურება ის იყო, რომ მეფის რუსეთის მოხელეები დასაყრდენს თავისი ბნელი ზრახვების განსახორციელებლად ზოგიერთ რენეგატ ქართველში პოულობდნენ. ერთი ასეთთაგანი მე-19 საუკუნის 70-იან წლებში იყო მეფის სენატორი, ცნობილი მონარქისტი გიორგი მუხრანსკი, რომელიც ერთ თაეის ბროშურაში უტიფრად ამტკიცებდა ქართველი ხალხის ასიმილაციისა და მისი ენის შთანთქმის (ე. ი. მოხპობის) აუცილებლობას. სწორედ ეს გადაგვარებული ადამიანი პყავს მხედველობაში ი. გოგებაშვილს, როცა წერს: „ბევრს არა სწამს მომავალი ქართველი ერისა და სიკვდილს უწინასწარმეტყველებს მას" (ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, 1940 წ., გვ. 531.).

თაეგასული მუხრანსკის ასალაგმავად ბევრი საპასუხო წერილი დაიწერა (ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, გ. ჭალადიდელი და სხვ.), მაგრამ არგუმენტაციის ძალითა და მეცნიერული სიღრმით ყველასაგან გამოირჩევა გაბრიელ ქიქოძის პასუხი. რადგანაც იაკობ გოგებაშვილი თავის პედაგოგიურ და პუბლიცისტურ წერილებში ხშირად ეყრდნობა და იშველიებს ამ წერილში გამოთქმულ აზრს, შევჩერდეთ მის მხოლოდ ზოგად ნაწილზე. ესება რა ქართული ენის თვითმყოფობას, გ. ქიქოძე მუხრანსკისადმი საპასუხო წერილში წერს: „ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა, მაშასადამე ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის_ თუ ენას ასე დიდი მნიშვნელობა

აქეს, მით უმეტესად ძნელია და შეუძლებელი ხალხისათვის მისი მოსპობა: მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხი მისს შეკეთებას, გაერცელებას და არა დაკარგვას.

ქართველის და სომხების ენაში ოუმცა მცირე ხალხის ენანი არიან, მაგრამ არა ღარიბნი. ამ ენებს აქეს მწიგნობრობა, ლიტერატურა, სამღვდო წერილი, წმ. მამათა წერილნი ნათარგმნი. ამ ორ ენაზე ყოველი მეცნიერება და აზრი გამოითქმის: მათ აქუსთ ორი ათასი წლის მეტი ისტორია: ისინი იყვნენ ოღესმე ოვითმდგომნი სახელმწიფონი, ერთი სიტყვით აქეთ მათ ყოველნი ელემენტნი არსებობისა და სიცოცხლისა. ამისათვის მათი ენის განქარვება ძნელად საფიქრებელია, შეუძლებელია" („მოამბე" , 1896 წ., №3, გვ. 99.).

აცამტვერებს რა მუხრანსკის ბროშურაში წამოყენებულ ანტიმეცნიერულ დებულებებს, გაბრიელ ქიქოძე ასკვნის: „თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებიდან უნდა იყოს და არა უკუღმა, ე. ი. ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება. აქსიომები მარტო მათემატიკაში არიან მისაღებნი, ისტორიაში და ფილოსოფიაში ძნელად მოიპოვებიან ისინი" (იქვე, გვ. 97.).

საბრძოლო ასპარეზზე გამოსული გაბრიელი სახელმწიფოებრიეი წყობილების ავკარგიანობის განსჯაშიც კი შედის, როცა მონარქისტ მუხრანსკის მისამართით აშბობს: „შეეცარია დიაღ მკეიდრი და მაგარი სახელმწიფო არის. ფედერაციას და რესპუბლიკას შენ სახელმწიფოდ არ სთელი. ნუ თუ მარტო მონარქია არის მკეიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა არა, ეგონება შეეიცარიასთანა განათლებული, მაგარი, ერთობით და თანხმობით საესე სახელმწიფო არც კი არის ევროპაში" (მოამბე, 1896 წ., №3, გვ. 94.).

დიდ ქართველ პედაგოგს, რომელიც სიკვდილამდე ულმობლად ებრძოდა ქართული ენისა და მისი შემქმნელი ერის ყველა ჯურის მტერს, გაბრიელ ქიქოძის სწორედ ეს წერილი პქონდა მხედველობაში, როცა 1902 წელს პოლემიკური კილოთი დაწერილ „ივერიის" მეთაურში წერდა: „მუხრანსკის აზრი. დაჰგმო და შეარცხვინა ჩვენმა მწერლობამ, ინტელიგენციამ, თაეადაზნაურობამ, სამღვდელოებამ, მთელმა საქართველომ. თვით მშვიდობიანი და მომთმენი გაბრიელი ააღელვა, შეაძრწუნა ამ უკუღმართობამ და მოაწერინა აეტორისათვის წერილი, რომელშიც იგი აბრალებდა მას ულმობლობას, უდიერობას. ეს ღვაწლით შემოსილი გეამი უმტკიცებდა უკუღმართის წიგნაკის აეტორს, რომ. განათლება, ყოველი პროგრესული მიმართულება ჩვენს ხალხში შეიძლება გაერცელდეს მხოლოდ ქართული ენის შეოხებით. ამის გამო ამ ენის შევიწროება, შესუსტება და გაქრობაო აუცილებლად დაჰბადებს ჩვენის ერის შეჩერებას, უკანუკან წასელას, გადაშენებასა და მიწასთან გასწორებასო" (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1945 წ., ტ. 3, გვ. 338.).

როგორც უკვე ითქვა, მე-19 საუკუნის 70-იანი წლებიდან ქართული ენისა და მოწინავე ქართველი ინტელიგენციის დევნამ მეტად მწვავე ხასიათი მიიღო.

აქ არ შეიძლება, არ გავიხსენოთ კერსკის რეეიზია, რომლის უდანაშაულო მსხვერპლიც კინაღამ შეიქმნა იაკობ გოგებაშვილი. რა თქმა უნდა, კერსკი მარტო როდი ყოფილა. მას უკან ედგა და პროვოკაციული „დანოსებით" ლესაყდა მაშინდელი ეგზარქოსი ევსევი. საქმე იმაშია, რომ ქართველებას ძოძულე ევსევს იმ ხანებში და შემდგომშიც

დიდი შეტაკება ჰქონდა გაბრიელთან, გოგებაშვილის ამ სათაყვანო ადამიანთან. ეს მაღალიდეური დამოკიდებულება გოგებაშვილსა და გაბრიელს შორის არ შეიძლება მახ არ სცოდნოდა.

ერთი საინტერესო ეპიზოდი ნათელსა ჰფენს არა მარტო ეესეეის მტრულ დამოკიდებულებას გაბრიელისადმი, არამედ ამ ნიადაგზე გოგებაშვილისა და ეესეეის შორის ჩამოვარდნილ განხეთქილებასაც. ი. გოგებაშვილი იგონებს: „გაბრიელმა ამ სტრიქონების დამწერს დასაბეჭდად გამოუგზავნა თავისი ქადაგებანი ქართულ ენაზე. ქართული ენის მასწავლებელს ა. ი. პაპინაშვილს ვთხოვე ეს ქადაგებანი საცენზუროდ წარედგინა ეგზარქოსისათვის. პაპინაშვილი დიდი თაყვანისმცემელი იყო გაბრიელისა და სიხარულით დათანხმდა. მაგრამ როგორ განცვიფრდა ის, როცა დაბეჭდვის ნებართვის თხოვნაზე ეგზარქოსმა უდიდესი გაბრაზებით უპასუხა: რა უნდა ნეტავი სურს კიდევ უფრო გამოიჩინოს თავი და განათლდეს? მაშ თვითონვე გაატაროს ცენზურაში, — და არ დაიტოვა ხელნაწერი. მაშინ ხელნაწერი წარეუდგინე საცენზურო კომიტეტს, რომელმაც დაუბრკოლებრივ და დაუყოვნებლივ მოგვცა დაბეჭდვის ნებართვა და თქვა: გაბრიელი თავის თავის საუკეთესო ცენზორიაო“. ცხადია, გოგებაშვილის ასეთი ზრუნვა გაბრიელზე არაფრად ეჭაშნიკებოდა ინტრიგების ქსელში გახვეულ ეესეეს. ეგზარქოსის სიძულვილს სასულიერო სასწავლებლის ამ ჩინებული ზედამხედველის, შესანიშნავი პედაგოგისა და ქართული ენის შეუდრეკელი დამცველისადმი ესეც თან დაერთო და ამიტომ იყო, რომ აეადმყოფობის ბრალს თავს დაესხა რევიზია კერსკის მეთაურობით. ი. გოგებაშვილის აზრით, ეესეე ასე ვერაგულად იმიტომ ეპყრობოდა გაბრიელს, რომ შურდა მისი მაღალი და საქვეყნოდ განთქმული ავტორიტეტი.

კერსკის არაობიექტურ რევიზიასთან დაკავშირებით მთელ საქართველოში დიდი მითქმა — მოთქმა შეიქნა. ყველას აფიქრებდა ი. გოგებაშვილის ბედი, რომელმაც საბოლოოდ ჩაიქნია ხელი სკოლაში პრაქტიკული მოღვაწეობის გაგრძელებაზე. ეგზარქოსი ეესეე გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, რაც მის ირგვლივ ხდებოდა. იგი განსაკუთრებით ვერ ურიგდებოდა ქართველ სამღვდელოებას, კერძოდ, მისი საუკეთესო წარმომადგენლის გაბრიელის შეურიგებელ პოზიციას სინოდის განკარგულებისადმი. გაბრიელი, ეს მართლაცდა „მებრძოლი ბერი“ (ილია ხონელის გამოთქმაა), შეუპოვარი იყო მეფის მოხელეების მიმართ, რასაც სიამაყით მიუთითებს გოგებაშვილი: „თავის მოქმედებაში ის არასოდეს არ ხელმძღვანელობდა მთავრობის შეხედულებით, არასოდეს არ ცდილობდა ეამებინა თავის უფროსებისათვის და მუდმივ გულწრფელად და დამოუკიდებლად იქცეოდა“ (ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1940 წ., გვ. 452).

ესეც ერთ-ერთი მიზეზი იყო იმისა, რომ, გოგებაშვილისავე მოწმობით, ეგზარქოსი „სიამოვნებით ღებულობდა ცილისწამებლურ დაბეზღებას მის (გაბრიელის. — ს. ს.) საწინააღმდეგოდ და მოითხოვდა განმარტებებსა და თავის მართლებას“.

სწორედ ერთი ასეთი ახსნა-განმარტება მოუთხოვნია ეგზარქოს ეესეეს გაბრიელისაგან 1874 წელს. აი ეს საინტერესო, არაოფიციალური დოკუმენტი, რომლის ხელნაწერის ასლიც ჩვენთან ინახება:

„№505, 22 апреля 1874 г. Экзарху Евсевию. Ваше

Высокопреосвященство, милостивейший Архипастырь! На секретное отношение Вашего Выс-ва от 8 апреля 1874 года за №1703, о выборе смотрителями Тифлисского и Кутаисского духовных училищ лиц только русского происхождения и о представлении Вам по сему предмету моего отзыва, имею честь сообщить, что предположение г. Керского относительно этого дела, по моему крайнему разумению, не может быть признано рациональным;

Во 1-ых, когда дело идет о замещении служебных мест и должностей в Закавказском крае, то справедливость и, смею думать, здравая политика требуют не делать никакого иного различия между соискателями, кроме благонамеренности, честности и справедливости их, а в особенности не делать различия между лицами русского и не русского происхождения.

... При определении на службу лиц, нужно всегда иметь в виду, главным образом, только пользу службы, а не личностей того или другого происхождения... опыт прошлого и настоящего времени показывает, что на всех поприщах, вместе с лицами русского происхождения, с честью и пользою служили и служат и туземцы_".

ფრიად საყურადღებოა, რომ ეს აზრი გაბრიელმა მთელი პირდაპირობით გაიმეორა 1880 წელს, როცა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი უნდა აერჩიათ. გაზ. „დროების" კორესპონდენტის გადმოცემით გაბრიელს დაახლოებით ასეთი სიტყვით მიუმართავს დეპუტატებისათვის: „დიდი ფიქრი და სიფრთხილე გმართებთ, რომ შეცდომა არ მოგივიდეთ: სასწავლებლის ზედამხედველი უნდა იყოს ჭკვიანი, მცოდნე, გამოცდილი და კარგი ხასიათის კაცი. მთელს სასწავლებელს ისეთი მიმართულება და ხასიათი ექნება, როგორც მისს ზედამხედველს. ამჟამად ბევრია კანდიდატი რუსებიც და აქაურებიც. ზემოურ-ქვემოურს ნუ მიაქცევთ ყურადღებას. აგრეთვე ნურც იმას, ეს რუსია და ეს ქართველიო. განხეთქილებას ნუ ჩამოაგდებთ ერთმანეთში. ეს საძაგლობაა: კაცი სულ ერთია ვინც უნდა იყოს და საიდანაც იყოს, ოღონდ კი შეეფერებოდეს თავის ადგილს და დანიშნულებას".

დავუბრუნდეთ ისევ ეგზარქოს ევსევისადმი გაბრიელის წერილის იმ ადგილს, სადაც, კერსკის რევიზიასთან დაკავშირებით, მის ნამოწაფარ ი. გოგებაშვილზეცაა ლაპარაკი. გაბრიელის მხრივ ეს მეორე წერილია ევსევისადმი დათარიღებული 1874 წლის 16 სექტემბრით. აი ზოგიერთი რამ ამ წერილიდანაც:

„При письме от 31 августа В. Выс-ву угодно было прислать ко мне новый на меня донос, или лучше продолжение, отчасти повторение прежняго доноса и опять требуете от меня обстоятельного на него объяснения. В особенности Вы спрашиваете меня: какие я имею доказательства на то, что Вы, будто, преследовали Гогебашвили и при этом, как бы в оправдание свое, прилагаете какое-то действительно отвратительное описание его болезни, им самим

составленное". ცოტა ქვემოთ, ამავე განმარტებითს წერილში ეკითხულობთ: „Что же касается собственно до Ваших отношений к Гогебашвили, то в суждении об этом я основывался, во 1-ых, на всеобщему слухе, разнесшемся у нас, что Гогебов, перед своим уходом из училища, или как здесь говорили, покушением на самоубийство, оставил в своей квартире записку, приблизительно следующего содержания: „Обрадуйте Экзарха, я окончательно погибаю" и пр. , во 2-х, мне попалось в руки одно собственноручное его письмо, не помню к кому именно и когда писанное, в коем он упоминал, что Вы решились во чтобы то ни стало его погубить".

ასე ესარჩლებოდა გაბრიელი ი. გოგებაშვილს, რომელსაც მეფის აგენტებმა საყვარელი პროფესია მიატოვებინეს, თუმცა სამაგიეროდ მან მაღლიანი კალმით შთამომავლობისათვის საუკუნო განძი გაიღო.

ეგზარქოს ევსევის დევნისა და კერსკის უსამართლო რევიზიისაგან გულდაკოდილი იაკობი ერთ თავის მოგონიანო წერილში, ეხებოდა რა თბილისის სასულიერო სემინარიის უნუგეშო მდგომარეობას, წერდა: „მაგრამ ეინ არის დამნაშავე ამაში, თუ არა ის წესები, რომელნიც ათი წლის წინად შემოიღეს სემინარიაში კერსკის რევიზიის გამო, რომელსაც რამდენიმე ღვარძლი მოეყენა და მასზედ გაჯავრებულმა მთელი ყანის გადაგლეჯა წამლად დაუნიშნა. დიახ_, — განაგრძობს ი. გოგებაშვილი, — აწინდელი სემინარიელებისაგან ვერ გამოელენ ვერც დიმიტრი ბაქრაძეები, ვერც გერასიმე ქიქოძეები (იგივე გაბრიელი. — ს. ს.), ვერც პეტრიაშვილები, ვერც ცაგარლები" (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954 წ. , ტ. II, გვ. 361.).

***

გაძლიერდებოდა თუ არა რეპრესიები ქართული ენისა და საერთოდ ქართული კულტურის წინააღმდეგ, დიდი ქართველი პედაგოგი დაუყოვნებლივ ამოიყენებდა გეერდით რჩეულ თანამოღვაწეებს.

როდესაც 80-იანი წლებიდან იანოვსკი-ლევიტსკის რუსიფიკატორულმა საგანმანათლებო პოლიტიკამ ახალი ძალით მიიტანა იერიში, რათა დასავლეთ საქართველოს სკოლებიდან გამოეძევებინათ ქართული ენა და უაზრო, პედაგოგიურად გაუმართლებელი მუნჯური მეთოდი დაენერგათ, ი. გოგებაშვილმა ამ დიდ ბრძოლაში ქართული აზროვნების ბუმბერაზი ილია ჭავჭავაძეც ჩააბა.

სწორედ ამ პერიოდში გამოქვეყნდა გაზ. „დროებაში" (1881 წელს) იაკობ გოგებაშვილის წერილი „მზრუნველ იანოვსკის სამოსწავლო გეგმა სახალხო სკოლებისა", რომელშიც სასტიკად იყო გაკრიტიკებული კავკასიის ოლქის მზრუნველის ანტიხალხური ზრახვები.

იანოვსკი-ლევიტსკის ამ თავხედურ ლაშქრობას დასავლეთ საქართველოში გაბრიელ ქიქოძე აღუდგა წინ. გაქნილი აგენტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მშობლიურ ენას, მის დაცვას და წარმატებას გაბრიელი მფარველობდა. ამ მხრივ გაბრიელს ძალზე გადაეკიდა და, რომ იტყვიან, კრიჭაში ჩაუდგა ქუთაისის გუბერნიის სკოლების დი-

რექტორი ლეეიტსკი, იყო დასმენას დასმენაზე წერდა და ეპარქიის კათედრიდან გაბრიელის გადაყენებას მოითხოვდა, მსრუნველის სახელზე დაწერილ ერთ-ერთ მოხსენებაში ბარათში ლეეიტსკი წერდა: „ამ ხიფათიდან (ლაპარაკია რუსული ენის არადაშაქმაყოფილებლად სწავლებაზე. — ს. ს.) საქმეს ვერ იხსნის სკოლების ინსპექტორად რუსის დანიშვნაც. რადგან ეპარქიის ხელმძღვანელი „ტუშემეცი“ არის, რომელიც მოსთქვამს და გოდებს, რომ რუსული ენის ხარჯზე ითელება და იზღუდება მშობლიური ენა“ (ტ. ხუნდაძე, ცარიზმის საგანმანათლებლო პოლიტიკა საქართველოში, 1935 წ., გვ. 69.).

გაბრიელმა იანოვსკის გამანადგურებელი პასუხი გასცა, რომელშიც, დაეთ კლდიაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „გაბედულად გადაუშალა მისი ანტიპედაგოგიური მიმართულება“.

ჩვენი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ი. გოგებაშვილი, გაბრიელ ქიქოძე, სერგეი მესხი და სხვები უსაჭიროესად ცნობდნენ ქართველი ხალხისათვის რუსული ენის შესწავლას, მაგრამ ამავე დროს მოითხოვდნენ, რომ „სწავლება ყველა საგნებისა უნდა მიდიოდეს დედა ენაზედ მთელის კურსის განმავლობაში_ რუსული ენა უნდა ისწავლებოდეს, როგორც ცალკე საგანი, და მის დაწყებას უნდა ჰქონდეს ადგილი მხოლოდ მესამე წლიდგან“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 77.).

თავის პასუხში იანოვსკისადმი გაბრიელ ქიქოძესაც, მსგავსად გოგებაშვილისა, შეუძლებლად მიაჩნია სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მცირე დროის მონაკვეთში რუსული ენის საფუძვლიანი შესწავლა.

რაც შეეხება საკითხს, თუ რა აზრის იყო გაბრიელი მშობლიურ ენაზე სწავლების შესახებ, ამაზე დამაჯერებელ პასუხს ვხვდებით გ. შარაშიძის წერილში „ცოტა რამ გურიის სკოლების წარსულიდან“ („განათლება“, 1916 წ., №1, გვ. 12-19.).

როგორც წერილიდან ვეგებულობთ, 1880 წელს გაბრიელი დასწრებია იანოვსკის ინიციატივით მოწვეულ ქუთაისის მასწავლებელთა კრებას და გაკვეთილების მოსმენის შემდეგ თავისი აზრი გამოუთქვამს იმის თაობაზე, თუ რომელ ენაზე უნდა იყოს სწავლება სკოლებში: „თუ სწავლა სკოლაში მშობლიურ ენაზე არ სწარმოებს, ფუჭია ყოველი შრომა და მეცადინეობა. არა თუ დაბალ სკოლებში, გიმნაზიაშიც სწავლება სამშობლო ენაზე უნდა იყოს. რა დიდი შეცდომაა, როცა ზოგიერთების აზრით არა თუ სხვა საგნები, ასე განისჯებეთ საღეთო სჯულიც უცხო ენაზე უნდა ისწავლებოდეს. ამ სიტყვამ — დასძენს გ. შარაშიძე — დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელზე, განსაკუთრებით დამსწრე რუს პედაგოგებზე. გაბრიელის სიტყვას ხშირად მოიხსენებდა კრებაზე დირექტორი მარსოეი“.

ეწეოდა რა მშობლიური ენის დაცვის დაუცხრომელ პროპაგანდას, ი. გოგებაშვილი ხშირად მიმართავდა გაბრიელ ქიქოძის ავტორიტეტს. წერილში „რა დაეკარგეთ“ დიდი პუბლიცისტი ვრცლად ეხება ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის მტკიენეულ საკითხებს და პატივისცემით იხსენიებს გაბრიელ ქიქოძისა და სხვათა ამაგს მშობლიური ენის წინაშე: „ესენი ხშირად ესაუბრებოდნენ ქართველს ქალწულებს დედა ენაზედ, ურჩევდნენ დედა ენაზე წიგნების კითხვასა“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, ტ. 4, გვ. 538.).

მეორე საინტერესო წერილში — „რუსული ენა ქართულ სახალხო სკოლაში“ ი. გოგებაშვილი ეხება რუსული ენის საფუძვლიანად შესწავლის აუცილებლობას, მშობლიური ენის ადგილს სკოლაში, და კელაე გაბრიელ ქიქოძის შენიშვნებს იმოწმებს: „როცა 1884 წელს საქართველოს ეგზარქოსი პაელე დაეკითხა გაბრიელს, სახიროდ მიგაჩნია თუ არა რუსული ენა სამრევლო სკოლებისათვისო, პასუხად მიიღო, რომ თუ რუსული მთლად იქნა გამოტოვებული ახალის სკოლების პროგრამიდან, ხალხი უკმაყოფილო დარჩებაო (ი. გოგებაშვილი, რჩეული ნაწერები, 1940 წ., ტ. II, გვ. 42.).

ეგზარქოს პალლადისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში გაბრიელი, იხსენებს რა 1884 წელს ეგზარქოს პაელესთან საუბარს და მის საპასუხო სიტყვებს რუსული ენის სწავლებასა, მის როლსა და ადგილზე ჩვენს სკოლებში, აღნიშნავს: საქართველოში სკოლა წარმოუდგენელია რუსული ენის გარეშე, ვინაიდან ხალხი ასეთ სკოლაში ბავშვს არ მიაბარებსო.

სავსებით ანალოგიურ აზრს აეითარებს ი. გოგებაშვილიც რუსული ენის შესწავლის აუცილებლობაზე, მისდამი ქართველი ხალხის დიდ სიმპათიაზე, როცა წერს: „ჩვენს ხალხს სურს იცოდეს რუსული ენაც. ეს სურვილი — უნდა მართალი ეთქვათ — იმდენად საგრძნობელია, რომ სახალხო სკოლა, რომელშიაც რუსულ ენას ადგილი არ ექნება, ვერ მოიპოვებს ჩვენის ხალხის სრულს სიმპათიასა“ (იქვე. გვ. 541.).

***

როგორც არაერთხელ ითქვა, იაკობ გოგებაშვილს მეტად ესახელებოდა გაბრიელი, „ეს ერთი ყველაზე უფრო ღირსეული და სრულყოფილი ფიგურა ჩვენი დროისა“ (ნ. ნიკოლაძე). დიდი ილიაც ხომ მოხიბლული იყო გაბრიელის პიროვნებით, მისი სიდიადით: „როცა რომელსამე ერის სიკეთე გნებავთ დაანახვოთ ვინმეს, ერის აღმატებულობა დააჯეროთ, ამისთანა კაცებს დაასახელებენ ხოლმე“ („იერია“, 1869 წ., №32.).

ვისით შეიძლებოდა მოეწონებინა თავი ევროპის წინაშე ი. გოგებაშვილს, თუ არა „მსოფლიოში უდიდეს მქადაგებლად მიჩნეული“ (მოსე ჯანაშვილის თქმაა) გაბრიელით. და აი, როდესაც დიდ პედაგოგს დაევალა სპეციალური წერილის დაწერა პარიზის გამოფენისათვის, მან გაბრიელ ქიქოძეს ასეთი სტრიქონები მიუძღვნა: „თვითეულს კეთილად მოწყობილის სკოლის წიგნთ-საცავს საქართველოში აშშვენებს ქართული კლასიკური ქადაგებანი აწ გარდაცვალებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელისა, რომელსაც ღვთისმეტყველების ღრმა ცოდნასთან შეერთებული ჰქონდა ვრცელი ფილოსოფიური და ფართო სამეცნიერო განათლება, რის წყალობითაც განამდიდრა რუსული ფილოსოფიური ლიტერატურა შესანიშნავის შრომით „Основания опытной психологии“. მისი ქადაგებანი ქართულიდგან გადათარგმნილია არა თუ რუსულად, არამედ ინგლისურადაც კი“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954 წ., ტ. 3, გვ. 221.).

ერთ თავის საყურადღებო წერილში, რომელიც დიდი პატრიოტული მგზნებარებითაა დაწერილი, ი. გოგებაშვილი საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ ბიუროკრატია სათანადოდ არ აფასებს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილებს და უეიცი მოხელეებით ანაგვიანებს თვალსაჩინო ადგილებს.

წერილში — „ქართული ეკლესიის ბედის საკითხისათვის“ ი. გოგებაშვილი, ეხება რა

ეროვნული ეკლესიის ბედს, მის ბრძოლას ავტოკეფალიისათვის, მთელი პირდაპირობით აცხადებს: 1819 წლიდან დაწყებული ჩვენს დრომდე მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოს ეგზარხოსად ერთჯერაც არ ყოფილა დანიშნული ქართველი, თუმცა ქართველ სასულიერო პირთა შორის იყვნენ ისეთი მაღალი განათლებულნი და ფრიად ღირსეული იერარქები, როგორც, მაგალითად, იმერეთის განსვენებული ეპისკოპოსი გაბრიელი — პეტერბურგის სასულიერო აკადემიის მაგისტრი, ფილოსოფოსი, ღვთისმეტყველი" (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955 წ., ტ. 4, გვ. 101.).

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია, მკითხველმა იცოდეს, რომ ი. გოგებაშვილის წინადადებით გაბრიელი არჩეული ყოფილა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრად. ესმოდა რა ამ ორგანიზაციის დიდი ეროვნული მნიშვნელობა, გაბრიელი გულმოდგინედ ეხმაურებოდა მის ყოველ ახალ წამოწყებას. გაბრიელს არც სიკვდილის წინ დავიწყებია ეს საზოგადოება, რასაც 1896 წლის „იევრიაში" (№28) გამოქვეყნებული ცნობაც ადასტურებს: „ჩვენ ნამდვილის წყაროდამ გავიგეთ, რომ ნეტარხსენებულ გაბრიელს უთხოვნია თავის ძმისწულებისათვის, რომ ფულები, რომელიც მის დასაფლავებას გადარჩება, შესწირონ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას". როგორც ამბობენ, ეს შეწირულობა ათას მანეთამდე იქნება.

გაბრიელის უსადო პირადი ცხოვრებისა და მისი გონებრივ-ზნეობრივი ზემოქმედების ძალა ხალხზე ი. გოგებაშვილმა ასეთი სიტყვებით დაგვიხატა: „ხალხი დაემსგავსა მეტ-ნაკლებობით თავისს მწყემსთმთავარს, რომლის გამუდმებულის გავლენის ქვეშ იგი დიდხანს იმყოფებოდა (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1955 წ., ტ. 4, გვ. 14.).

აჯამებს რა ამ „დიდბუნებოვანი" (ილიას გამოთქმაა) ადამიანის ხანგრძლივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას, გამოჩენილი პედაგოგი ერთგვარი დასკვნის სახით დასძენს: „არ მგონია, რომ რომელიმე მწყემსმთავრის მოქმედებას არამც თუ ჩვენში და რუსეთში, არამედ ევროპაშიაც მოეტანოს სამწყსოსათვის იმაზე უუნაყოფიერესი შედეგი, რომელიც შესძღვნა იმერთა ერსა განსვენებულის ოცდათხუთმეტის წლის თავდადებულმა მოღვაწეობამ" (იქვე, გვ. 15.).

ქართველ ხალხთან ერთად ი. გოგებაშვილიც სიხარულით მოელოდა სასიქადულო აღმზრდელის 35 წლის მოღვაწეობის იუბილეს, რომელიც 1895 წლის 8 სექტემბერს უნდა გამართულიყო, მაგრამ იუბილარის მძიმე ავადმყოფობის გამო ეს განზრახვა ჩაიშალა.

მიუხედავად ამისა, იაკობმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა გაბრიელს: „მიბოძეთ ნება, მეუფეო, მოგიძღვნათ თქვენ უპატიოცემულესი და უგულწრფელესი მოლოცვა თქვენი ოცდათხუთმეტი წლის დიდებული და უნაყოფიერესი მსახურების იუბილეისა და გისურვოთ მხურვალედ მთელი გულით განახლება თქვენი უძვირფასესი ჯანმრთელობის საკეთილდღეოდ ეკლესიისა და მამულისა, რომელიც ღრმად შეწუხებულია თქვენი უძლურებისა გამო" (მელ. კელენჯერიძე, გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა, 1913 წ.).

გაბრიელის ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. ი. გოგებაშვილი განსაკუთ-

რებით განიცდიდა მის ავადმყოფობას. გაბრიელის განუშორებელი მესენაკის მარკოზ სხირტლაძის გადმოცემით, როცა გაბრიელის დავალებით მას გოგებაშვილი უნახავს და ყველაფერი დაუფარავად უთქვამს, დიდ პედაგოგს ცხარე ცრემლები უფრქვევია და აკანკალებული ხელით დაწერილი წერილი გაუტანებია ძვირფასი ადამიანისათვის გადასაცემად. „ორი სამი კურცხალი ნაწერზეც დაეცა, მაგრამ გოგებაშვილს ამისათვის ყურადღება აღარ მიუქცევია“, — იგონებს მესენაკე.

თვლიდა რა გაბრიელის ერთ-ერთ ყველაზე მახლობელ და გულშემატკივარ ადამიანად ი. გოგებაშვილს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს ი. მეუნარგიას 1895 წლის 2 სექტემბერს ასეთი წერილი გაუგზავნია მისთვის: „ძმაო იაკობ! გუშინ ერთი უბედურება ვნახე, რომელმაც დიდად შემაწუხა და მინდა, რომ მით ვარაში შევიმსუბუქო. რომ შემოვუარო ფიქრით ჩემს ნაცნობ-მეგობრებს, ყველაზე უფრო შენკენ მიიწია გულმა, რადგან ვიცი, შენ სხვაზე მეტად შეგაწუხებს ეს უბედურება და ამიტომ გწერ ამ ბარათს. ძმაო, გუშინ ვნახე — ნეტა არ მენახა — გაბრიელ ეპისკოპოსი_ ერთი სიტყვით რაღა ბევრი გავაგრძელო, ძმაო, ეს ჩვენი სახიქადულო გაბრიელი, ჩვენი ოქროპირი დღეს შეშლილია და საუკუნოდ დაკარგული ჩვენი ქვეყნისათვის. პირველად ამ ხუთი თვის წინად შეუნიშნავთ ბიჭებს, რომ იმას მოჩვენებები ელანდებოდა, გალიუცინაცია. რომ მაშინვე ყოფილიყო პატრონი და ავადმყოფი წაეყვანათ სადმე შორს, კარგ პაერში და ქონოდა მოვლა სულიერი და უფრო ხორციელი, შეიძლება ამ ყოფაში არ მოსულიყო. ჩემს პაზრს რა ფასი აქვს, თორემ მე მგონია, რომ იმის მორჩენა შეუძლებელი არ არის. მიხა ქიქოძემ მითხრა მასთან დიალოგი: „Скучно“ სთქვა თურმე ავადმყოფმა „и грустно“ უპასუხა მიხამ. „и некому руку подать“ —დააბოლოება ავადმყოფმა. მართლა, გასაოცარი ის არის, რომ ავადმყოფი გრძნობს თავის მდგომარეობას. ერთხელ უთქვამს: „Ведь я с ума схожу“.

გაბრიელის დღეები უკვე დათვლილი იყო. შედარებით ნაადრევი სიკვდილის მიზეზებზეც ი. გოგებაშვილმა მიუთითა: „იგი ისე იწვოდა_ მოყვასის სიყვარულით, არ შეიძლებოდა ნაადრევად არ დაფერფლილიყო. ასეც მოხდა“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954 წ., ტ. 3, გვ. 46.).

გაბრიელის გარდაცვალებამ (1896 წ. 26 იანვარს) დიდად დაამწუხრა მისი საამაყო მოწაფე ი. გოგებაშვილი. მან იმ დღეებში რამდენიმე გულთბილი წერილი მიუძღვნა გაბრიელის ხსოვნას და ბევრი გონიერული ღონისძიება დასახა გამოჩენილი ადამიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად. ერთ-ერთ თავის წერილში — „მთავარი ღირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა და საუკეთესო ძეგლი“ იგი მიესალმება საზოგადოების მოთხოვნას, რომ დაარსდეს სტიპენდიები და სკოლა მეცნიერი არქიერის სახელზე. მაგრამ კიდევ უფრო საშვილიშვილო საქმედ მიაჩნია „სასულიერო და საერო მწიგნობრობის აღორძინება ქართულს ენაზედ, განსვენებულის სახელით, გამდიდრება ჩვენის ლიტერატურისა, სასულიეროსი და საეროსი, დარბაისლური, კლასიკური თხზულებებითა, რომელთაგან ზოგი გადმოითარგმნება და ზოგი დაიწერება ქართველ სწავლულთაგან“ (ი. გოგებაშვილი, თხზულებანი, 1954 წ., ტ. 3, გვ. 10-11.).

***

ასეთ იდეალად დარჩა სიკვდილამდე დიდი პედაგოგის წარმოდგენაში უძვირფასესი აღმზრდელის, გაბრიელ ქიქოძის ნათელი სახე და საქმე.

დიდბუნოვანი ქართველის დიდებულ ცხედარს იაკობი გამოეთხოვა იმის მტკიცე რწმენით, რომ.სამშობლო ქვეყანა მომავალში კიდევ მრავლად წარმოშობს ასეთ მოკაშკაშე მეტეორებს.



ფრიად თაეისებური და საგულისხმოა ის სურათი, რომლითაც „სურამის ციხე" იწყება. ანჩისხატის გასწერიე, რიყეზე. ცხელი ზაფხულის გრილ საღამოობით თაეს იყრიან ქართველი ჭაბუკები და რიგრიგობით ჰყეებიან საქართველოს იმდროინდელი ცხოვრების შემზარაე ამბებს. გეიან ღამით კი მძიმე ამოოხერით ეოხოეებიან ერთმანეთს, რათა მეორე დღეს კელაე განაგრძონ შეწყეეტილი მოთხრობა.

აქ მოთხრობილ ამბაეთა ციკლს ეკუთენის დურმიშხანის, გულისეარდისა და ოსმანაღას თაეგადასაეალიც.

ეს იყო საქართველოს წარსულის გულისმომკელელი სინამდვილე, როდესაც ჩეენში ბატონყმობა მძეინვარებდა და ისედაც გათაეხედებულ ბატონს ველური კანონი სრულ უფლებას ანიჭებდა. ჩეენი ერის სიმტკიცის ძალა — ახალგაზრდობა მწეევარმეძებრებზე გადაეცეალა ან სამაჰმადიანოს შორეულ ბაზრებზე გროშის ფასად გაეყიდა.

მას შემდეგ მართლაც ბეერმა წყალმა ჩაიარა.

ქართველმა ხალხმა დიდი ხანია დაივიწყეებას მისცა ბნელით მოცული დრო. ისტორიამ საბოლოო ანგარიში გაუსწორა იმ კლასებს, რომელნიც საუკუნეთა განმაელობაში სხეისი ნაოფლარით ცხოერობდნენ.

ჩეენი ეპოქის ადამიანები მოკრძალებით ეპყრობიან მათ სახელებს, ეინც იმ მართლაცდა შაებნელ დროში გაბედულად შეებრძოლნენ უსამართლობას.

დანიელ ჭონქაძის სახელიც მათ რიცხეში იხსენიება, იხსენიება მეტად გამოკეეთილი სახით.

საგულისხმოა, რომ ნიჭიერმა ბელეტრისტმა თაეისი უკედაეი მოთხრობა გულითად ამხანაგებს მიუძღენა. სჩანს, ამით ავტორმა იმათი სათქმელიცა თქეა, ეინც მასთან ერთად ებრძოდა ბნელეთის ძალებს, შემართებული იყო წოდებათა შორის აღმართული ყრუ კედლის გასარღეეად.

დიდი რუსი მწერლის რადიშჩეის მსგაესად, ნამდეილი რეეოლუციური გამბედაობით ქართველ მწერალთაგან პირეელმა დანიელ ჭონქაძემ გაილაშქრა ბატონყმური რეჟიმის წინააღმდეგ და, არათუ დაჰგმო, არამედ კატეგორიულად მოითხოეა მისი შეცელა სამართლიანი წეს-წყობილებით.

მართალია, უფრო ადრე იოანე ბატონიშეილმა „კალმასობაში" გაგეაგონა ოსმალეთისაკენ გასაყიდად გარეკილ ტყეეთა „ხმა რაიმე მწუხარებისა", მაგრამ ეს მხოლოდ ფაქტის აღწერა იყო და არა უსამართლობასთან შეჭიდება; გლეხობისადმი მემამულეთა გულქეა და უდიერი მოპყრობის სიტყეიერ მხილებას ეხედებით გ. ერისთაეის კომედიებშიც.

მაგრამ სულ სხეა ტონით ლაპარაკობენ „სურამის ციხის" გმირები. თაეისი დროისათეის უთუოდ დიდი პრინციპული შეურიგებლობით იყო წარმოთქმული დურმიშხანის ცნობილი სიტყეები: „სანამ ჩეენ ბატონის ყმანი ეართ, ჩეენში ბედნიერება არ შეიძლება".



ცოტა უფრო გვიან იგივე აზრი მეტი პოეტური სიძლიერითა და პროტესტანტული სულით გაიმეორა ილიამ ზაქროსა და კაკოს დიალოგში.

დანიელ ჭონქაძის მოთხრობის შემტევმა სტილმა დიდი შეშფოთება გამოიწვია გაბატონებულ წრეებში. უკმაყოფილების ტალღა ამ წოდების თვალსაჩინო მესიტყვემ ალ. ორბელიანმა ააგორა. „სურამის ციხის“ პირველი შემფასებელი ანტ. ფურცელაძე კი 1863 წელს „ცისკარში“ გაბედულად წერდა: „სურამის ციხემ“ დასცა ზარი და აუშალა ტანში ჟრუანტელი სიძველისა და სიცრუის მქადაგებლებსა– გადაიღეს, გადმოიღეს ეს თხზულება და როგორც სარკეში, ისე დაინახეს თავისი თავი“.

მიუხედავად ავტორის დევნა-შევიწროებისა, „სურამის ციხე“ ხელიდან ხელში გადადიოდა; ს. ჭიჭინაძის გადმოცემით „ცისკრის“ ნომრებს თურმე აქეთ-იქით დაარბენინებდნენ და აღტაცებით კითხულობდნენ.

მოთხრობა განსაკუთრებული სიყვარულით მიიღო მოსწაელე ახალგაზრდობამ, რომელმაც 1860 წელს თვალცრემლიანმა მიაცილა მწერალი ეერის ძველ სასაფლაომდე, ხოლო ივ. კერესელიძემ მგრძნობიარე ლექსით დაიტირა ჩაგრულთა მფარველი და მოამაგე.

***

როდესაც დანიელ ჭონქაძის ხანმოკლე, მაგრამ საინტერესო ცხოვრებას ვეცნობით, ერწმუნდებით, რომ ნიჭიერი ბელეტრისტი თავისი დროისათვის განათლებული პიროვნება ყოფილა.

ამ მხრივ საკმარისია დაეასახელოთ თუნდაც მრავალმხრივი და საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა, რომელიც გაუწევია მას რუსეთის საიმპერატორო აკადემიის დავალებით. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა დანიელი გასაოცარ მეცნიერულ ერუდიციას იჩენს ოსური ფოლკლორის შესწავლის, რუსულ-ოსური ლექსიკონის შედგენისა და ოს ხალხზე ეთნოგრაფიული დაკვირვების საქმეში. სამწუხაროა, რომ მისი მდიდარი არქივი მისი უეცი მამიდის ხელით შეუგნებლად დაიღუპა და აღარა გვაქვს შესაძლებლობა. ჯეროვნად შეეფასოთ ამ საინტერესო პიროვნების მეცნიერული ალღო და ინტერესთა სფერო.

რამდენადაც მწერლის ბიოგრაფიიდან ვიცით, გონებრივი დულილის საუკეთესო წლებში დანიელი სტაეროპოლში ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას (1851-1855 წწ.). შეუძლებელია ამ ხანებში მას ხელთ არ ჩაევარდნოდა „ოტეჩესტვენიე ზაპისკისა“ და „სოვრემენიკის“ ნომრები და მებრძოლი სულისკვეთებით არ გამსჭვალულიყო.

ესეც რომ არ ყოფილიყო, არ შეიძლებოდა დ. ჭონქაძე თბილისის სემინარიაში მოწაფეობისა თუ მასწაელებლობისა და მეცნიერული მუშაობის პერიოდში ხარბად არ ჩასწვდომოდა რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატების აღმაფრთოვანებელ ნაწერებს.

აღსანიშნავია, რომ ცოლისძმისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში დანიელ ჭონ-

ქაძე აღტაცებით ლაპარაკობს ქართველი ხალხის ეროვნულ გამოღვიძებაზე. ეტყობა, ამ დროს საქართველოშიდეც აღწევდა ზართა გუგუნი, რომელიც დამონებულ ერებს გამათავისუფლებელი ბრძოლებისაკენ მოუწოდებდა.

ამ მებრძოლ სულისკვეთებას მწერალს კიდევ უფრო უძლიერებდა იმდროინდელი საქართველოს საშინელი საზოგადოებრივი ხინამდვილე.

დანიელ ჭონქაძე ყოველ ზაფხულს სამშობლო სოფელში ატარებდა და არაგვის ატეხილ ხმაურთან ერთად თანამოძმეთა ყრუ კვნესაც ესმოდა.

მწერალი დარწმუნდა, რომ სოციალური და ეკონომიური უთანასწორობის საფუძველზე წარმოშობილმა კლასთა ბრძოლამ წოდებათა შორის ხიდი ჩატეხა.

ვინ იყო დამნაშავე? — ამ საჭირბოროტო კითხვას გაბედული, თითქმის სარისკო პასუხი გასცა დანილე ჭონქაძემ.

***

„სურამის ციხის" თემა მწერლისაგან დიდი ფანტაზიის მოშველიებას არ საჭიროებდა. ამ მხრივ მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ბატონყმური საქართველოს სინამდვილეც უხვ მასალას იძლეოდა.

უმძიმესი და უსაშინლესი ექსპლოატაცია, რომელსაც მშრომელი ხალხი საუკუნეთა განმავლობაში განიცდიდა, კიდევ უფრო აუტანელი შეიქნა თეიმურაზ პირობელური რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ.

ათასგვარი გადასახადით ილაჯგაწყვეტილმა გლეხობამ აჯანყებებით გამოხატა უსამართლო ტირანიისადმი შეურიგებლობა.

ქართველ ფეოდალთა ძველ კანონს — „ყმისა ყოველივე ბატონისა არს" — მხარს უჭერდა და კიდევ მეტ სიმკაცრეს მატებდა თეიმურაზ პირობელური რეჟიმი.

ამ ბარბაროსულმა ზომებმა მაინც ვერ გატეხა მშრომელი ქართველი ხალხი, რომლის წრიდან გამოვიდა სახალხო გმირი არსენა ოძელაშვილი. „სურამის ციხის" გმირებიც ამ „ჯოგიდან" არიან.

მართალია, მოთხრობის ამბავი მწერალმა, გარკვეული მოსაზრებით, ძველ ხალხურ ლეგენდაში გახვია, მაგრამ არსებითად მე-19 საუკუნის საქართველოს რეალური სურათი გადაგვიშალა.

რა არ გამოსცადეს ნაწარმოების გმირებმა. ესენი ტანჯვასა და წამებაში გაზრდილი ადამიანები არიან: გულქვა ბატონმა დურმიშხანი სხვას აჩუქა, უბედურმა დედამ კი ტანჯვაში დალია სული. ბატონის კარზე, მონობაში აღზრდილმა ჭაბუკმა თითქოს ვარდოს სიყვარულში ჰპოვა ბედნიერება, მაგრამ ბედუკუღმართი ცხოვრების გამო მისი ერთადერთი ვაჟი, ზურაბი მიტოვებული სატრფოს შურისძიების მსხვერპლი ხდება.

მოთხრობის ყველაზე უმძაფრეს ნაწილს — ოსმან-აღას თაეგადასავალს ავტორმა ეპიგრაფად იუზუიტთა უმკაცრესი კანონი წარუმძღვარა: „იყავ ლეში", და ეს როდი იყო მწერლის სუბიექტური კაპრიზი: ბატონყმობა მართლაც რომ ბარბაროსული სოციალური ინსტიტუტი იყო.

შეუბრალებელმა ბატონმა უდროოდ დაობლებულ ოსმან-აღას ყველაფერი წაართვა, ხოლო მისი დედა და დაი ყმებად გაიხადა.

შვილებზე გადაძვედარ დედას, კევრში პირუტყვივით გაბმულს, მხეცმა ბატონმა ცემით ამოხადა სული, ოსმან-აღას კი ხელიდან გამოსტაცა უკანასკნელი ბედნიერება, საცოლე ნატო. შემდეგში საბედისწერო გზაზე დამდგარი ოსმან-აღა მწარე ირონიით მოუთხრობდა დურმიშხანს: „იმათ პგონიათ, რომ ჩვენ კაცნი არ ვიყვენეთ, ჩვენ არ შეგვეძლოს სიყვარული და სიძულვილი, რომ ჩვენ არ გვქონდეს გული“.

ყოველმხრივად დამცირებული და შეურაცხყოფილი ოსმან-აღა ამოხოცავს ბატონის ოჯახს და მის შესაპყრობად დადევნებული, არანაკლებ გამწარებული კაცებისავე დახმარებით უცხოეთში გადაიხვეწება. თუმცა იანიჩარის ჯარში ერთხანად იგი „თავის დამღუპველ ოსმალეთს ამშვენებდა“, მაგრამ სიკვდილამდე სამშობლოზე ფიქრობდა და ბორგავდა. თავისი ქონების დიდი ნაწილი ოსმან-აღამ მშობლიურ ქვეყანას შესწირა, ხოლო წინაპართა ტრადიციების შებღალვას ოსმალთაგან წამებით სიკვდილი ამჯობინა.

საერთოდ, ოსმან-აღას თავგადასავალი ქართული ლიტერატურის ისტორიაში ყველაზე სისხლიანი ფურცელია, რომლის ანალოგიურ სცენებს ილია ჭავჭავაძის პოემებსა და მოთხრობებში თუ შევხვდებით.

***

დანიელ ჭონქაძემ, როგორც რეალისტმა მწერალმა, უყურადღებოდ არ დატოვა ის დიდი ცვლილებები, რაც კაპიტალიზმის განვითარების შედეგად ხდებოდა მე-19 საუკუნის საქართველოში.

როგორც დურმიშხანი, ისე ოსმან-აღა საკმაო წარმატებას იჩენენ აღებ-მიცემობაში და დიდძალ ფულსაც იხვეჭენ.

მაგრამ ფეტიშიზმამდე მისულმა ფულით გატაცებამ იმდენად ძლიერად შეიპყრო დურმიშხანი, რომ მან, ავტორის სიტყვით, „სიმდიდრის მოპოვებას შესწირა ყოველივე კეთილი გრძნობა გულისა“. იგი გახდა პირადი ანგარების მონა, გულგრილად უკუაგდო როგორც უმანკო სატრფოს სიყვარული, ისე ოსმან-აღას მეგობრობა.

დანიელ ჭონქაძის მოთხრობა, უფრო თემატური თვალსაზრისით, თავისებური საფეხურია ქართული პროზის განვითარების ისტორიაში.

ნიჭიერმა ბელეტრისტმა, ძალზე დაძაბული ფსიქოლოგიური მომენტების პარალელურად, საუცხოოდ დაგვიხატა საქართველოს „ფირუზისვით ღია და ლურჯი ცა“, აპრილის მყუდრო საღამო და მზის სხივთა შადრევნებში მოჭიკჭიკე ფრინველები.

„სურამის ციხის“ ავტორს რომ დასცლოდა, შესაძლებელია მისი მარჯვენა კიდევ უფრო ამაღლებულ ტილოებს შექმნიდა, მაგრამ ეს ერთი მოთხრობაც საკმაოდ ძლიერი მოწოდება იყო მათთვის, ვინც მზად იყო, ოსმან-აღას დედა გუთნიდან გამოეშვა, სამართლიანობისათვის სიცოცხლე გაეწირა.

დანიელ ჭონქაძე ჩვენს სინამდვილეში ერთგვარი წინამორბედი იყო 60-იანი წლების იმ მებრძოლი თაობისა, რომელიც დიდი ილიას დროშით, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ბუკითა და ნაღარით ღონივრად მიიკელეედა გზას სრულიად ახალი და გონივრული სოციალური წყობილებისაკენ.

ჭოლა ლომთათიძის პოეზიის უმრავლესობა ციხის ნესტიან კედლებში იწერებოდა.

თავისუფლებას მოწყურებული, სიცოცხლეზე ხარბად შეყვარებული ლირიკოსი იმითაც კმაყოფილი იყო, თუ მისი სატუსაღოს რაფასთან მერცხალი აჟღურტულდებოდა ანდა ბეღურა შეიფრთხიალებდა.

საუბედუროდ, ეს თავისებური სიამოვნებაც მეტად ხანმოკლე იყო. ციხის უამრავ მცველთა ხიშტებს უწყინარი ფრინველებიც უფრთხოდნენ და მათზე შეყვარებულ პატიმარს მხოლოდ ერთი ნატერაღა დარჩენოდა: „გაფრინდი, ჩემო ბეღურა! გისურვებ გადარჩენოდე ქორის კლანჭებს!"

მაგრამ ფიზიკური რეპრესიები ვერ პკლავდა ჭოლას შებრძოლ სულს, ციხე — ადამიანთა ეს ცოცხალი სასაფლაო — ვერ ახშობდა მის ცხოველ ფანტაზიას, წარმოსახვის ძალას. „ჯარისკაცს პგონია მე ვერ ვხედავ ზეცას. მე ვხედავ მთელ ზეცას მოჭედილს ვარსკვლავებით— მე ვხედავ ყველას, რაც თვალით მოსჩანს და იმასაც, რაც არ მოსჩანს თვალით—"

ჭოლა ხალხის უკეთესი მომავლისათვის იწვოდა და იფერფლებოდა. იგი ამაყად და წარბშეუხრელად აცხადებდა განცხრომის ძეთა საყურადღებოდ: „— და დამერწმუნე, ვარდით ფერილ შენს ცხოვრებაში, მოვკვდები, მაინც არ გაგიცვლი ეკლიან გზასა".

ანდა რამდენის მთქმელია მებრძოლი მწერლის შეძახილი ბნელეთის ძალებისადმი: „აქრე სინათლე, მე მაინც ავანთებ მას".

ჭოლა ლომთათიძის შემოქმედება ერთი დიდი სარკეა, რომელშიაც შეუფერადებლად მოჩანს ხალხთა საპყრობილე — მეფის რუსეთი, ციხე თავის ჩაბნელებული ჯურღმულებითა და ეელური კანონებით, გულქვა უფროსებითა და რეგვენი ზედამხედველობით, სულიერი მაშებით, რომელნიც უდანაშაულო ადამიანის ჩამოხრჩობას საცეცხლურის ქნევითა და გუნდრუკის კმევით ეგებებიან.

ნიჭიერი მწერლის შემოქმედებაში უდიდესი ძალით იგრძნობა არა მარტო პროტესტი და ჩაგერის სამეფოს სიძულვილი, არამედ იმედი და რწმენა მშრომელთა გარდაუვალი გამარჯვებისა.

უდავოა, ამ რთული და უაღრესად ორიგინალური შემოქმედის ყოველმხრივი შესწავლა კიდევ უფრო მაღლა ასწევს უკეთესი მომავლისათვის მებრძოლი რაინდის სახელს, კიდევ უფრო ღრმად ჩაგვახედებს სისხლით დაწერილ მის სტრიქონებში, რომლებიც თავის დროზე ნამდვილად მრისხანე მოწოდება იყო უსამართლო ტირანიასთან შემართებისა. მართალია, ჭოლა ლომთათიძის შესახებ საბჭოთა პერიოდში საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა (ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დ. რამიშვილის ვრცელი მონოგრაფია.), მისი ნაწერების სრული კრებულიც ჩვენს სინამდვილეში გამოიცა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ფრიად კოლორიტული ფიგურის წინაშე ჯერ კიდევ ვალშია ქართული სალიტერატურო კრიტიკა. ასევე შეუფასებელია ჭოლას შეხედულებანი ფილოსოფიური, ესთეტიკური და, განსაკუთრებით, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

***

ჭოლა ლომთათიძემ ჯერ კიდევ ბავშვმა ხიდისთავის ბიბლიოთეკაში გადაიკითხა ქართველი კლასიკოსები და უყოყმანოდ ირწმუნა ის ჭეშმარიტება, რომ ადამიანის მაღალი დანიშნულება მხოლოდ ბრძოლა და შრომაა, რომ ნაძრახ სიცოცხლეს ბევრად სჯობია სახელოვანი სიკვდილი.

მოსწაულე ჭოლა გატაცებით ებმება მიხა ცხაკაიას მიერ დაარსებულ მარქსისტულ წრეში. აქედან იწყება მისი, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერის წარმტაცი, თავისებურად სახარბიელო, მაგრამ მძიმე და ეკლიანი გზა.

ამიერიდან ჭოლა სოფელში, ქალაქიდან ქალაქში „მოგზაურობს“, თუმცა სანგრძლივად არსად ედგომება, უკეთ რომ ვთქვათ, არ აჩერებენ, სდევნიან. მისი მეამბოხე სული ვერსად ურიგდება უზარმაზარ საპყრობილეს — მეფის რუსეთს, რომელსაც ასე გულმოდგინედ ამაგრებდნენ და იცავდნენ „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“. ჭოლა ამ ხანებში ბევრს კითხულობს. იგი თავისი მკვირცხლი და ნათელი გონებით ადვილად დანავარდობს აზროვნების ყველა სფეროში, მაგრამ ჭოლას სტიქია მაინც პოლიტიკა და ლიტერატურაა.

ძველი ქეყნის წინააღმდეგ ამხედრებული ჭაბუკის ბასრი კალმის პირველ ნიმუშებს 90-იანი წლებიდან ეხვდებით „კვალის“ ფურცლებზე, სადაც იგი დაუზოგავი სარკაზმით ამათრახებს მტაცებელთა ხროვას, საძულველ სოციალურ უსამართლობას. „ჩვენი ჭაბუკები მაინც ნუ იქნებიან მონები“ — აცხადებს მომავალი თაობის ბედზე დაფიქრებული ჭოლა.

თავისებური და ხშირად მერყევი იყო ჭოლას პარტიული მოღვაწეობა, მისი პოლიტიკური კონცეფციები და შეხედულებანი.

როგორც რ.ს.დ.მ.პ. წევრს, მას ხშირად სერიოზული კონფლიქტი ჰქონდა მენშევიკებთან, არ ეთანხმებოდა მეუმცირესეთა ლიდერების პოლიტიკურ მრწამსს. სამაგიეროდ, მასაც არაერთხელ განუცდია მენშევიკების უნდობლობა, ცილისწამება, სახალხო დისკრედიტაცია.

ამ უთანხმოების ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იმაში მდგომარეობდა, რომ ჭოლა, წინააღმდეგ მეუმცირესეთა რეფორმისტული თეორიისა, მოითხოვდა და მხარს უჭერდა შეიარაღებულ აჯანყებას.

საკმარისია გავიხსენოთ თუნდაც სტრიქონები მისივე მხატვრული ნააზრევიდან: „შეეცქერი ყველა ამას და მაგონდებიან ბრიყვები, რომლებიც მშვიდობიანი საშუალებებით ჰფიქრობენ მოსპონ დიდი დავა სიმდიდრე-სიღარიბეს შორის_ თუ მაგარი მუჯლუგუნი არ უთავაზე იმათ, მიხვდებიან განა ისინი, რომ ცხოვრების სუფრაზე სხვებსაც უნდათ ალაგი?_ ნებით არ დათმობენ ისინი არაფერს — ძალით უნდა დავამარცხოთ ისინი_ მაშ ქუჩაში დროშით ხელში!“; ანდა მოიგონეთ მებრძოლი სტრიქონები მოთხრობიდან „მატლი“: „ჰმ, მოთმინება, აი, ის წყეული ჯაჭვი ამირანისა, რომლისგანაც არ იქნა და არა, ვერ გაითავისუფლა თავი ამ უბრო გმირმა. მოთმინება — ეს თითქოს ჩაქუჩია, რომელმაც უნდა ამსხვრიოს ადამიანის სურვილიცა და მისწრაფებანიც. არა, ძმაე, მოთმინებით ჩვენ ვერ დავიმკვიდრებთ ქვეყანას. მოთმინება და იმედი კი არა, ბრძოლა და იმედი“.



დიახ! ჭოლამ არ იცოდა უკან დახევა და კომპრომისი, მისთვის უცხო იყო შენიღბვა, გულისჩყვეულობა, ქურდულად დანის ჩაცემა.

თავისი პირდაპირობით 1906 წელს სტოკჰოლმის ყრილობაზე, რომლის სხდომებიც ლონდონში მიმდინარეობდა, მან ლენინის ყურადღებაც კი მიიქცია, თუმცა მისგანვე გამანადგურებელი კრიტიკაც იგემა.

უდავოა, ჭოლას, როგორც რევოლუციონერს, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრსა და მწერალს, ახასიათებდა გარკვეული წინააღმდეგობანი, ახასიათებდა შეცდომები, მაგრამ ამ შეცდომებსაც თავისი სუბიექტური და ობიექტური საწყისები ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ერთი რამ აუცილებელ ჭეშმარიტებად რჩება: ჭოლა ლომთათიძე დიდი დემოკრატიული სულის მწერალია; იგი თავისი ცხოვრების გზაზე კალმითა და იარაღით ხელში სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა ძალმომრეობას.

„ან სიკვდილი, ან გამარჯვება“ — ასეთი დევიზით აღმართა მან მებრძოლის დროშა და ასეთად ჩაიდა საფლავში იმ რწმენით, რომ ადრე თუ გვიან სიმართლე გაიმარჯვებდა, ბნელს ნათელი სძლევდა.

განსაკუთრებით მძიმე და აუტანელი იყო ჭოლას ცხოვრება 1907 წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე. მას, როგორც მეორე სახელმწიფო სათათბიროს წევრს, მეფის მთავრობამ 7 წლის კატორღა მიუსაჯა.

პატიმრობის წლებში, რომლებიც იმპერიის სხვადასხვა ციხეში ნელი ზლაზვნით მიდიოდა, ჭოლამ შექმნა თავისი ლირიკული პროზის შედევრები და იქვე სრულიად ახალგაზრდამ შეწყვიტა სიმღერა.

ამ პერიოდის მხატვრულ ნაწერებსა და ეპისტოლეებში დიდი სულიერი მღელვარებითაა გადმოცემული მწერლის სიცოცხლის უკანასკნელი წლები, ოჯახური ტრაგედია (ცოლის ღალატი) და ბოლოს ტანჯვით, მაგრამ სამშობლოს მომავალზე ოცნებით განსპეტაკებული სიკვდილის მოლოდინი.

რევოლუციურ-დემოკრატიული სკოლის მწერლებიდან ჭოლა ლომთათიძემ ერთმა პირველთაგანმა შეითვისა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეები და ახალ, კიდევ უფრო გამწვავებულ კლასობრივ ვითარებაში განაგრძო ბრძოლა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის.

დღეს აღარავინ იზიარებს ზოგიერთი კრიტიკოსის მცდარ შეხედულებას, თითქოს ჭოლა ლომთათიძის პროზა უკიდურესად სუბიექტური განცდების, მთლიანად ავტობიოგრაფიული ხასიათისა იყოს.

ნიჭიერი ლირიკოსის შემოქმედებაში ბევრგან, შეიძლება ითქვას, ეპიური სიდინჯით გადაიშალა ობიექტური სამყარო, ანტაგონისტურად განწყობილი კლასების ბრძოლა, საზოგადოების სხვადასხვა ფენის მისწრაფებანი და იდეალები.

ფრიად საყურადღებოა, რომ ჯერ კიდევ 1905 წლის რევოლუციის წინაპერიოდის

მხატერულ ნიმუშებში მწერლის თემატიკაში სჭარბობს სოციალური პრობლემები. მოთხრობებში „დავითი“, „ცხოვრების გულიდან“ და სხვ. რეალისტურადაა დახატული ეკონომიური უთანასწორობისაგან ჩაწიხლულ, დასაღუპად განწირულ ადამიანთა პორტრეტები. თაეისებურად საგულისხმოა ფიგურალური შედარებაც იმის შესახებ, რომ გაბატონებული კლასები, კერძოდ, კაპიტალიზმი „ისე ეაჭრობს ადამიანით, როგორც ძროხის ხორცით“.

სოციალური მოტიეის პარალელურად, ჭოლა ახალი კუთხით უტრიალებს ეროვნულ საკითხს. მას იტაცებს და ხიბლავს ბობოქარი ზღვა, რომლის შრიალსანე ტალღებიც მძლავრად ეხეთქებიან დაშმორებული პაერით მოწამლულ გარემოს, ირგელივ ჩამოწოლილ წყვდიადს.

ჭოლა იმედის თეალით შესცქერის ყველა ქვეყნის ჩაგრულებს და მათი დახმარებით მოელის „მიჯაჭვული ამირანის“ გათაეისუფლებას, თუმცა საბოლოოდ იგი მაინც „თერგდალეულთა“ ეროენულ იდეალებს უბრუნდება. აქ მძლავრად იგრძნობა ილიასა და აკაკის უდავო გაელენა (ჩენ მხედველობაში გეაქეს დამონებული სამშობლოს, მშობელი ხალხის სიყეარულის შთამაგონებელი ძალა თუნდაც „მგზაერის წერილებსა“ და „აჩრდილში“).

განა სამშობლოს სავალალო ბედზე ანალოგიური ამონაკენესი არ მოისმის ჭოლას სტრიქონებშიც: „სამშობლო ქეეყანავ– განა შეიძლება კი ჩემსავით უყვარდე ეინმეს? შენ და მხოლოდ შენ გეკუთვნის ჩემი სიცოცხლე! შენ და მარტო შენ შეადგენ ჩემს მიზანს, შენ და მარტო შენ მაკავშირებ ცხოვრებასთან– დედამიწაზე შენზე უკეთესი არაფერი მინახავს მე, ჩემო სამშობლო ქეეყანავ!“

აკაკის პატრიოტული ლირიკის ლეიტმოტიეზე ჟღერს აგრეთვე ჭოლას აღსარება: „მე მსურს იცოდეთ თქეენ მაინც, რომ მე დავსტირი ჩემს სატრფოს“. და ის ტარიელიეით იბრძვის შეურაცხყოფილი სატრფოს, „ცხრაკლიტულში მჯდომარე“ ნესტანის გამოსახსნელად.

მართალია, ხშირად მწარე და შავი ფიქრები უკაწრაეენ გულს პოეტს, მაგრამ სამშობლო ქვეყნის უკეთესი მომავლის რწმენას იგი ეტრფის ისეთიეე ძლიერი ოპტიმიზმით, როგორც ეროენულ-განმათაეისუფლებელი მოძრაობის დიდი ქურუმები ილია და აკაკი.

დიდი პოეტური ექსპრესიითა და ფსიქოლოგიური სიღრმით არის დაწერილი ჭოლა ლომთათიძის ლირიკული პროზის ზოგიერთი შედეერი (განსაკუთრებით, 1907 წლიდან 1914 წლამდე). ქართული ლიტერატურის ისტორიაში ძნელია დაეასახელოთ მეორე მწერალი, რომელსაც ასეთი გულთამხილაობით შეძლებოდეს ადამიანის სულის უღრმესი და უფაქიზესი განცდების ამეტყეელება.

რად ღირს თუნდაც ცნობილი ფსიქოლოგიური მოთხრობა „სახრჩობელას წინაშე“, რომლის ცენტრალური გმირი ჯეირან ვარდოსანიძე უმძიმეს განაჩენს — ჩამოხრჩობით სიკედილს — გმირთა ნებისყოფით ხვდება.

სიკედილ-სიცოცხლის ბნელ მიჯნაზე აღმართული შინაგანი ჭიდილი, სუბიექტურ განცდათა აფეთქებები ბოლოს და ბოლოს ცხრება, რეალურ გადაწყეეტილებას იღებს.

ჯეირან ვარდოსანიძემ, როგორც დემოკრატიული იდეებისათეის თავგანწირულმა რეეოლუციონერმა, თავის თაეში გაანადგურა, მოპკლა ძე კაცისა, და როგორც ძე სა-



ზოგადოებისა, გაბედულად იყიდა სახრჩობელაზე.

სოციალური და პოლიტიკური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი მამაკაცების გვერდით ჭოლამ იშვიათი ოსტატობით დაგვიხატა მებრძოლ ქალთა პორტრეტებიც. ჭოლა ქალს ეტრფის არა როგორც მარტო მშვენიერ სქესს, ოჯახზე გადამკიდარ დედას, არამედ როგორც საზოგადოების წევრს, ცხოვრების გარდაქმნისთვის აქტიურ მებრძოლს.

მართლაც, ჭოლას მოთხრობებში გვხვდება სხვადასხვა ეროვნების (ქართველი, რუსი, ებრაელი, სომეხი, უკრაინელი) რევოლუციონერ ქალთა მთელი პლეადა, რომელთა უმრავლესობა ბარიკადებზე ან საბრძოლო დაყალებათა შესრულების დროს იღუპება.

ჭოლა მაღალ შეფასებას აძლევს ქალს და სჯერა, რომ მისი პოტენცია და ნიჭი უკეთეს გარემოში სხვაგვარად აელვარდება. „დავანებოთ ისინი უკეთეს დროს და გარემოებას, — წერს ჭოლა, — და ვნახავთ, რომ ქალი ღირსი იქნება თაყვანისცემისა, რომ ისინი მოლოდინს გაამართლებენ". მწერალი ხანდახან სცოდავს, უკიდურესად სუბიექტურ აზრს ანვითარებს, როცა წერს, თითქოს ქართველმა ქალმა „მოვალეობა სამშობლოს წინაშე, მოვალეობა საზოგადოებრივი მიმართულების წინაშე არც მაშინ იცოდა და არც ახლა იცის". თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ აზრს თვითონვე ძრავალგან აბათილებს. ჩანს, მწერალი ვერ უგულებელყოფს იმ დიდ ვალდებულებას, რომელიც ერისა და ხალხის წინაშე ამოქმედებდა ჩვენს ისტორიულ დედებს, რუსთაველის, ილიას, აკაკის, ვაჟას პოეტურ ქმნილებათა გმირ ქალებს.

ჭოლას მხატერულ მემკვიდრეობაში დიდი ადგილი ეთმობა წვრილბურჟუაზიული ინტელიგენციის წარმომადგენლებს. მებრძოლი სულის მწერალი დაუზოგავად ამათრახებს მხდალ, უპრინციპო, მერყევ, მოწუწუნე ადამიანებს. მართლაც, რა საერთო შეიძლება ჰქონოდა რევოლუციურ ბრძოლებში დამფრთხალ, უიმედო და მონური ფსიქოლოგიის ადამიანებთან მას, ვის ნაწერებშიც ასეთი შემართების ხმები გაისმის: „ვერა, მხდალნი ვერ დაისაკუთრებენ ქვეყანას_ ან სიკვდილი, ან გამარჯვება. შერიგება კი არასოდეს_ თქვენ მხდალნი ხართ, თქვენ ყველაფერი გაშინებთ_ თქვენ, ბატონებო, კურდღლები ხართ, რომელთაც წყალში გადამხტარი ბაყაყიც კი აგიტეხთ გულის კანკალს".

ჭოლა მიწასთან ასწორებს ბიუროკრატიული აპარატის მოხელეებს და იმ დასკვნამდე მიდის, რომ მათი სულიერი და ზნეობრივი გადაგვარება არსებითად უკუღმართი საზოგადოებრივი წყობილების ნაყოფია.

წარმტაცი ასახვა პოეტა ჭოლა ლომთათიძის ლირიკულ პროზაში შეიძლება ქცეულიყო დიადმა და ზეიადმა ბუნებამ.

ჭოლას შემოქმედებაში ჩვენ ვერ ვხვდებით ბუნების სტატიკურ ასახვას.

ღრმა განცდების ლირიკოსი უფრო დინამიკაში, ადამიანის სულიერ განწყობილებასთან ურთიერთობაში გვიხატავს მას. ჭოლას, ისევე როგორც აკაკის, ყაზბეგს და ევდოშვილს, ნაკლებად იტაცებს ბუნების მეტაფიზიკური მაშინ, როცა მის მოძმეთა უმრავლესობა ეროვნულ ჩაგვრასა და სოციალურ კირთებას განიცდის. ადამიანის სულისა და გულის კარი მხოლოდ მაშინ გაიღება ბუნების ჯადოსნურ მშვენიერებათა აღქმისათვის, როცა მისი ცხოვრება მოწესრიგდება, როცა ჩაგრულთა კენესა შეწყდება.

ჭოლას, როგორც რეოლუციური სულის მწერალს, გატაცებით უყვარს ზღვის შედგარი სტიქიონი, მისი ტალღების გუგუნი. იგი მ. გორკის მსგავსად (ჭოლა კარგად იცნობდა გორკის შემოქმედებას) ეტრფის ქარიშხალს, რომელმაც უნდა გაწმინდოს შეგუბებული პაერი.

ჭოლა ბუნებას უყურებს არა მარტო როგორც ესთეტიკური ტკბობის მომნიჭებელს, არამედ როგორც მატერიალური სიკეთის ულეველ საუნჯეს, „ადამიანი შეწყვეტს ადამიანთან ბრძოლას — ამბობს ჭოლა — და მთელი თავისუფალი ძალით შეებრძოლება ბუნებას, წაართმევს მას საიდუმლოებას და მოიხმარს თაეის ცხოვრების გასაუმჯობესებლად".

ჭოლა ლომთათიძე ა. ყაზბეგის მსგავსად ხშირად მიმართავს ბუნების პერსონიფიკაციას და თავის სულიერ განწყობილებას ბუნების მეტამორფოზებს უკავშირებს. მოვუსმინოთ მწერალს: „ტირის ბუნება, ტირის ჩუმად, წყნარად, მაგრამ გულწრფელი და დაღონებული ტირილით კი ტირის ის და შეც მინდა ტირილი, შეც მინდა ცრემლები გადმოვღვარო, შეც მინდა ავქვითინდე".

ჭოლა ლომთათიძეს საერთო არაფერი აქვს ანტირეალისტურ ხელოვნებასთან. უდავოა, ჭოლა რეალისტია. იგი აღიზარდა ქართული კლასიკური მწერლობის ტრადიციებზე და არასოდეს გადაუხვევია იმ მაგისტრალური გზიდან, რომელიც ილიამ და აკაკიმ გაკვალეს თუმცა. შესაძლებელია. იგი აქა-იქ იყენებდეს იმ პოეტურ ხერხებსა და გამოთქმებს, რასაც სიმბოლისტები და დეკადენტური სკოლის სხვა მწერლები მიმართავენ.

განა ჭოლას არ' ეკუთვნის სიცოცხლისა და ცხოვრების მშვენიერებით ნაკარნახევი სტრიქონები: „ცხოვრება მშვენიერებაა და აღტაცებაა საჭირო იმის წინაშე– ცოცხლებმა სიცოცხლისაკენ და ბრძოლა სიკვდილს!"

ჭოლა ბოლომდე რეალისტად დარჩა: მას არასოდეს გაუზიარებია ანტირეალისტური ხელოვნების ესთეტიკური პრინციპები, იგი სიკვდილამდე არ გაქცევია ცხოვრების მღერიე ტალღებთან შეხლას, მას ხმალი არ ჩაუგია და არც შეშრომელთა საბოლოო გამარჯვების რწმენაზე აუღია ხელი. დიახ! ჭოლას წერის მანერა რეალისტურია.

უდავოა, ჭოლას შემოქმედებაში ადგილი აქვს მთელ რიგ წინააღმდეგობებს, ხშირად ექცევა იგი სევდისა და პესიმიზმის რკალში, მაგრამ იგი მაინც შებრძოლი სულის მწერლად დარჩა. „სევდა ამინდის შვილია" — ამბობს ჭოლა და ვფიქრობთ, აქ მეტაფორულ გამოთქმასთან გვაქვს საქმე.

შეიძლებოდა რამდენიმე სიტყვა გვეთქვა ჭოლა ლომთათიძის პოეზიაზე, მაგრამ ამჯერად დუმილს ვამჯობინებთ. მართალია, იგი რამდენიმე (ხშირად თემატიკურად საინტერესო) ლექსის აეტორია, მაგრამ პოეტური ძალა და უშუალობა მათში ნაკლებად იგრძნობა. უპირველეს პოეტად და შეუდარებელ ლირიკოსად ჭოლა მხოლოდ და მხოლოდ თავის პოეტურ პროზაში გვევლინება.

ჭოლა დიდი ოპტიმისტია, მის შემოქმედებაში მძლავრად გაისმის რუსთაველის ფრთამალი ტაიჭისა და ბარათაშვილის მერანის ფლოქვების თქარათქური.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მაღალ ტრადიციებზე აღზრდილს, მას ნათელ ფერებში ეხატება სამშობლო ქვეყნის უკეთესი მომავალი. „ეს წეიმა, ეს ქარი დროებითია, გაივლის, გამოიდარებს, იმედი და სულ იმედი დაისადგურებს“.

ჭოლა ლომთათიძეზე ბევრი უნდა ითქვას და დაიწეროს!



ფეოდალური საქართველოს რღვევისა და ნგრევის ისტორიულ პროცესს გრ. ორბელიანის შემდეგ ყველაზე ღრმა გულისტკივილით პოეტი მამია გურიელი შესწდა.

და ეს მოსალოდნელიც უნდა ყოფილიყო იმ ადამიანისაგან, რომელიც, მისი ბიოგრაფის იონა შეუნარგიას მოხდენილი გამოთქმით, „ევფხისტყაოსნის ქვეყნის ჩამონათალი იყო".

მართლაც, გურიის მთავრების მდიდრულად მორთული სასახლეები თავისი საწვეულო დარბაზებითა და ხაესმოდებული ციხე-კოშკებით რაღაც გრანდიოზულ სანახაობას წარმოადგენდა ფეოდალური საქართველოს ფონზე.

ირიცხრაჟებდა თუ არა, სანადიროდ დაგეზებული ქორ-მეძებრები ათეულ კილომეტრებზე გადაჭიმულ ჯალებისა და ტევრებისაკენ აიშლებოდნენ, ხოლო საქრაელით შეხურებული არაბული ბედაურები ტორთა ცემითა და ჯიხვინით საჯირითოდ იწვევდნენ ოჯალეშით შეზარხოშებულ მხედრებს. და ეს ყოველივე ხდებოდა არცთუ შორეულ ხანას, ავერ შე-19 საუკუნის 40—45-იან წლებში.

ადვილი წარმოსადგენია, რაღა იქნებოდა წინა ეპოქაში, როცა ფეოდალური ფორმაციის რღვევის სტადიაშიც კი მამიას მამის — გურიელთა სამთავრო ტახტის უკანასკნელი მემკვიდრის — დაეით გურიელის სასახლეში თითქმის ყოველდღე ორი-სამი ძროხა იკლებოდა.

გურიელის სასახლის მუდმივი და მოუწყინარი სტუმრები იყვნენ გურიის, სამეგრელოსა და იმერეთის დიდგვაროვნები, რომელთა შესაქცევად იმართებოდა გაბმული ქეიფი, ცეკვა-სიმღერა, შაირობა, ჯირითი, ჭიდაობა და სხვ. ასეთ სოციალურ გარემოში — 1836 წელს — დაიბადა პოეტი მამია გურიელი, რომელმაც შემდეგში მარად მშფოთვარე რიონის უძველესი სახელწოდების პატივისცემით ლიტერატურულ ფსევდონიმად „ფაშელი" აირჩია.

დაკანონებული ტრადიციის მიხედვით გურიის უმდიდრესი და უძლიერესი მთავრების მემკვიდრე აღსაზრდელად სათნო გლეხის ქალს ჯანეერდის მიაბარებს, რომელმაც ისედაც ნიჭიერი ბავშვის ფანტაზია ქართული საგმირო ზღაპრებითა და ლეგენდებით სრულიად ახალ სამყაროს აზიარა.

მომავალ პოეტს წერა-კითხვა კარის ეკლესიის მღვდელმა შეასწავლა, რის შემდეგაც იგი საკმაოდ დიდხანს ნებიერობდა საგვარეულო სასახლეში: მხოლოდ 15 წლისა შეიყვანეს მამია ქუთაისის გიმნაზიაში. ორიოდე წლის შემდეგ თბილისში მიემგზავრება სწავლის გასაგრძელებლად. აქ მას ყირიმის ომმა მოუსწრო.

თუ როგორი გონებრივი და ზნეობრივი აელადიდებით იკეებებოდა ის წრე, რომელშიაც მამიას ბავშვობიდანვე უხდებოდა ტრიალი, ადვილი წარმოსადგენია მისივე ლექსის სტრიქონებიდანაც: „აქ შეიქმნება ხუმრობა, სიცილი, ლაზღანდარობა, აზნაურთ შორის მასხრობა, ერთმანეთისა ჯავრობა".

თავი რომ დავანებოთ გონებრივი განათლების შეზღუდულობას, თვით ფიზიკური წრთობაც კი, რომელსაც იმდროინდელი აღზრდის სისტემაში მთავარი ადგილი ეჭირა, თეითნებური, სტიქიური სახით მიმდინარეობდა.



ძნელი დასაჯერებელია, სერიოზული გონებრიეი და ზნეობრიეი აღზრდა-განათლებისათეის დაედო გული იმ ახალგაზრდობას, რომელიც გაბმული ქეიფით აღგზნებული, კეეხნით გაიძახოდა:

„ნეტაე ამ ქეიფსა და სმაში ეის არ მოეილხენს, გარცხრება".

ამ ოჯახის წეერთა წოდებრიე ამპარტაენობასა და თავგასულობაზე კარგად მეტყეელებს ის ფაქტიც, რომ მაშიას რძალმა, ჯაბას მეუღლემ, გლეხობის წრიდან გამოსულ, გამხდარ და ფერმიხდილ ეგნატე ნინოშეილს ხელიც კი არ ჩამოართვა.

ბატონყმურ გარემოში ფუქსავატურად აღზრდილი მაშია შემდეგში სამხედრო კარიერამ გაიტაცა და აღარც თეითგანეითარების გზით უცდია თაეისი ბუნებრიეი ნიჭისათეის რაიმე სერიოზული გონებრიეი საზრდოს მიცემა. ამიტომაცაა, რომ მის შემოქმედებას შეზღუდულობისა და პრიმიტიეიზმის დაღი ასის.

უაღრესად მნიშვნელოეანი სოციალური და ეკონომიური ძერები ახასიათებდა იმ ეპოქას, რომელშიაც მაშია გურიელს მოუხდა ცხოერება.

კაპიტალისტური ურთიერთობის შემოჭრამ ძლაერად შეარყია ნატურალური მეურნეობის ისედაც დრომოჭმული საყრდენები, ისტორიული კანონზომიერებით განწირული ფეოდალური წყობილების შენარჩუნება აღარაეითარ ძალას არ შეეძლო.

მარტო გურიის 1841 წლის აჯანყებაც საკმარისი იყო იმის გასათეალისწინებლად, თუ რა მკაცრი განაჩენი გამოექონდა დროს გაბატონებული კლასების ძალმომრეობის დასათრგუნაედ.

ცოტა მოგვიანებით სამართლიანად შენიშნავდა ჩეენი საზოგადოებრიეი ცხოერების საუკეთესო მხატეარი გიორგი წერეთელი, როცა წერდა: „თაეადაზნაურობა დარჩა ყოელად უნუგეშო მდგომარეობაში. შრომა იმას არ შეუძლია, სწაელა და მოხერხება არა აქეს. ამის გამო ის თანდათან ღარიბდება, საშუალება ხელიდან ეცლება და თანდათან ჰქრება იმათი სახელწოდება".

მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩეენს საზოგადოებრიე სინამდეილეში სრულიად ახალი ძალები და იდეოლოგიური შეხედულებანი იკაფაეენ გზას. ამ ხანებში პროგრესულ იდეებზე აღზრდილმა თერგდალეულთა თაობამ აღმართა ეროენულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროშა, რომელიც, ნ. ნიკოლაძის სიტყეით, „მხნედ და გაბედულად ეპყრა ილია ჭაეჭაეაძეს".

ვინც ამ გზას არ გაჰყეა, კონსერვატორთა ბანაკში დარჩა, კომპასი დაკარგა და ბრმად მიენდო აბობოქრებულ ცხოერების ტალღებს.

მაშია გურიელიც ორ წყალს შუა მოჰყეა. მას ძეელი მდინარის კალაპოტის დათმობა ეძნელებოდა, მისი რომანტიკული შემოგარენი ხიბლაედა, ხოლო ახალი, აზეირთებული ტალღების მუქარა შიშსა და სიძულეილს პგერიდა. ამიტომაც იყო, რომ იგი ნიადაგ უკან იხედებოდა, თაეის იდეალს კელაე ძეელის აღდგენაში ხედაედა:

თაყვანი ვცეთ ძველსა ღმერთსა
მო შეივიქნეთ წასაწედი
დრო წარსული მოგვიბრუნე
შემოგვძახე – ალავერდი.

თბილისში ცხოვრების საუკეთესო წლებშიც კი, როდესაც განახლების ქროლა ასე მძლავრად იგრძნობოდა, როდესაც თერგდალეულთა ბელადმა ილიამ ფუჭად დანთქმულ წარსულზე გოდება გონებრივ რეგრესად, ჩვენი ერის დალაჩრებად აღიარა, მამია გურიელი მძიმე სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ მას არ ელირსა გურიის მთავრობა. ლექსში „ფიქრი ყრმობისა" ის წერდა:

მე სახელ-გვარად
ვინ იყო მთავრად
მპყრობი გურიის ჩაქვ-აჭარისა
ვგევარ მას მარა
არვინ მამთავრა
არცა ვარ მეფე ზღვა-ლაშქარისა.

ასე მწვავედ განიცდიდა პოეტი მაღალი წოდების ტრაგედიას და. რაც უფრო ხელშესახები ხდებოდა ფეოდალური კლასის აღსასრულის მოახლოება, მით უფრო ძლიერდებოდა ეს აგონია. ამაოდ ემუდარებოდა პოეტი ყველას:

მოდით მიშველეთ კვლავ აღმადგინეთ
კვლავ მაქნევინეთ ჩემი საქნარი
ერთი კვლავ ყრმობის ეშხით მალხინეთ
ხელში მომეცით ნებისა ჭნარი.

გარკვეულმა სოციალურმა პირობებმა და გარემომ, რომლის ზემოქმედებითაც იზრდებოდა მამია, თავისებურად განსაზღვრეს მისი შემოქმედების თემატიკაც.

გურიელის ლექსებში გაბატონებულ მოტივებად გვევლინება წარსულის იდეალიზაცია, მომავლის ეჭვი, უკიდურესი ინდივიდუალიზმი, პატრიოტიზმი, სიყვარულისა და ღვინის კულტი.

რამდენადაც რეალიზმის ბატონობის ეპოქაში მამია გურიელს წილად ერგო აღნიშნული მოტივების სუსტად გადამღერება, ამდენად იგი ვ. ორბელიანთან, ნინო ორბელიანთან და გრ. აბაშიძესთან ერთად რომანტიზმის დეკადანსის ტიპიურ წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. პოეტის ლირიკული ლექსების უმრავლესობა დაწერილია ელეგიური განწყობილებით და არსებითად განწირული წოდების დამსხვრეულ იმედთა დატირებაა. რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს მამიას ეროვნულ-პატრიოტული და სოციალური თემატიკისათვის გარკვეული ხარკი არ გადაეხადოს. მაგრამ

როდესაც მისი ლექსების ამ ციკლს ვადარებთ ილიასა და აკაკის პატრიოტული ლირიკის ნიმუშებს, მათში გატარებულ საკაცობრიო იდეალებს, ბრძოლისა და მხნეობის აღმძერელ ნაღარას, ჩვენს თვალწინ მსელი სიდიადით აღიმართება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ბუმბერაზთა პოეტური სიდიადე და მოქალაქეობრიეი ახოვნება. მიუხედავად იმისა, რომ მამია გურიელი თავისი პოეტური ძრწამსით ძველი ქეყნის ტყვეობაში დარჩა და სამარის პირამდე გულს ულრღნიდა სეედა-პესიმიზმი, სამართლიანობა მოითხოეს აღინიშნოს ილიასა და აკაკის პატრიოტული და სოციალური ლირიკის მძლავრი გაელენა მის შემოქმედებაზე. განა „ჩაბალახახდილი“ სამშობლო ქეყნის სიყეარულს, უსამართლო ტირანიასთან ბრძოლასა და შემართებას არ მიუძღვნა მან პატრიოტული ლირიკის ისეთი შედევრები, როგორიცაა „კარჩხალის მთები“, „შოშია“, „საქართველოს მზე“, „ჩემი ალაეერდი“ და მრაეალი სხვა?!

საქართველოს დამცირებული სახე, მისი ტანჯეა და მონური ხვედრი თეითმპყრობელობის სუსხიან წლებში პოეტმა ასე გამოხატა ლექსში „საქართველოს მზე“.

სამარისფერ ლოყებზე სისხლის ღვარი სდიოდა
გრძელ დაშვებულ წამწამზე ცრემლები დასდიოდა
მის ობრაში ისმოდა ეს სიტყვები დამწველად
თორემ ენა სად ჰქონდა მწუხარების სათქმელად.

თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მოწოდება გაისმის ოპტიმიზმით აღსავსე ლექსში „ჩემი ალაეერდი“ , რომლის ისედაც შებრძოლ სტრიქონებს რაღაც მაგიურ ჟღერადობას მატებდა ავტორის — განუმეორებელი დეკლამატორის — წაკითხვა:

სისხლი ჩვენი ჩვენს ტკბილ აღმზრდელს
გადაეასხათ მოვალეკოთ
ან სულ გავწყდეთ ბრძოლის ველზე
ან მცველებად უნდა ვეყოთ.
ასე ვუთხრათ: საქართველოვ
ალსდექ გაბდი კვლავ თავხედი
არა რა არს უსაშველო
ყმაწვილებო ალაეერდი.

ერთხანად მამია, ისეე როგორც გენიალური ბარათაშვილი, სიყვარულში ეძებდა შვებას, უმაღლეს ბედნიერებად თვლიდა სატრფოს კალთაზე თავის მიდრეკას, მაგრამ აქაც დაიმსხვრა და იავარიქმნა მისი სამლოცველო ტაძარი.

როგორც აღვნიშნეთ, ილიასა და აკაკის შემოქმედების იდეური ზეგაელენით პატრიოტული მოტივი მამია გურიელის შემოქმედებაში, ბოლო ხანებში მაინც, თითქმის გაბატონებულ მოტივად იქცა. ცხოვრებით მოღლილ-მოქანცული პოეტი გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას და საფლავში უკეთესი მომავლის ნატვრა ჩაიტანა:

ფოთოლთ შრიალი ჩამომასმენდეს
სამშობლოისა ბედნიერებას ;
ჩიტთა ჭიკჭიკი გამაგონებდეს
მისსა დიდებას მის განათლებას!
ბულბული სტვენით ჩამძახდეს მარად
რაც გულისათვის უფრო ტკბილია
რომ მთელ კავკასში მტკიცედ და მყარად
კეთილდღეობა დადგენილია.

მეტად ნიშანდობრივია, რომ უმაღლესი არისტოკრატიის ჩამომაეალმა პოეტმა, კვლავ თერგდალეულთა გაელენით, საკმაო ადგილი დაუთმო სოციალურ საკითხს. ამ თემაზე დაწერილი ლექსებიდან შესანიშნავია „ქობულეთური ყანის სიმღერა“, რომელშიც აკაკისებური სიმახვილითა და ენობრივი სამკაულითაა გადმოცემული მშრომელი გლეხობის მძიმე ხვედრი თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის გარემოცვაში.

ღატაკი და უფლებააყრილი გლეხი ასე ჩასტირის მიწას:

ყოველდღე გეალერსებით
გაელებთ მოპირულ თოხსაო
მაგრამ ჯერ ვერა ვუშველეთ
ჩვენს წაფერდებულ ქოხსაო.

მართალია, მამია იდეურ-თემატიკურად რომანტიზმის რკალში იყო მომწყვდეული, მაგრამ საგულისხმოა ისიც, რომ მან შეგნებულად გაიზიარა მესამოციანელთა ესთეტიკური შეხედულებანი პოეზიისა და პოეტის დანიშნულებაზე.

პოეტის მოქალაქეობრივი ვალდებულების თაეისებური პიმნია ცნობილი ლექსი „პოეტი და ჩვენება“.

განცალკეეებითა დგას მისი ყველაზე პოპულარული ლექსი „ადამიანი“ , რომელსაც ავტორი ფართო აუდიტორიის წინაშე განსაკუთრებული პათოსით კითხულობდა.

აღნიშნულ ლექსში საკმაოდ შეკუმშულ და ლოგიკურად გამოკეეთილ მხატერულ ფორმებშია მოცემული ადამიანის მოქალაქეობრიეი დანიშნულება.

გარდა ორიგინალური ლექსებისა, მამიას აქვს რუსული და ევროპული პოეზიის ნიმუშების თარგმანებიც. იგი უფრო ისეთ პოეტებს თარგმნიდა, რომელთა შემოქმედების ნაღველიანი ტონიც შინაგანად ესალბუნებოდა მის სულიერ განწყობილებას (ბაირონი, მური, სოლოგუბი).

მამია გურიელის პოეტური მოღვაწეობის გვერდით საჭიროა გავიხსენოთ ის საბრძოლო დამსახურებაც, რომელიც მას თავისი დროისათვის მიუძღვის სამშობლო ქვეყნის წინაშე. რუსეთ-ოსმალეთის ომში მამიას ხმალიც ვაჟკაცურად ელავდა. სისხლისმღერელი ომების უშუალო მონაწილე პოეტი 1853-55 წლებში, ყარსის აღების ისტორიულ დღეებში, მძიმედ დაიჭრა. მამია გურიელს არც 1857-59 წლებში ჩაუგია ხმალი.

ქართველი ხალხის სახელოვან შვილებთან გრიგოლ და ზაქარია ორბელიანებთან ერთად ახალგაზრდა უნტეროფიცერი თავგანწირულად იბრძოდა შამილის ურდოების წინააღმდეგ, მცირე შესვენების დროს კი დაღესტნის აულებში სატრფოსთან გასაგზავნ ბარათებს აქარგავდა.

ერთ-ერთ ინტიმურ ლექსში სანგრებში ღამენათევი პოეტი ასეთი სტრიქონებით აბრალებდა თავს თავის სათაყვანოს:

ნახე შენსა მწერალსა
როგორ იმსახურებენ:
შენს ბულბულს შენს მღერალსა
შეშას აზიდვინებენ.

მამია გურიელის საბრძოლო დამსახურება პქონდა მსედველობაში რუს ოფიცერს მენშიკოვს, როცა დაკრძალვის დღეს (1891 წელს) პოეტი დაახასიათა, „როგორც უკეთესი პატრიოტთაგანი და თავისი საყვარელი მამულისათვის მებრძოლი".

მამია გურიელის უპირველესი ნატვრა ის იყო, რომ თუ თვითონ ვერ მოესწრებოდა, მისი სიკვდილის შემდეგ მაინც გამხდარიყო საყვარელი სამშობლო თავისუფალი, ძლიერი და ბედნიერი.



ძეგლის დადგმა თვით ერის უკვდავებაა

1913 წელს ოდესის უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტებმა და მოწინავე მუშებმა გაზეთ „იმერეთსა“ და ყოველკვირეულ ქართულ ჟურნალ „წყაროში“ (გამოდიოდა ბაქოში) გამოაქვეყნეს მოწოდება, რომელიც ქართველ ხალხს მოუხმობდა. უახლოეს დროში დიდი ეროვნული ზეიმით აღენიშნა შოთა რუსთაველის 700 წლის იუბილე, თბილისში აღემართა უკვდავი პოეტის ძეგლი.

მოწოდებაში ნათქვამი იყო: „ჩვენ, ოდესის სტუდენტები და მუშები მიემართავთ ქართველ ხალხსა და საზოგადოებას წინადადებით — შევუდგეთ შოთას შეიდასი წლის იუბილეს მოწყობას და, სხვათა შორის, მას, ვინც საქართველოს ხელთუქმნელი ძეგლი აუგო მთელ მსოფლიოში, საქართველომ საზოგადოდ ხელთუქმნელი ქანდაკი დაუდგას თავის დედაქალაქ თბილისში, და მით შეიდასი წლის თავზე მაინც ვაქართველოთ ის, ვინც შეიდასი წლის განმავლობაში გვაქართველებდა ჩვენ“ („წყარო“, 1913 წ., №7).

ამ მოწოდებას, რომელსაც ხელს აწერდა მუშების ერთი ჯგუფი და ოდესის სათვისტომოს გამგეობა, ძეგლის ფონდისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე გადმოგზავნილი 100 მანეთიც თან მოჰყვა.

მოწოდებას მთელ საქართველოში მხურვალედ გამოეხმაურნენ.

აღსანიშნავია, რომ მოწოდების ინიციატორებს სპეციალური წერილით მიუმართავთ გაზეთ „თემის“ რედაქციისათვის და უთხოვნიათ, თავის ფურცლებზე ფართო პროპაგანდა გაეჩაღებინა ამ დიადი ეროვნული წამოწყების განსახორციელებლად, ხალხში სათანადო სახსრების შესაგროვებლად. გაზეთმა სიამოვნებით მიიღო გამოწვევა და 1913 წელს თავის მხრივაც გამოაქვეყნა მოწოდება სათაურით „შოთა რუსთაველის ძეგლი“. როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე მოწოდების პასუხად მთელი საქართველო ფეხზე დადგა.

ამ ხმამ საპატიმროებიც კი აახმაურა. ქუთაისის საგუბერნიო ციხის პატიმართა დიდი ჯგუფის დაჟალებით მათმა ოჯახებმა და ნათესავებმა ფულადი შეწირულობა გაიღეს. მეტიც, ეროვნული გენიის წინაშე ვალდებულების მაღალი გრძნობა სამშობლოს ფარგლებს გასცილდა. „თემის“ რედაქციაში უამრავი წერილი მოზღვავდა ჟენევიდან, ხარბინიდან და საზღვარგარეთის სხვა ქალაქებში გაფანტული ქართული სათვისტომოებიდან. გადაწყდა დაარსებულიყო „შოთა რუსთაველის საზოგადოება“, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა ეროვნულ წამოწყებას და ყველა განზრახულ ღონისძიებას ხორცს შეასხამდა. მასვე უნდა ეთავა უკვდავი პოემის მასობრივი ტირაჟით გამოცემა.

ქართველი ხალხის გულისთქმას მხურვალე თანაგრძნობით გამოხმაურებია აკაკი წერეთელიც.

ცხადია, დაბერებული ბულბული ერთხელ კიდევ მოიხრიდა მუხლს იმ სულმნათის წინაშე, რომელსაც ერთ თავის ლირიკულ შედევრში ასე ემუდარებოდა:

სულმნათო! მეცა მასწავლე
ეგ საიდუმლო ჟღერისა
რომ ამისრულდეს წადილი
მგოსანი გავხდე ერისა.

მოწოდების გამოქვეყნების შემდეგ მალე „თემში“ დაიბეჭდა აკაკის პატრიოტული მილოცვა „სადღეისოდ“:

„შეიდი საუკუნეა მას შემდეგ, რაც რუსთაველი მოკვდა, ვინ იცის, რამდენი მოდგმა ქართველებისა გადავიდა. ვინ მოთელის, რამდენი მეფე მიიცვალა და მათი სახელებიც არსად არის და რუსთაველმა ამდენი ხნის განმავლობაში ჩვენს გულში დამარხულმა ამოპყო თავი და აღდგა მკვდრეთით!

აღიძრა საზოგადო სურვილი, რომ შეადგინონ „რუსთაველის საზოგადოება“ და თვალსაჩინო ძეგლი აუგონ მგოსანს. რასაკვირველია, რომ ეროვნული თანაგრძნობა თავის ნებით, ძალდაუტანებლად აღიძრა ყოველ ქართველში. მიეულოცავ დღევანდელ ქართველობას — ეს დიადი სასახელო საქმე მას ხვდა წილად!..

უკვდავი მგოსნის შესწავლა და ძეგლის დადგმა თვით ერის უკვდაეებაა და შარადიხობა“ („თემი“, 1913 წ., №119).

როგორც ცნობილია, ქართველი ხალხის ამ განზრახვას და დიდი პოეტის ნატერას თვითმპყრობელობის პირობებში განხორციელება არ ღირსებია.

შოთას ძეგლი მხოლოდ ჩვენს ეპოქაში აღიმართა და პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერულ შესწავლასაც მხოლოდ ჩვენს სინამდვილეში ჩაეყარა მტკიცე საფუძველი.

დღეს მთელი კულტურული მსოფლიოს თვალი და ყური მიპყრობილია იერუსალიმისაკენ, სადაც ვარაუდობენ გენიოსი პოეტის სიცოცხლის დასასრულს.

ვინ იცის, იქნებ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბნელი სამარხებიდან რუსთაველის ძვლებმაც ამოანათოს და ახალი, ჯერ არსმენილი სიტყვა უთხრას ჩვენს განუსაზღვრელ ცნობისმოყვარეობას, ქართველი ერის ჩაუქრობელ წადილს, ყველაფერი იცოდეს თავისი ეროვნული დიდების შესახებ.

და თუ ეს ნანატრი ბედი გვეწვევა, მაშინ უკვდავი შოთას ძვლებიც არ ითაკილებენ აკაკის სულშიჩამწვდომი სიტყვებით უკანასკნელად მაინც შეღაღადონ მთაწმინდას:

დედაშვილობამ ბევრს არ გთხოვ:
შენს მიწას მიმაბარეო!..
ცა-ფირუზ ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო...



რა არის „მარტოობის ლექსი“?

საბას თაყვანისმცემლებს. ალბათ. გააჩსენდებათ მისი იგაეის „ქაჯთა შემპყრობელის“ შინაარსი.

ერთი მივარდნილი სოფლის სახიფათო ადგილზე ხიდი იყო გადებული, რომელზეც თემის მცხოვრებნი მიმოდიოდნენ. ეს ადგილი ქაჯებმა დაიმკვიდრეს და გამვლელ-გამომვლელს სიცოცხლეს უმწარებდნენ. ამით შეწუხებულ მეფესთან ერთი მოხერხებული კაცი მივიდა და ავი სულების შეპყრობა აღუთქვა.

წავიდა ეს კაცი მეფისაგან გამხნევებული და თავისი დანაქადის სისრულეში მოსაყვანად, თან წაიღო ორი ორძალი (ე. ი. ორსიმიანი საკრავი), ორი ხირაული (შალის თხელი ფარდაგი), ერთი ქიშა ღვინო (ქიშა — საღვინე ჭურჭელი), ერთი ქიშა საძილე წამალი, ორი ფიალა და ერთი ღორის ჯაგრის თოკი.

თუ რა ამბავი დატრიალდა შემდეგში, ამაზე თვითონ საბას მოუსმინოთ: „მივიდა მას ხიდზე, ერთი ხირაული მიღმართ გაფინა, ერთი ორძალი და ერთი ფიალა და საძილო წამალი მასზე დადგა.

მოღმართ სხვა ხირაული გაფინა, თოკი ქეშ დაიდო და ზედ დაჯდა. ღვინო მოიდგა, ორძალს კვრა დაუწყო და ზედ ემღეროდა. ღვინოს სმიდა დ ა მ ა რ ტ ო ო ბ ი ს ლ ე ქ ს ი ტ ყ ო დ ა“ (ხაზი ჩვენია — ს. ს.).

აი, სწორედ ჩვენგან ხაზგასმულმა ამ სტრიქონებმა მიიქცია საგანგებო ყურადღება, დაბადა რაღაც ქვეტექსტის არსებობის შესაძლებლობა.

თუ ჩვენი ვარაუდი საფუძვლიანია, მაშინ გამოდის, რომ ძველად განსაცდელს გადაყრილი და მარტოობაში ჩავარდნილი კაცი რაღაც საგანგებოდ შეთხზული ე. წ. „მარტოობის ლექსით“ იყოლიებდა თავს, მტანჯველი ფიქრების განსაქარვებლად მოუხმობდა და იშველიებდა მას.

ანდა პირუკუ, შეიძლება ეს „მარტოობის ლექსი“ ზოგჯერ გამამხნევებლადაც ჟღერდა. სიფხიზლისაკენ მოუწოდებდა, ერთგვარი დიალოგის ფორმითაც კი იყო წარმოდგენილი. განადამაფიქრებელი არ არის ხალხური სტრიქონები:

ძილო რასა მეძინები
მე საბრალოსაო...

საგულისხმოა იხიც, რომ ამ „მარტოობის ლექსს“, როგორც საბა შენიშნავს, ქაჯების შემპყრობელი კაცი საკრავზე „ზედ ემღეროდა“ ე. ი. დამღერებით წარმოთქვამდა (რაც, ცხადია, სიტყვიერი ტექსტის უქონლად წარმოუდგენელი იქნებოდა: ქაჯებმაც ხომ დაუკრეს ორძალი, მაგრამ უხმოდ და უსიტყვოდ!).

მაგრამ თუ რა შინაარსისა იყო ეს „მარტოობის ლექსი“, რა სტრიქონებსა და მელოდიას შეიცავდა, აღმოსავლურს (ვთქვათ. ბაიათს) თუ ქართული სული ედგა, ამაზე მწერალი არაფერს გვეუბნება.

ვინ იცის, იქნებ ამ სახისა თუ ჟანრის შორეული კვალი რუსთაველის პოემიდანაც გამოკრთოდეს.

აბა, გაიხსენეთ რუსთაველის სიტყვები ფრიდონისაკენ მიმავალ ავთანდილზე.

იმღერს ლექსთა საბრალოთა
ღვარისაებრ ცრემლი სდიან.

ერთი უდაეოა: „მარტოობის ლექსი“ (თუკი ასეთი მართლა არსებობდა!) ძალზე ელეგიური ტონებით იქნერებდა, სუბიექტურ რკალში იქსებოდა გამომწყედეული.

ამის ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, არჩილის ამონაკვნესიც კმარა:

პოი ჩემს სვესა სად გარდამსვესა
მე სადაური საით არსა!
ბნელსა ჩამსვესა სისხლი მომსვესა
მგონია ესეც არ მაკმარესა.
სიცოც ხლე ჩემი არ ასაჩემი
ხომ მხედავთ ასე დამამწარესა.

ცხოვრებაში რამდენ რამეს შეხვდება, რამდენ რამეს გაიგონებს ყური!

მახსოვს, მეგობარ პოეტებთან ერთად ქალაქიდან საკმაოდ დაშორებით გავედით.

უცებ ჩვენი მოპირდაპირე სუფრიდან ვიღაც შეზარხოშებული ვაჟკაცი წამოიჭრა, ოცდახუთმანეთიანი „ყარაჩოღლურად“ შეაფრიალა და დამკვრელების დასტას მიაძახა: „დამწვრისა დაუკარით, დამწვრისა–“

ჩვენ ყური ვცქვიტეთ– ერთი წუთიც და– დუდუკის დამატყვეებელ პანგებში აკაკის სტრიქონები ჩაიწვა:

სანამ ვიყავ ახალგაზრდა
და სიამით ძგერდა გული
ვნატრობდი და არ მეღირსა
ბედუკუღმართს სიყვარული...

ეჰ, კიდეე რამდენი „დამწვრის ლექსი“ ვიცი! — ჩაილაპარაკა პოეტმა გიორგი შატბერაშვილმა.

მგონი. შორს წაეედით– ამიტომ ისეე საბასთან. გვინდა. შეეჩერდეთ. მისი „მარტოობის ლექსის“ საეარაუდო ტექსტი. გეწადია. გაეაცოცხლოთ.

აქვე ისიც უნდა განეაცხადოთ, რომ ჩვენ შორსა ვართ კატეგორიული მოთხოვნისაგან — ხელოენური კუდი გამოებას მწერლის ნათქვამს.

იქნება გამოთქმა „მარტოობის ლექსი“ ფრთიანი სიტყეა იყოს და სხეა არაფერი! ქართული სიტყვის მოგვსა და დიდოსტატს, ცხადია, ამის უფლება ჰქონდა.

მაგრამ ხომ შეიძლება იგი რაიმე შორეულ და საინტერესო ფაქტზე, რაიმე სახეობის ლექსზეც მიგვითითებდეს!

რამდენადაც ჩვენ გადაჭრით ეერაფერს ვამბობთ, ამიტომ ეამჯობინეთ საკითხში ჩახედული ადამიანებისათვის მიგეემართა.

იქნებ მათ მაინც გვითხრან რაიმე სახას მიერ მოხსენიებული „მარტოობის ლექსის“ შესახებ.

ეს არის და ეს–

1972 წ.

უცნობი ფურცლები ვაჟა-ფშაველას ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ნააზრევიდან

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მდიდარ ფონდში რაზიკაშვილების ერთი საკმაოდ ძველი, მაგრამ ფრიად საინტერესო რეეული ინახება (ვაჟა-ფშაველას არქივი, № 209 (S=5322)). ეს რეეული ვაჟა-ფშაველას მამის პაველე რაზიკაშვილის ხელიდანაა გამოსული და ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში „დარიგებანის" სახელწოდებითაა ცნობილი (სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, 1940 წ., გვ. 234).

მართალია, მასში თაემოყრილი სწაელა-მოძღვრებანი არც ორატორული ხელოვნებით გვხიბლავენ და არც ეთიკურ-ფილოსოფიური მსჯელობის სიღრმით გვაფიქრებენ, მაგრამ გარკვეული თვალსაზრისით ნამდვილად საგანგებო ყურადღების ღირსნი არიან.

პაველე რაზიკაშვილის „დარიგებანი" ძვირფას მასალას შეიცავს არა მარტო მე-19 საუკუნის II ნახევრის ფშავ-ხევსურეთის ეთნოგრაფიული ყოფისა და ამ მხრის რელიგიურ-სარიტუალო წარმოდგენათა გასაცნობად, არამედ. უპირველეს ყოვლისა, ერთერთ ყველაზე უშუალო წყაროსაც წარმოადგენენ გენიალური ვაჟას მსოფლშეგრძნების, მისი შემოქმედებისა და პოეტური ენის სპეციფიკის შესასწავლად.

და აი, როცა ამ მადლიანი კაცის ხელნაწერს ვკითხულობდით, როცა ჟამთადენისაგან გადაყვითლებული, დაშლილი და დაზიანებული რეეულის 43-ე გვერდს გაეცდით, ჩვენი ყურადღება მიიქცია მისმა გაგრძელებამ (44-დან 54-მდე გეერდის ჩათელით), რომელიც ცალკე რეეულის სახით ერთვის პაველე რაზიკაშვილის ხელნაწერთა ძირითად ნაწილს (ნუმერაცია რეეულის ცალ გეერდზეა ნაწარმოები).

ეს სხვადასხვაობა პაველე რაზიკაშვილის ხელწერასა და მასთან მიკედლებულ ნაწილს შორის ნიშანდობლივი შეიქნა არა მარტო გარეგნულად. არამედ იდეურთემატიკურად. მსჯელობის ფორმით. სტილით.

კარგად ვიცნობთ რა სხეა ხელნაწერების მიხედვით ვაჟას ხელრთვას (თუმცა კალიგრაფიულად მამა-შვილის ნაწერს ბევრი მსგავსებაც აქეს), მაშინვე გეენიშნა, რომ ეს რეეული დიდი პოეტის კალმის კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ჩანს, ვინც თავდაპირველად ვაჟას ხელნაწერთა აღწერა-კლასიფიკაციას ახდენდა, რაღაც მოსაზრებით ეს რეეული პაველეს „დარიგებათა" გაგრძელებად მიიჩნია, რაც, ცხადია, შეცდომა იყო. უდავოა, ამ შეცდომის სათავე ვაჟასეული რეეულის ის თეოლოგიური დასაწყისი უნდა გამხდარიყო, სადაც ლაპარაკია ცისა და ქვეყნის შემოქმედზე, სულზე, ტაძარზე. ვაჟას არქივის მომწესრიგებელმაც ბევრი აღარ ახანა, მომდევნო სტრიქონებს აღარ ჩაჰყვა და ეს რეეულიც (შესავალი და ბოლო ნაწილი აკლია) პაველე რაზიკაშვილის რელიგიურ „დარიგებათა" ორგანულ ნაწილად ჩათვალა.

ასე დაბინავდა ერთად არქიეის მდუმარე სეიფში მამა-შვილის ხელნაწერი (ცხადია, ამიერიდან პოეტის ხელნაწერი ვაჟას პირად არქივში უნდა იქნას შეტანილი სათანადო განმარტებით).

მართალია, ჩვენთვის სურათი უკვე ნათელი იყო, მაგრამ ცნობისმოყვარეობისათვის მაინც ჩავხედეთ სოლ. ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და

შემოქმედების მატიანეს". და იქ, სადაც ლაპარაკია პაულე რაზიკაშვილის „დარიგებათა" შესახებ, წიგნის სქოლიოში ასეთი შენიშვნა ამოვიკითხეთ: „აქეცა ეაჟას დეფექტური ხელნაწერიც, რომელიც უმთავრესად შეილის აღზრდის საკითხს ეხება" (სოლ. ყუბანეიშვილი, ეაჟა-ფშაველას ცხოერებისა და შემოქმედების მატიანე, გე. 234).

ჩვენც მეტი რაღა გვინდოდა... დაუყოვნებლივ შევუდექით ეაჟა-ფშაველას დღემდე უცნობი, გამოუქვეყნებელი ხელნაწერის გაცნობა-გადმოწერას. და აი, ახლა უკვე ხელთა გვაქვს დიდი პოეტის მეტად საინტერესო, შეიძლება ითქვას, ერთადერთი, თუმცა არასრული ნაშრომი, რომელშიც დაკვირვებული ფსიქოლოგისა და ღრმად ჩახედული პედაგოგის თვალითაა დანახული ბავშვთა სულიერი სამყარო, მათი ფსიქიკური განცდები, მშობლების აღმზრდელობითი როლი და მოვალეობა შვილების წინაშე.

იბადება კითხვა: როდის და რატომ დასჭირდა პოეტური გენიით აღბეჭდილ ეაჟას ამ საკითხებს ჩაფიქრებოდა და, თუ შეიძლება ითქვას, თავისებური ტრაქტატი დაეწერა ბავშვების აღზრდაზე, მშობლების მოვალეობაზე?

ამ თვალსაზრისით საჭიროდ მიგვაჩნია, ერთხელ კიდევ გავიხსენოთ დიდი პოეტის ბიოგრაფია, მისი ურთიერთობა სკოლასთან, პედაგოგიურ საქმიანობასთან.

როგორც ცნობილია, დაამთავრა თუ არა გორის საოსტატო სემინარია (1882 წ.), კავკასიაში მართლმადიდებლური ქრისტიანობის აღმდგენელმა საზოგადოებამ ეაჟა იმავე წლის 1 იელისიდან მასწავლებლად დანიშნა ერწოში, სოფ. ამტნისხევში.

მიუხედავად ცუდი პირობებისა, ახალგაზრდა პედაგოგი დიდი გატაცებით შეუდგა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეს. „როგორც მასწავლებელი, — წერს პოეტის ბიოგრაფი სოლ. ყუბანეიშვილი, — ეაჟა მხნე და ბეჯითი იყო, მოწაფეებს ღამეც კი ასწავლიდა" (სოლ. ყუბანეიშვილი, ეაჟა-ფშაველას ცხოერებისა და შემოქმედების მატიანე, გვ. 167.).

ყურადღების ღირსია ისიც, რომ პოეტმა ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოების დახმარებით რამდენიმე ეგზემპლარი „ბუნების კარი" და „დედა ენა" გამოიწერა, რითაც ამ სკოლაში დედაენაზე სწავლების საქმეს დიდი ამაგი დასდო. ეს კი გაბედული ნაბიჯი იყო 80-90-იან წლებში, როცა მთელ იმპერიაში საშინელი რეაქცია მძვინვარებდა, როცა მეფის გაქნილი აგენტების პობედონოსცევისა და დიმ. ტოლსტოის „საგანმანათლებლო" პოლიტიკის შედეგად ნაციონალურ უმცირესობათა სკოლებიდან სასტიკად იდევნებოდა მშობლიური ენა.

როგორც მოწინავე და რადიკალური იდეების ადამიანი, ეაჟა მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება. სხვათა შორის, მისი პედაგოგიური „საქმიანობის" გასაცნობად სოფ. ამტნისხევში საგანგებო დაევალებით მიდის სახალხო სკოლების ინსპექტორი დარსკი, რომელსაც უკიდურესად ტენდენციური და თვითნებური გამოხდომებისათვის ეაჟა მეტად „უკმეხად" ხვდება.

მიუხედავად ამისა, დარსკიმ ყველაფერი ხელაღებით ვერ ჩაწერა. რევიზორმა მაღალი შეფასება მისცა ეაჟას პედაგოგიურ ოსტატობას და შემდგომი წარმატებაც უსურვა ამ სარბიელზე.

არქივში ახლაც შემონახულია დარსკის გამოკვლევის ანგარიში, სადაც ვკითხულობთ: სკოლაში ყველაფერი კარგად არის და ეაჟაც საუკეთესო მასწავლებელიაო.

ადგილობრივ მოხელეებთან სერიოზული შეტაკების გამო ვაჟას აქაც აღარ ედგომებოდა. პოეტზედაც ახდა ნათქვამი: ერთი ჭირი მარგებელიაო...

სულ მალე ცოდნის გაღრმავების მიზნით ვაჟა პეტერბურგში მიემგზავრება და თავისუფალ მსმენელად ისმენს იურიდიული ფაკულტეტის ლექციებს.

1884 წელს ეკონომიური ხელმოკლეობის გამო ვაჟა სამშობლოში ბრუნდება და თან ჩამოაქვს მცირეოდენი ლიტერატურა, მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან მოსმენილი ლექციების ერცელი კონსპექტები.

სოფელ ოთარაშენში (ამილახვრის ოჯახში) მცირე ხნის შინამასწავლებლობის შემდეგ, 1885 წლის ოქტომბრის თვეში ქ.შ.წ.კ. გამავრცელებელი საზოგადოება ვაჟას მასწავლებლად ნიშნავს დიდი თონეთის სკოლაში (ეს სკოლა საზოგადოებამ 1883 წელს გახსნა და მასწავლებლად თავისიენ სტიპენდიანტი ბ. ჭილაძე დანიშნა; შემდეგში ავადმყოფობის გამო იგი ვაჟამ შესცვალა).

ვაჟა-ფშაველას პედაგოგიური მოღვაწეობის ამ პერიოდზე ცოტა უფრო ერცლად იმიტომ შეეჩერდით, რომ ეფიქრობთ, ჩვენთვის საინტერესო, დღემდე უცნობი ხელნაწერი ვაჟას სწორედ ამ ხანებში უნდა დაეწერა და მოხსენების სახით გაეტანა დიდი თონეთის მრავალრიცხოვანი მოსახლეობის წინაშე (ვაჟას გადმოცემით, მოსახლეობის რიცხვი 1200 სულს შეადგენდა).

ვაჟა-ფშაველას პედაგოგიური მოღვაწეობის ამ პერიოდის მოსაცემები ცხადად მეტყველებენ, რომ ახალგაზრდა მასწავლებელი მთელი გატაცებით მიეცა მისთვის საყვარელ საქმეს. პოლიტიკური რეაქციის სუსხიან წლებში იგი ნამდვილი ხალხოსნური ენთუზიაზმით იჭრება სოფლებში და როგორც სკოლაში, ისე მოსახლეობის ფართო ფენებში გაბედულად აჩაღებს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას.

თანაც დიდი ილიას ეროვნულ-განმათავისუფლებელ იდეებზე აღზრდილი პოეტი თეითმპყრობელობის საწინააღმდეგო აზრებს ქადაგებს, უკეთესი მომავლის იმედით ახალკლდეებს თანამოძმე მთიელების გაუტეხელ გულსა და რწმენას.

ფრიად საყურადღებოა, რომ ცოტა უფრო ადრე, ვიდრე მასწავლებლობას დაიწყებდა, გორის ხალხოსანთა წრესთან დაახლოებულ ვაჟას ერთ-ერთ არალეგალურ კრებაზე სიამაყით განუცხადებია: „კოკისპირული წვიმასა და ქარბუქში მე გამოვიარე თითქმის მთელი ფშაე-ხევსურეთი და ყველგან ერთსა და იმავეს მეკითხებოდნენ — როგორ გადაწყდება მიწის განაწილების საკითხი. უკეთუ გლეხებს მივცემთ მიწას, ჩვენს მუშაობას ექნება დახაყრდენი სოფლად და წელში გაწყვეტილ გლეხობას გადმოვიყვანთ ჩვენს მხარეზე. მაშინ საფუძველი ეცლება მთავრობას და ჩვენთვის საშიში არ იქნება არც მემაძულეების მუქარა, არც მეფის რუსეთის ხიშტიანი ლეგიონები“ (ე. კეკელიძე, ლუკა რაზიკაშვილი, სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეები და სახალხო მასწავლებლები, კრებული II, 1955 წ., გვ. 225).

დაეუბრუნდეთ ისევ ვაჟას მასწავლებლობის წლებს.

შეუდგა თუ არა მუშაობას დიდი თონეთის სკოლაში, მომავალი თაობის ბედით შეწუხებული პედაგოგი მოხსენებას მოხსენებაზე წერს მაზრის უფროსისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე. ამ მოხსენებიოთ ბარათებში ვაჟა დაბეჯითებულად, ძალიან კატეგორიულობით მოითხოვს სასწავლო-საალმზრდელო პი-



რობების გაუმჯობესებას, სკოლისათვის მატერიალური, თუნდაც ელემენტარული ბაზის შექმნას, მასწავლებლის უფლებისა და ავტორიტეტის დაცვას ადგილობრივ მოხელეთა თავგასულობისაგან.

ვაჟას დაუცხრომელი სურვილია, მოსწავლეთა რაც შეიძლება მეტი რიცხვი შემოიკრიბოს, დიდი თონეთის სკოლას ხასწავლო-საალმსრდელო დაწესებულების სახე მისცეს. ერთ-ერთ მოხსენებიის ბარათში, რომელიც წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების მისამართითაა დაწერილი, მუშაობას მოწყურებული ვაჟა წერს: „როგორც საზოგადოება და მამასახლისი იმედს მაძლევენ, მოსწავლეთა რიცხვმა ერთი ორად უნდა იმატოს“ (სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, 1937 წ., გვ. 186).

როგორც ყოველთვის, აქაც ვაჟა მოწოდების სიმაღლეზე დგას. იგი სასტიკად ებრძვის მათ, ვინც მას ამ დიდ ეროვნულ საქმეში წინ ეღობება, ხელს უშლის.

თუ რა პედაგოგიური გატაცებით მუშაობდა ახალგაზრდა მასწავლებელი სკოლის კეთილმოწყობისათვის, მოსწავლეთა მოზიდვისა და ცოდნიო შეიარაღებისათვის, ამაზე მკაფიოდ მეტყველებს დიდი თონეთის სკოლაში მრავალჯერ ჩატარებული რევიზიის მასალები.

ამ რევიზიების სიხშირე და სიმკაცრე უმეტესად გამოწვეული იყო იმ გაბმული საჩივრებით, რომლებსაც წერდნენ დემოკრატიული ძალებისადმი, კერძოდ, მებრძოლი და სამართლიანობის დამცველი ვაჟასადმი მტრულად განწყობილი აღგილობრივი მოხელეები.

განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო პოეტის შეტაკებამ თავგასულ მამასახლისთან, რაც საბოლოოდ ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა.

დიდი თონეთის სკოლაში ჩატარებული რევიზიების მასალებიდან და თვით ვაჟას ახსნა-განმარტებითი მიმოწერიდან სავსებით ნათელი ხდება, რომ ახლად დანიშნული პედაგოგის უპირველესი ზრუნვის საგანი სოფლის ახალგაზრდობის სწავლებაში ჩაბმა და მისი აღზრდა-განათლება იყო. ამ მიზნის მისაღწევად ვაჟას განსაკუთრებული მუშაობა, თავისებური პედაგოგიური პროპაგანდის გაწევა უხდებოდა მშობლებთან. კიდევ მეტი: როცა დარწმუნება არ უმართლდებოდა, იგი მუქარითა და ჯარიმით ცდილობდა მათ „მორჯულებას“.

ნიშანდობლივია, რომ როცა ამაყმა ვაჟამ უწესო, ხალხის შემაწუხებელი მამასახლისი მიბეგვა, მაშინაც არ დაიეიწყა თავისი მაღალი მოვალეობა და თავქუდმოგლეჯილს მიაძახა: შვილი სკოლაში გამოგზავნე, თორემ უარეს დღეს დაგაყენებო. თუ რა წინააღმდეგობები ელობებოდა ვაჟას მშობლების მხრივ, რა ბრძოლა და ღონისძიებების გატარება უხდებოდა მას ბავშვების შემოკრების მიზნით, მოვუსმინოთ კელაე მის

ბიოგრაფს: „სკოლაში ნორმალურ მუშაობას ხელს უშლიდა ის გარემოება, რომ მშობლები სწორად თავიანთ შვილებს სკოლაში გაგზავნის ნაცვლად ნახირში ან სხვა სამუშაოზე გზავნიდნენ" (სოლ. ყუბანეიშვილი, ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე, 1937 წ., გვ. 190).

ვაჟა ძალ-ღონეს არ ზოგავს, რათა ბავშვები მიიზიდოს, მეცადინეობაში ჩააბას, სკოლა სკოლას დაამსგავსოს. პოეტი მარტო სავალდებულო გაკვეთილების ჩატარებით არ კმაყოფილდება: ბუნების წიაღში, მშობელი მხარის საკვთილდღეოდ მშრომველი ვაჟა თავისებურ კლასგარეშე მუშაობასაც ეწევა: ნიჭით აღსავსე მოიელებში იგი ამ გზითაც აღვიძებს სწავლის სიყვარულს, ბიძგს აძლევს ცოდნის შეძენის წყურვილს, აფაქიზებს პატარების სულსა და გულს.

უნდა ვიფარაუდოთ, რომ უთუოდ დიდი იქნებოდა ადგილობრივე მოსახლეობასა და მოზარდ თაობაზე ახალგაზრდა პედაგოგის აღმზრდელობითი ზემოქმედების ძალა. მართლაც, ერთხანად ვაჟამ კიდეეც მიაღწია საწადელს, გაპარტახებული და გამოკეტილი სკოლა ფეხზე დააყენა, აახმაურა, ბავშვები შემოიკრიბა და მთელი გატაცებით მიეცა საქმეს.

რევიზიების გამო გამწვავებული მდგომარეობის შესახებ საზოგადოების სახელზე დაწერილ ერთ-ერთ განმარტებით ბარათში ვაჟა თუმცა თავმომწონედ, მაგრამ თანაც გულისწყრომით აცხადებს: „ჩემს სკოლაში დღეს 40 შვეგირდი სწავლობს. მეტი ადგილი არც კი არის. თუ სუთიოდე შვეგირდის მეტი არა მყავს, მაშ რის შუშა ვარ?

ნუთუ 300 მანეთია თავი და ბოლო ჩემის კაცობისა და სხვა არაფერი? არ ვიცი, ღმერთმანი, რაღა ვთქვა?"

აღნიშნული საზოგადოების წევრისა და მდივნის, იაკ. მანსვეტაშვილის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მასალებიდან მთელი სიცხადით ირკვევა, რომ ვაჟას, როგორც პედაგოგს, დიდი თონეთის სკოლაში მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მოვალეობის შესრულება, რომ მას სიცოცხლეს უწამლავდნენ და სისხლს უშრობდნენ არა მარტო ბიუროკრატიის ჯაშუში მოხელეები, არამედ ჩარჩ-ვაჭრული სულისკვეთებით შეპყრობილი ადგილობრივი მოსახლეობის საკმაოდ დიდი ფენებიც.

ვაჟა მაინც არ იშლის თავისას, ცდილობს ცოდნის შეძენის შეგნება და სიდიადე დანერგოს ხალხში: „თვითონ მე იძულებული ვხდები ხშირად ვაწუხო ხალხი", — აცხადებს ერთ საპასუხო ბარათში იგი.

თუ როგორ დონეზე მდგარა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმე დიდი თონეთის სკოლაში ან რა კვალი დაუმჩნევია მათს ყოფაქცევასა და აკადემიურ წარმატებაზე ახალგაზრდა მასწავლებელს, ამაზე კელავ ი. მანსვეტაშვილს მოვუსმინოთ: „მასწავლებელს თამამად ეპყრობიან და ამასთანავე დისციპლინაც კი მშვენივრად არის დაცული, ეტყობა მასწავლებელს ყმაწვილები შიშით კი არა, სიყვარულით მოუნადირებია" (იქვე, 196). ვაჟას მოწინააღმდეგეთა პროვოკაციული საჩივრების საპასუხოდ ი. მანსვეტაშვილი იქვე დასძენს: „შეგირდები პასუხს რიგიანად იძლევიან და ეტყობათ, ესმით, რაზედაც პასუხს ამბობენ და არა თუთიყუშივით გაუზეპირებიათ" (ამ შემოწმების დროს სკოლაში 26 ბავშვი გამოცხადებულა).

ვიმეორებთ, ვაჟა-ფშაველას პედაგოგიური მოღვაწეობის ამ პერიოდზე შედარებით დიღხანს იმიტომ შევჩერდით, რომ ჩვენი ვარაუდით, ჩვენთვის საინტერესო რეული

ამ ხანებში უნდა იყოს დაწერილი და მოხსენების სახით მშობელთა წინაშე გამოტანილი. ეს კი უნდა მომხდარიყო 1886 წელს, როცა ვაჟა თონეთის სკოლაში დიდი წარმატებით მივიდა და ნამდვილად მზურვალე გატაცებით ჩაება მისთვის სათაყვანო პედაგოგიურ საქმიანობაში. მას დიაღაც ეამაყებოდა. კულტურის თავისებური ალაშქარი ყოფილიყო სამშობლო ქვეყნის ერთ-ერთ მიყრუებულ კუთხეში და თანაც პირნათლად მოეხადა ვალი ისეთი დიდი ეროვნული დაწესებულების წინაშე, როგორიც იმ ხანებში ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება იყო.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა ვაჟა მოელი გატაცებით ტრიალებდა ხალხში, განსაკუთრებით ახლოს იდგა მშობლებთან, რომელთაგანაც ბევრ რაიმეს მოითხოვდა გაზაბნეული შეილების მიმართ.

ირკვევა, რომ ამ საკითხზე ვაჟას ბევრი აღმშრდელობითი საუბარი ჩაუტარებია, მრავალგვარი რჩევა-დარიგებით მიუმართავს მათთვის. ი. მანსვეტაშვილიც გვიმოწმებს: „მასწავლებელმა წინათვე მითხრა, რომ გლეხებს რამდენჯერმე ველაპარაკეო“ (იქვე, გვ. 199).

ფრიად საყურადღებოა, რომ ვაჟა დაჟინებით მოითხოვდა მეოთხე განყოფილების გახსნასა და მეცადინეობის ორ ცვლად მოწყობას (მოსწრდილებისათვის დილის საათებში, პატარებისათვის კი ნაშუადღევს). მიუხედავად ასეთი ენთუზიაზმისა, ადგილობრივი მოხელეები ბოროტი მამასახლისის მეთაურობით ვაჟას ათასგვარი დაბრკოლებით ულობავენ გზას, პროვოკაციული საჩივრებით ცდილობენ, სახელი გაუტეხონ მას. ვაჟა მაინც არ იდრეკდა ქედს, მტრები კი არ ცხრებოდნენ. 1888 წელს მათ ცილისწამებით აღსავსე საჩივარი დაწერეს საზოგადოების თავმჯდომარის ილია ჭავჭავაძის სახელზე და მისი უწყებისადმი დაქვემდებარებული სკოლიდან დაჟინებით მოითხოვეს ვაჟას გაძევება.

მალე საზოგადოებამ ამ საჩივრის საფუძველზე დიდი თონეთის სკოლაში სარევიზიოდ მოავლინა ალ. მირიანაშვილი. არდადეგების გამო ვაჟა ადგილზე არ აღმოჩნდა, იგი ჩარგალში იმყოფებოდა. ალ. მირიანაშვილმა ძალზე ტენდენციურად და ზერელედ შეაფასა ვაჟას მუშაობა და პოეტის განთავისუფლების პროექტი წარადგინა.

ბუნებით ამაყი ვაჟა დიდხანს ებრძოდა ადგილობრივ ყვავ-ყორნებს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს მაინც იძლია.

მისი საკითხი ი. მაჩაბლის თავმჯდომარეობით განხილულ იქნა ერთ-ერთ ხხდომაზე და მნიშვნელოვანი წინააღმდეგობის მიუხედავად (მის მოხსნას მხარს არ უჭერდნენ ა. ჭყონია და ნ. ცხვედაძე) ვაჟა განთავისუფლებულ იქნა მასწავლებლობიდან.

ასე უნებურად და უმადურად გამოეთხოვა ვაჟა სკოლას.

ამიერიდან იგი ჩარგალში დამკვიდრდა და იქ აღაგზნო ის შემოქმედებითი ცეცხლი, რომელიც თვალისმომჭრელი ელვარებით ანათებს მთელ პოეტურ სამყაროს.

ვაჟა სიკვდილამდე მომავალი თაობის მოტრფიალე დარჩა. თავისი დიდი წინამორბედის დ. გურამიშვილის მსგავსად, ერის ხსნას, მისი მომავლის საიმედო დასაყრდენს ისიც ახალგაზრდობაში ხედავდა. ბავშვების ეს დიდი სიყვარული ვაჟამ თავის უკვდავ საბავშვო ნაწერებში ჩააქსოვა, — იგი ხომ შეუდარებელი საბავშვო მწერალიცაა!

ფრიად საყურადღებოა, რომ ვაჟას სიკვდილამდე არ აუღია ხელი უკეთილშობილეს

განსრახვაზე — პრაქტიკულად მოეხადა ვალი ახალგაზრდობის წინაშე. დიდი პოეტის არქივში ახლაც დაცულია მისი მოხსენებითი ბარათი (დაწერილი 1893 წ.) ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელი საზოგადოების სახელზე, სადაც იგი მჭევრმეტყველურად ასაბუთებს ფშაველისა და ივერის ხეობაში მოძრავი სკოლების გახსნის აუცილებლობას, ამ სკოლების უზრუნველყოფას მომზადებული და გამოცდილი პედაგოგით. აი, რას ეკითხულობთ ამ ბარათში: „ეს ოცი წელია ფშაურის ხევში (არაგვის და ივრის ხეობა) აღარ იცის რა არის სკოლა და მასწავლებელი, თუმცა ფშაველები დიდი მოყვარულნი არიან სწავლისა. ფშაველ რომ გაიმართოს ერთი მოძრავი სკოლა, თუ ხეირიანი მასწავლებელი ექნა, გაუწევს ექვსი სკოლის სამსახურს" (ჟურ. „ჩვენი თაობა", 1935 წ., № 3-4).

უნდა ვიფიქროთ, რომ უსამსახუროდ დარჩენილი ვაჟა უარს არ იტყოდა. თვითონ ჩასდგომოდა ამ საპატიო საქმეს სათავეში, მაგრამ როგორც ბევრი სხვა სურვილი, მისი ეს განზრახვაც იმხანად განუხორციელებელი დარჩა. დასაფარავი არაა, რომ სულით გაუტეხელ ვაჟას მძიმე მატერიალურ პირობებში უხდებოდა ცხოვრებასთან ბრძოლა, ბოლოს სნეულებამაც დარია სელი და, წარმოიდგინეთ, სულისჩამდგმელი მთების დატოვებაც კი აფიქრებინა. ნამდვილად გულისმომკლელი ვრძნობების აღმძვრელია ნაღველში ამოვლებული სტრიქონები, დაწერილი 1909 წელს „ნაკადულის" რედაქტორის შ. დემურიას სახელზე:

„ჩემმა სოფლად ცხოვრებამ ბევრი არც არა სოფელს არგო და მე ხომ დამაუძლურა ყოველმხრივ. მეყოფა ამდენი ძალღუმადური ცხოვრება. საზოგადოებას თუ რადმე ეფასა ჩემი თავი, მიპატრონოს" (სოლ. ყუბანეიშვილი, დასახ. შრომა, გვ. 226). გენიოსის მუდარა არავინ ისმინა, უპატრონობამ და გართულებულმა ავადმყოფობამ იგი სრულიად ახალგაზრდა მიიყვანა სამარის კართან.

***

დავუბრუნდეთ ვაჟას დღემდე უცნობ რეეულს და მასში გამოთქმულ პედაგოგიკურ და ფსიქოლოგიურ მოსაზრებებს.

გვაქვს თუ არა საფუძველი ვთქვათ, რომ ეს აზრები და დებულებანი მთელი კანონზომიერებით, სავსებით ბუნებრივად გამომდინარეობენ დიდი პოეტის პრაქტიკული და თეორიული ცოდნის არსენალიდან?

როგორც უკვე ითქვა, ვაჟამ გორის საოსტატო სემინარიაში თავისი დროისათვის საუკეთესო განათლება და პედაგოგიური დაოსტატება მიიღო.

ამ ხანებში აღნიშნული სემინარიის სული და გული იყო უშინსკის ნამოწაფარი და მის მოწინავე იდეებზე აღზრდილი, დიდად პუმანური პიროვნება დიმიტრი სემიონოვი (გორის სემინარიაში პირველმა მან შემოაღებინა ქართული ენის სწავლება. — ს. ს.). დ. სემიონოვმა, როგორც სასწავლებლის ხელმძღვანელმა და პედაგოგიკის თვალსაჩინო თეორეტიკოსმა, სამაგალითო განმარტებითი ბარათი დაურთო პედაგოგიკის პროგრამას, სადაც შეტად ეკაფიოდ განსაზღვრა პედაგოგიკის სპეციფიკა თეორიული და პრაქტიკული თვალსაზრისით, ხაერთოდ ამ საგნის დიდი როლი და აღგილი სახალხო მასწავლებლის მომზადების საქმეში. ამ ბარათში სემიონოვი მიუთითებდა, რომ „პედაგოგიკის სრულ კურსში, როგორც ცნობილია, შედის 4 განყოფილება: ა) საკუთრივ

პედაგოგიკა, ბ) დიდაქტიკა, გ) სპეციალური მეთოდიკა, დ) თეორიული საკრებისა და აღზრდის ისტორია" (მის. კეკელიძე, გორის სამასწავლებლო სემინარია, 1955 წ., გვ. 157).

რამდენადაც ვაჟა მოწაფეობის წლებში ამ პიროვნებისადმი დიდი სიმპათიებით იყო განწყობილი, უნდა ეიყვარაულოთ, რომ მას მისი იდეური და სწავლობიური გაელენაც უნდა განეცადა.

დ. სემიონოვის ენერგიული მოთხოვნითა და მეთვალყურეობით სემინარიაში პედაგოგიკის სწავლება შედარებით მაღალ დონეზე იდგა, სანიმუშო მასწავლებელთა მომზადების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა.

ვაჟაც, როგორც მომავალი მასწავლებელი, ყველ კილეკე მთხრობელობის წლებში მთელი გატაცებით სწავლობდა პედაგოგიკას და მას მოსაწყენ დისციპლინებს. ტექსტებში ეცნობოდა პედაგოგიკის გამოჩენილ კლასიკოსთა შრომებს.

აღსანიშნავია, რომ მისი ცოდნის შეფასება პედაგოგიკაში თითქმის ყოველთვის „5"-ს იმსახურებდა.

არანაკლები სერიოზულობით ეკიდებოდა ვაჟა პრაქტიკული გაკვეთილების გადაცემას. არცთუ მცირე დროის მანძილზე, დანიშნულებული პედაგოგებას ხელმძღვანელობით, მან სამაგალითო წვრთნა მიიღო, საოანადოდ შეიარაღდა პრაქტიკისი პედაგოგისათვის საჭირო მეთოდური ცოდნით, ტაქტით, ჩვეულებით. იმდროინდელი საარქეო მასალები მოგვითხრობენ, რომ ვაჟა გადასაცემი გაკვეთილების ვრცელ კონსპექტებს ადგენდა, წინასწარ ათანხმებდა საგნის მასწავლებელთან და ისე შედიოდა კლასში.

გორის საოსტატო სემინარიაში აღსაზრდელებისადმი ამ მიმართულებით გაწეულ მუშაობაზე საგანგებო სწორად შენიშნავს მის. კეკელიძე, როცა წერს: „გორის სამასწავლებლო სემინარიაში განსაკუთრებულ სიმაღლეზე იდგა მოსწავლეთა პედაგოგიური პრაქტიკის ჩატარების საქმე, რომლის წესებიც და სახელმძღვანელო მითითებებიც შეიმუშავა დ. სემიონოვმა (1879 წ.) კ. დ. უშინსკის პედაგოგიურ შეხედულებათა საფუძველზე" (მის. კეკელიძე, დ. სემიონოვის პედაგოგიური მოღვაწეობა საქართველოში, 1954 წ., გვ. 23).

ყოველივე აქედან ნათელი ხდება, რომ სემინარიის კედლებიდან სხვა მოწინავე ამხანაგებთან ერთად (თ. ხუსკივაძე, ნ. ლეონიძე და სხვ.) ვაჟაც საკმაოდ მომზადებული უნდა გამოსულიყო პედაგოგიური საქმიანობისათვის.

თაეის აღმზრდელებთან საზეიმო შეხვედრის დროს იგი პანიბალისებურ ფიცსა სდებდა, რომ მთელ თაეის სიცოცხლეს მოანაეალი თაობის აღზრდას შეალევდა, არასოდეს უღალატებდა იმ უძვირფასეს იდეალებს, რაც მას სემინარიიდან მიჰქონდა.

სემინარიის სელმძღვანელობა კარგად სედავდა ვაჟას განსაკუთრებულ სიყვარულსა და მისწრაფებას პედაგოგიური სარბიელისადმი და გამოსაშეებ სალამოზე, საზეიმო ვითარებაში, ალბათ იმიტომაც დააჯილდოვა იგი კომენსის უკედაეი „დიდაქტიკით".

თაეისი ცოდნა პედაგოგიკისა და, კერძოდ, ფილოსოფია-ფსიქოლოგიის საკითხებში ვაჟამ კიდევ უფრო გააღრმაეა პეტერბურგის უნიეერსიტეტში იურიდიული ფაკულტეტის თაეისუფალ მსმენელად ყოფნისას.

რამდენადაც დასახელებულ ფაკულტეტზე ფსიქოლოგიის კურსიც იკითხებოდა, ამდენად, გამართლებული უნდა ყოფილიყო პოეტის ინტერესიც ამ საგნისადმი, მით უფ-

რო, რომ მისი საფუძვლები და პედაგოგიკასთან ურთიერთობა უკვე ეორის საოსტატო სემინარიაში ჰქონდა შესწავლილი. ასეც რომ არ ყოფილიყო, ვაჟა ბუნებით უდიდესი ინტუიციის პატრონი იყო და ადამიანის სულის ურთულეს ლაბირინთებში ადვილად შეეძლო ჩახედვა.

ერთი სიტყვით, სწავლისა და თვითდაკვირვების გზით იგი საკმაოდ ფსიქოლოგი იყო და ამიტომაც არ უნდა გაგვკვირდეს მის ახლად მიკვლეულ რეგიონში თავისი დროისათვის მეტად საინტერესო მსჯელობა ფსიქოლოგიისა და ფილოსოფიის საკითხებზე. კვლავ იბადება კითხვა: როდის და რა მიზნით უნდა იყოს დაწერილი რეგიონი?

როცა ამ ხელნაწერის წაკითხვას შეუდექით, ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს იგი რეფერატი უნდა ყოფილიყო, დაწერილი სემინარიის დამთავრების პერიოდში. მაგრამ რეგიონის შინაარსმა, მსჯელობისა და გამოთქმების ფორმამ მალე დაგვარწმუნა, რომ პოეტს იგი დაუწერია დიდ თონეთში მასწავლებლობის წლებში, სპეციალური დანიშნულებით — მშობლებისათვის. ახალგაზრდა, უკვე განსწავლულ ვაჟას დიაღაც ეამაყებოდა, რომ მისი სახით დიდი თონეთის მრავალფეროვან მოსახლეობას პირისპირ უნდა ეხილა ის ადამიანი, ვის ხელშიც იყო მათი შვილების სწავლა-აღზრდის ბედი. და ვაჟაც პედაგოგის მთელი კეთილშობილებით, მშობლიური გულშემატკივრობითა და მზრუნველობით დგას მშობელთა წინაშე, გატაცებით საუბრობს მათს მაღალ დანიშნულებაზე, მათს უპირველეს საზრუნავზე — შვილების აღზრდაზე.

გასაგები, მარტივი ენით აცნობს იგი თავის აუდიტორიას — თონეთელ მშობლებს — იმ ჭეშმარიტებას, რომელიც მათ ჯერ არ სმენიათ: რომ მარტო მასწავლებელი, როგორი მხურვალეც არ უნდა იყოს მისი წადილი, ვერაფერს გახდება, თუ გვერდით მშობლებიც არ ამოუდგებიან და მის მძიმე ხვედრს არ გაიზიარებენ.

აღსანიშნავია, რომ დიდი პოეტი მეტად მარტივი, ყველასათვის გასაგები ენით, ცხოვრებიდან მოტანილი, გამოცდილებით შემოწმებული მაგალითებით გაბედულად მსჯელობს სწავლა-აღზრდის საჭირბოროტო საკითხებზე. ვაჟა არ მიმართავს მაღალფარდოვან ფრაზებს, არ ახდენს რომელიმე ფილოსოფიური სკოლის ან საყოველთაოდ აღიარებული ავტორიტეტების ციტირებას. ეს, უპირველეს ყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ვაჟას, თვითონ ბრძენსა და მოაზროვნეს, სრულიადაც არ ესაჭიროება გარეშე ავტორიტეტები, მას თვითონაც კარგად შეუძლია მოვლენების გაანალიზება და იქიდან სათანადო დასკვნების გამოტანა. და, რაც მთავარია, იგი ანგარიშს უწევს თავის აუდიტორიას, მისი ცოდნისა და მომზადების დონეს. მართლაც, ისინი ხომ რიგითი ადამიანები, საუკუნეობრივად ჩამორჩენილი სოფლის მკვიდრნი არიან. ამიტომაც ვაჟა მათთვის გასაგები ენით ესაუბრება სწავლა-აღზრდის საკითხებზე, მათს დიდ მოვალეობაზე შვილების მიმართ.

აქ ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ, რომ დიდი პოეტის ხელნაწერში უშუალოდ ხვდებით ისეთ გამოთქმებსა და მიმართვებს, რომელნიც პირდაპირ მიუთითებენ მისი მოხსენების დანიშნულებაზე, მსმენელი აუდიტორიის ვინაობაზე. თუ ვის წინაშე დგას პოეტი-პედაგოგი, ნათლად იგრძნობა შემდეგი გამოთქმებიდანაც:

„ბევრი დამრჩა სათქმელი: ყველაფერს კაცი ერთბაშად ვერ იტყვის. უნდა მხოლოდ ჩვენს თავს დავეკითხოთ: რაოგორ მოვიქცეთ შვილებთან? ამისათვის საჭიროა შვილებ-

ზე თვალყური გვეჭიროს და კარგი მაგალითი ვიჩვენოთ". „ბოროტი არ იბადება არასდროს კაცი. მის გაბოროტებაში გამსრდელი, მშობლები, თვითონ ჩვენ ვართ დამნაშავე. ამიტომ ჩვენი უყურადღებობა და ცუდი მაგალითია. ცოლშვილში ხშირად თავდაუჭერლად ვიქცევით, რასაც უნდა ვამბობთ, რასაც უნდა ვუშვრებით, არ ვუყურებთ არც გონებას და არც სვინდისს– ეს დაიხსომეთ მკაცრად, ნუ დაიგიწყებთ–" „დედ-მამამ უნდა შვილებს შესწირონ თავის სიცოცხლე– უმეტესი ჩვენი ფიქრი, ყურადღება შვილებზე უნდა იყოს მიქცეული, თუ გვინდა ჩვენს სიტკბოებას შვილებმა ფასი დასდონ, ხუმრობითაც ტყუილი არ უნდა უთხრათ და სხვებსაც უნდა ვთხოვოთ, ტყუილს არ მიაჩვიონ ჩვენი შვილები– განა მოუცლელობა და უქონლობა თავის გასამართლებელი საბუთია?–"

მოტანილი ამონაწერებით საკმაოდ ცხადი ხდება, რომ ვაჟას უცნობი ხელნაწერი სოფ. დიდ თონეთში მოღვაწეობის დროს, მშობლების პედაგოგიზაციის მიზნით საგულდაგულოდ დაწერილი მოხსენებაა.

***

რამდენიმე სიტყვა გვინდა ვთქვათ საკითხთა იმ წყებაზე, რომელთაც ვაჟა უტრიალებს, უმთავრეს ყურადღებას აქცევს.

მიუხედავად იმისა, რომ დიდი პოეტის ხელნაწერი დაზიანებულია (აკლია თავი და ბოლო), მაინც შეგვიძლია ხელი ჩავჭიდოთ იმ არსებითს, ძირითადს, რაც მაშინ სრულიად ახალგაზრდა პედაგოგს აინტერესებდა, აფიქრებდა და აღელვებდა. დეფექტური ხელნაწერის დასაწყისში, რომელიც შესაფალი ნაწილის გაგრძელებაა, ჩვენ ვეცნობით ვაჟას თეოლოგიურ მსჯელობას შემოქმედის უნიეერსალიზმზე, მის ყოელისშემძლეობაზე, ყველგანმყოფობაზე.

პოეტი მისთეის ჩვეული ხატოვანი თქმებით, იმეორებს ყველა დროისა და ბანაკის ფილოსოფოსთაგან აღიარებულ ჭეშმარიტებას, რომ ბუნებაში ყველაზე სრულფასოვანი ქმნილება ადამიანია და რომ მისი სწრაფეა პროგრესისაკენ განუსაზღვრელია.

მიუხედავად მეტაფიზიკური გადახვეევებისა, მსჯელობის ამ ნაწილშიც ვაჟა გაბედულად აღიარებს სამყაროს ობიექტურ კანონზომიერებას, მისი დიალექტიკური განეითარების პროცესს. რაც უფრო ღრმად ვეცნობით დიდი პოეტის ფილოსოფიურ მემკვიდრეობას, კერძოდ, ჩვენთეის საინტერესო, დღემდე უცნობ ხელნაწერს, მით უფრო ცხადი ხდება ვაჟას თვალსაზრისი, რომ მატერია ჩვენი შეგრძნებების უშუალო წყაროა, რომ ადამიანის შემეცნება აღქმიდან იწყება, შეგრძნებათა გზით გადადის აზროვნებაში.

ვაჟა არსად არ ივიწყებს, რომ ახახვის პროცესში ამ ახახვის ჭეშმარიტების ნამდვილ კრიტერიუმს ადამიანის პრაქტიკა წარმოადგენს. დიდი პოეტი სავსებით მართებულად შენიშნავს, რომ ადამიანი ბუნების მიმართ უაღრესად აქტიურია, რომ ყველა სხვა სულდგმულისაგან განსხვავებით, სწორედ მას ახასიათებს ცხოვრების გარდაქმნის წყურვილი და პროგრესისაკენ ლტოლვა. „სული — წერს პოეტი — არის ძალა, იარაღი, რომელიც უნდა მოიხმაროს კაცმა, რომ გახდეს ჭკვიანი, გონიერი, პატიოსანი, შეიძინოს სწავლა, გამოიცადოს და ეს თავისი გამოცდილება შვილებსაც გადასცეს.

სულით კაცი ყველა სხეა ცხოველზე მაღლა დგას" (ყველა გამოყენებული ციტატი მოტანილია ვაჟას ხელნაწერიდან).

ფრიად საყურადღებოა, რომ ჩვენთვის საინტერესო ნაშრომში ვაჟა საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ფსიქოლოგიის საკითხებს. პოეტი ჩერდება საერთოდ აღწრდის ფსიქოლოგიურ საფუძვლებზე, ახდენს ჩვენი შეგრძნებების კლასიფიკაციას და ამით ერთგვარ ნიადაგს ამზადებს თავისი პედაგოგიკური დასკვნებისათვის.

ვაჟა ღრმად ჩახედული ფსიქოლოგიის უნარს ამჟღავნებს ყველგან, სადაც კი მსჯელობა უხდება ადამიანის ფსიქიკურ პროცესებზე, ჩვენი შეგრძნებების უმნიშვნელოვანეს რეცეპტორებზე.

სათანადო თეორიული ცოდნის, უშუალო თვითდაკვირვებისა თუ სხვათა დაკვირვების განზოგადების გზით ვაჟა მეტად მისაწვდომ ფორმებში გადმოგვცემს მეცნიერული ფსიქოლოგიის მიერ საბოლოოდ დადგენილ ჭეშმარიტებას იმის თაობაზე, რომ ადამიანის შეგრძნებები აღმოცენდებიან მასზე საგანთა ზემოქმედების შედეგად და რომ აღქმის პირველ თვისებას მისი საგნობრიობა შეადგენს. ჩამოთელის რა იმდროინდელი ფსიქოლოგიის კლასიფიკაციით მიღებულ ხუთ ძირითად გრძნობას, დიდი პოეტი იქვე მიუთითებს მათს სასიცოცხლო მნიშვნელობაზე:

„ამ ხუთი გრძნობის შემწეობით კაცს შეუძლია გაიცნოს მთელი ქვეყანა, ხუთი ერძნობა რომ არ ვექონდეს, არაფერი გვეცოდინებოდა და თუ რამეს ვსწაელობთ, იმათ შემწეობით. ხუთი გრძნობა ბევრს გვასწაელის. ჩვენი გარეგანი გრძნობები იმნაირად არიან მოწყობილნი, რომ ყველაფერს, რასაც შეეხებიან, რაც კი ხელში ჩაუვარდებათ, გაიცნობენ, შეიტყობენ და გეაგრძნობინებენ.

– ერთი სიტყვით, სიკედილამდე გარეგანი ჩვენი გრძნობები დაუღალავად შრომობენ, მოძრაობენ როგორც ცხადად, ისე ძილში".

ფსიქოლოგიის საკითხების განხილვის პროცესში ვაჟა დიდ ადგილს უთმობს ადამიანის შეგრძნების რეცეპტორებზე მსჯელობას.

ნიშანდობლივია, რომ მისი დასკვნები ბევრ შემთხვევაში ეხმაურება თანამედროვე ფსიქოლოგების შეხედულებებს, თუმცა თავისი ეპოქის ზეგავლენით საკმაოდ ემჩნევა იდეალისტური კონცეპციების დაღი.

როგორც ვთქვით, ვაჟას უცნობ ხელნაწერში მეტად საინტერესო აზრებია გამოთქმული ადამიანის შეგრძნებებზე. როცა ვაჟა სმენაზე (იგივე ყურადღება) გველაპარაკება, საესებით მართებულად შენიშნავს, რომ ადამიანის ამ უაღრესად სათუთ რეცეპტორზე თუმცა მრავალგვარი გამღიზიანებელი მოქმედებს, მაგრამ ყურადღება მაინც განსაკუთრებით იმ საგანზე ჩერდება, რაც უფრო მეტად გვაინტერესებს: „თუ გვინდა წიგნის გაგება, უნდა ყურადღებით წავიკითხოთ. კაცი იმას უფრო იხსომებს, რასაც დიდ ყურადღებას აქცევს" , — გვარწმუნებს პოეტი.

მართალია, ჩვენს ყურადღებაზე შედარებით მეტი ინტენსიურობით მოქმედებენ ძლიერი გაღიზიანებლები (მაგ., როგორც თვითონ შენიშნავს, წისქვილის საცეხველის რაკარუკი), მაგრამ პოეტს არც ის რჩება შეუმჩნეველი, რომ ამა თუ იმ საგანზე ჩვენი ყურადღების კონცენტრაცია უცვლელი არაა, ხშირია მისი გადანაცვლება, განაწილება ერთი საგნიდან მეორეზე.

ადამიანის უდიდეს ჯილდოდ, მის უპირველეს მადლად მიაჩნია ვაჟას ავტორიც სინამდვილის ასახვის ერთ-ერთი უძლიერესი იარაღი — მეხსიერება.

პოეტი თავისებური სიტყვებით ახერხებს იმის გადმოცემას, რომ მეხსიერება ოდესღაც აღქმულის შენახვას ემსახურება (ვაჟა ივიწყებს და აცოცხლებს ბავშვობის შთაბეჭდილებას თავის სახლ-კარზე).

მსჯელობის ამ ნაწილშიც ვაჟა ეჭვმიუტანელს ხდის, რომ ადამიანი გაცილებით უფრო ადვილად და ღრმად იმახსოვრებს იმას, რაც თვით გამოუცდია.

მეტად საინტერესოა პოეტის ფსიქოლოგიური დასკვნები ყნოსვისა და გემოს რეცეპტორებზე: ვაჟა აქაც გამოცდილების საფუძველზე მჭევრმეტყველურად გვემტკიცებს, რომ საგნის აღქმა (ამ შემთხვევაში — სუნი და გემო) შეგრძნებათა საფუძველზე ხდება და რომ საგანთა საერთო ნიშანი მათი ცალკეული თვისებების განზოგადების გზით უნდა დადგინდეს (ვაჟას მაგალითით, ღვინო და არაყი თუმცა სხვადასხვა ფერისაა, მაგრამ მათი საერთო ნიშანი მათრობელობაა). კითხვაზე, თუ როგორ შეიტყო ადამიანმა სხვადასხვა სასმელის (ღვინო, არაყი, ლუდი) საერთო თვისება — მათრობელობა, პოეტი ასე უპასუხებს: „ჯერ ერთი სასმელი გამოსცადა თავის თავზე, მერე შეორე, ეგრეთვე მესამე, მეოთხე, შეადარა ეს სასმელები ერთად, — გაიგიდა, რომ თუმც ფერი და გემო სხვადასხვანაირი აქეთ, განსხვავდებიან, თვით შინაარსი, თვისება მათი ერთია (მათრობელობა)".

აქედან ვაჟასათვის საძნელო აღარაა დაასკვნას, რომ „წყეულების" (ამ სიტყვაში ვაჟა სხვადასხვა სასმელს გულისხმობს) გასინჯვის შედეგად, რაც გარკვეულ ფიზიოლოგიურ პროცესთანაცაა დაკავშირებული, წარმოიშვება ფსიქიკურ განცდათა პროცესიც. თუ რა დიდი როლი ენიჭება გემოს შეგრძნებაში ყნოსვას, ამაზე ორი სიტყვითაც კარგად მიუგებს პოეტი, როცა წერს: „უყნოსოდ ვერ გაიგებდით, წმინდა პაერით ვსუნთქავთ ოთახში, თუ მყრალით, დამპალ ხორცსა ვსჭამთ თუ ახალს".

ვაჟამ კარგად იცის, რომ ერთი რეცეპტორის (ეთქვათ, ყნოსვის) გაღიზიანება მყისვე იწვევს სხვა კერების აღგზნებას, დიდ მანძილზე გაერცელებას (პოეტს მოჰყავს იმის მაგალითი, თუ თოფის ხმას ყური როგორ სწრაფად გადასცემს გონებას ანდა ხანძრის შემთხვევაში, მძინარე ადამიანს ყნოსვა როგორ აღუგზნებს სხვა კერებს თაედაცევისათვის და სხვ.).

ასევე საყურადღებო აზრებს გამოთქვამს პოეტი სითბო-სიცივის შეგრძნებაზე, რომლის კერებიც ძირითადად კანშია განლაგებული. მიმოიხილავს რა ჩვენს შეგრძნებებს, დიდი პოეტი ყველაზე ბედნიერად იმ ადამიანს მიიჩნევს, რომლის რეცეპტორები გარესამყაროს ნორმალურად რეაგირებენ, ჰარმონიულად ურთიერთმოქმედებენ.

„ბედნიერია ის კაცი, — წერს ვაჟა, — ვისაც ყველა ეს გრძნობები მთელი აქვს და უბედურია, ვისაც რომელიმე ან უმთავრესთაგანი აკლია".

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ პოეტი ჩვენი გრძნობის ორგანოებიდან ყველას თანაბარ მნიშვნელობას როდი ანიჭებს.

ფსიქოლოგიის საკითხებზე მსჯელობის დროს ვაჟა გაკვრით ეხება აზრსა და ცნებას, როგორც ობიექტური სინამდვილის ასახვის ურთულეს ფორმებს.

ვაჟასთვის ნათელია, რომ ცნებაში იგულისხმება საგნის არა მარტო ცალკეული

(ეთქვათ, სასმელის ფერი და გემო), არამედ ზოგადი ნიშანი (მათრობელობა), და პირუკუ: აზროვნებითი ანალიზით ადამიანს შეუძლია მთლიანი საგნის აღქმაში ცალკეული ნაწილების გამოყოფა, განსხვაებული თვისებების დანახვა. ამაღე დროს ცნება და აზრი გაცილებით უფრო ღრმად სწვდება საგნის არსს და შეიცნობს სინამდვილეს, ვიდრე შეგრძნებითი აღქმა.

ეაჟა შესანიშნავად მსჯელობს ადამიანის საზოგადოებრივ ფუნქციაზე, მის სოციალურ დანიშნულებაზე.

ადარებს რა ცხოველსა და ადამიანს, პოეტი ხაზგასმით მიუთითებს, რომ ეს უკანასკნელი უმაღლესი ტიპის სოციალური არსებაა და მისი ბრძა-განვითარება მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი. და რამდენადაც ადამიანთა შორის ურთიერთობა ორი უძლიერესი სულიერი ფენომენის — აზროვნებისა და მეტყველების შემწეობით მყარდება, ამდენად იგი წარმოუდგენლად მაღლა დგას ცხოველზე.

სწორედ ამ ორი მონაცემის წყალობით შეუძლია ადამიანს. დაისაკუთროს საზოგადოების, მთელი კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება და პირუკუ, მისგან შეძენილი საკუთარი გამოცდილებაც შთამომაელობას უანდერძოს. ადამიანის გონებრივი პროგრესით აღტაცებული პოეტი წერს: „დღეს კაცი თავის აზრს, ცოდნას, ფიქრებს სწერს ქაღალდზე. თუნდა მოკვდეს, იმისი აზრი არ დაიკარგება, ნაწერებიდან ყველაფერს მის გამოცდილებას, ცოდნას, ხელისგულზე გადმოვიწყობთ: შეიქმნა უკვდაყი კაცის ფიქრი და რჩევა".

რამდენადაც ცხოველები მეტყველების უნარს მოკლებულნი არიან და მხოლოდ გამოხახულებითი მოძრაობა შეუძლიათ, ამდენად ისინი ვერასოდეს გაუტოლდებიან ადამიანს, ვერ ამაღლდებიან მის დონემდე.

ეფიქრობთ, ამ გაგებით უნდა წერდეს იგი: „სულით კაცი ყველა სხვა ცხოველზე მაღლა დგას. რაც უნდა ასწაელო ცხოველს, მას არ შეუძლია თავისი სწავლა შვილებს მოახმაროს".

ეს გამოთქმა იმაზედაც მიუთითებს, რომ ეაჟა იზიარებს მეცნიერებისაგან დაკანონებულ ობიექტურ ჭეშმარიტებას იმის თაობაზე, რომ ადამიანის აღმრდა უაღრესად სოციალური მოვლენაა, ხოლო ცხოველის განვითარების გზა ბიოლოგიური კანონზომიერებით არის განსაზღვრული.

ეაჟა საუცხოოდ არკვევს მსმენელს, რომ ადამიანი გონიერი, იარაღის მკეთებელი არსებაა, რომ კაცობრიობის მიერ დაგროვილი გამოცდილება არ იკარგება და თაობიდან თაობას კულტურის გზით გადაეცემა. ამიტომ იგი ცნობს პროგრესის ცნებას (პოეტი აღტაცებით ლაპარაკობს იმაზე, თუ ადამიანი ცხენიდან როგორ გადაჯდა მატარებელზე და თვითმფრინავით როგორ აიჭრა ჰაერში).

როგორც მკითხველიც დაინახავს, ეაჟა თავის ხელნაწერში საკმაოდ ბევრს გვესაუბრება ფსიქოლოგიის სფეროდან. ეს ეაჟას ესაჭიროება იმდენად, რამდენადაც წამოჭრილ საკითხებს გარკვეული ურთიერთობა აქვთ პედაგოგიკასთან და აღმზრდელობითს მიზნებთან დაკავშირებით მათი გვერდის ახვევა შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერში, სადაც კი ლაპარაკია ბავშვის ფსიქიკურ სამყაროზე, აღზრდის გზებსა და საშუალებებზე თუ მშობლების

ამოცანებზე, ვაჟა მთელ რიგ საკითხებს ფსიქოლოგიურ და ფილოსოფიურ ასპექტში განიხილავს. როგორც ფსიქოლოგმა და დახელოვნებულმა პედაგოგმა, მან საუცხოოდ იცის, თუ როგორია ზრდადამთავრებული ადამიანისა და ბავშვის დამოკიდებულება საგნებისა და მოვლენებისადმი, რა განსხვავებულ აღქმებთან გვაქვს საქმე ორივე შემთხვევაში, რომ აღზრდის პეთოდი და სისტემა იმის მიხედვით გამოიძუშაოთ.

თავისებურად საინტერესოა ნაშრომის ის ნაწილი, სადაც პოეტს აღზრდის ძირითად ობიექტზე — ბავშვზე უხდება მსჯელობა.

რამდენადაც ყველა წერილმანი აღმოუფხერელ შთაბეჭდილებას ახდენს და მეტად ღრმა კვალსა სტოვებს მოზარდის ფსიქიკურ არსებაზე, ამდენად ვაჟას აუცილებლად მიაჩნია, აკვნიდანვე თუ არა, პირველი წლებიდანვე მაინც ზედმიწევნით ფრთხილად მოვეკიდოთ აღსაზრდელს.

გაუჩნდება თუ არა ბავშვს შემეცნებითი ინტერესები, მშობლებმა მაშინვე უნდა შეცვალონ თავისი დამოკიდებულება მისდამი. ჩვენ ერთი წუთითაც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყურადღების შენელება ამ მხრივ შეიძლება დამღუპველი და საბედისწერო აღმოჩნდეს, რომ ერთხელ ფეხმოკიდებულმა ცდუნებამ შესაძლოა სხვა უფრო საჭვალო საქციელისაკენ უბიძგოს მას.

მშობლებისა და აღმზრდელების დამოკიდებულება ბავშვებისადმი რომ უფრო ქმედითი იყოს, საჭიროა მთელი სიღრმით გავითვალისწინოთ ასაკობრივი თავისებურებანი, შეგნებული გექონდეს, რომ ბავშვი თავისი ზრდა-განვითარების სხვადასხვა საფეხურზე გარკვეულ შინაგან კანონზომიერებას ექვემდებარება და რომ გარე სინამდვილესთან ურთიერთობის გზით გამოცდილებაც განსხვავებული აქვს. მართალია, ბავშვის ცხოვრების პირველ წლებში მეტწილად სენსორულ აღქმასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მას სასკოლო ასაკში უფრო უადვილდება საგნებისა და მოვლენების აღქმა, უვითარდება ფანტაზია, ემოციები და, რაც მთავარია, სწავლა-ცოდნის შეძენის სურვილი მისი ქცევის წამყვან ფორმად იქცევა.

რა თქმა უნდა, ამ ასაკში ჯერ კიდევ არა გვაქვს უფლება ბავშვს სინამდვილის შემეცნების აქტიური პროცესები მოეთხოვოთ; უკვე შოგვიანო ასაკის საქმეა, როცა ადამიანი ანალიზისა და სინთეზის უნარით შეიარაღდება.

ვაჟას ფსიქოლოგიური დაკვირვებებიდან ნათელი ხდება, რომ ახალშობილი ბავშვი, თუ იგი მახინჯი არაა, შეგრძნების უნარით არის დაჯილდოებული. „მთელ ბავშვს, — წერს პოეტი, — თუ მახინჯი არ არის, აქვს ყველა ხუთი გრძნობა: სითბოს, სიცივეს, შიმშილს, წყურვილს, სინათლეს, სიბნელეს, ხმაურობას, სიჩუმეს ემაწვილი გრძნობს, მაგრამ გრძნობა და შეგნება ერთი როდია". ე. ი. ვაჟას მიაჩნია, რომ ბავშვს შეგრძნების ორგანოები თავისი ცხოვრების პირველი წლებიდანვე უვითარდება, ასე ვთქვათ, აქვს შეგრძნება, მაგრამ არა აქვს შეგნება, არაა გაცნობიერებული.

პოეტის ამ შესედულებას საესებით ადასტურებს თანამედროვე ფსიქოლოგიის მიერ ექსპერიმენტული გზით მიღებული მონაცემები.

***

როგორც არაერთხელ ითქვა, პოეტი-პედაგოგი გატაცებით საუბრობს მშობლების მოვალეობა-დანიშნულებაზე.

ვაჟა შენიშნავს, რომ ბავშვისათვის ისეთი არაფრის მომტანია განყენებული მორალური სენტენციები, როგორც უადგილო გაწყრომა, დატუქსვა, ცემა-ტყეპა. პირადი გამოცდილებისა და მოწიწებულ დიდაქტიკური პრინციპების საფუძველზე ვაჟა მიზანშეწონილად მიიჩნევს დარწმუნების მეთოდს, მაგალითის ძალას, მიზანმიმართულ რჩევა-დარიგებას.

აი, რა საყურადღებო აღმზრდელობითს მითითებას იძლევა პოეტი: „ცუდით ბოროტი კაცი ვის გაუკეთებია? ცემით დაშინება შეიძლება კაცისა, გაპატიოსნება კი არასოდეს. სული, მხოლოდ სული, მოქმედებს სულზე, მხოლოდ გული იცნობს გულსა. სიყვარულით და ჩაგონებით შეიძლება ასწავლოს შვილს მშობელმა სიყვარული, გულკეთილობა, გონიერება. ვინ დაიჯერებს ამგვარს რჩევას: „გცემ და შემიყვარე, მე ტყუილს გეტყვი, შენ მუდამ მართალი მელაპარაკე, ტუტუცს, გიჟს დაგიძახებ, არაფერს გასწავლი, არც გაჭმევ, შენ მარტო ითმინე და პატივი მეცი“.

მოზარდისაგან რომ სრულფასოვანი მოქალაქე მოვამზადოთ, ვაჟას აუცილებლად მიაჩნია მასწავლებელსა და მშობლებს შორის მჭიდრო აღმზრდელობითი კონტაქტი, ურთიერთნდობა და გაგება, ინტერესთა სრული თანხმობა ერთი უწმინდესი მიზნისათვის. ამ დებულების წინა პლანზე დაყენება უდავოდ დიდი სიახლე იყო იმ ეპოქაში, როცა მშობლებს უფლება არ პქონდათ. სკოლასთან ახლო ყოფილიყვნენ, იმდროინდელი სწავლა-აღზრდის უვარგის სისტემაში ღრმად ჩაესედათ, უშუალოდ ეხილათ და განეცადათ ის გონებრივი თუ ზნეობრივი ავლადიდება, რითაც ძველი სკოლა მომავალ თაობას ზრდიდა და კვებავდა. ამიტომაც საესებით ბუნებრიეია ვაჟას განსაკუთრებული ყურადღება მშობლებზე, საოჯახო აღზრდაზე. პოეტმა-პედაგოგმა კარგად იცის, რომ ზნეობის საძირკველი ოჯახში ინასკვება, იქ ყალიბდება და რომ შემდეგში ყველაფერი ადვილდება. თუ ეს საძირკველი მკვიდრ ნიადაგზეა დაფუძნებული.

წინააღმდეგ ამისა, ეს საძირკველი ირღვევა, იბზარება და თაეის ცხოველმყოფელობას პკარგავს, თუ ოჯახისა და სკოლის ინტერესები სხვადასხვა გზით მიემართება.

ვაჟა განსაკუთრებული მღელვარებით ლაპარაკობს, როცა საქმე ეხება დედ-მამის მოვალეობას შვილებისადმი. პოეტს ყველაფერი წყალში ჩაყრილად მიაჩნია, თუ დედასა და მამას შორის აღმზრდელობითი თვალსაზრისი გათიშულია, თუ მამის გონიერულ მაგალითსა და რჩევა-დარიგებას დედა საწინააღმდეგოთი უპასუხებს.

ვაჟას მრავალი მჭევრმეტყველი მაგალითი მოპყავს იმისა, თუ რა დამღუპველ გავლენას ახდენს ბავშვის ფსიქიკაზე, როცა მას ცუდი საქციელისათვის მამა ტუქსავს, დედა კი უყვაეებს და ელოლიაეება.

თუ მშობლებმა შვილებისადმი ერთიანი მომთხოვნელობა არ გამოიჩინეს, თუ რომელიმე მხარე შეეცადა. შეარბილოს და მიაფუჩეჩოს ჩაღენილი დანაშაული ანდა უყოყმანოდ, ყოველგვარი სამართლიანი განსჯის გარეშე დააკმაყოფილოს შვილის აკეიატებული სურვილები (ხშირად კაპრიზში გადასული), უდავოა, შედეგიც სავალალო იქნება. ამგვარი დამოკიდებულება დედის ან მამის მხრივ, ვაჟას აზრით, დამღუპველ გავლენას ახდენს შვილზე, მისი ცუდი შედეგები თავს იჩენს ცხოვრების მთელ მანძილზე და ადვილი შესაძლებელია. მძიმე დანაშაულამდეც მიიყვანოს იგი.

მართალია, ვაჟა ხშირად გველაპარაკება სქემატიზმის საკმაოდ მძლავრ ღონის-

ძიებებზედაც, მაგრამ სრულიადაც არ გულისხმობს იმას, რომ ჩახშობილ იქნას ბავშვის შინაგანი ძალები, მისი დამოუკიდებელი ძიებანი და რწმენა.

ფრიად საყურადღებოა, რომ ვაჟას ერთ-ერთი უძლიერეს აღმზრდელობით ღირსებად მიაჩნია შოწინაგე პედაგოგიკის მიერ დიდი ხნიდან აღიარებული საშუალება — მაგალითის ძალა. ეს მაგალითი ბავშვმა, უპირველეს ყოვლისა, მშობლებისაგან, ოჯახის წევრთაგან უნდა გადმოიღოს. „რაც უნდა კეთილი გვინდოდეს შვილებისათვის — წერს პოეტი, — თუ კეთილს არ გავაგონებთ, კარგს მაგალითს არ ვაჩვენებთ, შვილების სიკეთით დატკბობას ვერ მოვესწრებით". ხელნაწერის მეორე ადგილას ვაჟა კიდევ ასეთ შეგონებას იძლევა: „უნდა მხოლოდ ჩვენს თავს დავეკითხოთ, როგორ მოვიქცეთ შვილებთან? ამისათვის საჭიროა შვილებზე თვალყური ვევიჭიროს და კარგი მაგალითი ვაჩვენოთ". მშობლების მაგალითს რომ ხვედრითი წონა ჰქონდეს და აღმზრდელობითი ზემოქმედების მძლავრ ბერკეტად იქცეს, საჭიროა, თვითონ მათ ჰქონდეთ მაღალი ავტორიტეტი როგორც საზოგადოებაში, ისე შვილების თვალში (თუ მამა ქურდია ან სხვა ზნეობრივი მანკითაა შეპყრობილი, რა ნაყოფი შეუძლია მან მოუტანოს შვილებს? — კითხულობს პოეტი).

ერთ-ერთ დამღუპველ მანკად, რომელიც ძალზე უარყოფითად მოქმედებს მოზარდის სულზე, ვაჟას სიცრუის თქმა მიაჩნია. ამიტომაც პოეტი მთელი კატეგორიულობით მოითხოვს მის აღკვეთას როგორც ოჯახის წევრებში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამ მხრივ საინტერესოა ვაჟას დიდაქტიკური რჩევა-დარიგებანი: „თუ გვინდა, — წერს იგი, — ჩვენს სიტყვას შვილებმა ფასი დასდონ, ხუმრობითაც ტყუილი არ უნდა უთხრათ და სხვებსაც უნდა ვთხოვოთ, ტყუილს არ მიაჩვიონ ჩვენი შვილები. ამიტომ მშობლებმა უბრალო ხუმრობაშიც ტყუილს უნდა თავი დაანებონ". მშობლების მაგალითს არ შეიძლება რაიმე ქმედითობა მოპყვეს, თუ მათი სიტყვა და საქმე გათიშულია. ვაჟას აზრით, ბავშვის ზნეობრივი წვრთნა ოჯახში პრაქტიკული გზით უნდა ხდებოდეს, თვალსაჩინოებისა და ცოცხალი მაგალითის ზეგავლენით უნდა ყალიბდებოდეს.

რამდენადაც უმცროს ასაკში ბავშვს მოჰარბებული მიმბაძველობა ახასიათებს, ამდენად მისი ყოფაქცევის წარმართვისათვის უფროსების მაგალითს განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება.

„სკოლ-შვილში — წერს ვაჟა — ხშირად თავდაუჭერლად ვიქცევით, რასაც უნდა ვამბობთ, რასაც უნდა ვშერებით, არ ვუყურებთ არც გონებას და არც სვინდისს.

ბავშვების მახვილი გონება ამას იბეჭდავს გონებაში და გულში, მოსწონს, კარგი გონია. არც ერთი სიტყვა და საქმე, რომლისაც ჩვენ თვითონ გვერცხვენიან შემდეგ, ბავშვს არ გამოეპარება".

მართლაცდა, რა ქნას ბავშვმა, როცა იგი ცუდ მაგალითს წარამარა აწყდება ოჯახში: უმეტეს შემთხვევაში მას არ ძალუძს თავი დააღწიოს მის უარყოფითს გაელენას, არ შეუძლია არ გაჰყვეს მის დამღუპველ ცდუნებას.

საყურადღებოა, რომ დიდი პოეტი აღზრდის პროცესში არ სცნობს ფატალიზმს, ბედისწერის გარდუვალობას, რომელსაც თითქოს რაღაც ძალა შესწევს. ბავშვი თავის ნებაზე გაიტაცოს და მის ყოფაქცევას მისთვის სასურველი მიმდინარეობა მისცეს. პირიქით, ვაჟას აღზრდა უძლიერეს ფაქტორად მიაჩნია და ადამიანის გონიერულ ჩარევას მისი წარმატების ერთ-ერთ საიმედო პირობად მიიჩნევს.

მოვუსმინოთ პოეტს:

„აბა ყველამ გავისინჯოთ ჩვენი ცუდი ჩვეულებანი და კარგად დაეუკვირდეთ, თუ მასში აღზრდა არ იყოს დამნაშაეე. ბევრი არ დაიჯერებს და იტყვის: რასაც წერა-მწერალი დაუწერს კაცს, ისე გათავდება მისი ბოლო... მაგრამ ბედისწერა აქ არაფერ შუაშია".

ვაჟა არც ნატიეისტურ თეორიას (ლომბროზო) იწყნარებს, როცა წერს: „ბოროტი არ იბადება არასდროს კაცი, მის გაბოროტებაში გამზრდელი, მშობლები, თვითონ ჩვენა ეართ დამნაშაეე. ბოროტება, სიგულფიცხე, ბრაზი, ბაეშეის გულში ცოტ-ცოტა-ობით იზრდება, ამაში ჩვენი უყურადღებობა და ცუდი მაეალითია".

მართალია, აქ ვაჟა სუბიექტურ თვალსაზრისზე დგას, როცა არაფერს გეეუბნება სოციალური გარემოს როლზე, მის დიდ მნიშვნელობაზე ადამიანის ზნეობრიეი და გონებრიეი ფორმირების საქმეში, მაგრამ მისი საყეედური მშობლების უყურადღებობაზე შეილებისადმი და აქედან გამომდინარე ცუდ შედეგებზე საესებით მართებულია.

თავისი შრომის დასკვნითს ნაწილში ვაჟა ერთხელ კიდეე მიუთითებს იმ პასუხისმგებლობაზე, რაც მშობლებს ეეალებათ შეილების მიმართ. პოეტის ღრმა რწმენით, მშობლებს არ უნდა ჰქონდეთ სხეა უფრო წარმტაცი და დიადი საქმე, ეიდრე შეილების აღზრდაა. ამ დიდი, ჭეშმარიტად ეროენული ამოცანისათეის ბრძოლაში მშობლებმა არ უნდა დაზოგონ არც დრო, არც ენერგია და არც მატერიალური შესაძლებლობანი. ეისაც შეილების ბედნიერება სურს, მან ფეხდაფეხ უნდა სდიოს თავის პირმეშოს მანამდე, ეიდრე იგი სრულფასოეანი მოქალაქის თვისებებით არ განიმსჭვალება, ეიდრე იგი საჭირო ცოდნითა და გამოცდილებით არ შეიარაღდება.

პოეტი უყუაგდებს და ულმობელი სარკაზმით შანთაეს ყველას, ვინც შეეცდება. უადგილოდ იმართლოს თავი, ჩადენილი დანაშაულისათეის რაღაც გასამართლებელი მიზეზები მოიშეელიოს.

ვაჟას ღრმა რწმენით, შეილების მომავალი ბედნიერებისა თუ უბედურების სათავე მშობლებს უპყრიათ ხელთ. ნათელი თუ ბნელი, შარაგზა თუ ხრამი დამოკიდებულია იმაზე, რა მიმართულებით დაიძვრიან ეტლში გაბმული ბედაურები: მიგვეყვანენ ისინი მიზანმიმართულ ადგილზე თუ საბედისწეროდ შეტორტმანდებიან უფსკრულის პირად.

აი, როგორი ამონაკვნესით ამთაერებს ვაჟა თავის სიტყეებს: „ბეერს დარდს, ეაებას, ჭირს გამოიველის კაცი, მაგრამ სამუდამოდ დაღუპულის შეილისთანად გულს არაფერი მოსწყეეტავს მშობელს. ტირიან და ეაებენ მშობლები დაღუპულ შეილზედ, მაგრამ თავის თავს დამნაშაეედ მაინც არ სთელიან.

განა მოუცლელობა და უქონლობა თავის ეასამართლებელი საბუთია? განა მართლა მშობლები არ არიან მიზეზი შეილების უხეირობისა?"

ერთი სიტყეით, ვაჟა ამხედრებულია მშობლებზე და მთელ პასუხისმგებლობას შეილების აღზრდის საქმეში მათ აკისრებს.

დიდი პოეტის ეს შეხედულებები ბევრ რამეში ეხმაურება ახლანდელი სკოლის სადღეისო ამოცანებს, კერძოდ — მშობლების მოეალეობა-დანიშნულებას შვილების მიმართ.

ვაჟა-ფშაველას ხელნაწერი სხვა მხრივაც იპყრობს ჩვენს ყურადღებას. პოეტის ნააზრევში არაერთხელაა ხაზგასმული, რომ ადამიანის უდიდესი მასწავლებელი არის გამოცდილება და რომ ეს გამოცდილება გაცილებით უფრო ძლიერი და ქმედითია, როცა იგი კოლექტივის, სალხის, მთელი კაცობრიობის მდიდარ, ხანგრძლივი დაკვირვების გზით შემოწმებულ გამოცდილებას ეყრდნობა. ეს უკანასკნელი ბევრად უფრო საიმედო, ღრმა და ჭკუის მასწავლებელია, ვიდრე ერთი რომელიმე ინდივიდის გამოცდილება.

საყურადღებოა პოეტის დასკვნები:

„ძალა, რომელიც კაცსა აქვს, მას ამაღლებს, ბევრ საკვირველ საქმეს ჩაადენინებს, მაგრამ მარტოკა კაცს იმდენი ძალღონე არა აქვს, რამდენიც მთელ ხალხის ერიოვას, კაცობრიობას. მთელ კაცობრიობას შეუძლია გადასცეს თაისი გამოცდილება ახალთაობას, ყველა ახალგაზრდას, თუკი იმას სურს ისარგებლოს სხვის გამოცდილებით. სხვის გამოცდილება უადვილებს კაცს ცხოვრებას, ასწავლის გზებს“.

სამწუხაროდ, ვაჟა-ფშაველას ხელნაწერის როგორც შესაალი, ისე ბოლო ნაწილი დაკარგულია (ეს ხელნაწერი ჩვენი პუბლიკაციის მიხედვით პირველად შევიდა ვაჟას თხზულებათა X ტომში, სახელწოდებით — „ხაუბარი ბავშვებზე“, 1964 წ.).

უნდა ვივარაუდოთ, რომ პოეტი საინტერესო დასკვნებს გააკეთებდა მომავალი თაობის სწავლა-აღზრდის საკითხებზე — კერძოდ, მშობლების მაღალ მოვალეობაზე შვილების ზნეობრივი ფორმირების საქმეში. მაგრამ ისიც, რაც უკვე ხელთა გვაქვს და ჟამთადენის სიავეს გადაურჩა, მთელი სიცხადით მეტყველებს ვაჟას დიდ ინტერესზე ბავშვთა ფსიქოლოგიისა და აღზრდის პრობლემებისადმი. ამ ხელნაწერში თვალში გვცემათ პოეტის განუზომელი სიყვარული მომავალი თაობისადმი, რომლის ავკარგიანობაზე იყო და კელავაც იქნება დამოკიდებული მშობელი ქვეყნის ბედ-იღბალი.

ვაჟა ხალხის შვილი იყო და სიკვდილამდე მის ჭირისუფლად დარჩა, მისი უკეთესი მომავლისათვის უძგერდა ჭეშმარიტად ღვთიური გული.

დიდი პოეტის დღემდე უცნობი რეული ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ უდავო დებულებას, რომ მისი ავტორი თაისი დროისათვის ფრიად განათლებული ადამიანი იყო და მისთვის ამაოდ არ ჩაუელია არც გორის სამასწავლებლო სემინარიასა და არც პეტერბურგის უნივერსიტეტში გატარებულ წლებს.

მართალია, ვაჟას ნააზრევში აშკარად იგრძნობა იდეალისტურ-რელიგიური მსოფლმხედველობის გავლენა, მაგრამ ეს სრულიადაც ვერ ჩრდილავს იმ გაბედულ და პროგრესულ აზრებს, რომლებსაც შრომის ავტორი მეტად გამოკვეთილ ფორმებში აყითარებს.

რად ღირს თუნდაც ის, რომ იგი ჭეშმარიტების შემეცნების უტყუარ კრიტერიუმად პრაქტიკას, გამოცდილებას აღიარებს.

დასასრულს გვინდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ სრულიადაც არ გვიცდია დიდი პოეტის პედაგოგიკური და ფსიქოლოგიური ნააზრევის სრული შეფასება. ჩვენ გვეწადა. ზოგადი წარმოდგენა მაინც მიგვეცა მკითხველისათვის იმ საკითხების შესახებ, რომლებიც თავის დროზე აღელვებდა და აფიქრებდა გენიალურ პოეტს და ერთი მიყრუებული სოფლის პედაგოგს.

დაბეჭდილები შენიშვნები

(ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის გამო)

ჩვენი შენიშვნები ძირითადად ეხება ვაჟა-ფშაველას თხზულებათა სრული კრებულის პირველ ტომს, (გამოცემლობა „საბჭოთა საქართველო", 1961 წ.) რომელშიც თავმოყრილია პოეტის დღემდე გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ლექსები.

ლაპარაკი გვეწყება გამოტოვებულ ლექსებზე და ზოგიერთ გაუგებრობათა, უკეთ რომ ვთქვათ, უზუსტობათა შესახებ.

ცნობილია, რომ ვაჟა რაფიელ ერისთავის პოეზიის დიდი დამფასებელი იყო და თავისი შემოქმედების ადრეულ პერიოდში მის გარკვეულ გაელენასაც განიცდიდა: ვაჟასა და მის ძმებს განსაკუთრებით „სამშობლო ხევსურისა" მოსწონდათ.

რაფიელ ერისთავის სიყვარული და პატივისცემა ვაჟას ბოლომდე შერჩა, რაც შესანიშნავად გამოიხატა პოეტის გარდაცვალებაზე დაწერილ ლექსში.

აღნიშნული ლექსი სამგლოვიარო დღეებშივე დაიბეჭდა გაზ. „ივერიაში" 1901 წელს (№45, გვ. 1), სათაურით „რაფიელ ერისთავის გარდაცვალებაზედ".

მას შემდეგ ეს ლექსი რატომღაც პოეტის არც ერთ გამოცემაში არ შესულა და ასე გასინჯეთ, იგი ვერც ვაჟას თხზულებათა სრულ კრებულში მოხვდა, ხოლო ეს გამოცემა პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობის ყველაზე სრულყოფილ გამოცემად უნდა მივიჩნიოთ.

მაინც რა უნდა იყოს ამის მიზეზი? ვაჟას თხზულებათა პირველი ტომის შემდგენელი (ზ. ჯუმბურიძე), როგორც ჩანს, მთლიანად დაეყრდნო სოლომონ ყუბანეიშვილის მიერ შედგენილ წიგნს, რომელშიც აღნუსხულია პოეტის გამოქვეყნებული თუ გამოუქვეყნებელი ლექსები („ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე", 1940 წ.) საქმე ისაა, რომ ს. ყუბანეიშვილს სრულიად შემთხვევით გამორჩა და თავის წიგნში ვერ მიუთითა 1901 წელს გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებული ვაჟას აღნიშნული ლექსი. დაენდო რა ყუბანეიშვილის წიგნის მითითებებს (თუ სად, როდის და რომელ პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნდა ესა თუ ის ნაწარმოები), პირველი ტომის შემდგენელმა პერიოდულ გამოცემებში აღარ ჩაიხედა და ამიტომაც ეს ლექსი ვაჟას თხზულებათა სრულ კრებულში ვერ მოხვდა.

მოვიტანთ დამახასიათებელ სტრიქონებს ამ ლექსიდან:

კურთხეულიმც ხარ სულითა
ღმერთმა გიკურთხა ჭაღარა
მთა-ბარს გულს აუჩქროლებდა
შენი ხმა შენი ნაღარა.
..სამშობლო ხევსურისამა"
ყველასიც გული დაღარა.
გრძნობა შესწირე ზვარაკად
შენსა სამშობლო მხარესა

რბილსა და ნაზსა ღილინში
ცრემლსაც ურევდი მწარესა
გაესხივოსნა წყვდიადი
ეხვეწებოდი მთვარესა...

გვინდა ერთიც შევნიშნოთ: ლექსების იმ ციკლში, რომელიც ტომში გამოყოფილია „Varia"-ს სახელწოდებით და სადაც თავმოყრილია პოეტის მიძღვნები, რაზიკაშვილთა საოჯახო ლექსები, ექსპრომტები და სხვა, გამოტოვებულია ვაჟას შესანიშნაები ექსპრომტი, ქართული პატრიოტული ლირიკის ერთ-ერთი მარგალიტი.

ამ ექსპრომტის არსებობა ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში გავიგეთ ჩვენი სახელოვანი კრიტიკოსის ვახტანგ კოტეტიშვილისაგან.

ვ. კოტეტიშვილის ცნობით, ვაჟა 1896 წლის შემოდგომაზე სოფ. ენისელში სწვეევია ცნობილ მწერალს ტრ. რამიშვილს და ჩვენთვის საინტერესო ექსპრომტიც სუფრაზე უთქვამს (ეს ფაქტი არც ს. ყუბანეიშვილს გამორჩენია.)

უდავოა, ეს ექსპრომტი მრავალტანჯული საქართველოს სადღეგრძელოთი უნდა ყოფილიყო გამოწვეული. გვინდა ვაჟას თხზულებათა სრულ კრებულში გამოტოვებული ეს ექსპრომტი ახლა მაინც მოვაგონოთ მკითხველს:

შენი ვარ შენთვის მოკვდები
შენს ბედზე დაკერებული
სულიც შენია ლეშიცა
ულვაშიც შაღერებული
მაინც არ გაგცვლი სხვაზედა
ბედისგან გაბელებული
შენს ყოფნას ვანდობ თვალებსა
ვდარაჯობ გამგელებული

(„სახალხო ფურცელი" , 1915 წ. № 353, 9/VIII, გვ. 3.).

ვაჟა-ფშაველას ლექსების სრულ ტომეულში აუცილებლად უნდა შეგვეტანა ის პოეტური ნიმუშებიც, რაც მის მოთხრობებსა და პუბლიცისტურ წერილებშია გაბნეული.

განა აკაკი წერეთლის ლირიკული მარგალიტების საკმაოდ დიდი ნაწილი მისიეე ფელეტონებიდან („ცხელ-ცხელი ამბები" , „ბოდვა" , „ნადუღი" ან სხვ.) და მოთხრობებიდან არაა ამოკრებილი?

ვაჟა-ფშაველას მოთხრობებიდან ლექსების I ტომში მხოლოდ ერთი ლექსი შეუტანიათ. ესაა ლექსი „მასწაელებელს ემდურება" (ტ. I, გვ. 352) მოთხრობიდან „საჩივარი" (იხ. ვაჟა-ფშაველა, ტ. IV, გვ. 63). აქეე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ლექსს I ტომის შენიშვნებში ერთგვარი ბუნდოვანი კომენტარი ახლავს. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ეს ლექსი ვაჟას მოთხრობაში კი არ ჩაერთოს, არამედ სადმე ცალკე გამოექვეყნებინოს.

ვსარგებლობთ შემთხვევით და ამ ლექსთან დაკავშირებით ერთი შესწორებაც გვინდა

შეეტანოთ. ვაჟას მოთხრობების IV ტომის შენიშვნებში (გვ. 633) შეცდომითაა მითითებული, თითქოს მოთხრობა „ხაჩივარი" დაიბეჭდა „ნაკადულში" (მოზრდილთათვის) 1913 წელს, №1, გვ. 4-7. ნამდვილად კი დაიბეჭდა იმავე წლისა და იმავე ნომრის „ნაკადულში", რომელიც განკუთვნილი იყო სპეციალურად მცირეწლოვანთათვის (იხ. „ნაკადული", მცირეწლოვანთათვის, 1913 წ. №1, გვ. 4-7.).

ვაჟას თხზულებათა ტომეულების გარეშე არ უნდა დარჩენილიყო მოცულობით პატარა, მაგრამ მაინც საგულისხმო ზოგიერთი კაფია. ძმებისადმი მიძღვნილი ლექსებისა და კაფიების გვერდით ადგილი უნდა დათმობოდა მეზობელ ბასილა რაზიკაშვილზე დაწერილ ლექსსაც — „დამშეული" („სათიბს წაეიდა ქაფთარი"). რატომ გამოგვრჩა ვაჟას შესანიშნავი ლექსი, მიძღვნილი განთქმული ფშაველი მოლექსის მერცხალასადმი? (ვ. ლეონიძის სახ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, ხ. №22565.).

კარგი იქნებოდა, ლექსების ამ ციკლში შეგვეტანა ვაჟას ის ლექსიც, რომელიც მან თავის წიხქვილის გამშართაეს მიხა ქოთილაშვილს გამოუთქვა („მიხამ გაგმართა, წიხქვილო, გაგმართა, გაგაბზრიალა").

კრებულში არაა აგრეთვე რუსულად დაწერილი პატარა ლექსი, რომელშიც მთელი პირდაპირობითაა გამოხატული ვაჟას ტრფიალი ხალხის სამსახურისადმი, თაეისუფლებისადმი. აღსანიშნაეია, რომ იგი პოეტს თიანეთში მომუშაეე ბეითლის თედო კალნიცკის თხოვნით დაუწერია მისი ახალშეძენილი ძმისწულის სადღეგრძელოდ.

გამოტოეებულია აგრეთვე ვაჟას მწეაეე ეპიგრამა ეიღაც მტარეალ აქცისზე და თბილისის სამოქალაქო სასწაელებლის დროინდელ ამხანაგ ნიკო ჩიკეაიძეზე (ორიეე რუსულად, იხ. ლიტერატურული მუზეუმის ფონდი, ნ. შამანაურისა და იე. ბუქურაშეილის მოგონებები. ეს ლექსები ს. ყუბანეიშეილმაც გამოაქეეყნა).

ვაჟას თხზულებათა პირეელ ტომში აქა-იქ კურიოზული სახის შეცდომებსაც ეხედებით. პოეტის 1902 წელს დაწერილი ლექსები იხსნება ლექსით — „ამიტანა" (გვ. 191).

დაეხედეთ თუ არა სათაურს, მიეხვდით, რომ აქ რაღაც გაუგებრობა უნდა ყოფილიყო.

ეს ლექსი თაეიდანეე მცდარი სათაურით („ამიტანა") დაიბეჭდა (გაზ. „იეერია", 1902 წ., №3, გვ. 3).

ვაჟას ბიოგრაფმა ს. ყუბანეიშეილმა ყურადღება არ მიაქცია იმ ფაქტს, რომ ლექსის სათაური დამახინჯებული იყო და იგი უცყლელად გადაიტანა მას მიერ შედგენილ წიგნში (იხ. ს. ყუბანეიშეილის „ეაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე", თბილისი, 1940 წ., გვ. 51).

ჩანს, თეით ვაჟას არ ეჭაშნიკა ლექსის სათაურის დამახინჯება და მოგეიანებით „საქართველოს მოამბეში" ხელახლა დაბეჭდა იგი „ამოცანას" სახელწოდებით (იხ. ყურნალი „საქართველოს მოამბე", 1910 წ., №10, გვ. 7). თეით ლექსის შინაარსიც საუსებით შეესაბამება ამ სათაურს.

აღ. აბაშელისა და აკ. შანიძის რედაქციით გამოცემულ ვაჟა-ფშაველას თხზულებათა I ტომში (გვ. 268) ეს ლექსი სწორი სათაურით დაიბეჭდა.

ვაჟა-ფშაველას თხზულებათა I ტომის შენიშვნებისა და კომენტარების აეტორს უფრო მკაფიო განმარტებები უნდა დაერთო ზოგიერთი ლექსისათეის.



აღნიშნულ ტომში შესულია ისეთი ლექსები, რომელთა გამოქვეყნებისას მასზე თუ ადრესატზე შენიშვნების აუცილებლობა არავერის გეუბნება.

რატომ არ შეიძლებოდა, შენიშვნებში ზოგიერთი ლექსის მშრალი დახასიათებით არ დაეკმაყოფილებულიყავით და მის შესახებ ცოტა რამ მიგეწოდებინა მკითხველისათვის.

კარგი იქნებოდა, ვაჟას ლექსების ავტორისეულ დახასიათებაზეც გეფიქრა.

ვაჟა თბილისიდან შორს იყო და რედაქციები თვითნებურად ნათლავდნენ პოეტის ლექსებს, სათაურს, ხშირად სტრიქონებსაც კი ცვლიდნენ (ეს ყველაზე მეტად აშფოთებდა ვაჟას).

ჩვენ ნამდვილად უნდა დაგვებრუნებინა ლექსისათვის „მიქელევა“ მისი პირვანდელი, ვაჟასეული სახელწოდება — „საახალწლო“. ეს ლექსი ამ სახელწოდებით შევიდა რედაქციაში და ამ სახელწოდებითაა დაცული დღესაც მისი ავტოგრაფი (ვაჟას ფონდი №88). ვაჟასეული მართლწერა და სასვენი ნიშნები მთელი სიზუსტით არაა დაცული ლექსში „ჩემი ახალი მეკვლე“.

სინანულით გვინდა აღვნიშნოთ, რომ ვაჟას V ტომში, რომელშიც თავმოყრილია ეთნოგრაფიული და პუბლიცისტური წერილები, გამორჩენიათ პოეტის საკმაოდ ვრცელი ნარკვევი, დაწერილი სოფ. დიდთონეთში მასწავლებლობის დროს (1886—1888 წლებში).

უნდა ვიფიქროთ, რომ ეინც ვაჟას თხზულებათა V ტომი გამოსაცემად მოამზადა, იგი შეაცდინა საქართველოს კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში არსებულმა გზამკვლევმა, რომელშიც აღნუსხულია პოეტის არქივში დაცული ხელნაწერები. სხვათა შორის, ამავე ხელნაწერებში ინახება ვაჟას მამის — პაველე რაზიკაშვილის საეკლესიო ქადაგებათა ხელნაწერი კრებული (იხ. S—5322 №209), რომლის შესახებაც გზამკვლევში ეკითხულობთ: „პაველე რაზიკაშვილის (ვაჟას მამის) კრებული საეკლესიო მოძღვრებისა. ავტოგრაფი. ბოლო ნაწილი ვაჟას ხელითაა გადაწერილი“.

საქმეც ისაა, რომ სწორედ ეს ბოლო ნაწილი პირადად ვაჟას კალამს ეკუთვნის და მას არაფერი აქეს საერთო (გარდა იმისა, რომ შეცდომით პაველეს ხელნაწერ კრებულზეა დართული) მამამისის საღვთისმეტყველო შეგონებებთან.

ს. ყუბანეიშვილის წიგნში იმ ადგილას, სადაც ლაპარაკია პაველე რაზიკაშვილის „დარიგებათა“ შესახებ, გარკვევით წერია: „აქვეა, ვაჟას ხელნაწერიც, რომელიც უმთავრესად შვილის აღზრდის საკითხს ეხება“ (იხ. ს. ყუბანეიშვილის დასახელებული ნაშრომი, გვ. 234).

ვაჟას ამ ხელნაწერს, რომელიც მას მასწავლებლობის წლებში დაუწერია, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პოეტის პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური შეხედულებების გასაცნობად.

ამ ხელნაწერის ტექსტიც, სათანადო მიმოხილვით, ჩვენ მთლიანად გამოვაქვეყნეთ ჟურნალ „მნათობში“, 1961 წელს (№7, გვ. 109-127). ყოველ შემთხვევაში, რა დონესაც არ უნდა იდგეს მეცნიერული თვალსაზრისით ახალგაზრდა პედაგოგის ეს ტრაქტატი, მას მაინც უნდა დაჰქონდა ადგილი ამ ტომში.

ვაჟას ტომეულებში არც მისი დემოკრატიული და რევოლუციური შემართების გამომხატველი ზოგიერთი ნაშრომი შეუტანიათ. როგორ შეიძლებოდა ფართო მკითხველისათვის მიუწვდომელი დარჩენილიყო პოლიტიკური ხასიათის მეტად საინტერესო „დეკლარაცია“, რომელშიც გარკვევით ჩანს დიდი პოეტის აქტიური დამოკიდებულება 1905 წლის რევოლუციური მოძრაობისადმი, მისი პროტესტით აღსავსე მოწოდებანი ცარიზმის წინააღმდეგ. ეს „დეკლარაცია“, რომელიც დაეით ჴაჟაიშვილის (ვაჟას სიძედ ეკუთვნოდა. —ს. ს.) დამოწმებით პოეტს სოფ. მაღაროსკარში საკუთარი ხელით დაუწერია, ოცი მუხლისაგან შედგება. რევოლუციის ბობოქარ დღეებში მთიელთა შორის იგი თავისუფლებისათვის ბრძოლის მძლავრ მოწოდებად გაისმოდა.

თავისი დროისათვის ეს ფრიად საყურადღებო პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი სათაურით „ფშავ-ხევსურთა დეკლარაცია“, პირველად ჩვენს პერიოდულ პრესაში ი. ლოლაშვილმა გამოაქვეყნა (იხ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948 წ. , №49). მან მრავალი სარწმუნო არგუმენტით დაამტკიცა, რომ „დეკლარაციის“ ავტორი ვაჟა-ფშაველაა.

უდავოა, ამ საკმაოდ ვრცელ „დეკლარაციას“ სათანადო ადგილი უნდა დათმობოდა ვაჟას თხზულებათა კრებულში.

ტომში არ შეუტანიათ არც ის სიტყვა, რომელიც ხალხოსნური მოძრაობით გატაცებულ ჭაბუკ ვაჟას წარმოუთქვამს სოფლებიდან ჩამოსული პროპაგანდისტების შეკრებაზე 1882 წელს, სოფ. უფლისციხეში (იხ. „ლიტ. მემკვიდრეობა“, წიგნი I, გვ. 96-98).

ახლა თვითონ მკითხველმა განსაჯოს, რამდენად ზუსტია სარედაქციო კოლეგიის განცხადება: „საერთო თხზულებათა სრული კრებულის მომზადების დროს ხელახლა გულდასმით შემოწმდა ყველა წყარო და გასწორდა მრავალი მცირე თუ მსხვილი შეცდომა“ (ვაჟა-ფშაველა, ტ. I, გვ. 5).

კლასიკოსების აკადემიური გამოცემა საშვილიშვილო საქმეა. მას მეტი პასუხისმგებლობით და სიფრთხილით უნდა მოეკიდოთ!..

იესანე მაჩაბელი და სალი კლდის საიდუმლო

რაჭა — საქართველოს უძველესი და უმშვენიერესი კუთხე–

დიდძალი ციხე-გალაღებები, მტრისაგან მიუვალ კლდე-ღრეებში დღემდე შემორჩენილი გამოკვეთილობანი, მღვიმეები და გვირაბები გვაფიქრებინებენ, რომ ჩვენი ერის ისტორიული შაებედობის წლებში არც ამ მხარეს პქონია მოსვენებული ცხოვრება. რაჭის გულადი, მუყაითი და კეთილი მოსახლეობა მთელ საქართველოსთან ერთად იზიარებდა შემოსეულ თუ შინაურ მტერთაგან თავს დატეხილ უბედურებას. საყოველთაო განსაცდელის ჟამს გულსხელდაკრეფილნი როდი ყოფილან რაჭველი ვაჟკაცები, რომელნიც ვახუშტის დახასიათებით არიან „კაცნი ტანოვანნი, მხნენი, ბრძოლასა შემმართებელნი–"

ამჯერად ჩვენი მიზანია, მკითხველის ყურადღება მივაპყროთ ერთ მეტად საინტერესო კლდეს, რომელიც სოფელ შქმერის (ონის რაიონი) ტერიტორიაზეა და რომელსაც ხალხი ძველთაგან „თამარ დედოფლის კლდეს" უწოდებს (არის გადმოცემა, თითქოს სვანეთიდან მომავალი თამარი შქმერზე და მრავალძალზე გაელით ჯრუჭში გადასულიყოს).

მაღალ ალპურ ზონაში მდებარე ეს ულამაზესი სოფელი გამოჩენილ ისტორიკოს-გეოგრაფ ვახუშტის ასე აქვს აღწერილი: „ამ ორი წყლის შესართავს ქვეით არს შქმერი, დაბა დიდი, უეენახო, უხილო, მგზავსი სხვათა მთის ადგილთა და შეენიერი ზაფხულს ფრიად".

დიახ. უეენახო! მაგრამ მარტო ვენახი და ხეხილი როდი ახარებს გულს კაცისას! ქვაგახეთქილა– უნდა ნახო, განიცადო ფოცხვრეთის აჭრელებული ფერდობებიდან ამომავალი მზის სხივთა ელვარებაში გახვეული კავკასიონის მწვერვალები–

სწორედ ამ ქვაგახეთქილადან, რომლის ჯადოსნური სიდიადეც წარმოგვიდგინა დაუვიწყარი ივანე მაჩაბლის კალამმა, არცთუ ისე დაშორებით, სოფლების ბოყვისა და ქორთის თავზე, მოჩანს თამარ დედოფლის ფრიალო, თვალშეუდგამი კლდე.

ამ კლდისა და მასში ჩადგმული საყდრის რომანტიკული ლეგენდა უხსოვარი დროიდან ტრიალებდა რაჭაში, რასაც დიდი ინტერესი აღუძრავს ბოყოველ გლეხ პეტრია ომანიძეში. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან ენერგიული მზადება დაუწყია ხაოცნებო კლდის დასაპყრობად და ამ გზით საყდარში შესაღწევად.

როგორც ირკვევა, კლდეში ჩაშენებულ საყდართან დამაკავშირებელმა ბილიკმა დროთა განმავლობაში სრული დეფორმაცია განიცადა, რის გამო ამ საინტერესო ნაგებობის ხილვის შესაძლებლობა დაეხშო. საჭირო შეიქნა ახალი გზის ძიება და ეს საძნელო საქმე მარჯვე თვალისა და მტკიცე გულის პქონე ვაჟკაცმა პეტრია ომანიძემ იკისრა, ორი წლის განმავლობაში მან იშვიათი ნებისყოფით და შეუპოვრობით პკეთა ციცაბო კლდეზე საფეხურები და, როგორც იქნა, შევიდა ლეგენდარულ საყდარში.

პეტრია ომანიძე მეტად გულადი ვაჟკაცი ყოფილა, იგი ისე გაჯარჯოშებულა, რომ კლდეზე მიმაგრებული საფეხურებით და მის მიერ გაკეთებული დასაკეცი კიბით ალპინისტის ვირტუოზობით ადიოდა ამ სახიფათო კლდეზე, რაც ხალხს, ამის დამსწრეს, ჟრუანტელს პგვრიდა. პეტრიას სახელი შორს გაჯარდა: მისი კიბე საარაკო გახდა. საი-

დან არ აწყდებოდა ხალხი უცნაურ სანახაობას. იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები წერილებით აივსო, ახლა თეთრთან პეტრია შეიქნა ლეგენდარული პიროვნება.

იუანუ ჭაჭიბელი, რომელიც ამ ამბით დაინტერესებული და უშუალოდაც შესწრებია პეტრია ომანიძეს, წერს: „ამ უზარმაზარ კლდეზე კიბის გაკეთებას შესდგომია ერთი უბრალო რაჭველი, ყოველდღე უსიდნია ამ ჯაფოხეთის გზით საზრდო და იარაღი, მშვილელად და წამქეზებლად მხოლოდ თავისი ცოლი ჰყოლია და მარტო რკინის კეტით აღჭურვილს დაუსრულებია ეს კლდე. უცნაური სანახაობა უნდა ყოფილიყო ეს კაცი კიბის გაკეთების დროს, გაკრული ფრიალო კლდეზე, მძიმე რკინის კეტით ხელში ამისთანა სიმაღლეზე, სადაც კაცის თვალი ძლივს ასწვდება“ („კვალი“, 1893 წ., №4).

ამ საძნელო საქმეში ომანიძეს, როგორც ითქვა, დიდ სტიმულს აძლევდა ხალხში გავრცელებული თქმულება, თითქოს ამ საყდარში თამარის კუბო და სხვა ძვირფასი ნიეთები იყო გადამალული.

მაგრამ ომანიძემ კლდეში ვერ იპოვნა ის საოცნებო საუნჯე, რაც ხალხის გამალებულ ფანტაზიას ეხატებოდა.

ბოყოველი მასწავლებლის ელასი გოცირიძის გადმოცემით, რომელსაც კარგად ახსოვს პეტრიას შერკინება კლდესთან, უძველეს საყდარში მას მხოლოდ ხის აკვნის ნაწილები, ბრინჯაოს ჯვრები, შანდლები და თიხის დოქი დახვედრია.

იგივე გოცირიძე იგონებს, რომ 1903 წელს რამდენიმე პიროვნების თანხლებით, პეტრია კლდის ერთ-ერთ გვირაბში შესულა და იქიდან ფერადი ქვები ჩამოუყრია. ჩამოსვლისას განუცხადებია: გვირაბში ძლიერი ქარი უბერავს, უკუნი ღამეა და ღრმად ვერ შეეედიო.

შქერის კლდისა და მასში ჩაშენებული თამარის საყდრის გარეგანი აღწერა საგულდაგულოდ დაწერილ მხატვრულ ნარკვევში — „თამარის საყდარი“ — უკვდავმა ივანე მაჩაბელმა დაგვიტოვა.

გენიალური შექსპირის უბადლო მთარგმნელი 1892 წლის ზაფხულში შქერს სწვევია. მაჩაბელი საოცრად მოუხიბლავს ბუნების გრანდიოზულ სანახაობას. „ვეინდოდა, — წერს იგი, — ჩვენი თვალითვე გვენახა და შეგეემოწმებინა, რაც გაგეგონა იმ უშვენებელ კლდეზე, რომელსაც თურმე ერთი საყდარი შვილსაით მიხუტებია და კიდევ უფრო უცნაურს „ინჯინერზედ“, უბრალო რაჭველზედ, რომელსაც ამ კლდეზე უგზო-უკელოდ დარჩენილ საყდრამდე კიბე უშენებია. გაგეგონა, რომ რაჭაში სოფელ შქერსა და ბოყვას ახლო ფრიალო კლდის შუაგულში უალაგო ალაგას უხსოვარ დროიდან საყდარია აშენებული და ამ საყდრამდე ადამიანის შეილი ვერა გზით ვერ მიაღწევსო-

– მიეაღწიეთ ქვახეთქილას, — განაგრძობს მწერალი, — საიდანაც უეცრად ისეთი სურათი წარმოგეიდგა თვალწინ, რომ გრძნობა-გონება დაგვიტყეეა.

აგერ ჩვენს გვერდით ხელ-მარჯვნივ უზარმაზარი განიერი ციცაბო კლდე აეყუდა-კლდე თითქოს განგებ შიგნი შეწეულა, პატარა მოედანი გაკეთებულა და ამ მოედანზე დგას საყდარი თამარისა, თეთრი ქვით აგებული. შუაში პატარა ოთხკუთხი ფანჯარაა დატანებული, ცოტა მოშორებით, საყდრის სისწორეზე მღვიმეებია კლდეში. ახლაც ეტყობა ალაგ-ალაგ ნაშთი ბილიკებისა, მაგრამ მომეტებული ნაწილი კი ისე კვალ-



წმინდად არის ჩარეცხილი. რომ ვერას გზით კაცი ამ საყდარს ვერ მიუდგება".

— რა სელემა ააშენა ეს საყდარი და რიდის არის აშენებული, არავინ იცის, — ასეთი კითხვით ეთხოვება ივანე მაჩაბელი მკითხველს და ეს კითხვა კითხვადვე რჩება.

დღემდე კელაჟ ბურუსით არის მოცული ისტორია ამ ლეგენდარული საყდრისა და მის გარშემო არსებული მეტად საინტერესო მღვიმეებისა, რომელსაც ნამდვილად ხელოვნური ნაკეთობანი უნდა იყოს. ეს აზრი შესაწყნარებელი და ყურადსაღები უნდა გავხადოთ იმიტომაც, რომ ამავე ეპოქაში სავსებით ანალოგიურ მოვლენას ვხვდებით შქმერიდან არცთუ ისე დაშორებით. ვახუშტის დამოწმებით: „ყვირილის ჩრდილოეთ კერძ კლდეზედ არს მღვიმე, კლდე დიდი გამოკვეთილი, და მას შინა მონასტერი უგუნბათო, წითლის ბრწყინვალის ქვით შენი, კახაბერ რაჭის ერისთავისაგან აღშენებული. ქვაბსა შინა დის წყარო დიდი და კეთილი. ამ ყვირილის იქეთ და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქვაბნი მრავალნი, გამოკვეთილნი სახიზრად და შეჯალი მტრისაგან, და საკურველ, თუ ვითარ უქმნიათ. და დადგა ესენიცა ჟამსა ყრუსა".

ხომ შეიძლება ვიფიქროთ, შქმერის ეს გვირაბული ნაკეთობანიც არაბების ბატონობის ხანაში იყოს გაკეთებული, ხოლო საყდარი იმავე კახაბერის მიერ ცოტა მოგვიანებით ჩაშენებული.

განა აფორიაქებულ ჟამთა მემატიანეს ყველაფერი შეეძლო აღენუსხა! ანდა პეტრია ომანიძეს, კაცს მამაცსა და რისკიანს, მაგრამ უსწავლელსა და ერთგვარი ფანატიზმით შეპყრობილს, შეეძლო ისტორიული და მატერიალური კულტურის ასპექტით რაიმე დასაბუთებული და ღირებული აზრი გამოეთქვა აღებულ „ციხე-სიმაგრეზე"?! პეტრია ხომ სიკვდილამდე დიდი საიდუმლოებით ინახავდა ყოველივეს! მაჩაბელიც ხომ ამას გვიდასტურებს!

გასულ წლებში ქართველი ალპინისტების ერთმა ჯგუფმა მაღლიდან ჩამოშვების გზით სცადა ამ კლდეში შეღწევა, მაგრამ კლდის ღრმა შეზნექილობის გამო ამ ცდას წარმატება არ მოჰყოლია.

შქმერის კლდეზე კვლავ უნდა მივიტანოთ იერიში. ვინ იცის, რამდენი რამეა იქ საიდუმლოებით მოცული!

1962

საშგალითო ქართველ ადამიანთა შორის, რომელნიც გასულ საუკუნეში ძალ-ღონეს არ იშურებდნენ კულტურის სასიკეთოდ, შრომობდა და ტრიალებდა ცნობილი ფოტოგრაფი-მხატვარი, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი ალექსანდრე როინიშვილი.

ამ კრისტალური პიროვნების დამახასიათებელი შრომელი ხალხის წინაშე მთელი სისავსით წარმოგვიდგინა დიდმა ილიამ, როცა მის უკვდავსაყოფად დაწერილ ნეკროლოგში თქვა: „ალექსანდრე როინიშვილი თავის თავს კი არ მოუკვდა, მოუკვდა თავის ერს, მოუკვდა ქართველობას, რომლის ბედი და უბედობა თავის საკუთარ ბედად და უბედობად გაიხადა“.

მართლაც, მოვალეობის მაღალი შეგნებით იყო განათებული ამ ჩუმი, უპრეტენზიო ადამიანის სამოქმედო სარბიელი.

დავიწყოთ იმით, რომ მან ფეხით შემოიარა მთელი საქართველო და თავისი განთქმული აპარატით აღბეჭდა რეფორმამდელი სოფლები და ქალაქები. ჩვენი მატერიალური კულტურის სწორუპოვარი ძეგლები, ეთნოგრაფიული ღირებულებების შემცველი ფასეულობანი, გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები.

საკუთარ ფოტოატელიეში დამზადებულ საზოგადო მოღვაწეთა პორტრეტებსა და სხვა მნიშვნელოვან სურათებს იგი უფასოდ უგზავნიდა სკოლებსა და ბიბლიოთეკებს. თავის დროზე ბევრი აალაპარაკა მისმა მოძრავმა მუზეუმმა, რომელშიც თავმოყრილი იყო ქართველი ხალხის საყოფაცხოვრებო კულტურის ამსახველი უნიკალური ნიეთები. 1888 წელს ამ მუზეუმმა შემოიარა რუსეთის ბევრი ქალაქი და მნახველთა დიდი ინტერესი გამოიწვია.

დაუცხრომელი შრომის შედეგად ალ. როინიშვილმა შეიძინა და გადაარჩინა ქართული კულტურისათვის მეტად საჭირო ფასეულობანი (ხელნაწერები, ნიეთები), რომელთაც ჩვენი უნიათო თავადაზნაურობა ასე უმოწყალოდ ანიავებდა, გროშის ფასად ყიდდა. მასთან გულთბილი და საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ ქართული კულტურის მოღვაწეებს, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძეს, რომლის წინადადებით ამ უმწიკვლო მოღვაწეს საუკუნო განსვენების ადგილად დიდუბის პანთეონი ერგო.

ალ. როინიშვილმა თავი მოუყარა დიდძალ წიგნებს, რომელთაგან მრავალ ეგზემპლარს ადრესატისადმი მიმძღვნელთა გულთბილი წარწერა და ფაქსიმილე ამშვენებდა. მას ძალზე პყვარებია თავისი მშობლიური დუშეთი, რომლისთვისაც ჯერ კიდევ სიცოცხლეში შეუწირავს საკუთარი მდიდარი ბიბლიოთეკის საკმაოდ დიდი ნაწილი სათანადო კარადებით (ამაზე თავის დროზე გაზეთი „ივერიაც“ იუწყებოდა), ბევრი წიგნი უბოძებია სურამისთვისაც.

ახლა ძნელია იმის თქმა, თუ რა ბედი ეწია ალ. როინიშვილის წიგნებს დუშეთის ან სურამის ბიბლიოთეკებში, შეგვრჩა კიდევ რამ თუ არა ამ ფონდებიდან. ეს ინტერესი ჩემში გააღვიძა ერთმა დამაფიქრებელმა ამბავმა, რაც რამდენიმე ხნის წინათ მოხდა.

თბილისის ერთ-ერთ საკოლმეურნეო ბაზარში შემთხვევით შევნიშნე: ვიღაც ქალი საკმაოდ სქელტანიანი წიგნიდან ფურცლებს ხევდა და შიგ მყიდველს ყველ-კარაქს უხვევდა.

როდესაც შუაზე გაფლეთილი წიგნი შეეატრიალე, ხელში შემრჩა თედო ჟორდანიას ქრონიკების ძვირფასი კრებული ავტორისეული წარწერით: „ალექსანდრე ხოლომონის ძე როინიშვილს ნიშნად პატივისცემისა“ (გამოცემულია 1892 წელს).

უცნობმა ქალმა გადმომცა, რომ იგი დუშეთიდან არის, ეს და სხვა წიგნები (ისინი უკვე „მოენელებინა“) დუშეთიდან მომავალ რომელიღაც მოგერს ჩალის ფასად მიეყიდა.

ცხადია, ეს წიგნები ალ. როინიშვილის მიერ დუშეთისათვის შეწირული წიგნების დღემდე შერჩენილი ეგზემპლარებიდან იყო.

რა მდგომარეობაშია საერთოდ როინიშვილის შეწირული წიგნები დუშეთსა და სურამში, დარჩა რამე თუ მთლიანად გაპარტახდა? იქნებ დარჩენილ ნაწილსაც სადღაც ბაზარზე თ. ჟორდანიას „ქრონიკების“ სამწუხარო ბედი მოელის?!

ამასთან დაკავშირებით გვსურს საერთოდ დავაყენოთ იმ მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობის განსაკუთრებული მოვლა-პატრონობისა და სისტემატიზაციის საკითხი, რომელიც ალ. როინიშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უანდერძა და რის გამოც ილია ჭავჭავაძე წერდა: „საქმე იმაშია რომ რაც პქონდა, სულ მთლად თავისის ქვეყნის საკურთხეველზე დასდვა შესაწირად“. რატომ არ უნდა ეიცოდეთ, სად ინახება და ვის ხელთ არის უნიკალური ნეგატივები, რომლებიც თავის დროზე ერმაკოვმა შეიძინა?

ხომ არ დაინტერესდებოდა ალ. როინიშვილის მემკვიდრეობის შესწავლის საკითხით რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი.

რაც გადაურჩა უყურადღებობას ამ უმწიკლო პიროვნების შემოწირულობიდან, ის მაინც დავიცვათ და გადავარჩინოთ!



ორატორული ხელოვნების საკაცობრიო საგანძურში განუმეორებელი ორიგინალობით ბრწყინავენ ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების შედევრები. ზეპირი მეტყველების ეს უმშვენიერესი ფორმა არც მწარმზარეულად მიგვეღია საიდანმე და არც სახელდახელოდ შეგვიმუშავებია.

ქართული მჭევრმეტყველება მარტოოდენ სახოტბო-საზეიმო ხასიათისა როდია. მასში, როგორც სარკეში, უკუფენილია მთელი ერის საზოგადოებრივი ყოფა, მისი ჯირი და ლხინი, მისი ეაქკაცური შემართება დამპყრობი მოძალადეებისა, უსამართლო და უვარგისი სოციალური წყობილებისადმი.

კაზმულსიტყვაობის ამ მომხიბლავ ნიმუშებში ხშირად ტრაგიკული აკორდებიც გაისმის, გამოწვეული რაიმე სახალხო უბედურებით, ამა თუ იმ შესანიშნავი პიროვნების დაკარგვით.

მაგრამ საერთოდ, ისტორიულად, ქართულ ორატორულ ხელოვნებას, ისევე, როგორც ჩვენს ფოლკლორსა და მხატვრულ ლიტერატურას, დაცემულობის განწყობილება როდი ახასიათებს. განსაცვიფრებელი ძალით ნაჭედ სტრიქონებში გაისმის განუხრელი რწმენა იმისა, რომ მუხის დაცემა არ ნიშნავს ფესვმაგარი ჯიშის მთლიან მოსპობას, რომ ისტორიული ბედუკუღმართობის შედეგად დატეხილი უბედურება არ შეიძლება იყოს მარადიული, რომ უკეთეს მომავალზე ხელის ჩაქნევა, ბრძოლაზე ხელის აღება ნიშნავს სიკვდილს.

კლასიკური მჭევრმეტყველების ამ სწორუპოვარ შედევრებში მთელი სიძლიერით ჩქეფს ქებათა ქება ყოველივე დიადისა, რაც ერის ზნეობრივ ამაღლებას და გონებრივ წარმატებას ემსახურება. ამ ძვირფას მარგალიტებში უთვალავ ფერებად ბრწყინავს ქართველი დედების მადლი, წინაპართა საქმენი საგმირონი, მათი აზრისა და მკლაეის ძალა, სულიერი ახოვნება. ამაეე დროს, ორატორის ბაგეთაგან გაისმის ზიზღი და კრულვა ფლიდისა და ორგულისა, სამშობლოს განსაცდელის ჟამს ბოსლის ყურეში ძილად მიგდებულისა.

ჰეშმარიტად დიდია ორატორული სიტყვის ზემოქმედების ძალა! მას შეუძლია შეცვალოს, თავდაყირა დააყენოს ჩვენს წარმოდგენაში დღემდე განმტკიცებული დოგმები, ფეტიშად ქცეული აზრები.

იცის რა ორატორმა თავისი სიტყვის მადლი, გულთამხილავი ძალით იჭრება ჩვენს სულსა და გულში და ჩვენც ხარბად ვუღებთ გულის კარს მის მღელვარე სიტყვებს. ამ სიტყვებში არა მარტო ვეძებთ და დავტკბით ჩვენს გაფრენილ ბედნიერებას, არამედ ნუგეშით ეეგებებით ხვალინდელ დღეს.

დიახაც რომ ქებათა ქება ეკუთვნის სიტყვის დიდოსტატს! ჩვენს სათქმელს ის ასჯერ და ათასჯერ უკეთ ამბობს და ამზეურებს, ჩვენს მოზღვაეებულ, მაგრამ გამოუთქმელ გრძნობებს ხორცს ასხამს, უმშვენიერეს მხატვრულ ფორმებში ხვევს.

* * *

ქართული ორატორული მჭევრმეტყველება ისევე ძველია, როგორც მისი შემქმნელი ერის ისტორია, ისევე მომხიბლავი და ღრმააზროვანი, როგორც მისი სულიერი და მატერიალური კულტურის საკვირველებანი.

ეს სწორუპოვარი ნიმუშები ერის სულიერ სალაროს ისეთსავე სიდიადეს მატებენ, როგორც რუსთაველის უკვდავი პოემა, დავით გურამიშვილის პოემია, ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის პოეტური ქმნილებანი, როგორც თამარის „შეკვეთები, დავითის გელათი, სვეტიცხოველი, სიონი.

რომელი და რამდენი ერთი დავასახელოთ! მსოფლიოში აღიარებულ რომელ ოქროპირთა სიტყვებს ჩამოუვარდება თავისი შინაარსით ან სიტყვაკაზმულობით არსენ ბერის, სოლომონ ლიონიძის, გაბრიელ ქიქოძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო დადიანის და სხვათა ორატორული მჭევრმეტყველების ნიმუშები!

ერის რჩეულთა ამ სიტყვებში მკაფიოდ ჟღერს არა მარტო დრტვინვა და ჩიენილი უვარგის აწმყოზე, არამედ ისიც, თუ რანი ვიყავით გუშინ, რა ღირსებით ბრწყინავდა ჩვენი წარსული. კიდევ მეტი, ამ სიტყვებში მთელი ძალითა ჩქეფს ნათელი რწმენა უკეთესი მომავლისა.

ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ძირითადი ნიმუშები სახელმწიფო მოღვაწეების, მხატვრული სიტყვის ოსტატების, ეკლესიის მსახურთა ბაგეთაგან დარხეულა. გასაკვირი არ არის, რომ ამ მხრივ ნაკლებად ბრწყინავენ დაბალი ფენები. ცხადია, ეს გარემოება მათი სოციალური და საზოგადოებრივი მდგომარეობით უნდა აიხსნას. რაც შეეხება ქალს, თუ მისი ნიჭი წარსულში მთელი ძალით არ გამოსხივებულა, ამაში მარტო მას ნუ დავდებთ ბრალს. უკიდურესად შეზღუდულს, მხოლოდ და მხოლოდ საოჯახო საქმიანობაზე მიჯაჭვულს, ქალს არ შეეძლო მთელემარე სულიერი ძალები მთელი შესაძლებლობებით აემოქმედებინა.

ქართველ დედათა პლეადიდან მხოლოდ ერთი ქალის, და ისიც დიდებული თამარის, ორიოდე ორატორული სიტყვა შემოგვრჩა: ერთი — თქმული დარბაზში ეკლესიის მსახურთა მიმართ და მეორე — მხედრობის წინაშე შამქორის ომის წინ.

უდავოა, ორატორული ხელოვნების თავისებური ნაპერწკლები ციმციმებს მე-17-18 საუკუნის ქართველ პოეტ ქალთა მხატვრულ ნაწერებშიც. ამ მხრივ მხედველობაში გვყავს ცნობილი პოეტი ქალი მანანა და დები ბატონიშვილები. განსაკუთრებით კი ერეკლე მეფის უმცროსი, უსაყვარლესი ასული თეკლე („თეკლა ბიჭი"), რომელმაც თავისი ძალგულოვანი მამის სიკვდილით გამოწვეული სევდა საუკეთესო რიტორიკულ ფორმებში ჩამოასხა და წერილის სახით გარსევან ჭავჭავაძის შეუღლეს — მაიას შესტირა.

ამჯერად ჩვენ ის ქალები გვაინტერესებს, რომელთაც ქართული ორატორული ხელოვნების საგანძურში რაიმე წვლილი შეუტანიათ, ვიმეორებთ, მაღალი სოციალური მდგომარეობის ქალთაგან ჩვენამდე მხოლოდ თამარის საჯარო სიტყვებმა მოაღწია და ეს სიტყვებიც მხოლოდ სადარბაზო მჭევრმეტყველების კლასიკური ნიმუშია. ხაზებით მართებულად შენიშნავს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიის მკვლევარი ნ. კანდელაკი, როცა წერს: „ამ აღორძინებას არ შეიძლებოდა ჩამორჩენოდა ქართული

მჭევრმეტყველება და, გვაქვს საფუძველი აღვნიშნოთ, არც ჩამორჩენია. თამარის ეპოქაში განსაკუთრებით განვითარდა სადარბაზო მჭევრმეტყველება".

როგორც აღვნიშნეთ, ძლიერი წრიდან გამოსული ქართველი ქალის ორატორულ სიტყვას (ამ სიტყვის სპეციფიკური გაგებით) ჩვენ ვერ ვხვდებით. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ვინმე ქისიყელი ქერივი დედაკაცის მიერ ერეკლე მეორის სარიტ დატირება. სოლომონ ლიონიძის სიტყვის შემდეგ თუ რა ხელის დამრევი ხემოქმედება მოუხდენია მსმენელთა სულსა და გულზე ამ მართლაცდა საისტორიე ქალის დატირებას, მოვუსმინოთ თეიმურაზ ბატონიშვილს:

„იწყო ამან ხმითა მაღლითა ტირილად. ესრეთისა შესაბამითა სიტყვებითა მოიღებდა თვითეულთა ღირს სახსოვართა საქმეთა მეფისა მიერ ქმნულთა, რომელ ყოველნი მსმენელნი სიტყვითა მით უმეტეს ლმობიერ იქმნებოდეს და სტიროდეს გოდებითა დიდითა და ყოველთა მიეპყრათ ყური მისა მიმართ და განუკვირდებოდათ, თუ ვითარ ერთმან მსოფლიომან დედა-კაცმან ესრედ შესაბამისა სიტყვებითა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა".

მაგრამ ამჯერად ჩვენ სულ სხვა ვინმე გვწადია წარვუდგინოთ ქართველ საზოგადოებას, პირველ რიგში კი — ქალებს. ლაპარაკია დარია ფაღავაზე, რომელიც თავის დროზე ფიზიკურად და — რაც უფრო სათაყვანოა, — სულიერად აცისკროვნებდა „მშვენიერთა მარაქას".

* * *

არავითარი კლასიკური განათლებით არ ბრწყინავს სახელი იმ ქალისა, ვინც ამიერიდან საპატიო ადგილს იკავებს ქართული მჭევრმეტყველების ისტორიაში.

თამარის შემდეგ ქრონოლოგიურად დარია ფაღავა, მგონია. მეორე ქალია, რომელმაც ქართული კლასიკური მჭევრმეტყველების ერთადერთი, მაგრამ ნამდვილად ობოლი მარგალიტი დაგვიტოვა. და ეს მით უფრო საკვირველია, რადგან თვითნასწავლი ქალი, ეს სიტყვა რომ წარმოუთქვამს, 26 წლისა ყოფილა.

მხედველობაში გვაქვს დარია ფაღავას სიტყვა თქმული 1896 წლის 10 მარტს გელათში, გაბრიელ ქიქოძის კუბოსთან.

როგორც ცნობილია, „მხოფლიოში სახელგანთქმული მქადაგებლის" (მ. ჯანაშვილი) და „ღრმად მიწევნილი მეცნიერის" (ილია ჭავჭავაძე) გაბრიელის გარდაცვალებამ ქართველი ხალხის საყოველთაო გლოვა გამოიწვია. ანტონ ფურცელაძის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ერი დასტიროდა მქადაგებელს მეცნიერს, მქადაგებელს მებრძოლს წინაალმდეგ ყოველისა ბოროტებისა, მძლაერობისა, ძალმომრეობისა, უსამართლობისა, ჩაგვრისა".

აღსანიშნავია, რომ გაბრიელ ქიქოძის დაკრძალვამ ქართულ ორატორულ მჭევრმეტყველებას რამდენიმე სწორუპოვარი შედევრი შესძინა. საკმარისია დაეასახელოთ ილია ჭავჭავაძის, აკაკის, გიორგი წერეთლის, ნიკო დადიანის, ილია ხონელის (რუსულად), გრიგოლ დადიანის (კოლხიდელის), ვახილ მაჩაბლის (ივანე მაჩაბლის ძმის) დიდი ორატორული ხელოვნებით შეზავებული სიტყვები.

მათ რიცხვში ბრწყინავს ორატორთაგან ერთადერთი ქართველი ქალის დარია ფა-

ღაეას სიტყვაც, რომელსაც მაშინვე უჩვეულო შთაბეჭდილება მოუხდენია საზოგადოებაზე. პირველ რიგში, დიდ ილიაზე და მართლაც, ახალგაზრდა, ოჯახურად აღზრდილი ქართველი ქალის ეს სიტყვა ბრწყინვალედ არა მარტო შინაარსით: დარია ფაღაეას სიტყვაში ჰარმონიულადაა შეზავებული ორატორული ხელოვნების სამი საჭიროებული მხარე: შინაარსი, ფორმა და შესრულება.

როგორც წესი, ნიჭიერი ორატორი წინა პლანზე აყენებს შინაარსს, ე. ი. მთელი დატვირთვით, ყურადღების მთელი ძაბვით გვაიძულებს, მოვისმინოთ, შევიგნოთ მიცვალებულის საერო და საზოგადოებრივი ღვაწლმოსილება, მისი სულიერი ახოვნება, სიდიადე. ფრიად საყურადღებოა, რომ ორატორი თავის სათქმელს კაზმული გამოთქმებით უდგამს სულს, მიაქვს მსმენელის გულთან და ამით დაუვიწყარ ხატებას ქმნის იმისას, ვინც, დარია ფაღაეასაც სიტყვებით რომ ეთქვათ: „მისის კეთილგონიერებით ქვეყანაზე მაღლა იდგა, კაცთა შორის უმანკოდ და ღმერთთან კი ახლოს“.

რაც შეეხება შესრულებას, ე. ი. თვითონ წარმომთქმელის ჟესტსა და მიმიკას, ამ მხრივ შეგვეძლია იქ დამსწრე მისეულ სხვირტლაძის ზეპირგადმოცემა დავიმოწმოთ:

„ვისაც ოდნავ მაინც ახსოვს გაბრიელის დიდებით დაკრძალვა, — იგონებს მისეულ სხვირტლაძე — მას არასოდეს დააკლებს ცისკენ მიპყრობილი ღრმადმეტყველი თვალები ახალგაზრდა ორატორი ქალისა, რომლის ქვადქცეული ფიგურაც არღაინისფრად გაპობილი ბაგიდან საამური ტონალობით აფრქვევდა ხავერდოვან სმებს“.

ამ გასაოცარ ურთიერთობას ორატორსა და მრავალრიცხოვან მსმენელს შორის, ალბათ, კიდევ უფრო რომანტიკულსა ხდიდა და რაღაც იდუმალი გრძნობით ამაღლებდა გელათის დიდებული ტაძარი, მდუმარე გარემო, გარინდული თაღების ეკო, რჩეული საზოგადოება და იქ მყოფი ილია ჭავჭავაძის შარავანდედი—

„ისე ძლიერია სასოება, რომ მეც კი, ერთი უსუსური პირის ქალსაც ენას მადგმევინებს სალაპარაკოდ ამ საკვირველ ტაძარში, ბრწყინვალე საზოგადოებათა შორის“. (დარია ფაღაეას ეს სიტყვა. აკაკის რჩეით, მისსაე სიტყვასთან ერთად შეუტანიათ სპეციალურ კრებულში — „სულმნათი გაბრიელის საუნჯე“, რომელიც ქუთაისში გამოიცა 1897 წელს.)

„დიდი თუ მცირე ყველა ქართველთაგანი საკმაოდ გრძნობს ამ დიდად სამწუხარო შემთხვევას, ყველა გლოვობს, ყველა სტირის და სამძიმრობს ურთიერთშორის ამ საუბედურო მოელენას და სწორედ რომ საშიშარია ჩვენთვის ეს დღე, — ვის პკარგავს დღეს საქართველო და ვის გვახალშებს სამუდამოდ ულმობელი სიკვდილი? იმას, ვინც მისი კეთილგონიერებით ქვეყანაზე მაღლა იდგა, კაცთა შორის უმანკოდ და ღმერთთან კი ახლოს.

ჩვენ ვხედავთ დღეს აქ იმ უმჯობესი კაცის უბიწო ცხედარს და თაყვანსა ვცემთ იმის ღირსეულს, პატიოსანს გვამს, რომელიც იყო უწარჩინებულესი მოძღვარი, სამაგალითო სულიერი მამა და მისის სიცოცხლის უკანასკნელ წერტილამდის განუდგომელი მოღვაწე თავისის სამწყსოსათვის. იშვიათია ჩვენში ისეთი ვინმე ჩამორჩენილი და ჩვენი ეროვნული ღირსებისაგან გამოწყვეტილი კაცი, რომელსაც არ გაეგონოს ამ ნუტარხსენებულის დიდკაცობა.

არ არის დაფარული გაბრიელი და მისი სანეტარო ცხოვრება, არაფერ თვალსაჩი-



ნოა, მაგალითად დასადები ყოველი მისი საქმე, რომელთანაც არ მოარიდა პირი არაეითარ ჯეროვან შრომას, არ შეუშინდა არც ერთჯერ ეკლიასა და ბნელით მოცულ გზათ, გაიარა პირნათლად და მოაღწია ქეშმარიტებას ისრე, როგორც მზე ალმოსაველეთით დასაეალს.

ის იდგა ცნობიერების მწვერეალზე და ერთხელაც არ მომწყდარა მისგან: მან დასთესა ქვეყანაზე სიტყვით მარგალიტი და მოიმკო საქმით ყოველი კეთილი. ბევრი იპოვნა მან დაკარგული, ბევრი შეშატა ცხოერებას და ბევრი უსუსური მოასულდგმულა, გამოასათუთა სასიცოცხლოდ! ეხლა კი ამიერიდან გეტოვებს, გეშორდება და უკანასკნელ ამბორს ვაძლევთ მას, ამ მეცნიერებით მხედველს და სიბრძნისმეოფელს, კაცთმოყვარე უგანათლებულეს შვილს ჩეენის ერისას.

დაუნდობელია წარმავალი ქვეყანა! მას უყვარს ჩრდილი და მზად აქვს შავი ზეწარი: სოფელი ვერ დაუშეებს სანგრძლივად ადამიანთათვის საკეთილმყოფო განთიადს: ივი გამოგვაცლის, რაც უკეთესია კაცობრიობაში: და აი, ეს არის საწუთროჲ ჩამოგეაფარა ქართეელებს სამგლოეიარო ფარდა.

ოჰ, ვერ ძალმიძს იმისი გამოთქმა, რაც მწუხრება გულზე მაწეება.

აღარ გვყავს აწ ჩეენი ღირსება და ჩეენი ერის უფროსი შვილი, რომელსაც აუფროსებს მომაეალი ქართლის ძეთა, სტოეებს დღეს იმ ხალხს, რომელმაც თეით ეს მაღალი დაბადა, მიებარება დღეს იმ ქვეყანას, რომელმაც მას კაცობრიული სიყვარული შთაუნერგა და გაუფრინდა იმ ერს, რომელმაც მას სიცოცხლე მიანიჭა.

ეს იყო სამშობლოსათვის სასიქადულო ძე და აწიც უეჭეელია სამარადისოდ არ გაცვეთება მაგის სახელი საქართველოში და არამცთუ მარტოდ თეის სამშობლოში, საკუთარ მოძმეთათვის არიან სახსოვარი და სასარგებლო ამისთანა პირები, არამედ ყოველი სხვათა გარეშე ქვეყნისა და უცხო ხალხისათვის არიან ასეთნი.

ამისთანა სულით და საქმით უკვდაე მუშაჲს არ ეტყეიან მოკედაო, — მას იცნობენ და გაიცნობენ, მას ყოველთვის და ყოველ შემთხვეევაში, ყოველ განათლებულ სხდომაში უჭირავს მაღალი ადგილი: მისთვის მზად არის სკამი პატივცემული და საჩუქრები გონიერებისა, ვინაითგან მის დღეში არ დასცხრება მისი ჯავრი. მას ვერ გააქრობს ზოგიერთი ცრუ და ობიანი მეჭორე პირი ისრე, როგორც მზეს ვერ გააქრობს ქარი: ვერც მის ხსენებას ვერ აღმოხოცს კაცობრიობაში ვინმე, როგორც ვერ დააშრობს მდინარე წყალს ერთი ნაკვერჩხალი.

დიდებულო მწყემს-მთავარო, არ დავიეწყებს შენი სამშობლო, ეიდრეიდის ქვეყანას პირი შერჩება და საქართველოს მისი ღირსება.

შეუწყვეტელი შრომაა უკანასკნელი შენი ანდერძი და შეუწყვეტელი დაგრჩა ხსენებაც.

შენ დგახარ დაურღეველი სიმართლის ნიადაგზე და მაღლა გაყენებს თვით შენი საქმე.

ჩვენ არ გაქებთ შენ, არამედ შენ აქებ იმ სალხს, რომლის ნაყოფიც შენ ხარ! წინ მიგიძღვის ლამპარი დაუშსებელი და მიეშთხვევი ვარსკვლავს ვანთიადისას და სიცოცხლისას.

გიგულეებთ ისევე ცოცხლად ჩვენთან მყოფელად.

გვეყავ მეოხათ ღვთის წინაშე და მოგვანათე შენი რჩეულთა შორის გამოუყოფელი შარავანდი, რათა ერთის სიდიადით და ერთის ერიონულის ღირსებით ბრწყინავდეს მთელი საქართველო.

ვიცით მდიდარი ხარ და არ ითხოვ სხვისგან ქებას, ვიცით უხვი ხარ და არ ეტრფი არვისგან დიდებას, ვიცით შენ შეიწირავ მცირე წვლილსაც. რადგან შენ შეგიძლიან ჩაიხედო ადამიანის გულის სიღრმეში და არა მარტო სიტყვაში, ეიმედოენებ, მიიღებ ამ ჩემს ღარიბ სიტყვასაც და მაპატიებ, ნეტარ ხსენებულო იმას, რაც ვერ შეეაწერე შენს ჯეროვნებას".

დაამთავრა თუ არა ორატორმა სიტყვა, მიხეილ სხირტლაძისავე მოგონებით, ნიკო დადიანი მიიჭრა მასთან და ნიშნად აღტაცებისა მამაშვილურად გადაკოცნა.

არ გაუელია ორ წუთსაც და სალხში ჩურჩული გაისმა: „ილია მოდის, ილია". მართლაც. ახლად გაჭრილ სამარესთან ილიას ბრგე ფიგურა აღიმართა. ამ დაუეწყარ წუთს ასე იგონებს შალვა დადიანი: „ჯერ არ იწყებს სიტყვას, მესმის მისი გულის ბაგაბუგი, მკერდი ადის და ჩადის— დაიწყო, თითქოს დამშვიდდა, მაგრამ მკერდი მაინც ადის და ჩადის, ისე ახლოს ვდგევარ, რომ თვალნათლივ ვხედავ, მესმის მისი გულისძგერა, მკერდიდან ამომხდარი ხმები".

წინა ორატორთა გამოსელას და, კერძოდ, დარია ფალავას სიტყვას იმდენად კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ამ ბუმბერაზზე, რომ თავისი ქებათა ქება, მიძღვნილი გაბრიელისადმი, ასე დაუწყია:

„არ ვიცი, ამდენს მშვენიერად თქმულს სიტყვებს შემდეგ რა მოგახსენოთ ისეთი, რომ თქვენთვის ახალი იყოს. თუნდ ეგეც არ იყოს, ზოგი იმისთანა კაცია, რომ რაც გინდ ბევრი ისურეოთ, ვერას იტყვით, რადგანაც არა აქვს რა ღირსი თქმისა და ზოგი იმისთანაა, რომ სათქმელი ზღვაა".

უკანასკნელი ფრაზებიც — და დიდმა ოქროპირმა გაბრიელის უზარმაზარი პორტრეტის მოხატვა დაამთავრა, ისეთი ხელთუქმნელი ძეგლი აღმართა, რომელსაც, ილასავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „არ ვიცით, რომელ მხრიდან დავუწყოთ ყურება, რადგანაც ყოველ მხრიდან დიდებული სანახავია".

შეღამდა. პროცესია დაიშალა. საზოგადოებამ ერთი გზით მიმავალ ორ ადამიანს გააყოლა თვალი, მათი სიტყვები და სახეები აღიბეჭდა ხსოვნაში. ერთი მათგანი დიდებული ილია იყო, მეორე კი დარია ფალავა.

* * *

ჩვენ აქ გვინდოდა დაგვესვა წერტილი, მაგრამ ვიცით, მკითხველს გული დაწყდება, კიდევ მეტი, — უკმაყოფილოც კი დარჩება. უდავოა, მას სწადია, იცოდეს, თუ ვინ იყო დარია ფარავა, ეს მართლაცდა, „სასიქადულო ქართველი ქალი“ („იეერია“).

დარია ფაღავას შესახებ ბევრს ვერაფერს გვეტყვის იტალიური მარმარილოსაგან გამოკვეთილი ძეგლი, რომელიც სოფელ ბანძაში ახლაც ამშვენებს მის საფლავს.

თეთრ მარმარილოს ქვაზე შაეი ასოებითაა ამოკვეთილი მხოლოდ მისი ვინაობა და ამქვეყნიდან მიფარების მაუწყებელი თარიღი. წამკითხველს შენდობას ემუდარება ლოდქვეშ მდებარე: „ქნენია დარია მურზაყანის ასული ფაღავა, დაბადებიდან 30 წლის, გარდაიცვალა 1899 წ. 22 იანვარს“.

ეს არის და ეს— მაგრამ მშობელი ქვეყანა ასე უხმოდ არ მიაბარებდა მიწას იმას, ვინც აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, ვიდრე ცოცხალი იყო, „მადლსა ჰფენდა გარშემოს“ და თავისი ცხოველი, უაღრესად მჭევრმეტყველური სიტყვების შარაენდედით მოსაედა, ამკობდა და ადიდებდა ერის წინაშე ვალმოხდილ თანამოძმეთ.

რათა კიდევ უფრო სრულიად აღგვეედგინა ამ მივიწყებული ქალის პორტრეტი, ჩვენ გულმოდგინედ გადავათვალიერეთ იმდროინდელი ქართული პრესა, მოვინახულეთ მისი შვილები გულნარა და ევგენია ფაღავები, შვილიშვილები ია გაბუნია, ცნობილი ექიმი დავით ფაღავა, დარია ფაღავასგან შვილიევით აღზრდილი ჰ- გაბუნია (იგი ახლაც სიყვარულით უვლის და დასტრიალებს დარიას საფლავს) და მისი ვაჟიშვილი, ადვოკატი ალექსანდრე გაბუნია, რომელთაც ბევრი საინტერესო ცნობა მოგვაწოდეს ორატორი ქალის ცხოვრებიდან. გარდა საყურადღებო ცნობებისა, ალ. გაბუნიამ მოგვაწოდა დარია ფაღავას პორტრეტიც.

ყველა ამ მონაცემის საფუძველზე, რომელსაც აკაკი წერეთლის მიერ დარიას უკვდავსაყოფად დაწერილი გულთბილი ნეკროლოგიც ასხივოსნებს, ორატორი ქალის ასეთი მედალიონი გეეხატება.

დარია მურზაყანის ასული ფაღავა დაბადებულა 1869 წელს სოფ. ზანას (ზუგდიდის მაზრა). დედიდან მისი პაპა ყოფილა კონსტანტინე აფაქიძე, კაცი თავისი დროისთვის საკმაოდ განათლებული; მისი ცოლი, დადიანის ქალი, ახლო ნათესავი ყოფილა ნიკო დადიანისა.

სწორედ ამ ოჯახში დაბადებულა და აღზრდილა ბანძელი გოგონა. აქვე შეუსწავლია წერა-კითხვა, სასულიერო მჭევრმეტყველების შედეერები. დედულეთშივე გაიზეპირა და შეიტკბო უკედავი „ევეფხისტყაოსანი“, ღრმად იხუნთქა რუსთაველის ენის სტიქია.

წლებმა სწრაფად გადაიქროლეს— დარია გასათხოვარი ხდება. დედისერთა, მდიდარ, თვალტანად ქალიშვილზე ბევრს ეჭირა თვალი, ბევრს ეკედეთა მისგან ტრფობის ისარი. მაგრამ წინდახედულ, დინჯ, ზნემაღალ ოჯახზე მეოცნებე დარიას ასე ადვილად როდი მოხიბლაედა უსაქმურ, ფუსფუსავატ ჩოხოსანთა სამიჯნურო უსტარები.

რჩეული რჩეულს უხმობდა, გული დაეძებდა გულს. დარია ფაღავას რომანტიკულ თაეგადასაედაში მრავალთაგან ერთი ეპიზოდიც სამუდამოდ ჩაიწერა.

ერთმა უგონოდ გამიჯნურებულმა თაეადმა, როცა მისგან ცოლობაზე სასტიკი უა-

რი მიიღო, მოტაცება სცადა, მაგრამ მამაცი გოგონა არ დაიბნა, თავსლიფი გადაასხა თოფ-იარაღში ჩამჯდარ „რაინდებს“. იგი ელვის სისწრაფით გადმოეყარა მაღალ მოაჯირს და ბნელ ღამეს შეუერთდა.

ბასძელი გოგონას ეს „ლეგენდარული ნასტოლი“ მთელ დასაყრდენად საქართველოში დაირხა, პრესაშიც კი გახმაურდა. ამ ამბავმა კიდევ მეტი თაყვანისმცემელი შესძინა დარიას და, აჰა, ტოლიც გამოჩნდა. ეს რჩეული გახლდათ მთელ დასაყრდენად საქართველოში სილამაზითა და ნიჭიერებით განთქმული, ლიცეუმდამთავრებული იურისტი შექი ფაღავა. მექის სახელს კიდევ უფრო ამაღლებდა ის გარემოება, რომ მას ახლო მეგობრობა და საბანკო საქმეების გამო ხანგრძლივი ურთიერთობა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან.

მის ბიოგრაფიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ილიას მიპატიჟება ბანქაში 1885 წელს, როცა დიდი პოეტი, როგორც ქართველთა შორის წ. კ. გ. საზოგადოების თავმჯდომარე, სამეგრელოს ესტუმრა ნიკო დადიანის (მინგრელსკის) საგვარეულო ბიბლიოთეკის გადმოსაბარებლად.

აქ ალარაფერს ვამბობთ მასპინძელთაგან ილიას გულუხვ მიღებაზე, პოეტის მოლხენაზე, ენამზეობაზე. სამეგრელოს ხილვით გამოწვეულ აღტაცებაზე. ამაზე საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა.

დავუბრუნდეთ ისევ დარია ფაღავას ცხოვრების გზას. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დარიამ თავისიენე გვარის, მაგრამ სისხლით შორეულ ვაჟკაცს მექი ფაღავას გაუწოდა ხელი.

აფაქიძეების ძველ ქართულ ოჯახში ტრადიციულად აღზრდილ, შინაური სწავლითა და თვითგანვითარების გზით გონებაგახსნილ დარიას ღირსეულად ეჭირა თავი იმ წრეშიც, რომელიც მექი ფაღავას გარშემო ტრიალებდა. უნდა ვიეარაუდოთ, რომ დარია ჯერ კიდევ გათხოვებამდე საკმაოდ მომზადებული იყო ცხოვრებისათვის. ნუ დავივიწყებთ, რომ ძველ ქართულ ოჯახებში, როგორც ეახუშტიც გვიმოწმებს, ქალების საერთო საქმიანობაში „ცოდნა-ხელოვნების მოყვარულობას“ საპატიო ადგილი ეჭირა.

ეს წეს-ჩვეულება ოდიდანვე მთელი ტრადიციულობით იყო დაცული სამეგრელოში. არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც თითქმის 20 წელი დაჰყო სამეგრელოში, წერს: „ქართული წერა-კითხვა დღეს სულ მოსპობილი იქნებოდა აქ, რომ ქალებს არ შეენახათ იგი“.

რაც შეეხებოდა მათ სულიერ საზრდოს, იმას, თუ რა წიგნებით იკმაყოფილებდნენ გონებრივ და ესთეტიკურ მოთხოვნილებას, ამაზე ჩვენს სახელოვან ისტორიკოსს დ. ბაქრაძეს მოუხსენიოთ: „ისინი ტკბებოდნენ ჩვენს ენაზე დაწერილის ანუ სხვა ენით გადმოღებულის საერო თხზულებებით: კითხულობდნენ უფრო განთქმულს რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, რომელიც უმშვენიერებდა სიტყვიერებას და განუწმენდდა აზრსა და ზნეობითს გემოვნებას, მრავალთ იცოდნენ ზეპირად: კითხულობდნენ საბერძნეთის ფილოსოფოსთ მშობლიურს ენაზედ, მამათა ცხოვრებასა და საღმრთო წერილებსა“.

არანაკლებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ორატორი ქალის ნათესავი, მწერალი

შალვა დადიანიც, „ქალი — წერს იგი — არამც თუ ჩვეულებისამებრ მცოდნე იყო ქართული ენისა, „ვეფხისტყაოსნისა" და სხვადასხვა ხელსაქმისა, რომელიც საჭალდებულოც კი იყო მაშინდელი ქართველი ქალისათვის, არამედ საფუძვლიანად იცოდა თურმე, იმ დროის შესადარად, საქართველოს ისტორია, ყარსკვლავთმრიცხველობა, დიდი ხელთა, რომელიც მეტად რთულს — მთვარისა და მზის, დრო და ჟამის ტრიალთა აღნუსხვის კომბინაციებს წარმოადგენს.

დარია ფაღავა, როგორც გახსნილი გონების ქალი, აქაც თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა: ქუთაისში ცხოვრების წლებში იგი ძალზე ბევრს კითხულობდა, ახლოს იმყოფებოდა მოწინავე ინტელიგენციასთან, განსაკუთრებით ორ პოეტთან — აკაკისთან და ცაბელთან. თავის მხრივ, როგორც ერთი, ისე მეორე მოხიბლული ყოფილა შინაურულად განსწავლული ქალის ნიჭიერებით, მისი მაღალი ზნეობით და ეროვნული იდეალებით. დარია სისტემატურად ესწრებოდა წარმოდგენებს. იგი უღრმეს პატივსა სცემდა ქართული სცენის ვეტერანებს ლადო მესხიშვილსა და ეასო აბაშიძეს, ქალთაგან კი ნუცა ჩხეიძეს, რომელიც მისმა ქმარმა მექიმ მონათლა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია დარია ფაღავას კულტურულ-საქველმოქმედო საქმიანობა. მან საუცხოო წიგნსაცავი გახსნა თავის სოფელში და თავისიექვ ხარჯით ბევრ ახალგაზრდას გაუკაფა გზა ცოდნისა და განათლებისაკენ.

* * *

როგორც მშობელი ქვეყნის მხურვალე პატრიოტი და თავისი დროისათვის საკმაოდ განვითარებული ქალი, დარია ფაღავა გულისყურით ადევნებდა თვალყურს ქართულ პრესას, ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების განვითარებას, აზრთა და იდეათა შეხლა-შემოხლას.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის აბობოქრებულ საუკუნეში, რომლის ტალღებიც ილიას ფოლადის მკერდს ეხეთქებოდა, მოწინავე ქალისთვისაც მიუღებელი და დასაგმობი უნდა ყოფილიყო ყველაფერი ის, რაც სახალხო საქმეს ზიანს მიაყენებდა, ეროვნულ შეგნებას დაასუსტებდა, ძირს გამოუთხრიდა.

დარია ფაღავამ „იეერიის" ფურცლებიდან საინტერესო პოლემიკა გაუმართა გიორგი წერეთელს, რომელმაც წერილში — „საით მივისწრაფით?" ქალაქის მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით, ცოტა არ იყოს, ტენდენციური თვალსაზრისი განაცხადა ზოგიერთი საკითხის ირგვლივ.

გამოჩენილ ბელეტრისტთან და საზოგადო მოღვაწესთან კამათის დროს ზოგიერთი თავგზააბნეული, ქარაფშუტა პატრიოტის გამოსდომებით გულმოკლული ქალი ნაღელიანი კილოთი შენიშნავს: „ვინ არ იცის, რომ ჩვენში ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არსებობს ეგრეთ წოდებული „პროვინციული პატრიოტობა". ამ ორი წლის წინათ თვით საქართველოს დედაქალაქის კეთილშობილთა კრებულში, ბანკის ყრილობაზე, ათასი კაცის წინაშე ზოგიერთმა მამულიშვილმა (?) საქვეყნოდ წარმოსთქვა შეუწყნარებელი სიტყვები: „იმერლები ნუ ერევიან ჩვენს საქმეშიო".

დარია ფაღავას იდეალით ყველა ქართველისათვის ერთგვარად სათაყვანო უნდა იყოს ჩვენი საზიარო დედა-საქართველო, „კორტოხის ორიენ ძხარე — «მერეთ-ამერეთი»".

ნიჭიერი ქალის სმენას მთელი გრძნობით ატკბობდა დიდი ეროვნული პოეტის აკაკის გულში ჩამწედომი სტრიქონები:



ჩონგური საქართველოა
სიმები ჩვენ ვართ ყველაო...

დარია ფალავას სხვა საწერებს, ჩვენამდე არ მოუღწევია. სინანულით უნდა აღინიშნოს, რომ ილიასწერების საქმაოდ მოზრდილი რეცეული მისი გარდაცვალების შემდეგ მექის მეორე ცოლმა, ანჩისლმა დედაკაცმა, ცეცხლს მისცა.

როგორც გულნარა ფალავამ გადმოგვცა, მისთვის დაუვიწყარი დედის ამ ძვირფას რეცეულში თავმოყრილი ყოფილა საკუთარი ლექსები, ერცელი საენათმეცნიერო ნარკვევი ქართული და მეგრული ენების ახლო ნათესაობის შესახებ და, რაც ყველაზე დიდი დანაკარგია, სიტყვა დაწერილი ილია ჭავჭავაძის სახსოვრად. ეს სიტყვა დარიას უნდა წარმოეთქვა საგანგებოდ შეკერილ ქართულ კაბაში, რომელიც მან ერთ ხნიერ მოლოსანს თვალისმომჭრელი სილამაზით მოაქარვებინა: მაგრამ დახეთ ბედის სიმუხთლეს! ამ საოცნებო კაბაში იგი მხოლოდ კუბოში იხილეს.

* * *

1899 წლის 18 იანვარს სუხიანი საღამო იდგა. ქუთაისის თეატრში ტეცა არ იყო. ელ. მესხიშვილი და ე. აბაშიძე ელაედნენ სცენაზე. მეორე მოქმედებისას მოულოდნელად ხმაური ატყდა. რამდენიმე წუთიც და პარტერიდან გულწასული ქალი გაიყვანეს.

ეს ქალი დარია ფალავა იყო. იგი კონსერვს მოეწამლა და მომაკედინებელი შხამი სწრაფად ედებოდა მთელ სხეულს. სიკედილთან ბრძოლა ხუთ დღეს გაგრძელდა. დღისა და ღამის გაყრას რუსთველის ბრძნულ აფორიზმებზე აღზრდილი ქალი ორი სიტყვით და წყვილი კურცხლით შეეგება:

— არაფერია — მშვიდობით! — წამოიძახა მან და მის ღაწვთაგან სასიკედილო ოფლინის კვალი ორმა მარგალიტმა ჩარეცხა. ქმარი კედელს ეხეთქებოდა, ოთხი პატარა ბავშვი კი გიშრისფერ დალალებს ელამუნებოდა. ყველა დააღონა ზნემაღალი, სამაგალითო ქართველი ქალის უდროოდ გარდაცვალებამ.

მისი დაკრძალვის დღეს ქუთაისის თეატრმა წარმოდგენა გადადო. საზოგადოება გლოვობდა თაყის მშვენებას.

მწუხარების დღეებში „იევრიაში" გამოქვეყნდა ილია ჩიქოვანის (პონტოელის) წერილი — „სასიქადულო ქალის ხსოვნას".

მაშინ ახალგაზრდა მსახიობმა ნინო ჩხეიძემ კი იმავე „იევრიაში" (1899 წ., №23) თაყისი გამოსათხოვარი სიტყვა ასე დაამთავრა: „საუკუნო იყოს ხსენება შენი, პატიოსანო ქართველო დედაე".

აკაკიმ თაყის „კრებულში" საგულდაგულოდ დაწერილი ნეკროლოგი მიუძღვნა დარია ფალავას ხსოვნას; ამავე დროს ილია ჩიქოვანის წერილი უცვლელად გადმობეჭდინა „იევრიიდან".

თუ რა ღირსებით ბრწყინავდა დარეა ფაღავა და მისი სახით ვინ დაკარგა მაშინდელმა ქართველმა საზოგადოებამ, ამაზე მკაფიოდ მეტყველებს საყვარელი პოეტის შემდეგი სიტყვებიც: „ის იყო ერთადერთი უკანასკნელი ნაშთთაგანი იმ ძველებურ ქართველ ქალებისა, რომელნიც დროს და ვითარებას დღეს ჩვენთვის საოცნებოდ გაუხდია".

24 იანვარს ბანძის სასაფლაოზე დიდძალ საზოგადოებას მოეყარა თავი. ყველა მწუხარე სახით გამოიყურებოდა. აღარც აკაკის ბაგეზე კრთოდა ჩვეული ღიმილი. მისი ნაღველიანი თვალები დარიასათვის გათხრილ ბნელ სამარეს ჩასცქეროდნენ.

სიტყვები დამთავრდა.

ელადიმერ მესხიშვილის ხმამაღალი ტირილიც მიწყდა. მესაფლავეებმა ბარი მოიმარჯვეს. კიდევ რამდენიმე წუთიც და ბანძის სასაფლაოს გვირგვინებით შეზვინული ერთი საფლავიც შეემატა.

1966

აკაკის რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის ერთ-ერთი მოთაეე იყო უბრალო რაჭველი გლეხი, აკაკისათვის უსაყვარლესი ადამიანი იობა ისაკაძე.

ფრიად საყურადღებოა, რომ გაცილებით უფრო ადრე აკაკის მიპატიჟებამდე, იობას შეტად ფართო გეგმით მოუნდომებია თანამოძმე რაჭველების გული გაეხარებინა.

მას განუზრახავს ორი ბუმბერაზის — ილიასა და აკაკის ერთდროულად მიწვევა. ამ რას ეკითხულობთ ამის შესახებ 1913 წლის გაზეთ „თეში“ (№129), წერილში „იობა ისაკაძის გარდაცვალების გამო“:

„იობა ბევრი კარგი იდეის განხორციელებას აპირებდა. მან განიზრახა მოეწვეა რაჭაში დიდებული მგოსნები — ილია და აკაკი და დღედაღამ სულ იმის ფიქრში იყო, თუ როგორ მოეწყო ეს საყურადღებო მოგზაურობა.

ილიას აღარ არგუნა შეუბრალებელმა მტრის ხელმა ასეთი ხეედრი, ხოლო აკაკის მოგზაურობა კი მოეწყო“.

როგორც ოქროპირ სხირტლაძემ იობა ისაკაძის ნაამბობიდან გადმოგეცა, ამ უკანასკნელს ადრეც ხშირად ჰქონია მეგობრული შეხვედრები საყვარელ მგოსანთან.


ერთხელ, რაჭა-ლეჩხუმში გამგზავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე, იობას საგულდაგულოდ მოუნახულებია პოეტი, რომლისთვისაც თავისი ხელით გამოემცხვარი შოთი პურები და საუცხოო ყურძენი მიურთმევია.

სტუმარს მცირე მოსაკითხის გამო ერთგვარი დარცხვენილობა უგრძვნია და აკაკისავე სიტყვებით მოუბოდიშებია: „სულით და გულით მოძღვნილი მცირედიც შეიწირების“.

პოეტსაც აღარ დაუსანებია და მისთვის ჩვეული ღიმილით უთქვამს: — „არა, ჩემო იობა! პური მცირე რამ როდია, ხომ გახსოვს საღვთო წერილის სიტყვები: პური არსობისა მოგვეც ჩვენო.

ანალოგიური შემთხვევის გამო, თავისებურად საინტერესოა თვითონ დიდი პოეტის მოგონებაც: „ერთხელ ლაპარაკი ჩამოვარდა ქართულ პურზე და მეც წამცდა, ყოველგვარ ქართულ პურს თონის ლავაში მირჩევნია-მეთქი. მსმენელთა რიცხვში ერია იობა ისაკაძეც, სულ უბრალო კაცი, თბილისში ხაბაზად მყოფი, მეორე დღეს მოვიდა ჩემთან ის იობა ისაკაძე და რაღაც გამოხვეული ქაღალდში მოიტანა და მომაწოდა ხელში ღიმილით, ეს ჩემი ნაწარმოებია და მიტომ გიბედავო! რადგან ამგვარი შემთხვევა ბევრია ხოლმე, რომ თავისი ნაწარმოები მოაქვთ ჩვენთან, მე ისიც ნაწერები ვეგონა. ჩამოვართვი და გავისტუმრე. მოცლის დროს, როცა გავხსენი ქაღალდი, რომ ნაწერები ამომეღაგებია, ვნახე, რომ შიგ ათიოდე თონის ლავაში იყო ჩაწყობილი! ბევრი საჩუქარი მიმიღია საზოგადოებისაგან– ბევრჯერ მათ რიცხვში ძვირფასიც. ჩემი თავი იმათ ღირსადაც არ მიმიჩნევია, მაგრამ არც ერთი მათგანი ისე ძვირფასი არ ყოფილა, როგორც იობას პურები“.

ერთი ასეთი შეხვედრის დროს აკაკის საცხოვრებელ ბინაზე იობას საუბარი ჩამოუგდია იმის შესახებ, თუ ახლო მომავალში როგორი გეგმით ფიქრობდა იგი მგოსნის



მოგზაურობის მოწყობას რაჭა-ლეჩხუმში, რასაც მხცოვანი პოეტის ალერსიანად გამოუწყვია.

1912 წლის 25 ივლისს იობა ისაკაძის და სხვათა თანხლებით აკაკი რაჭა-ლეჩხუმისაკენ გაემგზავრა.

ფრიად საყურადღებოა, რომ ამ საინტერესო შესვედრის პოპულარიზაციის მიზნით მოგზაურობის მომწყობ კომისიას მოსახლეობაში დასარიგებლად დიდძალი რაოდენობით მიეპყონდა იობას ინიციატივით გამოცემული აკაკის ლექსების კრებული და პოეტის პორტრეტები.

პოეტის მოგზაურობის მომწყობი კომიტეტის ერთ-ერთი წევრის ნოე გოშაძის სამართლიანი აღიარებით, „ამ დიადი საქმის გამო მან (ლაპარაკია იობაზე) იკისრა ყოველიეე პასუხისმგებლობა, მხნედ და გაბედულად მოქმედებდა, მასთან ჩვენც გვაიმედებდა, ყოველიეე კარგად მოეწყობაო. მართლაც ყოველიე ჩინებულად მოეწყო. მგოსნის მოგზაურობამ დიდი აღტაცება გამოიწვია“ („თემი“, 1913 წ., №126, „იობა ისაკაძის ხსოვნას“).

ყველაზე წარმტაცი სანახაობა აკაკის ბარაკონის ისტორიულ მიდამოებში გადაეშალა.

აქ პოეტის ფანტაზია ერისთაეის ხავსმოდებულ სასახლეს და ლაჟვარდ სიერცეში თეთრად ატყორცნილ როსტოპის ტაძარს თუ წარსულის მოგონებებში გადაჰყავდა, სამაგიეროდ მოზღეაებული ხალხის ომახიანი ყიყინა სხატრელი მომაელის იმედსაც უღეიძებდა.

ბარაკონში ნადიმსა და სახალხო ზეიმს ისეთი შთაბეჭდილება მოუხდენია პოეტზე, რომ თაეი ვეღარ შეუკაეებია და გამოღეიძებული ეროვნული გრძნობით აღფრთოვანებულს ხმამაღლა განუცხადებია: „მოვეხსწარი ნაყოფს, აღმისრულდა ჩემი ნატერა, აწ შემიძლია ყთქვა, რომ „აღარ სძინაეს, გამოუღეიძნია და არასოდეს არ მოკედებაო“.

ონისაკენ დიდებით მიმავალ აკაკის სწორედ იობას სოფლის მოსახლეობამ „გადაუღობა“ გზა და ახალი სანახაობით აუძგერა გული. ეს ის აღგილია სკოდორის ხიდთან, საიდანაც გზის ერთი ტოტი იობას სოფელში იკრება.

რადგანაც რიონზე გადებული ხიდის სივიწროვის გამო ეტლით გაელა შეუძლებელი გახდა, ამიტომ თავისი პატივისცემა აკაკისადმი მუხლისა და მოსაზღერე სოფლების (ბარის, მრავალძლის, სამთისის) მცხოვრებლებმა სკოდორის ხიდთანეე გამოხატეს. ხიდის ლამაზად მორთულ კამარას ფერადი სურო-ყეავილებისაგან საგულდაგულოდ მოწნული ახეთი წარწერა ამშვენებდა: „ბარის საზოგადოება გულწრფელი სიყვარულით ეგებება დიდებულ მგოსანს აკაკის“.

თაეის მხრივ იობა ისაკაძის თანახოფელელმა, მუხლელმა მანდილოხნებმა დიდ პოეტს მიართვეს მხატვრულად შესრულებული წარწერა შემდეგი პატრიოტული აღთქმით: „საქართველოს მწათობო, დიდებულო მგოსანო აკაკი! თქვენგან ნაკეწესი ტკბილი ნანათი ჩვენ აღვზრდით ნამდვილ ქართველ შვილებს და მით უკეთავს ეყოფთ თქვენს ძვირფას სახელს. სოფელ მუხლის ქალთაგან".

ამ საუცხოო სანახაობამ, ქალისა და კაცის, დიდისა და პატარის ერთხულოვნებამ შთააგონა პოეტს სტრქონები:

ვინც აქ შობილა გაზრდილა
მართლაც რომ ბედნიერია!
კაცები თვალტანადები
ქალები – მშვენიერია!
ხეს რა გაახმობს თუ მისი
ფესვები კიდევ კარგია?
და ზედაც მისი წარსული
უტყუვრად მონაკარგია.

როცა აკაკის ეტლი დაძერას აპირებდა ონის მიმართულებით, იობა ისაკაძე მაღალ ქვაზე შედგა და შემდეგი ლექსით მიმართა მგოსანს. ლექსი, რომელიც იერემია სხირტლაძემ გადმოგვცა, ასე იწყება:

საქართველოს შუქის მფენო
ბნელ წყვდიადში სინათლეო
სიმრუდის გზას ქვა ესროლე
შეგვაყუარე სიმართლეო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ეტლში შებმული ბედაურები აკაკის ონისაკენ მიაქროლებდნენ.

კიდევ უფრო დიდებული იყო შეხვედრა ონში.

რამდენადაც რაჭის უძველესი ქალაქი უკანასკნელი ხაზღვარი იყო, საიდანაც პოეტი უკანვე უნდა გამოებრუნებინათ, იობა ისაკაძემ და ადგილობრიეი კომისიის წევრებმა მთელი მოსახლეობა დარაზმეს ცერემონიალის წარმატებით ჩასატარებლად. ამიტომ სანახაობა აქაც უჩვეულო იყო.


კორესპონდენტის გადმოცემით: 12 ვერსის სიშორეზე ონიდან 200 ცხენოსანი მიეგება აკაკის, ხალხი სიმღერით მიყვებოდა ძვირფას სტუმარს", („თემი", 1912 წ., №821

აკაკის, ალბათ, აღარც კი მოაგონდებოდა, თუ როდის უნდა დაბრუნებულიყო უკან, მაგრამ დიდი ქართველი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის გარდაცვალებამ მწარე ნაღველი გადაასხა მის გულს. პოეტი საოცნებო რაჭას გამოეთხოვა.

თუ რა კმაყოფილება განუცდია აკაკის იობა ისაკაძის მეთაურობით ჩატარებულ შეხ-

ეედრებიდან, მთელი გულისჰდილობით იგრძნობა მისიეე სიტყვებიდან:

„რაჭა-ლეჩხუმში ჩემი სტუმრობა და იმაოი დახეედრა სწორედ საარაკო და საზღაპრო იყო. ეისაც თავისი თეალით არ უნახავს და თავის ყურით არ მოუსმენია ის, რაც მოხდა, მას წარმოდგენაც არ შეუძლია ყოფილის. მთელი ორი მაზრა ერთპირად ფეხზე დადგა და ეროენული აღფრთოვანებით „ლიტანიობდა" („თემი", 1912 წ., №9) , პოეტს ყველაზე სასიამოვნოდ ის მიაჩნდა, რომ. მისიეე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამ ზეიმში უმეტეს ნაწილად გლეხობა მონაწილეობდა".



* * *

როგორც უკეე ითქვა, მთელი ამ მოგზაურობის ორგანიზაციული საქმიანობის სული და გული იობა ისაკაძე იყო. გაზეთების სიტყვით: „იობა თბილისიდან გაპყვა აკაკის და ერთი წუთითაც არ მოშორებია სანამ თბილისში არ დაბრუნდა დიდებული მგოსანი".

დიდი პოეტის და იობა ისაკაძის მეგობრობა კიდეე უფრო გატკბა მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ. იობამ ყველაფერი გეერდზე გადადო და მოგზაურობის მდიდარ შთაბეჭდილებათა დეტალურ აღნუსხვას შეუდგა. მოკლე დროში მან სისტემაში მოიყვანა ნახულ-განცდილი და პრესის საშუალებით აუწყა დაინტერესებულ საზოგადოებას, რომ მისი შრომა, აკაკის ახალი პოემის დამატებით, სულ მალე იხილაედა სინათლეს.

ამ სანუკვარი დაპირების შესახებ გაზეთი „თემი" იობას გარდაცვალების შემდეგ წერდა: „იგი მომეტებულის მხნეობით განაგრძობდა შრომას, რომ სამუდამოდ უკედაეეყო აკაკის ჩვენს მხარეში მოგზაურობა. შეუდგა ამის შესახებ წიგნის გამოცემას. ეს წიგნი მალე გამოვა აკაკის პოემით.

ყველას ჩამოგვიარა და გვირჩევდა წინასწარ ხელის მოწერით წიგნი შეგეეძინა_ ხალხიც თანაგრძნობით ეკიდებოდა, სიამოვნებით უწერდა ხელს".

* * *

1913 წლის 25 მაისს იობა ისაკაძე „ბიბლიური იობის" წამებით გარდაიცვალა. მას თონეში შემთხვევით ლამპა აუფეთქდა და სხეულზე მოდებული ცეცხლის მსხეერპლი გახდა.

იობას ტრაგიკულმა სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია. მისი ხსოვნისადმი მიძღვნილ სპეციალურ კრებულში ეკითხულობთ: „არც ერთი სასარგებლო საქმე არ ყოფილა, რომ მას არ გამოეცხადებინოს თანაგრძნობა. ხშირად აგროეებდა ფულს და ეხმარებოდა საზოგადო საქმეებს_ ეს იყო ნამდვილი ეროვნული მოღვაწე, მშრომელი, მუშა-ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველი".

იმ ხანებში დიდი პოეტი ქუთაისში სასტუმრო „გრანდ-ოტელში“ იყო დაბინავებული, მაგრამ ავადმყოფობის გამო საყვარელ შეგობრთან გამოთხოვება ვერ შეძლო (იობას ქუთაისის მიმართულებით მშობლიური სოფელ მუხლში მიასვენებდნენ).

ამ გარემოებასთან დაკავშირებით გაზეთ „თემის“ (1913 წ., №127) კორესპონდენტი ასეთ საგულისხმო ცნობას იძლევა: „დიდებული მგოსანი აკაკი უქეიფობის გამო ვერ მოვიდა. სადგურზე გამოეგზავნა ჭირისუფლებთან თავისი კაცი შემდეგი სიტყვების გადმოსაცემად:

— „აკაკი საშინლად სწუხს და პელოვობს ძვირფასი იობას გარდაცვალების გამო. ივი ისახულებს მის საფლავს რაჭაში, გადაუხდის პანაშვიდს და დადგამს შესაფერის ძეგლს თავის სიტყვების ხედწარწერით“.

იობა ისაკაძის დაკრძალვა მთელ რაჭა-ლეჩხუმში დიდი გლოვით აღინიშნა. შეტად საგულისხმოა უცნობი ავტორის სტრიქონები წერილიდან „იობა ისაკაძის ცხედრის გასვენება რაჭაში“, „შენ იყავი აღზრდილი და განვითარებული ცხოვრების სკოლაში, ცხოვრების უნივერსიტეტში, რომელიც არც ერთ სასწავლებელს არ ჩამოუვარდება– სანამ შენს საყვარელ სამშობლო საქართველოს შენისთანა ჩუში მოღვაწე, დაბალი ხალხის შვილები არ გაუმრავლდება, იმ დრომდის წელში ვერ გასწორდება და ვერ აღსდგება“ („თემი“, 1913 წ., №126).

* * *

ქართველი ხალხი, განსაკუთრებით საზოგადოების ის ნაწილი, ვინც ახლოს იცნობდა აკაკისა და იობა ისაკაძის შეგობრულ ურთიერთობას, მოუთმენლად მოელოდა პოეტის სიტყვას.

და აი იობას საფლავი ისევ ახლად მიწამყრილი იყო, როცა 1913 წელს გაზეთ „თემში“ (№127) გამოქვეყნდა აკაკის ლექსი-ეპიტაფია, მიძღვნილი იობა ისაკაძისადმი.

ლექსი ყურადღებას იპყრობს გულწრფელი დემოკრატიზმით და აკაკისათვის ჩვეული უბრალოებით:

პატარა კაცი ვიყავი
უბრალო პურისმჭამელი
ყოველგვარ კარგის მოყვარე
უკულმართობის მგმობელი
ღვთის თანასწორად მიყვარდა
ჩვენი სამშობლო ქვეყანა
სადაც უწყალო სიკვდილმა
ცხოვრება ალარ მახანა.
მშვიდობით წუთისოფელო!
მშვიდობით ძმებო და დებო
მშვიდობით ცოლო და შვილო
მარადის გულში ნადებო!

წარუდგები წინაპართ გუნდში
სადაც კი განისვენებენ
თუ იშათ რიცხვში მეც მცირეს
ამქვეყნად მომიხსენებენ!
შემაკედრებენ მამასა
სულსა წმინდასა და ძესა
შრომის შვილს უბრალო მუშას
მე იობ ისაკაძესა...

აკაკის ამ ლექსს რედაქციამ ასეთი განმარტება დაურთო: „ჩვენმა რედაქციამ ამ დღეებში მიიღო ბ. აკაკის წერილი, რომლითაც დიდებული მგოსანი გვატყობინებს, რომ მას სურს დაუვიწყარ იობა ისაკაძის საფლავს ქვა დაადგას და ზედ ეს ლექსი დააწეროს“ („თემი“, 1913 წ., №127).

დიდმა პოეტმა ეს ღრმად ადამიანური განზრახვა ვერ შეასრულა. უძლურების გამო მან ვერც ძვირფასი მეგობრის საფლაეი მოინახულა და ვერც საგულდაგულოდ დაწერილი ეპიტაფიით შეამკო მისი სამარის ლოდი.

სამი წლის შემდეგ თვითონ აკაკიმ დაიკრიფა გულზე ხელები.

1970 წ.



შსამთაშრო ლექსები
ჩანაწერები შბის წიგნაკიდან*

მაპმადის სჯულმა ვერ გვძლია. შეეიტკბეთ ქრისტიანობა,
წინ მიძღვეს „დავითიანი". მატკბობს პოეტის გალობა.
შთრს ჩემგან საქმე საძრახი. სილაღობე და მთერალობა,
ღმერთს ვერას შეეთხოვ. ბუნებაე. გადმომაფრქვიე წყალობა.

მა შველ კაცებს არ ვქირაობ ჩემი ლექსის დასაწერად.
კალამი და აზრი მიჭრის, არც ენა მაქვს ასაცრელად.
გამტკიცული პური მომაქვს, არვის გავრჯი გასაცრელად.
ვარდი რატომ გავიმეტო გასახმობად, ასაცრელად.

დავფიქრდები. ვიტყვი ხოლმე. არის რალაც ბედისწერა,
კაცს თან დასდევს. სადაც წავა, როგორც ქორი, როგორც ძერა.
ბევრჯერ ჩემზეც სცადა მშვილდი. გულს ისარი დამაძგერა.
დამაჩოქა. ამატირა. მაგრამ ისევ ამამღერა.

თუ ვიცოცხლე. არ დავკარგავ. ვინც სიკეთე გამიწია,
ძნელ ალმართში მომეშველა და ულელი გამიწია.
დამარიგა. პირში მითხრა. ხშირად ყურიც ამიწია.
მოედანზე დამაყენა, სანავარდოდ გამიწვია.

ის ქართველი შევარცხვინე. ვინც ამ ქუდში დამიწუნოს.
მადლი წყალში ჩამიყაროს. უკან ალარ დამიბრუნოს.
მოწმენდილში გვერდით მედგას. გაქრეს, როცა იბრუხუნოს.
ბრძოლის ველზე მიმატოვოს. ზურგი მტრისკენ მიიბრუნოს.

რატომ ფიქრობ, ის სამოსი, რაც გაცვია შეირჩინოს.
თუ ასეა. ძალზე ცდები, სიცოცხლეც და თვალისჩინო.
შემზარავი ქარი დაგკრავს, ლოდქვეშ უნდა დაიძინო,
თუ რამ იცი, მეც მასწავლე. იქნებ თავი გადვირჩინო.

---

* დაწერილია აეტოაეარიაში მოხვედრის შემდეგ დმანისის ხაკადმყოფოში მკურნალობისას.

რაც არ უნდა მავრა შეეკრა. მაინც მიშლიხ ტალღა ტიეებს.
ჩასანთქმელად მათამაშებს. ზედაპირზე მატიეტიევებს.
სიკვდილს როცა წარმოვიდგენ. გამაყრყოლებს. შემაციენებს.
ეხ. ვინ იცის. ვინ მიხვდავს ჩვენს საფლაეზე დარგულ იებს.

გული მტკიეა. როცა გხვდები და მაყვედრი წუთისოფელს.
მე. სიცოცხლის ნაძდვილ მიზნურს. სიკვდილთანაც განუყოფელს.
სიკეთისთვის თაედადებულს. ბორიტების უარმყოფელს.
სულ ცოტაც და მალე დაეთმობ ლაყეარდ ცას და აქ სამყოფელს.

ბარაქალა მის კაცობას. ვინც სიკეთე დაიკეხოს.
სხვისი ჭირი ჭირად იდოს. სხვისი დარდი დაიტეხოს.
თანამოძმეს აფრთხილებდეს. უფსკრულში არ გადიჩახოს.
თუ ეს მაკლდეს. ჩემი გული დაიწვას და დაიმეხოს.

კაცს არ შვენის წერილმანებზე. ივაგლახოს. იწუწუნოს.
აზრმა უნდა ფრთა გაშალოს. გულმა უნდა იგუგუნოს.
ჭაბუკობის ქარიშხალმა მუხა უნდა გადაღუნოს.
ზღვის ტალღები ააგოროს. დოლაბები დააბრუნოს.

გხიბლავს ლომის ნახტომები. გრძნობა გულში არ მეტევა.
ვაჟკაცს უნდა ამშვენებდეს ხან დახევა. ხან შეტევა.
ცხენს სადაეე თუ მიუშვი. მოსახვევში წაგექცევა.
ცუდი აზრი უხმოდ კედება. კარგი სალხში გაგექცევა.

მე მწადია. შლეგი ვიყო. დრო მეწვევა. დავბერდები.
მანძილს ბოლო ხომ ექნება. მოვიღლები. გავიწერდები.
ბრძენმა ბრძანა: „მიწა ვიყავ. ისეე მიწად დავმტვერდები".
სიკვდილის წინ. როგორც გედი. სულ სხვა ხმაზე აემღერდები.

სირცხვილი მას. ვინც მოლხენა ქართველ ეაჟკაცს დაუწუნოს.
მიპასუხე. რას ჩალიჩობთ. რაში ხედავთ საუკუნოს.
დრომ კაცს უკვე რაც მოსტაცა. უკან თულა დაუბრუნოს.
ხმალი მუდამ აქნევინოს. მკლავი აღარ დაუბრუნოს.

კაცი უნდა მეხი იყო. რას მიქვიან სიმარტოვე.
ხომ მიცქერით. ხად გაყიჭერ. მეგობრები მივატოვე.

ჩაის ჭიქას ხელი ვუშვი, ნეტარება წიგნში ვპოვე.
ბედო! გეწყი თუ შევცდალო, დამსჯეტყვე და დამათოვე.

განელილ დღეებს არ ეემდური, ენაზე ჭირზე მეტი ლხენა,
თუმცა ბედმა ძეც დამსეტყვა, ყავარჯნებზე შემაყენა,
საწუთროსგან მიხლა-მოხლამ როგორც კაცი დამამშვენა,
ბედაური ლაგამსა კნეტს, სანამ ძალუძს სუნთქვა-ქშენა.

„ერ მერანი" დაბმული მყავს, არც შევხარი, არც მაკვირვებს,
თუ ავუშვი, მოიტოვებს ნაქებ ცხენებს, „ოგად ვირებს,
ამოვარდნილ ქარის ხმაზე ბევრი დაყრის საკრავ-სტვირებს,
ბევრს სიხარულს მიანიჭებს, ბევრს მოაწყენს, აატირებს.

კაცი, სხვისი აზრის მონა, საბრალოა-საბრალოზე,
სხვის ბელელში რა ხელი გაქვს, პური ლეწე შენს კალოზე,
ხმალი უნდა მოიქნიო თავის დროზე და ალოზე,
სადა თქმულა, ვის უნახავს, ნადირობდეს თაგვი ლომზე.

არ დავფარავ, ხშირად გამკრავს ქვეფის და ლხინის ტალღა,
მან სიბერე მომაგერა, გამამხნევა, გამაბალღა,
ცხრა მთა უკვე გადაელახე, არც კი ვიცი, რაა დაღლა,
მხრებში ძალა მემატება, არწივივით ვიწვე მაღლა.

ჩემს გულსა და გონებაში ნურც გექნება შენ ადგილი,
ბრძოლა თუ არ შეგაყრყოლებს წინაპართა გადახდილი,
გული მადლით ასაზრდოე, კაცს არ ფერობს თავს მანდილი,
საქმე ბევრად მარადია, ვიდრე თქმა და დაქადილი.

შენი მოდგმა, გვარტომობა, არასოდეს ითაკილო,
სიკვდილამდე შეირჩინე შენი ფერი, შენი კილო,
საძრახისი მუდამ ძრახე, საქებარი არ გაკილო,
თავი მაღლა ნუ გიჭირავს, წუთისოფლის ხარ საბილო.

ვაი იმას, ვინც კაცობა მარტო ცოდნით დაიკვეხოს,
ვისი გულიც არ გიზგიზებს, არ იძლევა შორით ექოს,
ხე, ასეთი „ისის დედა, ძირში უნდა აიჩეხოს,
რომ მოისპოს მისი თესლი, ერს ჭირი არ დაეტეხოს.

მისი ;\აერი აჩოქყარეთ. ვინც მოიქენი გაეცილიტა.
;\აეახლშეილს ქვეყნად ეყლიო. რას ეგაენებდა. რას გეი შლიდა.
წინაპარია სიდიადეს დიდ ტილიოზე გაეცი შლიდა.
ძტერი ეყლარ დაეწილაედა. წარსულს ვეღარ წაეცი შლიდა.

მე ილია მიმარხია საქართველოს ნიშან-სვეტად.
წყეული-ქრისტია. ვინც გასწირა მისი შუბლი გახახვრეტად.
ძათი ბილწი პირი-სახე მეწიწილება შესახედად.
შენ თუ შიშობ — მე მოშვარეთ. მოღალატე დახახვრეტად.

მდორე წყალი შეიძულე. მთის ჩანჩქერი შეიყვარე.
რაც ჭკუაში არ გი;ღდება. გაეყარე. შეიწარე.
წმინდა ფიქრი თუ გიტაცებს. ეაყას კლდეზე დაეშყარე.
საქართველოს სიყვარული კიდევ მეტად გააშყარე.

ქედი გქონდეს უდრეკელი. რაც არ უნდა გაეიჭირდეს.
გული ურდა მკერდს აპობდეს. ტორსა სცემდეს. აჯიხვინდეს.
ხან მთის წყაროს დაეშსგავსოს. ხან ნაპირზე გადმოდინდეს.
სიცივეს არ შეუშინდეს. გაზაფხულდეს. აბიბინდეს.

გეეედრები. ხელი მომცე. ცოტა ახლო დამაკვირდე.
თუ რაძ ჰპოეო ჩემში კარგი. არც აყვირდე. არც გაკვირდე.
ხალხში ეცხოვრობ. ხალხი მიყვარს. მისგან შორს არ გაენაპირდე.
რაც არ ძალმიძს. ვით შეეიძლო. რაც არა მაქვს. რას დაგპირდე.

ჩემს გულში რომ ჩავახედა. დაინახავ ზღვას მღელვარეს.
ცეცხლს ტალღებზე წაკიდებულს. მოგიზგიზეს. მოელვარეს.
გულო! მალე ნუ დაიწვი. ემსახურე მშობელ მხარეს.
მიხარია. ვერ ჩაგაქრეს. ვერ მოგხარეს ყოველ მხარეს.

მთელი ჩემი ალმაფრენა ქართულ სუფრას შევალიე.
სადღეგრძელო მიგრძელდება. რაც მწადია. ვერ დაელიე.
ჩემი ქვეყნის სიყვარულო. მომაშუქე. გადამძლიე.
ანგელოზი მხარზე მაზის. ფუ ეშაკო. ვერა მძლიე.

მამაცი და გონიერი არახოდეს არ წახდება.
წუთისოფლის მოხაეალი მახაც. იცის. გადახდება.

ჯაჭვილს წვიმა თუ არ მოხვდა. გაყვითლდება. გადახმება.
უძრაობას სიკვდილი სდევს. მოძრაობას — განახლება.

ქერნაჭაში მერანი ვარ. დამჭედეთ და გამაჯენეთ.
თუ ფინიშთან მე მიეფრინდე. შეძახილით დამამშვენეთ.
ნაღებს დავცვეთ. ფლოქვებს დავხეთქ. დაეიღლები. დამასვენეთ.
როცა მოეკიდე. სამარეში შეკაზმული ჩამასვენეთ.

ფიქრიანი დაბალ ქვეყნად. მეც არ ვიცი. რა მიშველის.
არ შევდრკები. როს მეწვევა თვით სიკვდილი ხმალშიშველი.
ეს სოფელი მახ ახარებს. ვინც შორიდან ხატრფოს ელის.
სინათლეში შეებახ ხედავს. ხიძულვილი აქვს სიბნელის.

ეს გოდება. ეს ვედრება სულ ორ დღეში გამოეძერწე.
ჯვიშიანი ეაწი მიდგას. კელავ აიყრიხ ახალ ლერწმებს.
სალამურთა დასაკრავად აშრიალებს ქარი ლერწმებს.
საკუთარი ხმის დაკარგვა საქართველოს გააბერწებს.

1950 წ. აგვისტო

შბის წიგნაკიდან

თამარ! ჩვენი სიყვარული შვილებსა და შვილიშვილებში გაიბნა. როცა ისინი გაიზრდებიან, ისევ გაიშლება და ერთი ტოტის ნაცელად ეარდის ბუჩქებად იქცევა.
სქემიშვი

ვინც დააცქერდე ჩემს ობოლ საფლავს.
გთხოვ. შემიბრალო. მითხრა შენდობა.
როგორც ანდერძი. გადაეც ყველას.
ცეცხლს და მდინარეს ნუ მიენდობა.
ადრე მეკვეთა სიკვდილის ცეცხლი.
ცივი სამარის ვარ ბინადარი.
რა იქნებოდა. ლამაზ წვალკოტ ში
მეც მეშრიალა. როგორც ჯადარი.
გზა გადამიჭრა მრისხანე ბედმა.
მკლავების გაშლა აღარ მაცალა.
დაფლითა ფეხი. შეღეწა მკერდი
და ხისხლისაგან გული დაცალა.

გაიფლის ყამი, მეც მტვრად ვიქცევი
მზე ხან დამხედავს, ხან მომშორდება,
მაგრამ ჩემს საფლავს გარს უტრიალებს
მამის კვნესა და დედის გოდება.

ბაბუის დუდის დალოცვა

ვენაცვალე დუდის, თაფლის სუნი უდის,
დაჰყვეს სიბრალული ჩიტუნების ბუდის,
მოხვდეს ნაპერწკალი რუსთაველის ქუდის,
რომ შეიძლოს ცნობა კარგისა და ცუდის.
არ დამკარგო, დუდი, არ მომწადო ქუდი,
შორით გითვალთვალებს გზა სველი და მრუდი,
თუ შეტოპო, შეკრთი, ჩემსკენ შემობრუნდი,
ღულუნებდე მარად, როგორც მტრედის გუნდი,
შიშველი გ შვა მიწამ — კოცნით დაუბრუნდი.

1/XI-73.

დგება დრო, როცა სიცოცხლის დასასრულს თვალი უნდა გავუსწოროთ—

როცა ადამიანი კვდება, მართალია, სხეული თვალს ეფარება, მაგრამ მისი სულის ნაწილები ჩვენს შორის ტრიალებს, მისი საქმენი ჩვენი განსჯისა და საუბრის თემად იქცევა.

კაცი კვდება, მაგრამ იქვე, ეიდრე საფლავში ჩავა, ღიმილი უნდა წაგეცდეს და დავადევნოთ, ასეთია ბედი სიცოცხლისა".

ამას მოჰყვება ლექსი-ეპიტაფია:

შეჩერდი, მგ ზავრო, მინდა, დაგლოცო,
აგ სრულებოდეს, რაც რამ გენატროს,
რამდენი ჭიქაც მე დამეცალოს,
იმდენი წელი შემოგემატოს.
მინახავს ბევრი ჭირი და ლხენა,
ხართა ჭიდილი, ცხენთა ჭენება,
ბოლოს დავრწმუნდი, რომ ყოველივე
იყო სიზმარი და მოჩვენება.
ასე ყოფილა ნება განგების,
ახლა მეც მფარავს ღამე უძირო.

დამრთევი ნება. შენი თვალებით
რომ საქართველოს ზეცას ვუმზირო.

(მნაწვრი).

ქეიფი. ეს არის სიკვდილის მოგერიება. ამიტომ დამანებეთ იგი.

გიყვარდეს შენი სამშობლო. როგორც ნათელი თვალისა.
თუ ბედმა წამოგაჩოქა, იმედი გქონდეს ხვალისა.
გიყვარდეს შენი სახლ-კარი, წინაპართ სულის საფანე.
ღმერთო, ნუ მოშლი ძველ ჟუძეს, მამა-პაპათა სავანეს.

სიმონი

ნეტავ ვიცოდე, სიკვდილის შემდეგ
კიდევ თუ ვინმეს მოვაგონდები

სიმონი



უჩა ჯაფარიძე „სიმონ სხირტლაძის პორტრეტი“, 1974 წ.

მოგონებები





თამარ!

შენ გაგიღვიძებივარ მაშინ, როცა მე შემიძლია სიზმარი მტანჯავდა. მარტო ამისათვის გიძღვნი მადლობას.

სიმონი

ზურაბ კიკნაძე

სვიმონ სხირტლაძეს უყვარდა ძლიერი გამოთქმები და ქცევები

„თუ ღვთის პირიდან გადავარდნილი არ ხარ შოხვალ ჩემთან“ არავის გამოუყენებია არც ვინმეს გაუგია მიპატიჟების ამგვარი წესი. იქნებ ეს ერთადერთჯერ ითქვა მაგრამ ის კატეგორიული იყო. არც მას სურდა ღვთის გარეგანი ყოფილიყო ის ვისი წვევაც გაახარებდა.

ფანჯრიდან ხელჯოხს გადმოაგდებდა ტროტუარზე თავისი მოსცრო ბინის პარმადის წინ რაკი თავად ძირს ვერ ჩამოვიდოდა სტუმრის შესაგებებლად იყო რაღაც რიტუალური ამ სპონტანურ მოქმედებაში. ეს ნამდვილად რიტუალური აქტი იყო რაღაც ძველისძველი: მან აღჭურვა თავისი განუყრელი ხელჯოხი როგორც სამეფო კვერთხი უფლებამოსილებით მას გადააბარა თავისი მყოფობა.

არიან ადამიანები რომელთაც ახსოვთ ყოველი მისი ქმედება და სიტყვა.

მათემატიკური ინტერნატის მოსწავლეებს პირველგაცნობისთანავე შეეძლო „დამუქრებოდა“: „დაგავიწყებთ აკვადრატ-ბეკვადრატოს!“ შესაძლოა ფრაზა სხვა იყო მაგრამ „მუქარის“ არსი ცხადი უნდა იყოს: სვიმონი არც ერთ საგანს არ უარყოფს მაგრამ ერთს თავის სანუკვარს განამტკიცებს და უნდა ეცოწროებოდეს.

განგებამ ისე ინება რომ მას ორ ასპარეზზე გამოეჩინა თავი. კლასში და ქართულ სუფრაზე ორივეგან იყო სიტყვებიც და ქმედებანიც. ორივეში გამოვლინდა მისი როგორც ხელოვანის და პედაგოგის (ანუ გამძღოლის მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით) მოწოდება. ერთიც და მეორეც გაძღოლას მოითხოვდა.

სვიმონის თამადობის ლეგენდარულობა მის სიცოცხლეში დაიწყო. ამ ინსტიტუტს მან შესძინა რაღაც თავისი პიროვნული უნიკალობიდან რაც ვერ გადაიქცეოდა ქრესტომათიულად. ვერავინ გაიმეორებდა. დარჩა მის პოეტურ ლიცენციად ქართული სუფრის ზეპირ ისტორიაში.

მისი ხსენებისას და შემდეგ მისი გახსენებისას ყველაზე ხშირად ერთი გარკვეული ხატი წარმოგვიდგება თვალწინ: სვიმონ სხირტლაძე მუდამ ფეხზე მდგარი მყარად დაბჯენილი ძლიერ ფეხს განუყრელი არგნით ხელში მოღიმარი თითქოს სიცილში გადასული ღიმილით – ეს მისი პიროვნების გარეგნული ატრიბუტებია ის დგას შეტყველი სახით მეტყველი ღიმილით რომელიც თითქოს საკუთარ თავშიეყო ჩაბრუნებული თითქოს თაყის თაყს ულიმოდეს მაგრამ ის ყველას ეკუთვნის როგორც მისი წარმოთქმული სიტყვები ეფრქვევა ყველას.

ვხედავ ის დგას სუფრის თავში და აფრქვევს ღიმილს ყველას მიმართ კეთილგანწყობილი. ის სუფრის სულია სუფრა კი პრობლემაა საქართველოში როგორც ოტოლოგიურ ისე მენტალურ პლანში. ქართველის ცნობიერებას აწვალებს მასზე ფიქრი. ის ბევრი სპეკულაციის უზომო შესხმის დაუმსახურებული ქილიკის და ამრეზის საგანია. ქართულმა ფიქრმა ვერ მოინელა ივი როგორც სხვა ბევრი რამ ყოფაში და კულტურაში თუ პოლიტიკაში თუმცა თითოეულს გონებაში უზის მისი იდეალური

სახე მისი ჯერარსული ხატი რომლის ხორცშესხმის მომსწრე არასოდეს ყოფილა. მაგრამ ამ წუთისოფელში ამ (პლატონს თუ გავიხსენებთ) გამოქვაბულის აჩრდილთა შორის შესაძლებელია ადრეულ ბავშვობაში ჩვენ გვინახავს ან ხილვასავით მოგვჩვენებია სრულყოფილი სუფრა როგორც იდეალური კონსტიტუციური მონარქია.

ყოველ მოვლენას, ამ ფენომენალურ სამყაროში არსებულს, თავისი შინაგანი მხარეც აქვს ქართულ სუფრასაც. თუმცა ის მყარად არის გამჯდარი საქართველოს ყოფაში მის მეორე ბუნებასავით მაინც მეტია ვიდრე ყოფითი მოვლენა. არის ანდერძი რომელიც მოგვიწოდებს „სმა – ჭამა დიდად შესარგი" და გვახსენებს ქართულ სუფრას მაგრამ განა მხოლოდ „სმა-ჭამისათვის" იკრიბებიან თანამეინახენი? ან რას მიგვანიშნებს „დიდად შესარგი"? ის კაცი რომელიც სუფრის თავში დგას ფეხს მყარად რომ ებჯინება ამისთვის ნამდვილად არ მოსულა. არამედ მოვიდა და დგას აქ რაღაცის აღსასრულებლად რასაც ყველა გრძნობს მაგრამ მისი გამომხატველი სიტყვა ყოველთვის ტრიალურია.

რომაელთათვის თანამესუფრეთა მინიმალური რაოდენობა სამი იყო მაქსიმალური და ამავე დროს ოპტიმალურიც – ცხრა. ცხრის უმეტესი სიმრავლე უმართავად უჩნდათ. ღვინის სტიქია ეწინააღმდეგება უარყოფს წესრიგს. მაგრამ ქართული სუფრა ამტკიცებს გამონაკლისს ის გვეუბნება რომ სიმრავლის მართვა შესაძლებელია. როგორ? ის ხელოვნებად უნდა გარდაიქმნას რაკი დენადია – მუსიკალურ-დრამატულ ხელოვნებად რომელსაც აქვს დასაწყისი და დასასრული. სუფრა შეიქმნა თითქოს ნოეს აღმოჩენის გასამართლებლად. და თუ წარღვნის გმირმა წყლის სტიქიას სძლია მან ღვინის საიდუმლო თავის თავზე გამოსცადა ესოდენ სამარცხვინოდ და იძლია მისგან ქართული სუფრის გენიამ სიტყვით და წესრიგით სცადა მისი ძლევა – მოთრგუნვა.

ღვთიურ ლიტურგიას თუ სადმე რამენაირად შესატყვისი აქვს ყოფაში ეს ადგილი სწორედ სუფრა იქნება თუ ზოგიერთი მნიშვნელოვანი რამ რაც ლიტურგიის დროს ხდება კვერექსებიდან დაწყებული საგალობლებამდე და ზიარებამდე უშუალოდ ეკლესიის წიაღიდან არ გადმოსულა მის ძლიერ ანაბეჭდს მაინც ატარებს სუფრაზე. განსაკუთრებულ მოსახსენიებლებზე ადამიანი განუყრელ ქუდსაც იხდის და ვიდრე შესვამდეს პურს ღვინოში აწებს.

სუფრა ის ადგილია სადაც ადამიანს შეუძლია იგრძნოს პროფანაციის საფრთხე. ხოლო სადაც პროფანაციის საფრთხის შესაძლებლობაა სწორედ იქ არსებობს სიწმინდე. და თუ ის „შესარგო" თვითმიზნად ხდება მაშინ ძირს ეცემა სუფრის სულიც. და ჩვენ შეგვიძლია ვიგრძნოთ რამდენად არის განპირობებული სუფრის წინამძღოლზე იმ ხატის შენარჩუნება რომელსაც თავის გულში ატარებს ყოველი მეინახე. ეს შეიძლება იყოს ის ადგილი სადაც „თხა და მგელი ერთად სძოვდეს" ანუ მგელი დროებით – მხოლოდ დროებით რადგან სუფრაც დროებითია გარეთ ჯერ კიდევ წუთისოფელია – ეთხოვება თავის მგლობას ემორჩილება წეს რომელიც აქ სუფევს. რა უნდა ვთქვათ მეინახეებზე როცა თავად ეკლესიაც არ არის წმინდანთა კრებული. თავი ეკლესიისა მოვიდა „არა წოდებად მართალთა არამედ ცოდვილთა". და თუ არსებობს ღვთაებრივი პედაგოგიკა რომელიც წარმართავს კაცობრივ საზოგადოებას ისტორი-

ას არა თავსმოხვეული არამედ თავად ადამიანის ბუნების იმანენტური კანონებით ასევე არსებობს სუფრის გაძღოლა რომლის წესდება დაუწერელი წესრიგი როგორც მეორე ბუნება მისი წინამძღოლის პიროვნების ბუნებაზეა. და ქცევა თანამეინახე მის როგორც ხელოვანის ხელში ცოცხალი მასალაა საიდანაც იძერწება დროებითი მაგრამ მტკიცე ერთობა სხვა დროს განუმეორებელი როგორც თითოეული მათგანია. მათზე გადმოსულია მაღლი და მათშია იმის ანაბეჭდი რაც არც თითოეულ მათგანს არც წინამძღოლს არ შეუქმნია – რადგან ის მხოლოდ თანასწორთა შორის არის პირველი – ის მხოლოდ ააშკარავებს იმას რაც ფარულია და ყოველდღიურობაში არ ჩანს.

ის დგას სუფრის თავში არქეტიპული ღვთაებრივი პედაგოგიკის მიწიერი მოციქული დგას მთელი თავისი პიროვნებით წარსულ-მომავლით მრავალძალის წმინდა გიორგით და შაჰ-აბაზის ხმლით წინაპრებით შთამომავლობით ბავშვობით სიხარულით და წუხილით და იმედებით თავისი ხალხის თავგადასავლით და თუ ის უძღვის თანამეინახეთ უფრო მეტად შესაძლოა თავის თავს უძღოდეს თავის ინდივიდუალობას რომელსაც მოწოდებად აქვს ყოველდღიურ ყოფაზე ამაღლება და ამით ძღვება ამ წუთისოფლისა რომელიც „ბოროტსა ზედა დგას“ მოწოდებად აქვს თავისი პიროვნების განშლა ამ ადამიანების თვალწინ და სხვებისათვისაც მაგალითის მიცემა. მის ხელში ყოველს შანსი ეძლევა ჰპოვოს თავისი ადგილი და სიტყვა თანამეინახეთა ორკესტრში. და თუ ეს კრებული სუფრად წოდებული ღიაა ყოველი ახლად მოსულისათვის თუმცა მისი დრო და სივრცე როგორც ყოფითობას განრიდებული თითქოს საიმედოდ ჩაკეტილი უნდა იყოს ეს გახსნილობა როგორც მისი არსებითი თვისება მთავარი სული ასევე პიროვნების არსებიდან მოდის – ისინი აქ თანხვდებიან ერთმანეთს.

და ბოლოს ვისზე შეგვძლებია თქმა რომ სრულყოფილად ახორციელებდა ადამიანის ამ არსებით თვისებას თუ არა იმ კაცზე ვინც მუდამ დგას სუფრის თავში როგორც ბრგე ქანდაკი მყარად დაბჯენილი ძლიერ ფეხს განუყრელი არგნით ხელში ღვინომოურეველი განუმეორებელი ღიმილითა და განუმეორებელი სიტყვებით მეტყველი „სიტყვის მკერვალი“ და „ყოფიერების სახლის“ მწყემსი როგორიც სვიმონ სხირტლაძე იყო?

2000 წ.



გამორჩეული მამულიშვილი

გრიგოლ აბაშიძე

სიმონ სხირტლაძე 1931 წელს გავიცანი. ჩვენ ორივენი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩაგვრიცხეს და ერთ კურსზე მოვხვდით. სიმონმა მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. იგი მკვირცხლი და ენამახვილი ჭაბუკი იყო და ჩვენ იმთავითვე ერთმანეთის მიმართ სიმპათიით განვიმსჭვალეთ. მალე დავახლოვდით კიდეც. საგნებს ერთად ვამზადებდით და ვაბარებდით. თავისუფალ დროსაც ერთად ვატარებდით და ერთიმეორის ხშირი სტუმრები ვიყავით.

სიმონი ძალზე ნიჭიერი სტუდენტი იყო. საგნებს ადვილად ითვისებდა და პირველი კურსიდანვე ფრიადოსანი გახლდათ. ძველი ქართული ლიტერატურისა და ძველი ბერძნულის მიმართ მეტ ინტერესს იჩენდა. ამიტომ იყო რომ როგორც ერთის ისე მეორის პროფესორ-მასწავლებლებმა – კორნელი კეკელიძემ და სიმონ ყაუხჩიშვილმა – განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ნიჭიერ სტუდენტს და კურსის დამთავრებისას ასპირანტურაში დარჩენა შესთავაზეს.

სიმონს მახვილი თვალი ჰქონდა ადვილად ამჩნევდა და იჭერდა ადამიანის გარეგნობის ან ხასიათის ახირებულ გამორჩეულ ნიშნებს და შემდეგ მათ ხუმრობის საგნად აქცევდა. მისი იუმორი საწყენი და შეურაცხმყოფელი როდი იყო მას სარჩულად უფრო ადამიანის სიყვარული ედო.

საუნივერსიტეტო კურსის დამთავრება ზეიმით აღვნიშნეთ. საზეიმო საღამოს მხატვრული ნაწილის კონფერანსიე სვიმონი იყო. მან ძალიან გონებამახვილურად წარმართა საღამო და მსმენელები რომ იტყვიან სიცილით დახოცა.

მაგონდება ერთი იმ ხუმრობათაგანი: სვიმონმა ერთი ჩვენი ლექტორი. რომელიც კორნელი კეკელიძის ასისტენტი იყო ამ დიდი მეცნიერის მიმდევრად გამოაცხადა ოღონდ... სახლიდან უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტიდან სახლამდე...

სტუდენტობის დროს სვიმონი აბრეშუმის ფაბრიკის მრავალტირაჟიან გაზეთს რედაქტორობდა. იმხანად ჩვენმა თანაკურსელმა პოეტმა ვლადიმერ ქვარცხავამ ფსევდონიმი „ხობისპირელი“ გამოიცვალა და „ორბელი“ დაირქვა. ამ შემთხვევის გამო სიმონმა ფაბრიკის მრავალტირაჟიან გაზეთში სამგლოვიარო განცხადება დაბეჭდა სადაც ჩვენ პოეტის ამხანაგები ვიუწყებოდით „ხობისპირელის“ გარდაცვალებას. განმცხადებელთა შორის იყო თავად „ორბელიც“ ესე იგი –“ გარდაცვალებულიც...”

სიმონს ეს განცხადება არც ერთი ჩვენგანისათვის არ შეუთანხმებია. გაზეთის ნომერი თანაკურსელებს დაურიგა და როცა „განცხადება“ ქვარცხავამ წაიკითხა ჯერ „განმცხადებლებს“ დაგვატეხა თავისი რისხვა მერე კი თავადაც ბევრი იცინა.

სიმონი დინჯი აუჩქარებელი კაცი იყო ლოგიკური მსჯელობა იცოდა და აზრის გამოკვეთილად ჩამოყალიბება წერის დროსაც ამ თვისებებს ინარჩუნებდა და მისი წერილები ყოველთვის საინტერესო იყო.

თუ არ ვცდები პირველი წერილი ჟურნალ „დროშაში“ დაუბეჭდე. ვიცოდი რა

მასი დიდი შესაძლებლობები მუდამ ვაქებდი რომ ეწერა და როგორც იქნა გაკაბედვინე. ეს წერილი სიმონის მშობლიური სოფლის მრავალძალის ეკლესიაში დაცულ განძს – ჯალალედინის თასსა და ხმალზე მოგვითხრობდა

დასაკლეთ საქართველოს დალაშქრვის ცდისას ჯალალედინი სასტიკად დაამარცხეს ქართველებმა ჭერეთხევში. ქართველთა თავდასხმა ისე მოულოდნელი ყოფილა რომ ხვარაზმის სულთანი კინაღამ ტყვედ ჩავარდნილა. სულთანს საცვლების ამარა გაქცევა ძლივს მოუსწრია მისი ხმალი და გვირგვინი (თაჯი) კი ქართველებს დარჩენიათ. ქართველთა ლაშქრის ეს ტროფეები რუსუდან მეფეს მრავალძალის წმინდა გიორგისთვის შეუწირავს სადაც იგი ინახებოდა ვიდრე თბილისის სახელმწიფო მუზეუმში გადმოიტანდნენ.

ამ წერილს შემდეგ სხვა წერილებიც მოჰყვა, და სიმონის გარდაცვალების შემდეგ შესანიშნავი კრებული შეადგინა.

სიმონის მამა მელიტონ სხირტლაძე რაჭაში მოღვაწეობდა და დიდი სახელიც ჰქონდა როგორც შესანიშნავ პედაგოგს. მიუხედავად იმისა რომ სვიმონს არაერთი წინადადება ჰქონდა უნივერსიტეტში დასარჩენად მან მაინც მამის კვალის გაყოლა – მასწავლებლობა – არჩია. გასაკვირი არაა რომ იგი საუკეთესო პედაგოგი იყო და სულ მალე დაიმსახურა საყოველთაო აღიარება და პატივისცემა.

საავტომობილო ავარიაში ორჯერ მოხვედრილ სვიმონს ფეხის ძვალი მეორეჯერაც იქ გადაუტყდა სადაც პირველად დაუზიანდა. სხვას მის ადგილას სიცოცხლის ხალისი მოაკლდებოდა სვიმონი კი ისევ მხნე და სიცოცხლის მოყვარული დარჩა და თავის საბედისწერო ავარიებზედაც კი ხუმრობდა.

ახალგაზრდა მასწავლებელმა თავის ნამოწაფართა შორის ულამაზესი და უსათნოესი თამარ ჯაფარიძე ცხოვრების თანამგზავრად გაიხადა და შესანიშნავი ოჯახი შექმნა.

სიმონი ძალიან ჯანმრთელი ბრგე ვაჟკაცი იყო. ამიტომ უკვირდა დაწყევლილი სენი რომ ქურდულად თანდათან აცლიდა ღონეს და სუნთქვას უხუთავდა.

ბორგავდა და შფოთავდა. ცდილობდა, სიკვდილიც ხუმრობად ექცია მაგრამ ბოლოდროინდელ ხუმრობას ადრინდელი ოპტიმიზმი აღარ ჰქონდა.

სიმონმა ვერ მოასწრო თავისი დიდი ნიჭის სრული რეალიზაცია ბევრი კარგი ჩანაფიქრი დარჩა ხორცშეუსხმელი მაგრამ სამშობლოს უანგაროდ და თავდადებით ემსახურა და ამქვეყნიდან ვალმოხდილი წავიდა. ამიტომ არ ივიწყებს მშობელი ხალხი მას სამშობლოს ერთგულსა და გამორჩეულ მამულიშვილს.

1984 წ.



მწვრთნელი სულისა

ოთარ ჭელიძე

ომამდე – ჯერ კიდევ საშუალო სკოლაში ვსწავლობდი როცა ჩემმა დეიდაშვილმა უნივერსიტეტში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე წამიყვანა. იცოდა, ლექსებს რომ ვწერდი და ახალგაზრდა პოეტების ახლოს გასაცნობად უნივერსიტეტის შენობაში ძლიეს შემაპარა.

გუშინდელ დღესავით მახსოვს გარეთ გაზაფხულის მიმწუხრი იდგა. ხალხით გაჭედილ საქტო დარბაზში ლიტერატურულ საღამოს საკმაოდ მალალი ჩასკვნილი სტუდენტი წარმართავდა; ხელად ვიცანი ჩემი დეიდაშვილის არჩილ კავკასიძის მეგობარი სვიმონ სხირტლაძე. ჩემიანებთან სტუმრად ხშირად მინახავს. ქუჩაში იგი შორიდანვე მცნობდა და ყმაწვილს ყოველთვის „როგორ ხარ ვაჟკაცოს"- ხალისიანი შეძახილით მესალმებოდა.

იმ დღეს იგი კულისებიდან სცენაზე რამდენიმე ნაბიჯს გადმოადგამდა ხოლმე და საღამოზე გამომსვლელ თითოეულ ახალგაზრდა პოეტს ხმამაღლა ახასიათებდა. დარბაზი მის გამოსვლას გამაყრუებელი ტაშით შეძახილებით ხვდებოდა სცენიდან გასვლისას კი მქუხარე ტაშთან ერთად ჰომერული სიცილით მიაცილებდა.

საყოველთაო აეტორიტეტმოხვეჭილი თმაჭაღარა პროფესორებიც (ყველას სათითაოდ რომ ვცნობდი ქუჩიდან რადგან მაშინ მანქანა არც ერთ მათგანს არ ჰყავდა) სტუდენტურ ჟივილ-ხივილში თავს ძლივს იკავებდნენ თვალებზე სიცილის ცრემლებმომდგარნი აღმოთქვამდნენ რაღაც შორისდებულებს რომელთა შორის „ჰოი" და „ოხ" უფრო ხშირად გაისმოდა.

კარგად მახსოვს სიცილისაგან სახეწამოწითლებულმა შალვა ნუცუბიძემ ხმამაღლა წამოიძახა: „სიმონიკა სხირტლაძე შენ შეგაჩვენოს გამჩენმა!"

„რატომ მწყევლით ბატონო პროფესორო – გადმოსძახა სცენიდან სიცილით ჩაბჟირებულ ბატონ შალვას სიმონმა და განაგრძო:

„პატივცემულო საზოგადოებავ ახლა სცენაზე გამოვა და საკუთარ ლექსს წაიკითხავს ახალგაზრდა პოეტი და მეცნიერი გრამიტონ ბუხრაძე – კორნელი კეკელიძის დიდი მიმდევარი– სახლიდან უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტიდან სახლამდე" (გამომსვლელთა ნამდვილ გვარებს არ ვასახელებ რადგან მათ ერთ დროს დამწყებ პოეტებს ახლა უკვე ცნობილ მეცნიერებს თუ საზოგადო მოღვაწეებს ეგებ ეხამუშოთ კიდეც სიჭაბუკის „ცოდვათა" გახსენება – ო. ჭ.).

„ფილოლოგიური ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტი ავთანდილ არჯევანიშვილი წაგიკითხავთ თავის ახალ ათ ლექსს რადგან ძველები არ აბადია. მან გუშინ დაწერა პირველი ათი ლექსი. ახლა თქვენ თავად განსაჯეთ აქვს თუ არა მეორე ათეულის დაწერის უფლება არჯევანიშვილ ავთანდილს თელა რომ ისწავლა ათამდის"...

დარბაზმა იმ ახალგაზრდა პოეტის ათივე ლექსი ნელთბილად როცა მიიღო სიმონი ელვისუმალ მიიჭრა მასთან ტაშის ძალად გამოსაწვევად ხელი ჩამოართვა მოსალოდნელმა ტაშმა რომ იქუხა აი ხომ ხედავ პირველი და უკანასკნელი ლექსების ავტორს

როგორი ოვაციით გაცილებენო ხმამაღლა უთხრა მას ვისთანაც, ორი ათეული წლის შემდეგ ხშირად შემოვლია (რაღა თქმა უნდა სიმონ სხირტლაძესთან ერთად) თეთრ დუქანში სადაც იგი მომმარაგებლად მუშაობდა.

„ლექსს წაგიკითხავთ სამეგრელოს მთიანეთის წარმომადგენელი ახალგაზრდა პოეტი მირიან გაბისონია. მართალია მთიელი კაცია მაგრამ ჩოხა არ აცვია და არც ხანჯალი ჰკიდია... თუმცა ხანჯალი რად უნდა საკუთარი ლექსი მოსჭრის თავს! – წარმოთქვა სიმონ სხირტლაძემ და დარბაზში ატეხილმა ხარხარმა გამომსვლელს ლექსის წაკითხვა კარგა ხანს აღარ აცალა.

იმ საღამოზე სიმონ სხირტლაძემ ქება მხოლოდ ორიოდე პოეტის მიმართ გაიმეტა. იმ ორმა პოეტმა მას კიდეც გაუმართლა. სხვა ახალგაზრდებმა კი ისევე როგორც „კორნელი კეკელიძის დიდმა მიმდევარმა“ „პირველი და უკანასკნელი ლექსების ავტორმა“ „საკუთარი ლექსით თავმოჭრილმა“ სულ სხვა საქმეს მოკიდეს ხელი.

ზოგ-ზოგი „ქებაძე“-კრიტიკოსივით გუნდრუკის კმევა კი არა იუმორშეზავებული პირდაპირობა სჩვეოდა სიმონს მაჟანთა და მაჟანთა მოსათვინიერებლად.

ახლა დამწყებ პოეტთა ლეგიონების მოზღვავების ჟამს სვიმონ სხირტლაძისნაირი გონებამახვილი უაღრესად განათლებული ავტორიტეტული სიტყვის კაცის გამოჩენა ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებას მართლაც წამლად დაედებოდა გამოაცოცხლებდა მრავალ ახალგაზრდას სწორ გეზს მისცემდა.

სიმონ სხირტლაძე არასოდეს არ გვაკვირვებდა თავისი ნაკითხობით. ქართულის გარდა იგი კლასიკურ და თანამედროვე ევროპულ ლიტერატურასაც კარგად იცნობდა. საჯარო ბიბლიოთეკის ხშირ სტუმარს ერთხელ თავს ლადო ასათიანი წასდგომია. სიმონი ფრანც კაფკას მოთხრობების წიგნში ყოფილა თავჩარგული და მეგობარი ვერ შეუნიშნავს. სწორედ ეს ამბავი იქცა მიზეზად იმ წამს შეთხზული ფუნაგორიისა:

გაათეთრებს კაფკა სიმონს
როგორც თოვლი კავკასიონს.

ერთხელ ის ერთმა დამწყებმა პოეტმა დაპატიჟა ვახშმად რესტორან „თბილისში“. მე გვიან შევუერთდი. სუფრის ხარჯი სიმონმა დამპატიჟებლის მაგივრად ჩუმად გადაიხადა. იმ ახალგაზრდას ეწყინა სიმონის საქციელი. ბოლოს მარტონი როცა დავრჩით მეც ვუსაყვედურე: იმ კაცს შენი პატივისცემა ეწყინა და ფულის გადახდა რატომ დააშვარი-მეთქი.

ჩემი ნათესავიაო – ჩაიხითხითა სვიმონმა – მეტად უნიჭო ლექსები წამიკითხა და ჩემგან რომელიმე ჟურნალის რედაქტორთან მათ მიტანას ახლა ფულის გადახდა ვარჩიეო.

მახსოვს ერთხელ ერთი უღიმღამო მელექსის სადღეგრძელო სვიმონმა განგებ სულ ბოლოსთვის შემოიტოვა. ზაფხული იყო ღვინიან სასმისებში მარწყვი გეყარა. რესტორანი უკვე იკეტებოდა ჭიქებში ღვინით გაჟიებული მარწყვიღა დაგვრჩა. იმ „მგოსნის“ სადღეგრძელო კი დასალევი იყო სასმელი აღარ მოგვეტანეს. სიმონმა მაინც ას-

წია მარწყვიანი ჭიქა და ჩვეული რიხით შესძახა – აბა მეგობრებო ბარელამ შევჭამოთ ამ კაცის სადღეგრძელოო.

სიმონ სხირტლაძის გოსებამახვილ თქმებში საზოგადოებრივი აზრი სასიერიდებოდა. მის აფორისტულ გამონათქვამებს ისეევე როგორც ლადო ასათიანის ეპიგრამებს (ფუნაგორიებს) ხალხი იზეპირებდა.

ხალხური და კლასიკური პოეზიის განსაკუთრებით კი სასულიერო მწერლობის საფუძვლიანი ცოდნა მეგობრულ სუფრაზე მის სწორუპოვარ თამადობას ფრთებს ასხამდა სათქმელის წარმოთქმას უიოლებდა.

ზოგიერთ ქართველს თუ არაქართველს ირონიულად ელიმება სიტყვა ,,თამადის" ხსენებისას მაგრამ საქართველოში თამადობის მრავალსაუკუნოვან ინსტიტუტს უძლურ ცინიკოსთა ქირქილი ვერას დააკლებს. სწორედ ჩვენს დროში მრავალმა დიდმა თუ მცირერიცხოვანმა ერმა სუფრაზე ყურწამღებ ზრინვა-გნიასსა და ანარქიას წესრიგი და ჩვენებურად თამადის არჩევა ამჯობინა.

მოინტელიგენტო ცინიკოსთა ქირქილს მხოლოდ ზოგიერთი სუფრისთავის ლოთური წრეგადასულობა უნიჭობა და უბადრუკობა აძლევს საფუძველს.

ისინი არ მოსწრებიან არც ჩვენი უფროსი თაობის დიდებულ წარმომადგენელთა და შემდგომ არც სიმონ სხირტლაძის სასწაულებრივ თამადობას.

მახვილგონივრული გამოთქმების იგავების ქარაგმების აფორიზმების მოსწრებული სიტყვა-პასუხის თქმების ფეიერვერკით მას ჩვენი დროის საქართველოში ვერავინ გაუწევდა მეტოქეობას. სიმონისაევე თქმისა არ იყოს მართლაც რომ ,,ბულბულს დასვამდა ჭიქაზე".

რაღაც დიდი ვარამით გათანგული ეს განუმეორებელი პიროვნება მარტოობას გაურბოდა როგორც პირადი სადარდებლის სხვათა თავზე მოხვევას. სიმონ სხირტლაძე მხოლოდ ახლობელთა მეგობართა წრეში პოეებდა შვებას. ლექსებს თუ წერდა არ ვიცოდი. გუმანით მეჯეროდა რომ ნაღდ პოეტთან ვმეგობრობდი. ბოლოს მან მუხრახ მაჭავარიანის დაჟინებული თხოვნით ,,დილაში" დაბეჭდა შვილიშვილისადმი მიძღვნილი:

ვენაცვალე დუდის
თაფლის სუნი უდის
ნაპერწკალი მოხვედროდეს
რუსთაველის ქუდის...

რაჭისაკენ მრავალგზის ერთად მგზავრობისას მან ერთხელ ლექსების კითხვაში გამომიწვია. ონში მანქანით მისვლამდე სიმონმა და მე აურაცხელი ლექსის თქმა მოვასწარით.

სიმონ სხირტლაძისა და ქიცა ხერხეულიძის მსგავსი მცოდნენი ქართული ლექსისა ალარ შემხვედრია. ჩვენ შეჯიბრში გაეშეელდით ბარიბარს გამოვედით რადგან მე ჩემი მეგობრების და საკუთარ ლექსებს ვიშველებდი. ეს ხერხი რომ არა აშკარად ის დამჯაბნიდა. სწორედ იმ მგზავრობისას შემახსენა მან ჩემი ძველი ფუნაგორია:

აგიაშვილსა ნიკასო
არ ნაყვარება პიკასო.

კი მაგრამ პიკასომ თუ იცისო ეს ამბავი? – სიცილით მკითხა სიმონმა და ორ ბწკარს წამსვე კიდევ ორი ბწკარიც მიეაბი:

შეწუხებულა პიკასო
რა დავუშავე ნიკასო.

სიმონ სხირტლაძეს როგორც იკონოგრაფიის შეუდარებელ მცოდნეს ახლაც ხშირად იხსენებს ცნობილი რუსი მწერალი ვლადიმერ სოლოუხინი. ჩემთან სტუმრად წვეულ მეგობარს – ხატუქის უმდიდრესი მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი კოლექციის პატრონს – სიმონმა ძველი ქრისტიანული ქვეყნების ხატები სხაპასხუპით რომ ჩამოუთვალა გაოცებული სტუმარი მე მომაცქერდა ეს ვინ გამაცანიო.

ამ უსიტყვო შეკითხვას სიმონ სხირტლაძემ ღიმილით უპასუხა: ჩამომაელობით სასულიერო გვარიშვილს და მღვდლების ოჯახში გაზრდილს აბა მეტი რა მეკითხებაო.

არადა ამ თავმდაბალ და საკუთარი სულის მწვრთნელ კაცს გაბრიელ ეპისკოპოსზე საყოველთაოდ აღიარებული მონოგრაფიის ავტორს ბევრი რამ ეკითხებოდა.

სიმონ სხირტლაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე დასაწერი ხვალის წიგნი მრავალ ამოუცნობ კითხვას თუ გასცემს პასუხს ერთი კითხვა მაინც დარჩება უპასუხოდ სახელდობრ – როგორ და რა ძალით ხდება ჩვენში ხშირად ჩვეულებრივ პირთა არაჩვეულებრივ პიროვნებად განდიდება ანდა პირიქით – არაჩვეულებრივ პიროვნებათა სიცოცხლეში საკადრისად არდაფასება. ვაი რომ ამაღლებულის უბრალო მოკვდავად წარმოსახვა ჩვენდა საეალალოდ ბევრჯერ მწარედ გვინანია.

1984 წ.



გულწმინდა კაცი

თამაზ ჩხენკელი

– გაჩერდი! – მითხრა უფროსმა კაცმა, თეითონ შედგა, ჯიხი მარცხენა ხელში გადაიტანა და სწრაფი მოძრაობით მარჯვენა თითქოს ჩემს გასაჩერებლად ასწია, თუმცა ერთმანეთს ჯერ კიდევ ხუთი-ექვსი ნაბიჯი გვაშორებდა. მე ღაკვირვებით შევათვალიერე ,,უცნობი": ბრგე, მაღალი, კარგად ჩასხმული, ცოცხალი მზერა და კეთილი გამომეტყველება მისი სახის ჩვეულებრივი მიმიკა უნდა იყოს. ნეტავ რა უნდა, რისთვის მაჩერებს. მივუახლოვდი. პირდაპირ თვალებში შემხედა და ჯიქურ მკითხა: ვინ ხარ?.. იმპერატიული ,,გაჩერდი" და თითქმის ასეთივე ,,ვინ ხარ" მისი ცნობიერების ორიგინალობას ამჟღავნებდა, ცნობიერების ან ხასიათისას, და მოკლედ ვუპასუხე, ვინც ვიყავი, ე. ი. ვუთხარი, რომ ფილოლოგი ვიყავი და არსად არ ემსახურობდი.

ეს უცნაური შეხვედრა შელიქიშვილის ქუჩაზე ხდება, დიდი ხნის წინათ, საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში. ის მეკითხებოდა და მე ვპასუხობდი, მაგრამ ეს არ იყო ორი უცნობის საუბარი, მე უკვე ვიცოდი, ვინ იყო ის და, როცა სახელით მივმართე – ბატონო სვიმონ-მეთქი, – გაიცინა, საიდან მიცნობო. მართლაც საიდან ვიცნობდი?

ჩემი თაობა დანატრებული იყო უფროსებთან ურთიერთობას. ოფიციალურ-სამსახურებრივი უფროსების თვალსაწიერში ჩვენ არ ვარსებობდით და არც ისინი წარმოადგენდნენ რამეს ჩვენს თვალში. სამაგიეროდ, გაუცნობლად ვიცნობდით ,,დადებითი უფროსების" თითქმის მთელ შემადგენლობას, იმ ხნიერ ხალხს, რომლებიც მამულიშვილური სიქველით იყვნენ გამორჩეულნი და რომელთა შესახებ დანამდვილებით ვიცოდით ორი რამ: ერთი ის, რომ ასეთი ხნიერი საბჭოთა იმპერიის ,,ერთგული მსახური" არ იყო (თუმცა შეიძლებოდა პარტიულიც ყოფილიყო) და მეორე ის, რომ კარიერისა და სკამისათვის თავს არ იკლავდა (თუმცა შეიძლებოდა კარგი თანამდებობაც სჭეროდა). და, რა თქმა უნდა, ახალგაზრდული ჭკუის კვალობაზე, საკმაოზე მეტ ყურადღებას ვაქცევდით იმასაც – სტუმართმოყვარე, მოქეიფე, ხელგაშლილი კაცი თუ იყო – ის, ჩვენგან მოწონებული უფროსთაგანი.

ჩვენი საუბარი დიდხანს არ გაგრძელებულა. პირველი შეკითხვები რომ მოთავდა, მეც ვკითხე: ქაქუცა ჩოლოყაშვილზე თუ მეტყვით რაიმეს-მეთქი. ჩემმა კითხვამ აშკარად გაახარა: საიდან იცი, ვინ არისო და პასუხად როცა ბიძაჩემის, სოსო ასლანიშვილის სახელი ვახსენე, ეისთანაც თურმე (თეითონ აღნიშნა) მეგობრულ ურთიერთობაში ყოფილა, დაწვრილებით გამომკითხა – რა გიამბო ქაქუცაზეო... ამბავი ასეთი იყო:

„შევარდენის" გაფრენა ალავერდობაზე. ვარჯიში რა მოათავეს, თელავისკენ გაუყვნენ გზას. წინ ცხენზე ამხედრებული ეგნატაშვილი მიდიოდა, სხვები ქვეითად მიჰყვებოდნენ. ტყის სილრმეში რომ შევიდნენ, ტევრიდან უცებ იარაღში ჩამუქდარი ტანმორჩილი კაცი გადმოხტა, უხმოდ იპყრა ეგნატაშვილის ცხენის სადავე და გზა განაგრძო. რაზმი დაიძაბა, მაგრამ არავის დაუძრავს სიტყვა. ქაქუცა ჩოლოყაშვილმა პირდაპირ

გაშლილ სუფრაზე მიიყვანა „შევარდენის“ რაზმი...

ასეთი იყო ჩემი პირველი და, სამწუხაროდ, უკანასკნელი შეხვედრა ბატონ სიმონთან, თუ, რა თქმა უნდა, არ ჩავთვლით იმას, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ვერეს ბაღში, „მრგვალ სასაუზმესთან“ რომ ვქეიფობდით 5-6 ბიჭი, ბატონმა სიმონმა ღვინო გამოგზავნა.

ახლა იმდროინდელ სიმონ სხირტლაძეზე ბევრად უფროსი რომ ვარ, ვფიქრობ: რატომ გამაჩერა მე, ყმაწვილი კაცი, ან რატომ მაინცდამაინც მე გამაჩერა? რატომ მოუნდა უცნობ ჭაბუკთან გამოლაპარაკება? და ამას რომ ვფიქრობ, გულის კუნჭულში მიმალული ბუნდოვანი აზრი თანდათან მკაფიო კონტურს იძენს: შენც ხომ ეს გინდა, შეხვდე რომელიმე უცნობ ახალგაზრდას, გული და მაჯა გაუსინჯო და დარწმუნდე, რომ ორივეენი ერთი ჯიშისანი ხართ, რომ ის, რაც შენშია, მასშიც გრძელდება...

და მე ყოველთვის ვცდილობდი, გამემართლებინა ამ გულწმინდა კაცის მიერ ჩემდამი გამჟღავნებული ნდობა!

2000. VII.



სიტყვით დამფასებელი

ელგუჯა მაღრაძე

იგი პროფესიით მასწავლებელი იყო და ჩემი ღრმა რწმენით სწორედ ისეთი მასწავლებელი ილიას „გლახის ნაამბობში“ რომაა აღწერილი – თავისი საქმის უბადლო ოსტატი და თავისი ქვეყნის დაუმცხრალი ჭირისუფალი. ბრწყინვალედ იცოდა ჩვენი სასულიერო და საერო მწერლობის ყოველი უკედავი ძეგლი და ნიმუში. შეეძლო, დაუსრულებლივ ელაპარაკა ქართულ მწერლობაზე მსმენელი მონუსხული ჰყოლოდა და არ დაელალა. ის რომ სვეტიცხოველში საგალობელს იტყოდა ყრუც რომ ყოფილიყავი სმენად იქცეოდი. ტაძარში კი არა – ყველგან ასე იყო. ქართული ხალხური სიტყვიერების საგანძურიდან სულ ახლად დაფერილი გასისხლსული სიტყვები ამოჰქონდა. მოუცლელობა და მწერლობის წინაშე თაყვანისცემაში გადაზრდილი მოკრძალება რომ არა თავის საკუთარ სტილს შექმნიდა დანერგავდა და დაამკვიდრებდა კიდეც ქართული სიტყვის მიმართ რაღაც საოცარი გეში ალლო და ყნოსვა ჰქონდა.

სიმონ სხირტლაძე რომ გავიცანი ომი ახალი დამთავრებული იყო. იგი ჩვენმა სასიქადულო პოეტმა ოთარ ჭელიძემ გამაცნო თეთრ დუქანში. მე იმ თეთრ დუქანზე მოგახსენებთ დიღმის ველზე მტკვრის პირას რომ იყო და დღე-ღამის ყოველ დროს შეგეძლოთ სწვეოდით. იქ ყველაფერი იშოვებოდა; ასე გასინჯეთ მუშტრის მოლოდინში დასაკლავად გამზადებული სხვადასხვა ზომის ლოქოებიც კი ჰყავდათ „დაბმული“. ვიცი ზოგი, ასოკირკიტა და მოქირქილე პირში თუ ვერა ზურგს უკან მაინც იტყვის ან გაიფიქრებს – ეს თევზის დაკვლა რაღა დოზანაა რამ დაწერინაო. ბარემ აქვე წინასწარ შეგახსენებთ საიათნოვას ლექსს: „რაგინდ თევზი დაკლა – არ დაიყვირებს...“ მართალია ომი ახალი დამთავრებული იყო მაგრამ დუქნებში წლის ყოველ დროს ახალი და ნაგვიანევი ბატკნის თოხლის ციკნის ხორციც იყო და ზუთხი ხიზილალა თართი და ცოცხალიც იშოვებოდა. პლატონ გოგლიძის სახელგანთქმული „აფხაზურაც“ იმდროინდელი ამბავია. ვისაც პლატონას დამზადებული „აფხაზურა“ და მწვადი არ უგემნია მე მგონი ისეთი რამ დაუკარგავს ქვეყანაზე რომ ვეღარ დაეწევა. გახამებული ქათქათა ხალათით მალაქია მზარეულს კი არა საოპერაციოში შესასვლელად მომზადებულ ქირურგს მიაგავდა. კაცი ვარო იმას უნდა ეთქვა. ჯერ ერთი მთელი მილეთის ხალხს პატრონობდა და მერე იყო ყოვლად სპეტაკი სათნო წესიერი პატიოსანი გამრჯე და მშრომელი ადამიანი.

დიახ სიმონ სხირტლაძე თეთრ დუქანში ჩვენს სუფრას თამადობდა. ჩვენში თამადობა არავის უკვირს მაგრამ თამადობა მაინც სულ სხვა დარბაისლურ-ქართველური რიგისა და წესის დემონსტრირება გახლდათ. თავისი ქვეყანა და ხალხი რომ სძულდეს ასეთი კაცი მართალი მოგახსენოთ არც მეგულება მაგრამ მამულის სიყვარული კი განსხვაებული არსებობს და ამ გრძნობის გამომზეურება გამოხატვა მეტნაკლები სიჭარბით ხდება. სიმონთან სიახლოვისას მამულიშვილურ გრძნობას ნებით თუ უნებლიეთ ყველა ემსჭვალოდა ყველა აბრიალდებოდა ხოლმე მისგან დანთებული ცეცხლით და ყველა მზად იყო, სამშობლოს სამსხვერპლოზე მიეტანა საკუთარი თავი.

მისგან მონუსხულ მსმენელთა შორის მინახავს ისეთნიც რომლებიც იკვეხნიდნენ: სადაც მე ვარ სეფე-სიტყვას იქ სხვას ვის ათქმევინებენო. სიმონს კი იწუნებდნენ იბეჭდნენ ირჩევდნენ ითხოვდნენ ელლარჯებოდნენ კალთებს აგლეჯდნენ რომ სიტყვით დაეპურებინა ხალხი. სიმონი იწყებდა და ხდებოდა საოცრება: აკად განწყობილი პირდაღრენილი ლომებივით ვაჟკაცები ცოტა ხანში გაკვირვებულნი გატრუნულნი მოთვინიერებულნი გასუსულნი შესცქეროდნენ სიმონ სხირტლაძეს. რა ანდამატი პქონდა რა ჯადო რა თილისმა რა ეშხი რა ძალა.. ეს უნდა პირადად გენახათ განგეცადათ აღგექვათ...

სიმონ სხირტლაძის გარშემო არ წყდებოდა პოეტთა საერთოდ შემოქმედთა თუ სხვა რაგინდარა პროფესიის ადამიანთა მარადმედინი ნაკადი. ბევრი მათგანი ახლაც ცოცხალია და ურწმუნო თომებს შეუძლიათ მათგან გაიგონ ვინ იყო სიმონ სხირტლაძე. ჩვენი პატარა ქვეყნის ყველა წრეში – „არისტოკრატებიდან" მოყოლებული „წუმპემდე" – უფრო პოპულარული კაცი მე არ მომსწრებია.

ერთხელ ქალაქგარეთ დუქანში შეველით ყველას თავისებურად გულთბილად მიესალმა და ბუფეტში ჩამდგარ დევკაცს უთხრა:

– ისეთი ბიჭები მოველით დღეს ჩვენს პურის ჭამას დიდი ავალა მიეცემა.

– სიმონ ე რაჭველი კაცი ლაპარაკში რავარ უცნაურ სიტყვებს გამოურევ ხოლმე – შემოაგება მებუფეტემ.

– შეგირცხვეს თავი ღალაკო – დაბალი ხმით შეეპასუხა სიმონი – ქართველმა კაცმა ავალა როგორ არ იცი... დღეს იმნაირ გუნებაზე ვართ ზეცად უნდა ავიწიოთ; ავალა კი გასაქანია არ მითხრა ახლა, გასაქან-გამოსაქანი და საქანელაც არ ვიციო...

„თვალნო ლამაზნო ვინ გაუძლებს თქვენსა ბასრობას" – ააფოთარა ერთხელ სიტყვა – ისინი ვახსენოთ ვინც გულებში სიყვარულის მწველე ცეცხლი დაგვიგზნო ვინც ავგაროზივით გარედან კი არა შიგნიდან ესალბუნება გულს და შეებას გვაძლევს ვის გამო პატარა სევდაც თანა გვდევს; – და ნათქვამი აკაკის სტრიქონით გაამაგრა – „ტრფიალების ტკბილსა ბადაგს ნაღველი აქვს თურმე ძირად".

„იცით ძმებო რატომ ვუყურებდით ჩვენ ყველას გამომცდელად და ერთგვარი უნდობლობით? ყველასა და ყველაფრის მიმართ რატომ ვიდექით ხშირად ყალყზე? იცით ამისი პასუხი? ეს გამუდმებული თავდასხმებით გაწამებული ხალხის ფსიქოლოგიაა. ჩვენ ვიცავდით საკუთარ ოჯახებს ჩვენს თავს ჩვენს მიწას ჩვენ გუშაგები ვიყავით ჩვენ შეხიზნულნი ვიყავით ციხის გოდოლებს და ჩვენს ხალხს ვდარაჯობდით. ჩემო ქვეყანაე შენმა მოკვდავმა შვილებმა შენთვის სიკვდილით შენვე უნდა გაგაუქმეო!"

სიმონი არავის არაფერს არ უმტკიცებდა. მთელი მისი ცხოვრება იყო ერთი მთლიანი გაბმული სევდიანი ჰანგი რაც დასასრულისას კიდევ უფრო დრამატულად აჟღერდა. სიმონ სხირტლაძე მთელი სიცოცხლე შეუპოვრად სჭვედა თავის სვეს იყო თავისი ქვეყნის ხვედრზე ღრმად ჩაფიქრებული მოაზროვნე ძალზე მგრძნობიარე კაცი როგორც ითქვა უბადლო პროფესიონალი პედაგოგი და ძლიერი პიროვნება. ალბათ, მცირერიცხოვანი საქართველო კიდევ უფრო გაღარიბდებოდა რომ მის შვილთა შორის ხშირად არ ციაგებდეს ასეთი მგზნებარე მამულიშვილი სათნოებით აღსავსე კაცი საყოველთაო ყურადღებით გარემოსილი მაგრამ არა გაყოყოჩებული და ამპარტა-

ვანი. სიმონი დარჩა ბავშვივით გულუბრყვილო ადამიანად მგრძნობიარე ძლიერ და შეუვალ პიროვნებად და ასეთად ჩავიდა საფლავში.

სიმონ სხირტლაძემ ისე იცხოვრა რომ თავისი არსებობით არავინ შეუწუხებია; პირიქით იყო ყველას ნუგეშისმცემელი გაშამხნეებელი ჭირისა და ლხინის თანამოზიარე და მხარში მდგომი.

მისი ცხოვრება გახლდათ ბოლომდე წაუკითხავი მშფოთვარე ენებიანი ლექსი რომელიც თავის გამშიფვრელსა და ამომკითხველს ითხოვს.

1984 წ.



ჯერ მერანი დაბეშლილი მსავს...

ლერი ალიმონაკი

ადამიანი ხომ, თავისი არსით, არა მხოლოდ ისტორიული, პრეისტორიული არსებაცაა, განვითარების ყველა იმ დანაშრევით შედგენილა, კაცობრიობას არსებობის მანძილზე რაც გამოუვლია. მთელს მის გვამ-ანაგობას, მის ცნობიერებას, მის ფსიქიკას უხსოვარ საუკუნეთა ფერისცვალებანი, როგორც ძველს სამარხს ქვიშა და შლამი, ისე აყრია, რაც, ცოტა არ იყოს, უხერხულ, ძნელად შესაცნობელ, ძნელად მოსახელთებელ არსებად ხდის. მაგრამ საკმარისია, არქეოლოგის წვრაქვით ალიჭურვო და შემოსძარცო მას წარსულ საუკუნეთა სამოსელი, რომ ყველა ამ პროფესორის, მინისტრის, პრეზიდენტის, ბანკირის, ბლაღოჩინის მიღმა ერთი ჩვეულებრივი, ძუძუმწოვარა მეტყველი არსება იხილო, ხელის ერთ აჭვევაზე გამოქვაბულს რომ აფარებს თავს. მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც, ღვთის მადღით, შობითგანვე შემოხსნიათ გარდასულ ეპოქათა მალრჩობელა სალტეები, ათასნაირი კომპლექსით რომ ბორკავენ, და გაშიშვლებული ბუნებით იმ მითიურ პირველკაცებად წარმოგვიდგებიან, რომელნიც, ღვთის უბეს შეფარებულნი, თავიანთი ღვთაებრივი სიმარტივითა და უბრალოებით ნიაღაგ გვაკვირვებენ, გვაჯადოებენ, თავისკენ გვიხმობენ. ამგვარ ადამიანებს, იმდენად უდიადესი სიამის მომნიჭებელნი არიან, შეგიძლია დღედაღამ უმზირო, უსმინო და არ დაიღალო. არის ამაში რალაც სოკრატესეული... ამგვარ ადამიანთა შორის ეხედავ მე უკვე ლეგენდად ქცეულ სიმონ სხირტლაძეს. ის საუკუნეთა წიაღიდან გამოღწეულ მითიურ გმირს მაგონებდა, ჯადოსნური კვერთხით ნისლსა და ჯანღს რომ მოარღვევს და ადამიანებისათვის სინათლე, რწმენა, სიყვარული მოაქვს. ღვთის ამ სანიჭარით დაჯილდოებული, ის აკავშირებდა ერთიმეორესთან ადამიანებს, წარსულს და აწმყოს, განამტკიცებდა ქვეყნის ზნეობრივ საფუძველს. ფეხსვიბრობაც კი იმგვარის მშვენიერებით შერწყმოდა მთელს მის ხორციელ და სულიერ ანაგობას, გეგონებოდა, ისიც ღვთის სანიჭარი ყოფილიყო მისთვის, რის გარეშეც, ალბათ, სხვაგვარი სიმონ სხირტლაძე ვაგლახად წარმოსადგენიც კი იქნებოდა. რომ ეხილა, ვინ იცის, ეგებ თვით აპოლონსაც შეშურდებოდა მისი ასეთი ჰარმონიული სახიჩრობა. ის იყო კავი, ვისი ყველაზე მწველი იარაღიც იყო სიტყვა, ჰომეროსის გმირებივით ხშირად ბახუსის წყალობით რომ აღვიძებდა თავის არსებაში. ბაკხოსივით ხელთ ეპყრა ღვთაებრივი ამბროზიით გაპიპინებული ხის ამოჩუგნული ჯამი და მადღის წყალობით სიტყვაც მზიანი მოუდიოდა, ღვთის სამოსახლოსთან უფრო ახლო იდგა, რითაც, როგორც თავად ხშირად უთქვამს — სიკვდილს იგერიებდა.

ტერენტი გრანელის სულს უნდა ეუმადლოდე, რომ ბევრ ისეთ დიდებულ ადამიანს შემახვედრა და დამაახლოვა ცხოვრებაში, რომელთა სახელიც და სახეც მხოლოდ შორიდან მეცოდინებოდა... რა დამავიწყებს ოქტომბრის ფერმილეულ ყვითელ მზეს, გოგებაშვილის ქუჩას, ბატონ სიმონ სხირტლაძეს. 1967 წელია. ფეხაკრეფით მივუყვები რიკულებმოყანყალებულ კიბეს ეზოში, მეორე სართულზე, მორიდებით ვაკაკუნებ კარს, ვღელავ, რასაკვირველია. კარს დიასახლისი აღებს, დეკორაციისმაგვარ ოთახში მი-

მიძღვის. მალე ბატონი სიმონიც გამოდის. აი თურმე როგორი ყოფილა ის! ბევრი რამ გამიგონია მასზე, მისი ზოგიერთი ნაწერიც წამიკითხავს, მაგრამ... მილიმის ღვთაებრივი ღიმილით, ისეთნაირად მეგებება, გეგონება მელოდაო. ოთახში მრგვალი მაგიდა დგას, მახსოვს, მაგიდაზე ღვინიანი გრაფინი, ჭიქები. უეცრად ემშვიდდები, სრულიად სხვა, რომ ვერ წარმომედგინა, ისეთ გარემოში ვექცევი. გვარს მეკითხება. „ო, ჩემო ალემონაკ“ , და იწყებს ღაღადს ძველ საბერძნეთზე, ქართველისა და ბერძენის ნათესაობაზე. ჭიქას ღვინით აპიპინებს, მაწვდის. დგას, მეც ვდგავარ, ცხადია, ჭიქას ცოტათი ვანაკლულებ. სიმორცხვე თანდათან მტოვებს, ფეხქვეშ საძირკველს ვგრძნობ. გვარი ავიწყდება, მამეორებინებს. „ჩემო ალემონაკ“ , და კვლავ ღაღადებს. ვახერხებ, ვამცნო სტუმრობის მიზეზი: მცირე მოგონების დაწერას ვთხოვ უდროოდ დაღუპულ პოეტზე. აღარ მახსოვს, რას მპასუხობს. ის კი კარგად მახსოვს, რომ ის, ეს მთაკაცი, დგას ღია ფანჯარასთან, გოგებაშვილის ქუჩას რომ გადაჰყურებს, და ხმამაღლა კითხულობს: „წითელი მზე აელვარდა მინებთან...“ ამთავრებს ლექსს და სივრცეში ექსტაზით შეიძახებს: „გენია მირა!“ კვლავ კითხულობს გრანელის რომელიღაც ლექსს და სივრცეში კვლავ შეიძახებს: „გენია მირა!..“ რასაკვირველია, მოგონება არ დაწერილა, იქნებ არც არაფერი ჰქონდა მოსაგონებელი იმ ლექსის გარდა, რასაც ასეთნაირის შთაგონებით წარმოთქვამდა. მაგრამ ეს უკვე აღარ იყო ჩემთვის მთავარი. მთავარი ის იყო, რომ მე დავეწაფე რაღაც ისეთს, რასაც აწი კეტითაც ვეღარ მომწყვეტდა კაცი... ხშირად ვწვევივარ აქ ბატონ სიმონს, გოგებაშვილის ქუჩაზე. და მე უბედნიერეს კაცად ვთვლი თავს, რომ ამ ოქროპირმა კაცმა თავის პაწია მეგობრად შემიტკბო, შემითვისა. სადაც უნდა შევხვედროდი, „ჩემო ალემონაკო“, – მეტყოდა სიყვარულით, გამილიმებდა ღვთაებრივი ღიმილით, ხელს გადამხვევდა, მომეფერებოდა, რაღაც ფრთიანს იტყოდა, გრანელს გაიხსენებდა, კვერთხს სივრცეში აღმართავდა და ექსტაზით შეიძახებდა: „გენია მირა!..“

სიმონ სხირტლაძისათვის პოეზია მხოლოდ ლექსი, რაღა თქმა უნდა, არასოდეს ყოფილა. მას სწამდა, რომ ამ დაფარული, იდუმალი პირველმიზეზით ფშვენდა მთელი ადამიანური ყოფიერება, ღვთის ბოძებული სიყვარული, ბახუსისა და სიტყვის ტყეობაში მყოფი უშურველად რომ უნაწილებდა ყველას და ყველაფერს. ვინ იცის, სერობის ჟამს ოქროპირობისას მის ბაგეთაგან დამცთარი რამდენი ფრთიანი სიტყვა მავანს და მავანს პოეტურ სტრიქონად აუსხამს. მეო, უთქვამს, ჩემი უხილავი კარვიდან ძველი ქართველივით ღვინით გაბრუებული შეეჩერებიყარ სამყაროს იდუმალებასო, მზით გაცისკროვნებულ ზეციერებასო, სიცოცხლესო, ამ კარვიდან ვემუსაიფები მოხუც გურამიშვილსო, წინაპართა აჩრდილებსო!... შინაგანად ყოველთვის მჯეროდა, რომ ბატონი სიმონი ლექსებს წერდა. ისიც მჯერა, რომ ბევრი მისი ლექსი თუ პოეტური სტრიქონი, მისივე ბოჰემური ცხოვრების წყალობით, გაიბნა, გაიფანტა. და მართლაც, შინაურობაში აღმოჩენილა პოემის ნაწყვეტი, რომლის ერთი სტროფიც ამგვარად ულერს:

ჯერ მერანი დაბმული მყავს, არც შევხარი, არც მაკვირვებს,
თუ ავუშვი, მოიტოვებს ნაქებ ცხენებს, ჯოგად ვირებს,

ამოვარდნილ ქარის ხმაზე ბევრი დაყრის საკრავ-სტვირებს,
ბევრს სიხარულს მიანიჭებს, ბევრს მოაწყენს, აატირებს.

საკვირველია, რა საოცრად ჰგავს მოხმობილი სტრიქონები ბატონ სიმონის პოეტურ ბუნებას, სადაც ერთმანეთს შერწყმია ქართული ოლიმპიური სიამპარტავნეცა და ექსტატიკური დაუოკებლობაც, სადაც ყველაფერი შეყენებული ჩახმახიანი წკიპზკა, ყველაფერი უცაბედად ამოვარდნილი ქარიშხალიანით თავასაწყვეტად გამზადებულა. და ახლა, როდესაც დღევანდელმა ნიპილისტურმა ყოფამ ასე მძაფრად მოგვანატრა წარსულიცა და ის ადამიანებიც, ამ წარსულს აზრს რომ ანიჭებდნენ, მამა-პაპათაგან ნაანდერძევ ადათ-წესს წმინდად რომ ინახავდნენ, რომ ამშვენიერებდნენ, კვლავ ეხედავ სიმონ სხირტლაძეს მითიური მთაკაციანით ჩვენ შორის მოღარღილეს, ყოველ გაზაფხულზე ბაკსოსიანით ალორძინებულს, აევნახებულს, თავისი ჯადოსნური კვერთხით ნისლს და ჯანღს მოარღვევს, გვილიმის ღვთაებრივი ღიმილით, გვიწვდის ამბროზიით გაპიპინებულ ხის ამოჩუგნულ ჯამს და სამშობლოს ტაძრისაკენ მიმავალ შემწუხრულ გზას გვიჩირაღდნებს.

თბილისი 22 ოქტომბერი, 2000 წელი



მურმან თავდიშვილი

ჩვენი გაცნობა არ ყოფილა მოულოდნელი. სვიმონ სხირტლაძე ვარო, – თქვა და ღიმილიანი, ტკბილი და მძლავრი სალმით ხელი გამომიწოდა: მძიმე, ფართო ხელის მტევანში ჩემი ფერმკრთალი ხელი ჩაბლუჯა, ჩამალა. სარედაქციო, ტიტველ მაგიდას მოუჯდა. ეს სახელი მა'შინ არაფერს მეუბნებოდა, მაგრამ ადამიანურ შეხვედრას – აღტაცებას რომ მოგგვრის – შეუძლებელია, არ მოვეხიბლე.

შემდეგ ხშირად მოდიოდა. თუმცაღა კი მიკვირდა: ჩემში, საკუთარ თავგამოუჩენელ ყმაწვილში, ისეთი რა აღმოაჩინა-მეთქი.

ამას გვიან მივხვდი.

ხომ წარმოგიდგენიათ ასეთი რამ:

რაღაც შეუცნობელი, ძლიერი შემოქმედებითი ძიებებით ჩაგონებული და აფორიაქებული მოქანდაკე რომ გამოსადეგ ლოდს მოინიშნავს სადმე, მერე კი ერთთავად დადის, სინჯავს, ამოწმებს – გამოადგება თუ არა ჩანაფიქრის განსახორციელებლად. და ასე, სულ უფრო და უფრო უხშირებს სიარულს, რადგან რწმუნდება, ეს სწორედ ის უხინჯო მასალაა, რაც სჭირდებოდა შთანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად. ასეთ რაიმეს წარმოვადგენდი მე მისთვის. პატრიოტული გზნებით ანთებული ფიქრობდა – შთაგონება, მამულზე ფიქრი, როგორც მოქანდაკესა და მხატვარს, გადაეცა სხვებისათვის, მომავალთათვის, სხვათა სულებიც გამოეკვერა და გამოექანდაკებინა ისე, როგორც ეს ოცნებაში ეხატებოდა. ამას კი ადამიანური მასალა სჭირდებოდა – გამოსადეგი, მყარი...

მამულის სიყვარულის სიმძიმის ქვეშ რომ არ გაილუნებოდა, ისეთი. ღაჟღაჟა, ჯანმრთელი სახე, წვრილი, სუფთა წყლისფერი თვალები, პატარა, ონავარი ბიჭივით აწითლებული ლოყები ჰქონდა, რაჭა-ლეჩხუმის მთიანეთში, მაღალსა და მაღლიან ჰაერზე მცხოვრებს რომ აქვს, იმგვარი. ოდნავ შეჭიხვინებული ხმა თითქოსდა მისი მოცინარე, მოჟრიამულე თვალების ხმიერი გაგრძელება, ხოლო არლავანისფრად გაპობილი ბაგე – საბოლოო დასურათხატება იყო.

როცა რედაქციის გატიტვლებულ მაგიდასთან ჩამოჯდებოდა, ჯოხს – ყავარჯნად ხმარებულს, სკამის ჯუას მიაყუდებდა, საუბარს იწყებდა აქეთურ-იქითურზე. და ყოველთვის, რითაც უნდა დაეწყო, როგორც ამირანი და ძმანი მისნი, ისევ და ისევ საქართველოს ბედსა და მომავალზე ლაპარაკს უბრუნდებოდა. მის სიტყვებში წარსული და აწმყო, ძველი და ახალი დროის გმირები ერთმანეთთან მჭიდროდ მოდიოდნენ და პატრიოტიზმის წმიდათაწმიდა ხაზზე ერთმანეთის გვერდიგვერდ დგებოდნენ. დაგიხატავდა სწრაფ მდინარეთა რიფ-მეჩეჩიან ჩქერალებს, ტბათა მოსარკულ ზედაპირზე გადარბენილი ჭავლის სილამაზეს, ზღვაურის მომხიბლველობას, მზის სხივზე გაბმული ვაზის სიმშვენიერეს, ცისარტყელას შვიდ ფერში გამოვლებული სიტყვის მაგიურ ძალას გაგრძნობინებდა და სიცხადის სამანიდან ფერად ზმანებათა სამყაროში გადაგიყვანდა.

ჩვეულებრივ, ვისაც რა უყვარს და აინტერესებს, ის მოსწონს, მას სწავლობს და

კარგადაც იცის. სიმონ სხირტლაძე ამის ნათელი მაგალითია. ქართული მჭევრმეტყველების ძირისძირებს ჩამხედარი და ჩაკვირვებული, ეძიებდა და პოვებდა გაუჩინარებულ ქართველ ორატორებს, გამოაცქენდა და გამოარკვევდა მათ ხელიხელ საგოგმანებელ ბროლოვან სიტყვებს, ძარღვიანი მეტყველების ნიმუშებს და, როგორც საკუთარი სულის ნაწილს, ისე განიცდიდა. ეს მეცნიერული სიღრმით აღბეჭდილი გამოკვლევები ხომ დიდფასი საუნჯეა, მაგრამ რომელი გამოკვლევაა შეედრება ქართველ მწერალთა ამ აღიარებული ნებიერის ოქროვარაყიან ფრაზებს, წარმოთქმულს ქართულ სარატორო ხელოვნებაზე, მის წესსა და რიგზე: „ჩვენი ეროვნული მჭევრმეტყველება საქართველოს ჩახჩახა მზის სხივებითაა მოოქროვილ-მოვარაყებული, ცისარტყელას ფერებშია გავლებული; მასში გაისმის და იგრძნობა ლომის გრგვინვა, ვეფხვის შემართება, არწივის ყაშყაში, მტრედის ღუღუნი, იადონის სტვენა-ვალობა, თერგის ყეფა, რიონის ხივილი, მტკვრისა და ალაზნის დუდუნი, მთის ანკარა წყაროთა რაკრაკი, ჩამოვარდნილი წვეთის წკარუნი“.

ფართო და პანორამულია მისი ინტერესების წრე. ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელს თაობათა ურღვევი კავშირი კირ-დულაბივით უძებნია შესასწავლ მასალებში, ერთი მიზნით, საეროვნო განცდებით დაუმუხტაეს ახალგაზრდები და, ამასთან ერთად, იმისთვისაც მოუცლია, რათა საქართველოს კულტურულ-ეთნიკურ „წერილმანებს“ ჩაღრმავებოდა, გამოეძია და უაღრესად საინტერესო წერილები შეექმნა. კვლევის სიღრმითა და განზოგადების ძალით გვხიბლავს წერილები მრავალძალის წმ. გიორგის ტაძარზე, რომელშიც ოდესღაც თურმე დაკიდული ყოფილა „ყანწები ფერად წითელის სისხლივით“, ქართველ თეატრალ ქალთა დასზე, მჭევრმეტყველ დარია ფალავას შესახებ, ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელის თაობაზე; ფართო ერუდიცია ჩანს წერილებში, რომლებიც ეძღვნება ქართულ მწერლობას და მასშტაბები აქაც საგულისხმოა: დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ნაკადი დავით გურამიშვილის პოეზიაში, დავით გურამიშვილის ზნეთსწაულა, მამია გურიელი, უცნობი ფურცლები ვაჟას ფსიქოლოგიური და პედაგოგიური ნააზრევიდან, დანიელ ჭონქაძე, იოსებ გრიშაშვილი და გაბრიელ ქიქოძე, აკაკი მრავალძალში, ილია ჭავჭავაძის ერთი წერილის გამო.. ფართო ნაკითხობა, ჩახვედრილობა და საქმის სიყვარული გამოსჭვივის ყოველ ფრაზაში, ბევრი მკვლევარი ვერ მისწვდება მისი ფრაზის სილაღეს, მოქნილობას, ფერადოვან სტილს. ნალოლიაევე ფრაზას მჭევრმეტყველების ელემენტიც ხშირად გაერევა, როგორც ქვიშას ოქროს მბზინვარე მარცვლები. მაგრამ მისი ქვიშა ნამდვილი ქვიშაა, წყალს რომ გადაიტარებს და თვითონ დარჩება. დარჩება, რათა მშვენიერ არქიტექტურულ ანსამბლთა საძირკველში მოხვდეს. იგი, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ არა ჩანს, მაგრამ ყველამ იცის - მასზეა დაყრდნობილი მთელი ნაგებობა.

ერისკაცობით აღტკინებულს, ბუნებრივია, სწორედ ერისკაცნი, „ძველნი და ახალნი“, მეტად და უფრო იზიდავდა. განსაკუთრებით იყო მოხიბლული სულხან-საბა ორბელიანის ღვთაებრივი ბუნებით, რომელსაც პაეროვანი, სპეტაკი წვერი ქართველთათვის წამებულ წმინდანს უფრო ამსგავსებს, ვიდრე სახელმწიფო მოღვაწეს და უპირველეს ფეოდალ-დიდგვაროვანს. სულხან-საბა რელიგიურ მანტიას ეროვნული მეობის დასანარჩუნებლად საქმიანობაში საჭირო ფარად და მოხერხებულ ჯავშნად იყენებ-

დაო, – ფიქრობს სეიმონ სხირტლაძე და ღრმააზროვან დასკვნას აკეთებს: „ჩაიხედეთ სულხან-საბა ორბელიანის ჩვენთვის საინტერესო, დღემდე გამოუქვეყნებელ ნაშრომებში, შემოაძრეთ მათ რელიგიური მანტია და ნახავთ, რა მხატვრული სახეები აელვარდება თქვენს თვალწინ, ზნეობის რა გამაკეთილშობილებელი მარგალიტები მოიძებნება შიგ, როგორი გოლიათური სული ბორგავს იმ სტრიქონებში, რომელთა მიზანია მაჰმადიანური გარემოცვის მღვრიე ტალღებში მოხვედრილი ქართული ხომალდის ჩაძირვისაგან ხსნა“. აქ მწერლური ფანტაზია კეთილად ერთვის და ეწმახება მეცნიერულ ღრმააზროვნებას. სეიმონ სხირტლაძის წერილი სულხან-საბა ორბელიანზე, რომელიც ამკობს მის მშვენიერ წიგნს „გადანახული საგანძურიდან“, კიდევ ერთხელ ღრმად დაგვაფიქრებს სულხან-საბას ბუმბერაზ ადგილსა და როლზე ქართველი ერის ცხოვრებაში და კიდევ უფრო გვიმტკიცებს ამ რწმენას: სულხან-საბა გვაგონებს ნოეს კიდობნიდან გაშვებულ ფრინველს, რომელმაც ვერ მიაგნო, ვერ აღმოაჩინა დასაჯდომი ხმელეთი, მყუდრო ნავსაყუდელი და უნაყოფო ფრთხიალით დაღლილი ისევ მშობლიურ კიდობანზე დაეშვა სასოწარკვეთილი.

სიმონ სხირტლაძე ფართო თვალსაწიერით მიმოიხილავს საბას „სწავლანს“ , მის კოსმოგონიას, აზრს ხელოვნებაზე, რელიგიას, დიდაქტიკას და ყველაფერ ამას ისე ცხადად, თვალსაჩინოდ ხედავს და გვიჩვენებს, გვიხსნის, გვათვალიერებინებს, როგორც ლამაზად მორთულ და კეთილმოწყობილ ბინას გულღია და პურადი მასპინძელი.

ქართული მატერიალური კულტურის ძეგლთა დაუძინებელი მოყვარისა და დაუღლელი მკვლევრის ცხელი ოფლი ხშირად მოუწმენდია. ნიკორწმინდის ჩრდილში ეძებდა საეროვნო სიტყვებს, მის ჩუქურთმებში სწავლობდა და კითხულობდა ქართულ ხასიათს. ძეგლთა პრაქტიკულად შემსწავლელს ხელეწიფებოდა ზუსტი და საღი თვალსაზრისის განვითარება; ეროვნული კულტურის ირგვლივ. პირდაპირ აფორიზმად არის ცნობილი მისი გამოთქმა: „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები თვით ნანგრევებშიც ინახავენ პროპორციათა სილამაზესა და ჰარმონიულობას“.

მის ფანტაზიას არ ეძნელებოდა, სისათუთესთან შეეწყვილებინა და შეეჯუფთებინა სიმკაცრე და სისასტიკე, თუ კი საქმე ეროვნულს ეხებოდა. „ჭეშმარიტად საოცარია, რომ ხშირად ჩვენს ფრესკებზე გამოსახული უწყინარი ანგელოზებიც კი მახვილით ხელში მტრის შესამუსრავად არიან შემართულნი“.

ძალზე უყვარდა ქართველი ებრაელობა, საშინლად სძაგდა არაბები და ვერ იტანდა დიდმპყრობელურ შოვინიზმს. ქართულ სკოლას ზედმიწევნით იცნობდა და კარგად უწყოდა, რომ ებრაელები ქართულ სკოლებში აბარებდნენ ბავშვებს, ადვილად ეთვისებოდნენ ქართველობას და განსაკუთრებით იმას უფასებდა მათ, რომ ისტორიის ქარტეხილიან გზებზე არ ყოფილა შემთხვევა, საქართველოსათვის ეღალატოთ.

ბევრ სახელოვან ადამიანთან შეიძლებოდა მისი შეტოლება. სულ უპირველესი ნიჭისა და გაქანების, ფართო ამპლუის მეცნიერებსა და გამოჩენილ პოეტ-აკადემიკოსებთან, იმათთან, რომლებმაც უმაღლეს ჩინსა და წოდებებს მიაღწიეს. მაგრამ იგი შეუდარებელია – ერთი მხრივ. ბევრი იმათგანი, სხვა დიდი ერების წარმომადგენელთა მიზიდულობის ორბიტში მოქცეული და მოხვედრილი, კარგავდა ქართველობის რაღაც ნაწილს, ელემენტს... ამ მხრივ სეიმონ სხირტლაძე თეთრულდივით მიუკარებელი და სუფთა იყო

ყველაფერმა ამან, რაზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, ერთი ცხოვრების აზრი დასივრცა, მაგრამ სვიმონ სხირტლაძე მრავალფერი ცხოვრებით ცხოვრობდა: მასწავლებლის, მჭევრმეტყველის, მკვლევარის და ბოლოს, ასე გასინჯეთ, ნაფიცი თამადის არანაკლებ საინტერესო ცხოვრებითაც.

საქართველოში, სადაც ასე სრულყოფილად არის შესწავლილი და უკიდურესობამდეა დახვეწილი სათამადო ხელოვნება, მაგიდის ესთეტიკა, უეჭველია, პირველობისათვის კონკურენცია გაძნელებულია. ამ საინტერესო შეკიბრებაში ივი, უდავოა, პირველობას ინარჩუნებს. მის ბრწყინვალე სიტყვებში ხომ ერთიანური ძარღვი ძგერს, ქართველი კაცის ბუნება იღვიძებს, იზმორება და ძალამოცემული განაგრძობს სიცოცხლეს, განვითარებას. აქაც ხომ წითელ ღვინოსავით მორაკრაკებს ჯიშიერი ქართულის მღინარე-ნაკადულები, სადაც თამადის ბოხი ხმა დედამიწინარის დუდუნს წააგავს, წყერშეპარებული ჭაბუკების მყივანა ხმები – მორაკრაკე ღელეებს, ქალწულთა ვერცხლგარეული კრინი – მოწკრიალე ნაკადულებს. და ყველაფერ ამას ხომ ისევ და ისევ უხვი ტრაპეზის მოყვარული თამადის შეჭიხვინებული ხმა და ვრცელი სული, როგორც ფესვები მიწას, ისე აკოწიწებს, აერთებს, აკავშირებს, ერთ მასად ადულაბებს და ერთიან ტკივილად გარდაქმნის, ეროვნულ რეგისტრში აჰყავს. ასეთი ატმოსფერო ფრიად დამახასიათებელია ქართული სუფრისათვის, მისი ესთეტიკური სახისათვის და, ბუნებრივია, სიმონ სხირტლაძე უხვად და ნიჭიერად სარგებლობდა ამ ნოყიერი ნიადაგით ქართული სუფრის მშვენიერ ესთეტიკურ ფონზე ივი მთელ თავის მჭევრობის უნარს აველენდა, ფანტაზიას ფიცხლავ ამოძრაებდა და, მისივე თქმით, ისეთ სადღეგრძელოს იტყოდა, ბულბულს დასვამდა ჭიქაზე (ამ სიტყვებმა შემდეგ გიორგი შატბერაშვილს ლექსი დააწერინა).

ივი მაგიდასთან მჯდარიც „მჭევრობის ახალ-ახალ მარგალიტებს გააბრწყინებდა, აქაც პედაგოგად რჩებოდა და, თითქოს გაკვეთილებს გვიტარებსო, გარინდული მრევლის სულსა და გულში ასე თამაშ-თამაშით უმაღლეს იდეალებს ნერგავდა". ამაზე თქვა ერთმა პოეტმა – „სუფრა ჰგავდა პარლამენტს, ჰგავდა აკადემიას" – და ეს სიტყვები სწორედ რომ სიმონ სხირტლაძის სათამადო ხელოვნებაზეა უპრიანი. მაგრამ ამ „პარლამენტისა" და „აკადემიისაგან" შორს იყო სნობიზმი და ქედმაღლური თავის დაჭერა, უშუალობის ატმოსფეროს რომ ნთქავს. საამისო ტონს კი თვით სუფრის „აკადემიკოსი" იძლეოდა.

მის პიროვნულ, სახასიათო შტრიხს ზედმიწევნით გადმოგვცემს ეს შემთხვევაც:

„ქორწილის თამადა გათენებისას რუსთაველზე სპასალარივით მოაბიჯებს, ხელჯოხს მოათამაშებს – ხალხი მიჰფინ-მოჰფინა, თავი ამაყად აუწევია, ქვეყნიერებას შეჰხარის.

– ბატონო სიმონ! შარვლის ტოტი გაგსვრიათ! – შეჰლიმის ნამოწაფარი.

სიმონი შედგა. უკმაყოფილო წარბი შეჰკრა. შარვალი მაინც ჩაიბერტყა, მერე ხელჯოხიანი მარჯვენა მაღლა ასწია, თვალი თვალში გაუყარა და დამოძღვრა:

– ფეხებში კი არა, ვაჟკაცს შუბლში უნდა უყურო, ჩემო ჯუანშერ!

გაიცინა და გზა განაგრძო..."

ყველაფერი კარგი, რაც ქართულ ზნეობას, ყოფას, ჩვეულებათა წიაღ შეუმუ-

შაუებია და ტრადიციად უქცევია, სიმონ სხირტლაძის თამადობისას ყვავილებად იშლებოდა მაგიდაზე, იფურჩქნებოდა და ესთეტიკური ან კოლორიტული კუთხით წარმოდგებოდა დამსწრეთა წინაშე. და ამრიგად, ერთი მხრივ, ჭკუისსასწაულს, ხოლო, მეორე მხრივ, სასიამოვნოს მესაძე – წარსულის ცხადი და ქვეცნობიერი მოგონებაც ემატებოდა.

ათასში ერთხელ, შესაფერის წრეში მოქცეულს, ახალგაზრდულ ანგლობასა და გარდასული დროის პატარ-პატარა ფლირტებზე თავგასართობი საუბარიც შეიყოლიებდა, თვალები უცნაური შუქით აევსებოდა და ლოყებზე ეშმაკური ჭუტები გატეხილი ღიმილივით მიმოებნეოდა.

და მაინც, საბოლოოდ ყველაფერი ნისლივით ილექებოდა, იფანტებოდა და ერთი ქათქათა, შორეული ტაძარი ენაკეთებოდა სახედველის წინაშე – მის თანადროულობაში ეროვნების მთავარი ნიშნის – ქართული ენის არქიტექტურული ანსამბლი. ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ძლიერ უყვარდა ერთი ადგილის მოგონება იოანე-ზოსიმეს თხზულება-ქადაგებიდან „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა... და ესე ენაი მძინარე არს დღესამომდე... ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს.

... ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის მას მეორეს მოსვლისა უფლისასა...“ ამ ტირადას იგი ისეთი გზნებით, გატაცებით წარმოთქვამდა, ისე თავისად გამოხატავდა, რომ ბევრს, ვისაც ქადაგების ავტორის ვინაობა არ სცოდნია, უკითხავს – ეს რა კარგი რამ შეუთხზავს, რატომ ახალი ქართულით არ დაუწერიაო.

ვინ იცის, რამდენ სიტყვას კბილი გაუსინჯა, სიმტკიცე და ფხიანობა შეუმოწმა ბერის მანტიაში გამოხვეულმა ოქროპირმა, სანამ „ქებასა და დიდებას“ დაწერდა. მაგრამ ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ასეთი უკვდავი სიტყვები ერთი ხელისმოსმით არ ჩარიგდებიან ფრაზაში, არ მიიტაცებენ სულისა და სისხლის ნაწილს. ამგვარივე რუდუნებით, წვითა და დაგვით არის შექმნილი სიმონ სხირტლაძის მიერ აღვლენილი ქება და დიდება ქართული მჭევრმეტყველებისა – როგორც თეორიული გამონათქვამები და შეფასებანი, ისე მისი პრაქტიკული ღვაწლიც. და ვის შეუძლია უარყოს, რომ სიმონ სხირტლაძე საუკუნეთა წიაღ მიკარგული ბერის – იოანე ზოსიმეს ხელახალი დაბადება-მოვლინება არ იყო?! მაგრამ, სამწუხაროდ, ისიც სინამდვილეა, რომ მისი გახუნებული ლომის ფაფარი სიმშვიდისა და უძრაობის გაყინულ თეთრ ვარდებშია გაცელილი, ასე ფაქიზად რომ გამოხატა ჯანსულ ჩარკვიანმა „სიზმარში“:

ნაპირს სცემდნენ მწუხარების ქარიშხლები,
მრავალძლიდან წასაყვანად მოდენილნი.
მე ვუკრავდი.
ხოლო უხმო კლავიშები,
ფსკერზე იწვნენ.

ფსკერზე იწვნენ ლოდებივით.
შენ ეძებდი ნიკორწმინდას ტალახებში,
შენ ეძებდი თასის ფსკერზე
ქართველის ცრემლებს.
ჩვენ ვმღეროდით მზის და მთვარის სასახლეში,
სად ზნეობას და კაცობას პატივს სცემენ.
სიკვდილიც რომ ჭიქასავით დაგიცლია.
ახლა ფაფარს.
გახუნებულ ლომის ფაფარს,
თეთრი ვარდის სიმშვიდეში გაგიცელიან.
გამახსენე,
შენი თავი ვინ მომიკლა,
დამასიზმრე,
შორი გზა და ბალდახინი,
ბატონყმობა გამახსენე, სიმონიკა,
ზურგ ზე ყანწი გადმიჭირე, მათრახივით.
გამეღვიძა,
ქართლის რძიან ბალახებში
გამეღვიძა
ახალ მთვარით, ახალ ლექსით.
ისევ ვმღერით მზის და მთვარის სასახლეში,
ვმღერით, მაგრამ
ერთმანეთის აღარ გვესმის.

დასანანია, რომ მართლაც აღარ გვესმის მისი ხმა, მაგრამ სამაგიეროდ კარგად და გამორჩევით კი ვხედავთ. საკვირველი თვისება ჰქონდა ამ კაცს - რომელი მხრიდანაც უნდა შეგეხედათ, მუდამ სვიმონ სხირტლაძედ – კაცობისა და ნამუსის ეტალონად რჩებოდა და დღესაც არ მოჰკლებია ეს ნიჭი.

აქედან რომ გაეცქერით, ისევ იმხელა, დაუპატარავებელი და დაუსუსტებელი, მძლავრი დგას ჩვენს წინაშე სამჭევრმეტყველოდ შემართული – არლავანისფრად გაპობილი ბაგით.

2000 წ.

ქალა სიტყვისა

თამაზ კვაჭანტირაძე

და აქუნდა მას სიტყვაი გამოჩინებული..,
და იტყოდა სიტყუასა სულიერებისსა.
ცხოვრებაი სვიმეონ მესვეტისაი

კინოში, ალბათ ბევრს გინახავთ საკორიდე ხარ-მოზვერები ბნელიდან რომ გამოიჭრებიან განათებულ არენაზე ერთადერთი სურვილით – იბუღრაონ ერჩოლონ ურქინონ... ჩვენც მესამოცე სკოლის მეცხრეკლასელებს ზუსტად ასეთივე განცდა გვეუფლებოდა გეოგრაფიის გაკვეთილის შემდეგ – მასწავლებლის ზარდამცემი კივილისა და ჟურნალში მამალი ორიანის შიშით გათანგულები ციურ მანანასავით ველოდით გამოსვლის ზარს... და როგორც ზამბარა გაიშალოს წუილით – კლასშიც ყველა და ყველაფერი ყალყზე დგებოდა... ორიოდ გოგო თუ ასწრებდა კარში გასხლტომას დანარჩენები შიშით მიიკუნჭებოდნენ ერთ კუთხეში – მაშინვე იწყებოდა „ჩანთებით ბოი" – ასე ეძახდით უპრიმიტიულეს ბრძოლა-თამაშს: ოცდახუთი საკორიდე მოზვერი – თითოეული ცალ-ცალკე და ყველა ერთად – ერთმანეთს ეუშენდით ჩანთებს განურჩევლად იმისა ჩვენი იყო თუ სხვისი... ბევრი ჩანთა ვერ უძლებდა ასეთ დატვირთვას და ჰაერში მათთან ერთად დაფრიალებდა წიგნები რვეულები სახაზავები რეისფედერები „კედები" „ტაპოჩკები"... ცხადია ეს ყოველივე „დაისის" უვერტიურის ფონზე არ ხდებოდა პირიდან გაცილებით უფრო მაჟორული ჰანგები ამოგვდიოდა – ბლავილი კივილი ჭიხვინი წკმუტუნი ღრიალი ყროყინი სტვენა – მოკლედ თავი საკლასო ოთახში კი არა ნოეს კიდობანში გეგონებოდათ ყველაზე ძლიერი შტორმის დროს.

იმ წელს გოგოები შემოგვიერთეს და ჩვენს თამაშს სიფიცხე მიემატა. ერთ დღესაც ამგვარ გართობაში რომ ვართ და თანაც გვიხარია – ქართული უკვე ერთი კვირაა გვიცდება და ბრძოლას კიდევ ორმოცდახუთ წუთს გავაგრძელებთო უცებ შევნიშნეთ – დაფის წინ ვიღაც უცნობი იდგა. გაკვეთილი ცდებოდა არავის ველოდით ჩვენი საქმით ვიყავით სერიოზულად დაკავებული და – ეს კაცი რა ვინ იყო? მისი არც შემოსელა გაგვიგია... უცნობი ჯობსდაყრდნობილი იდგა და საკმაო ინტერესით ადევნებდა თვალს ჩვენს საქმიანობას. ზორბა კაცი ჩანდა ნოღა ცხვირითა და ირიბად აჭრილი თვალის კილოებით; ყბიდან ყბამდე ნიკაპის ამოყოლებით ნახანჯლარივით ეკვლებოდა ღრმა ნაოჭი ნაოჭი კი არა – უფრო ღარი ეთქმოდა. უკმაყოფილონი წელათრევით დავიძარით ჩვენ-ჩვენი მერხისაკენ და როცა ყაყანი სტაბილურ ზუზუნში გადაიზარდა უცნობმა ხელჯოხით მისწი-მოსწია მის წინ მიმოფანტული ჩანთები – თითქოს არენა მოისუფთავაო – და გვითხრა:

– ყმაწვილებო ილიაზე ვილაპარაკებ.

ეს პაროლსა ჰგავდა განდობილები რომ ეუბნებიან ერთმანეთს. თანაც ასე არავის მოუმართავს ჩვენთვის... არანაირი „მხეცებო" „ნადირებო" „მუტრუკებო" არ გაგვაკეირვებდა ისე როგორც ეს უწყინარი „ყმაწვილებო" მაგრამ მარტო ეს არ ყოფილა

იმის მიზეზი რომ ორი წინადადების მერე ხმაური მინელებულიყო ხუთის მერე – შემწყდარიყო ათის მერე კი სამარისებური დუმილი მხოლოდ უცნობის ძალუმი ფილტვებიდან უწყვეტ ნაკადად ამოტანილ ხმასლა დაერღვია. მიხვდი ის გახლდათ რომ უცნობის ხმა ამ პირველი ათი წინადადების შემდეგ რაღაც ასწავლიდით თითქოს თანდათან სურათებად იქცა: ჩვენ ვხედავდით და ძალიან ნათლადაც ვხედავდით – ისე როგორც ეკრანზე – პატარა ბუთხუზა ილიკოს შშობლებსა და და-ძმებს ტახტზე რომ მუთაქასავით გაუგორებიათ ზედ ქეება წიგნი გადაუშლიათ და გვესმოდა კიდეც ბებურიშვილის ქალის მაგდას ხმა – ,,არაბეთს გასცა ბრძანება ღიდმან არაბთა მპყრობელმან"... ვეფხისტყაოსანმიყრდნობილი ცოცხალი მუთაქა კი გატრუსულა თითქოს რაღაცით კმაყოფილიცა და ნაწყენიც ერთსა და იმავე დროს... მერე დავინახეთ ეს ქალი კუბოში და პატარა ილიკო მამისხელჩაბღუჯული... მერე ვხედავდით სევდისგან დამუნჯებულ გრიგოლს ილიკოს მამას მამიდა მაკრინეს ტკბილად ჩაძინებული ყანის მუშების სუნთქვას მიყურადებულ ბავშვს მერე – უკვე ყრმას ყვარლის მთებს ზემოთ მოცქირალს და მობუტბუტეს – ,,თქვენ ჩემთან იყვით... თქვენ ჩემთან იყვით"... ვხედავდით ჩრდილოეთის დაუსრულებელი ღამის გამტეხ სტუდენტს სანთლის შუქზე განაცრებული სახით რომ კითხულობს სანუკვარი ხელნაწერი რვეულიდან – ,,და ჩემს შემდგომად სიძნელე გზისა მოძმესა ჩემსა გაუადვილდეს"... დავინახეთ როგორ ანაზდად მოზიდა ცხენს ლაგამი ჭაბუკმა და გაჩერდა – ტეინში დაკრა და ხერხემალში გაუარა მეგზური მოხევის სიტყვებმა ,,ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდვნეს"... ვხედავდით თვალებანთებულ ახალგაზრდა რედაქტორს კალმის მტკიცე მოსმით რომ გამოჰყავს: ,,ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია"... დავინახეთ ფოთოლივით მოცახცახე ოლიკო გურამიშვილი უცხო თვალისგან ნამალავად რომ კითხულობს ბარათს: ,,შენი კი ჭირიმე ოლიკო! როდესაც შენ ვერა გნახამ ის დღე ჩემთვის დაკარგულია მითამ არც კი გათენებულა"... დავინახეთ ცეცხლისმფრქვეველი პირიდან ამოთქმული ფიცი – ,,მარად და ყველგან, საქართველოვ მე ვარ შენთანა" დავინახეთ ქართული დროშის ხილვისას ცრემლმოწოლილი მაყურებელი ,,სამშობლოს" ავტორი ატატებული რომ გამოჰყავს თეატრიდან და კიდეც მოგვესმა მჭახე ლაწანი – ეს ლირფი კატკოვის ყბაზე ალიბეჭდა ილიას ლომივით ტორი: ,,გაცვეთილი კაცისაგან ყველაფერი მოსალოდნელია მაგრამ ეგრე უკადრისად ხსენებას მისი რასაც ყოველი პატიოსანი კაცი ყოველი ერი თაყვანსა სცემს როგორც ემბლემას ერის პატიოსნებისას არ ვიცით რა სახელი დავარქვათ და მისი ეგრეთ მომხსენებელი რა სულიერებში შევრაცხოთ!" ვხედავდით განდობილთა სერობას ხუთშაბათობა დღეს ილიას ბინაზე – მასპინძელს საქართველოს მაჯა ეჭირა და ,,მის გულისფეთქვას ყურს უგდებდა სულგანაბული"... ყველაფერი დავინახეთ ყველაფერს მოვუსმინეთ და აი აგვისტოს ერთ ჩამოხუთულ დღეს ჩვენც გავყევით ეტლს საგურამოსკენ ჩვენც შევჩერდით არაგვის პირად და დავინახეთ ეტლიდან გადმოსული მოხუცი მჭშუნვარე სახით ბოლთის მცემელი მერე ეტლში რომ ჩაჯდა და – გარეკეო – მტკიცე ხმით უთხრა მეეტლეს. დაეინახეთ უკეთური თვალი თოფის სანიშნეზე საქართველო რომ დაესვა და ჩვენც დაგვზაფრა შავი ტყიდან ,,ბერდანკის" გამოქუხებამ... დავინახეთ როგორ წამოიმართა მოხუცი ეტლში – რას სჩადით ილია

ვარო – დაიძახა და ნაგანიც შემართა. ისევ დაიქუხა „ბერდანკამ" და ჩვენ თვალებზე ნისლგადაკრულები უკვე ველარაფერს ვხედავდით მხოლოდ გვესმოდა შლიგინი ცხენების ჭიხვინი ყრუ ბაგუნი ამოკვნესა და უცნაური ტკაცანი კონდახდაკრულმა შუბლისძვალმა რომ გაიღო... მერე სისხლში ამოთხვრილი მტვერსა და მიწაში აზელილი მოხუცი კნეინა იხვეწებოდა: „აგვიყვანეთ წაგვიყვანეთ მითამ საყდარი აგიგიათ"... მერე სიონის ზარების გუგუნი მოგვესმა დავინახეთ ჩალეწილ შუბლზე მუხისფოთოლდაფენილი ცხედარი მის წინ დაჩოქილი საქართველო... ვხედავდით როგორ წამოიტიტიგა კუბო ხალხის მდინარემ დავინახეთ მხრებში შემდგარმა ორმა ახალგაზრდამ როგორ მოაყენა აივანს აცახცახებული მოხუცი აკაკი და სამარისებურ სიჩუმეში როგორ დაირხა: „თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია" – და ექოსავით რამდენჯერმე გამეორდა – საქართველოს სიკვდილი არ უწერია... სიკვდილი არ უწერია... სიკვდილი არ უწერია... არ უწერია...

ანაზდეულმა სიჩუმემ კლასში დაგვაბრუნა. ხელჯოხიანი უკვე გასულიყო კლასიდან... ნელ-ნელა ვიღვიძებდით...

– ეს ვინ იყო, ტო? – პირველი დათო ხოშტარია გამოერკვა.

ვინ იყო, არავინ ვიცოდით. იმას კი ვხედავდით რომ რაღაც უჩვეულო ხდებოდა. გურამ კვინიკაძე რომელსაც, ფიწალი რომ გეძგერებინა თვალს ვერ დაახამხამებინებდი რაღაც საეჭვოდ ქსუტუნებდა და თვალებს იჭყურტნიდა. უფრო გულჩვილ ოემურ გეგენავას ნიკაპზე ესკვნებოდა ცრემლი... გოგოებისკენ ხომ გახედვაც არ ღირდა. არც მე გახლდით მაინცდამაინც აზიზი და მგრძნობიარე მაგრამ რატომღაც იმ დასვენებაზე ალარ ვინდომე, უსიამოვნო საუბარი გამეგრძელებინა პარალელური კლასის ერთ ენაჭარტალა გოგოსთან...

დასვენებაზე ჩვენი კლასიდან გამოვარდნილმა დუმილმა ეტყობა სამასწავლებლოშიც შეაღწია და ჩვენი დამრიგებელი პატივცემული თამარა ჟღენტი დაფეთებული შემოვარდა – ალბათ, შატალოზე გაიპარნენო... მთელი კლასი გაუნძრევლად ვისხედით...

– რა მოხდა მოკედა ვინმე?..

ვუთხარით რაც მოხდა.

– დამავიწყდა, გამეფრთხილებინეთ – ქსენია მასწავლებელი პენსიაზე გადის. თქვენ ხომ ყველაფერში ილბალი გაქვთ – დღეიდან ბატონი სიმონი გასწავლით.

ამის შემდეგ ბატონი სიმონი (სხვათა შორის მასწავლებელს რომ თავისი კოლეგისათვის ასე ეწოდებინოს ესეც პირველად მაშინ მოვისმინეთ), ანუ სიმონ სხირტლაძე ორ წელიწადს გვასწავლიდა და გინდ დამიჯერეთ გინდ არა მისი ყოველი გაკვეთილი უფრო სწორად საუბარი მახსოვს... ამას ჩემი მეხსიერების განსაკუთრებულ ღირსებად ნუ მიიჩნევთ ყველას მთელ კლასს გვახსოვს. ერთადერთი გაკვეთილის თემას ვერ ვიხსენებ და იმაზეც ქვემოთ მოგახსენებთ – რატომაც. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა – ოცდახუთი წლის წინანდელ ამბავს გიყვებით – ბევრი ოქროპირისთვის მომისმენია მათ შორის ბიძინა ბარათაშვილისა და თვით შალვა ნუცუბიძისათვის მაგრამ ასეთი გამაოგნებელი შთაბეჭდილება არავის მოუხდენია... შეიძლება ვინმემ იფიქროს თუ კაცს ენა და გონება უჭრის რა უნდა 15-16 წლის ყმაწვილების ხელში დაჭე-

რას სიტყვით მათ „დაბმასო“. არადა ასე მგონია რომ ბაღშის „დაბმა-გაცურება“ გაცილებით უფრო ძნელია ვიდრე უფროსისა: გაუცვეთელი კანითა და ნერვით ყმაწვილები უფრო ადვილად „იჭერენ“ სხვათაგან მოძღვნარე ყოველგვარ იმპულსს ყოველგვარ სიყალბეს. ჩვენს ახალ მასწავლებელს იმიტომაც „დაკმაყოფილებით“ რომ მას ეს აზრადაც არ მოსვლია. მოსწავლე უტყუარად გრძნობს, რა არის ალალი ნაღდი ხალასი და რა – ნაწვალებ-გამოტანჯული წინასწარ დაგეგმილი გათამაშებული. სიმონის, როგორც მასწავლებლის, მოუგერიებელი ხიბლის გასაღები შესაძლოა ისიც გახლდათ რომ მას რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ჰქონდა ჩვენთან ზიარი – სულის სიყმაწვილე. ამიტომ ვიგრძენით ამ ყოლისმცოდნე და მაღლადმხედ კაცში მარადი ბავშვი ჩვენი კბილა: ცოტა გულუბრყვილოც ცოტა წინდაუხედავიც ცოტა ეშმაკიც ცოტა უმართავიც... რას მოიმოქმედებდა რას იტყოდა – ამის წინასწარი ამოცნობა ისევე შეუძლებელი იყო როგორც ჩვენი საქციელისა. ამიტომ ახალი მასწავლებელი ყველამ ჩვენს მარაქას მივათვალეთ; მოსწავლის ცნობიერებაში ხომ ყოველთვის არის მკვეთრად გამიჯნულ-დაპირისპირებული ორი „კასტა“ – ჩვენ და ისინი მოსწავლეები და მასწავლებლები. ზოგიერთი მასწავლებელი ცდილობს, სიყვარულისა და ნდობის მოსაპოვებლად მოსწავლეთა „კასტას“ მიეტმასნოს... საკალალო წინდაუხედაობაა: მოსწავლე ყველაზე ნაკლებად ამგვარ მასწავლებელს სცემს პატივს და ხშირად დაუნდობლადაც ექცევა. სამაგიეროდ ღრმა და გამჭვანი სიყვარულით უყვარს იგი ვისაც თვითონ მიიჩნევს „განდობილად“. სიმონ სხირტლაძე ჩვენი „განდობილი“ იყო უფრო სწორად ჩვენ აღმოვჩნდით მისი „განდობილები“. ამით ახალ მასწავლებელსა და მის კოლეგათა შორის არ გაჩენილა რაიმე თუნდაც იოტისოდენა ბზარი. მოგეხსენებათ სკოლა სამწუხაროდ არც ახლა და არც მაშინ გახლდათ დაზღვეული პედაგოგთა კინკლაობის ქიშპობისა და არაკოლეგიალობისაგან. მით უფრო საცნაურია რომ სიმონ სხირტლაძისა არც ერთ მის კოლეგას არასოდეს არ შურდა; არავის არასდროს გადაკრულადაც კი არ უთქვამს მისი ძვირი. წესით თუ ვინმესი უნდა შეშურებოდათ სწორედ მისი: მასავით არავინ გვიყვარდა მასავით არავის ეუჯერებდით მასავით მოწიწებით არავის ვექცეოდით სკოლაში არავის შეუნდობდა ხელმძღვანელობა იმას რასაც მას... მაგრამ სიმონი იმდენად ერთადერთი იყო იმდენად განსაკუთრებული რომ შურს აზრი ეკარგებოდა – შემინდეთ უზუსტო ანალოგიისათვის მაგრამ განა შეიძლება რომელიმე ქართველ პოეტს რაოდენ გამორჩეულიც უნდა იყოს იგი რუსთაველისა შეშურდეს?

ერთ ფაქტს მოგახსენებთ ოღონდ ეს მერე ჩვენი სკოლიდან გადასელის შემდეგ მომხდარა: სიმონ სხირტლაძე ფიზიკა-მათემატიკურ ინტერნატში მიიწვიეს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ამ სკოლაში მათემატიკური ნიჭისა და მიდრეკილების ყმაწვილებს მოუყარეს თავი მთელი რესპუბლიკიდან. ინტერნატელებს ძილშიაც მათემატიკა აბოლებდათ და სიმონ სხირტლაძეს აქ ფრთები მისთვის ჩვეული ეშხით თითქოსდა ვერ უნდა გაეშალა. პირველსავე შესვლაზე შეხუთრებია მეათეკლასელებს: – ყმაწვილებო აქ იმიტომ შემოველი რომ თავებიდან იქს-კვაღრატები გამოგიბერტყოთო – და გალაკტიონზე დაუწყია ლაპარაკი. გავიდა გაკვეთილი დაირეკა ზარი მაგრამ მერხზე არავინ გატოკებულა და სიმონსაც გაუგრძელებია სიტყვა. დაირე-

კა შესელის ზარიც და როცა სიმონ სხირტლაძემ გამოაცხადა – დანარჩენზე ხვალ ვილაპარაკოთო მთელი კლასი თითქოსდა ვიღაც უჩინარის ბრძანებით ფეხზე წამოიჭრა წინა ორ მერხს ხელი სტაცა კარს მიადგა ოთხნი იქვე დასხდნენ დანარჩენებმა თავიანთი ადგილები დაიკავეს და ცოტა არ იყოს შემცბარ სიმონს გამოუცხადეს – რომც გაგვრიცხონ ახლა ვერც თქვენ გაგიშვებთ და ვერც სხვა მასწავლებელს შემოუშვებთო გეხვეწებით გააჩერეთ გაკვეთილიო.

მოსწავლის თვალს არაფერი გამოეპარება-მეთქი... მიუხედავად იმისა რომ სიმონ სხირტლაძის გაკვეთილებზე გონებამახვილობის ხუმრობის ენამოსწრებულობის ფეიერვერკი იფრქვეოდა მიუხედავად იმისა რომ ამ დროს ჩვენი კლასიდან შიგადაშიგ ისეთი სიცილი გამოიქუხებდა ხოლმე რომ თავის კაბინეტში ჩათვლემილ ჩვენს კეთილ დირექტორსაც კი (ასე ვეძახდით – „დობრი") ფეხზე წამოახტუნებდა მიუხედავად იმისა რომ არც სკოლაში და არც გარეთ ქუჩაში სიმონ სხირტლაძე მოსწავლეებს თითქმის არასოდეს გვინახავს მარტო – მუდამ გარს ასაბია ეხვია – მაინც ვგრძნობდით რომ ამ კაცს ბედნიერი არ ეთქმოდა... ბედნიერი კი არა მის ირიბად აჭრილ თვალებში ზოგჯერ იმხელა სევდა დამილანდავს რომ დავზაფრულვარ. ოჯახური ცხოვრების მოუწყობლობაზე ფიქრიც ზედმეტი იყო – მთელი კლასი კარგად ვიცნობდით ჩვენსავე სკოლაში ქიმიის ლაბორანტად მომუშავე მის სათნო მეუღლეს თამარ ჯაფარიძეს ქმარს რომ თვალებში შესციცინებდა და შეუმჩნეველად• სხვათა დაუნახველად ცდილობდა უთქმელად ამოეცნო და შეესრულებინა მისი სურვილი. გოგოები ჰყავდა და – იმათაც კარგად ვიცნობდით ერთ-ერთი იზა ჩვენს პარალელურ კლასში სწავლობდა – მამას აღშერთებდნენ. გარს მუდამ მეგობრები ეხვია – ნაღდი მისანდო მზრუნველი და მოამაგე თანაც ალალი ხალხი უშურველი მისი ფასი რომ იცოდნენ (მარტო პოეტები და მეცნიერები კოლეგები და მხატვარ-მსახიობ-მუსიკოსები კი არა – უბრალო უსახელო უნილბო ხალხი: ხელოსნები გამყიდველები ოფიციანტები გლეხები ზოგჯერ როგორც იტყვიან „ნაზრახი" ბიოგრაფიის მქონე პიროვნებებიც). ეს არ გახლდათ მისი განურჩევლობისა და – როგორც ჩვეულებრივ ქვეყანას მოღებულ ხალხს სჩვევია – ღრმად შენიღბულ-დაფარული შინაგანი გულგრილობის გამოელინება (ამგვარ კაცთათვის ხშირად მეგობრობა ეჩოსა ჰგავს მუდამ ერთი მიმართულებით თავისკენ რომ მიითლის!) – არა უბრალოდ დიდი კაცი იყო დიდი გული ჰქონდა – ბევრს იტკევდა და ბევრსაც აწვდენდა... მაშ რაღა იყო ამ სევდის მიზეზი? სიმონ სხირტლაძე ის მასწავლებელი არ გახლდათ მოსწავლეს მხოლოდ სკოლის დამთავრების მეათე ან მეოცე წლისთავის ბანკეტზე რომ გაგახსენდეს... არ ყოფილა მით უფრო ჩემთვის – ცხოვრების გეზი მიცვალა სხვა მხარეს მიმბარუნა – არა რჩევით არა შეგონებით არა მოქმედებით არამედ ფაქტით რომ ასეთი კაციც შეიძლება არსებობდეს. სკოლის დამთავრების შემდეგაც არ გამიწყვეტია მასთან კავშირი და მერე მის პიროვნებასთან უფრო ახლოს მისულს კიდევ უფრო მიგრძენია ამ კაცის ბუნებაში ღრმად ჩაბუდებული კაშანი. ახლახან მიამბო იზამ მისმა ქალიშვილმა: „მამამ ღამით იცოდა მუშაობა. ზოგჯერ შუაღამეზე შუქი გამაღვიძებდა და ძილი გამიტყდებოდა ფეხაკრეფით წამოვდგებოდი და მამას ოთახში შევიხედავდი – კითხულობდა ან წერდა. ასეთ დროს ყველაფერს ეთიშებოდა. რამდენჯერ მინახავს ხელში კალამი გა-

უშეშდებოდა თავს გადაიგდებდა თითქოს მაღლა ვიღაცას თვალი გაუშტერაო და – გადმოასკდებოდა ცრემლი...“ რა ატირებდა სიმონ სხირტლაძეს სხვათაგან მალულად რატომ იღვრებოდა ცრემლებად ეს უშტკიცესი სულის ვაჟკაცი? მიფიქრია ამაზე მიზეზებიც მიმხრეკია და იმ დასკვნამდე მივსულვარ რომ თვითონ ცხოვრებაა „ორგემაგე“ და თუ ცალფად ნაქსოვი კაცი არა ხარ შეუძლებელია, ამ წუთისოფელში უსაღელოდ იცხოვრო... და თუ ღრმა პიროვნებაცა ხარ მაშინ სიმონ სხირტლაძესავით მოგიწევს მთელი სიცოცხლე მიმოიქცეოდე შვება-სიხარულის ზესკნელსა და სევდა-კაეშნის ქვესკნელს შორის.

სიმონ სხირტლაძის ემოციური სამყაროს ამ პოლუსებს რომ ვუკვირდებოდი თვით კაეშნის უშუალო მიზეზს მის პიროვნულ ყოფაში ცხოვრების წესში ვეძებდი. ხან მეგონა (ვინ იცის იქნებ არცთუ სავსებით უსაფუძვლოდ) რომ იგი თავისი სულიერი სწრაფვისა და მოწოდების განუხორციელებლობის საკუთარ შესაძლებლობათა გამოუვლენლობის ან სულაც – უანგარიშო და შეუბრალებელი უწყალო ხარჯვა-ფანტვის სევდას შეეპყრო; მართლაც ვინ იყო იგი თავისი უშინაგანესი არსით? განუხორციელებელი პოეტი? თუ განუხორციელებელი მეცნიერი? უდავო ის გახლდათ – და ამას ჯერ კიდევ სკოლაში ვხვდებოდით 15-16 წლის გოგო-ბიჭები რომ ჩვენს მასწავლებელს განსხვავებული მზერა ჰქონდა მოვლენებს უჩვეულოდ აკავშირებდა ერთმანეთთან საგნებს მოულოდნელად აღმოუჩენდა საერთოსა და მსგავსს მოკლედ პოეტურად აზროვნებდა. მან არამარტო უამრავი ლექსი იცოდა მას არამარტო სასწაული მახსოვრობა ჰქონდა მასში არამარტო უწყვეტად ღვიოდა ის რაღაც რაც მუდმივად უფიცხებდა ტვინს და სადღაც ზემოთ ეზიდებოდა ამ თითქოსდა კლდიდან უხეშად მოგლეჯილი ლოდის მსგავს ფიგურას მის თითქმის კვადრატულ მძიმე ტორსს – არა მთავარი სხვა იყო. იგი პოეზიის კანონებით ლაპარაკობდა არა მარტო ლექსად არამედ ჩვეულებრივი პროზით მეტყველების დროსაც. მე მაინცდამაინც მის მჭევრმეტყველებას უყოყმანოდ ამონადენ სიტყვათა ლეგიონს როდი ვგულისხმობ – ესეც ნიჭია მაგრამ არა პოეტური. მეტიც ითქმის ასე დაუძაბავად რომ იტყვიან წყალივით მოლაპარაკე ხალხის ინტელექტუალურ სიღრმეში მუდამ ეჭვი ეპარება კაცს... სულ გგონია რომ რაღაცას – ერთხელ და სამუდამოდ გაზეპირებულს – ამბობენ თანაც ეს ყველაფერი საკუთარი სულიდან არ არის გამოტანჯული. ყოველგვარი ქმნადობა შობა – მათ შორის სიტყვის ფრაზის აზრისა – გარკვეულ ძალისხმევას გულისხმობს – ამიტომ შინაგანი დაძაბულობის გარეშე დინება თითქოს ენერგიას უკარგავს აზრსა და სიტყვას. ცხადია იმას როდი მოგახსენებთ რომ ენაბრკყუ და ენაბრგვილი ხალხი მიმაჩნდეს ინტელექტუალობის ეტალონად მაგრამ ღრმა კაცი ადვილად და ჰაიჰარად ვერ უნდა ლაპარაკობდეს. სიმონი ლაღად მეტყველებდა მაგრამ მის სიტყვასა და ფრაზას წონა ჰქონდა სიმძიმე თქვენ წარმოიდგინეთ ერთგვარი სიუხეშე-სიტლანქეც კი რაც მას ცოცხალ მედინ მფეთქავ არსად აქცევდა... ადვილად მოლაპარაკე ხალხი ხშირად იმეორებს თავის თავს მათი ფრაზის პირველი სიტყვა უკვე გვავარაუდებინებს უკანასკნელს მსმენელს გიქრება მოულოდნელობის გაელვების ძოლოდინი – ესე იგი გიქრება ინტერესიც... სიმონ სხირტლაძე არასოდეს მეორდებოდა. მასაც ჰქონდა ამოჩემებული ზოგი სიტყვა თუ ფრაზა ზოგი შედარება თუ მხატვრული სახე მაგრამ

ყველა დიდი ორატორის მსგავსად შეუცდომლად გრძნობდა სიტუაციას აუდიტორიის განწყობილებას და თვით გაცვეთილ ენობრივ კლიშეებსაც კი ისე მიუსადაგებდა კონკრეტულ სიტუაციას რომ ახლად-ქმნადობის ეფექტს ახდენდა. ალბათ პოეტური ნიჭის ერთ-ერთი ნიშანი ისიც არის რომ პოეტი საკუთარ თავს მუდამ განსხვავებულად იმეორებს.

ჩვენი მასწავლებლის პოეტური უნარი მაშინ სკოლაში უფრო თვალშისაცემი ნიშნებითაც ჩანდა – ყველაფერზე ლექსად მეყსეული რეაგირებით სიტყვათა თამაშით კალამბურებით ცხელ-ცხელი სახუმარო ეპიგრამებით... მთელი ქართული პოეზიის დამტევ ტვინს ცხადია არ უძნელდებოდა სახელდახელოდ გამოეძებნა შესაფერისი რითმა და ლექსად გაეწყო აზრი – არა პოეზიად არამედ ლექსად; ამასაც თავისი ეშხი ჰქონდა ვინაიდან ეს ყველაფერი თქვენს თვალწინ იბადებოდა. სხვათა შორის კაფიის ეფექტიც ძირითადად ეს გახლავთ თორემ სიტუაციიდან ამოგლეჯილი და ქაღალდზე აღდგენილი იგი წყლიდან ამოღებული ზღვის კენჭივით უფერულდება. სიმონ სხირტლაძის ეპიგრამებიც სიტუაციიდან ამორიდებულნი ე. წ. „რითმაჩობად" მოგეჩვენებათ მაგრამ მათ როგორც მეყსეულ სიტყვიერ რეაქციებს საოცარი ხიბლი და იუმორი ახლდა. იმ ღირსსახსოვარ პირველ გაკვეთილზე ჟურნალი და სიის ამოკითხვა არავის არც მქადაგებელსა და არც მსმენელებს არც გაგეხსენებია მაგრამ მერე ახალმა მასწავლებელმა ჩვენი სახელდებით გაცნობა განიზრახა. დაიწყო სიის ამოკითხვა... მესამოცე სკოლაში ვსწავლობდი ვერაზე; ახლა ამ უბანს პრესტიჟულს ეძახიან – აქ ბობოლები ცხოვრობენო. ჩვენს კლასში კი მეტწილად უბრალო ოჯახიშვილები ვსწავლობდით. მით უფრო გაგვიკვირდა და გაგვიხარდა რომ თითქმის ყოველი ჩვენგანის მამას თურმე ჩვენი ახალი მასწავლებელი იცნობდა და ზოგს მეგობრობდა კიდეც...

– კასიანეს ბიჭი ხარ ჩემი კასიანესი? – გაებადრა სახე და უცებ იქვე მიმიბა:

ვენაცვალე კასიანეს
აშრიალებს ასიანებს...
ერთად დასხამს საქეიფოდ
ტენორსა და ბასიანებს...

ასევე რომ იტყვიან თათარიაზნად არის შექმნილი მისი ცნობილი მუნასიბი დუდიზე – საყვარელ შვილიშვილზე ერთი წლის ბიჭუნაზე:

ვენაცვალე დუდის
თაფლის სუნი უდის
ნაპერწკალი მოხვედროდეს
რუსთაველის ქუდის
სიბრალული დაჰყოლოდეს
ჩიტუნების ბუდის...
დაიხსომე დუდი

კაცს ამშვენებს ქუდი
შორით გითვალთვალებს
გ ზა სველი და მრუდი.
არ შეშინდე დუდი
ჩემკენ შემობრუნდი.

პოეტური უნარი სიტყვიერების მასწავლებელს კაცმა რომ თქვას მეტ-ნაკლებად ყველას უნდა მოსდგამდეს... სიმონ სხირტლაძეს ეს უნარი ჭარბად პქონდა მასწავლებლის პირობაზე ალბათ ზედმეტად ჭარბადაც კი... მაგრამ ის რაც მასწავლებლისათვის – თუნდაც სიტყვიერებისა – ჭარბია პოეტობას შესაძლოა ვერ გასწვდეს. თანაც უზადო გემოვნება ლექსის აბსოლუტური გრძნობა რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ პოეტურ შემოქმედებას ზოგჯერ საფრთხედ ექცევა. მით უფრო – თაემოყვარე ამაყ კაცს ვინც ზედმიწევნით და ღრმად სწვდება გენიოსთა კალმის ნაღვაწს; ასეთს სხვებზე უფრო უჭირს საკუთარის გამოჩენა ან რაც უფრო ტრაგიკულია – თავისას უკვე ველარც ქმნის. პოეტს თუ არ ექნა ღრმა შინაგანი რწმენა იმისა რომ რასაც და რაზეც წერს იმას და იმაზე სხვა მისნაირად ვერ დაწერს ის ველარც დაწერს წასაკითხად რაიმე ღირებულს. ცნობილია ხშირად დიდი პოეტები არ სცნობენ და თითქოს ვერც აფასებენ ერთმანეთს. ამგვარ ,,არაობიექტურობაში" ისინი გულწრფელნი არიან: ეს ყბადაღებული – ჩემი სჯობსო – უფრო პოეტური თვითშენახვა-გადარჩენის ინსტინქტის გამოვლინება მგონია ვიღრე – განდიდების მანიით შეპყრობილი ხალხის ,,უცილობლობა". სწორედ ამგვარი ,,უცილობლობისგან" იყო შორს ჩვენი მასწავლებელი. მოკლედ ძნელია იმის განსჯა სიმონ სხირტლაძე განუხორციელებელი პოეტი იყო თუ განსახორციელებელი... რაც არ მომხდარა რაც არ გამოვლენილა იმაზე მსჯელობა მარჩიელობას ემსგავსება... იქნებ მის ბუნებას ყველაზე უფრო მიესადაგებოდეს გიორგი ლეონიძის სიტყვები ,,ნატვრის ხიდან" – ელიოზზე თქმული; ,,პოეტები მხოლოდ ქაღალდზე რითმით მოლაპარაკენი როდი არიან. პოეტური თვალით პოეტური გულით და დიდი ოცნებით გასხივოსნებული სხვაც ბევრი დადის დედამიწაზე..."

ახლა განუხორციელებელ მეცნიერზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა. განუხორციელებელიო რომ ვამბობ დიდ მეცნიერს ვგულისხმობ თორემ უალრესად საინტერესო პედაგოგიურ-ლიტერატურული წერილების ავტორს ცხადია ეს სიტყვა არც მიესადაგება... იმაზეც მიფიქრია აკადემიურ ასპარეზს ჩამოცილება ხომ არ იყო-მეთქი მისი სევდა-კაეშნის მიზეზი? არ მგონია. თუმცა ერთი კი ითქმის: ის ვისაც ეთაყვანებოდა ვისთანაც საოცარ სულიერ ნათესაობას გრძნობდა ვისაც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად ბაძავდა ოქროპირობაში და ვისი უზარმაზარი და დროებით მივიწყებულ-მიჩუმათებული ღვაწლის გაცოცხლება-წარმოჩინება ეწადა ახალგაზრდა ასპირანტს გაბრიელ-დიდი იმერეთის ეპისკოპოსი – ოცდაათიანი წლების დასასრულს და მერმეც კარგა ხანს მავანთა ჭკუის სიმოკლით ქართული მეცნიერებისთვის ლამის პერსონა ნონ ვრატად გამოცხადდა. სიმონ სხირტლაძე ის კაცი არ გახლდათ ვისაც კონიუნქტურა სიყ-

ვარულსა და რწმენაზე ხელს ააღებინებდა... იგი წლების განმავლობაში მაინც ავრცელებდა მასალებს გაბრიელ ქიქოძეზე სწავლობდა აანალიზებდა მის მეცნიერულსა და პომილეტიკურ მემკვიდრეობას და შემდეგ როცა ამისი შესაძლებლობა მიეცა დასტამბა კიდეც ერთი ნაწილი ამ კელევა-ძიებისა... მაინც აწუხებდა უკმარისობის განცდა ამ დიდი კაცის ხსოვნის წინაშე და ლოგინად ჩავარდნილი სასიკვდილო სარეცელზეც ამას იმეორებდა – გაბრიელის ვალი მიმყევებაო...

სიმონ სხირტლაძე როგორც პიროვნება მეტი გახლდათ მის პოეტურსა თუ მეცნიერულ უნარზე... მაგრამ ჭარბად მომადლებული სწორედ ეს უნარები მის პედაგოგობას განსაკუთრებულობას და განუმეორებლობის ბეჭედს ასვამდა... ისე ერთი ჩემი სკოლისდროინდელი ეჭვიც მინდა გაგიზიაროთ: იყო კი ბატონი სიმონი ტიპიური მასწავლებელი? შეიძლებოდა თუ არა მისი პედაგოგიური გამოცდილების განზოგადება სხვათათვის სამაგალითოდ და სანიმუშოდ ქცევა? თითქოსდა ახირებული კითხვებია – სიმონს ვინც იცნობდა უყოყმანოდ იტყვის – რალა თქმა უნდა შეიძლება და სასურველიცააო... სიმონი რომ დიდებული პედაგოგი იყო რომ მისი გაკვეთილები საოცრებას წარმოადგენდა ამის მოწმეები ჩვენდა საბედნიეროდ მეცა და ჩემი კლასელებიც ვიყავით ორი წლის მანძილზე... მით უფრო საგულისხმოა ეჭვი რომ იგი არ ყოფილა ტიპიური მასწავლებელი რომლის გამოცდილების განზოგადება – ესე იგი გარკვეულ ფარგლებში მიბაძვა – შესაძლებელი ყოფილიყოს... სიმონისნაირად გაკვეთილს მხოლოდ სიმონი თუ ჩაატარებდა ყველა სხვას თვით ძალიან კარგ პედაგოგსაც კი ასე ჩატარებული გაკვეთილი „ჩაუვარდებოდა". სიმონ სხირტლაძე აბსოლუტურად გულგრილი იყო იმ შავი და – ცოტა უხეშად კი არის ნათქვამი მაგრამ – ჩინოვნიკური სამუშაოს მიმართ რასაც ყოველი მასწავლებელი ასრულებს. ამით სრულებითაც არ მინდა იმის თქმა რომ გეგმები და გეგმა-კონსპექტები მასწავლებლისთვის ზედმეტი იყოს მაგრამ სიმონისთვის გაკვეთილზე არავთარი გეგმა და ჩარჩო არ არსებობდა. თავად ვარ მოწმე სამასწავლებლოში უთქვამს ჩვენი დირექტორისთვის: ჩემო მიხეილ რა გეგმებს მთხოვთ მე თვითონ ვარ გაკვეთილის გეგმაც და ზეგეგმაცო... სხვას ამას არ აპატიებდნენ მაგრამ სიმონის ჩვეულებრივი საზომით აწყვა არ შეიძლებოდა... არ შეიძლებოდა არც მისი შემოწმება-გაკონტროლება... ჩვენ იმ ორი წლის მანძილზე ერთადერთხელ ვნახეთ სიმონი ტიპიური ჩვეულებრივი მასწავლებლის როლში როცა იგი შემოვიდა კლასში წესისა და რიგის მიხედვით სიაც ამოიკითხა დავალების შესამოწმებლად მერხებშუაც ჩამოიარა ფრონტალური კითხვებიც დასვა სამი მოსწავლე კიდეც გამოიძახა შეაფასა და ნიშნები გაუფორმა ჟურნალშიც და დღიურშიც ახალი მასალის საზეპიროებიც მოგვინიშნა ტექსტის კომენტირებულად წაკითხვაც მოასწრო და ბოლო სამ წუთში დავალებაც ჩაგვაწერინა. ყველაფერ ამას კი წინ ის უძღოდა რომ ზარის დარეკვისთანავე დირექტორმა უჩვეულო მოწიწებით შემოიყვანა კლასში ვიღაც ხვანჩიანი ახალგაზრდა კაცი რომლიც უკანა მერხზე კი არ დაჯდა სადაც ჩვეულებრივ დამსწრენი სხდებიან ხოლმე – წინა მერხზე მოკალათდა და რაც ყველას თვალ'ში გვეცა რატომღაც მაჯიდან საათი მოიხსნა და წინ დაიდო. ჩვენი მასწავლებელი კლასში შემოვიდა ერთი კი გადახედა ალმაცერად საწერკალამ და ბლოკნოტმომარჯვებულ კაცს და ყველაფერი ისე გააკეთა როგორც სხვა მასწავლებ-

ლები აკეთებდნენ. რა აგვიხსნა ვისზე გველაპარაკა არ დამმახსოვრებია – სწორედ ეს გახლდათ ორი წლის მანძილზე ის ერთადერთი შემთხვევა ხელმოთ რომ მოგახსენეთ.

სვიმონ სხირტლაძეს შეეძლო-მეთქი გაკვეთილზე ის გაკვეთებინა რაც წარმოსადგენადაც კი ძნელია სკოლაში. შეეძლო ძალიან მეოთხედი არ გაჰკუჭახებინე და ნიშანი კი ისეთი სიზუსტით დაესვა გინდაც გაკვეთილს ყოველღღე შეგკითხვოდეს; შეიძლებოდა, ჟურნალში არც ერთი ხუთიანი არ გყოლოდა მეოთხედში კი შეეძლო ფრიადი დაეწერა შენთვის. საერთოდ ჟურნალსა და ნიშნებს ირონიულად უყურებდა იმ მასწავლებლის რა მცოდნია ორიანით რომ დაგაწყნარებთ და წივნს ხელში აგაღებინებთო... მის გაკვეთილებზე ჩვენ ძირითადად მსმენელები ვიყავით მაგრამ ხანდახან ჩვენი მოსმენის იშტაზეც მოვიდოდა... მახსოვს ,,არსენა მარაბდელს" გაეცინოთ... გაიძახა მერაბ მახარაძე და იმანაც როგორც სჩვეოდა ხოლმე ცხაღლიც დაგვისურათხატა ახალციხის აღება. – ,,ყოჩაღ ფრიადი... გოზალიშვილის წივნიც წაიკითხე? ყოჩაღ. ისტორიაშიც გამოგადგება. რა გაკვს ისტორიაში?.. – წინა გაკვეთილზე კარნახის გულისთვის პორფილე მასწმა ორიანი დაუწერა მასწ..." დაასწრო ყველას ბელა თოფურიამ. ჩვენს მასწავლებელს უცებ თვალები აუციმციმდა: – ,,აბა მერაბ ჩემო გშუშხავ ჩემი პორფილუკას საგანშიც ხუთიანს მე შენ გეტყვი საწყობში დაგაკლდება. პორფილე მე შენდობა მე კიდევ – შენ..." და პირდაღებული კლასის წინ ჩვენმა მასწავლებელმა ორი ფრიადი გააფორმა ჟურნალში – ქართულშიც და ისტორიაშიც...

მთელი ის კვირა მერაბ მახარაძე ძმაკაცებმა შინიდან ველარ გამოვიტყუეთ იჯდა და ისტორიას მეცადინეობდა...

შორიდან ხომ ასეთი თითქოსდა დაუდევარი კაცი ჩანდა – არ გვახსოვს, გაკვეთილზე დაეგეიანოს. გაცდენაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... მერე ქალბატონ თამარისგან შევიტყვე – სახლიდან ხომ თხუთმეტი წუთის სავალზე იყო ჩვენი სკოლა მაგრამ საათნახევრით ადრე გამოვდიოდით შინიდან – ერთ საათს მაინც ანდომებდა ქუჩაში სალამ-ქალამსა და ნაცნობების მოკითხვასო. მეც ვარ იმის მოწმე რომ ვერის ბაღიდან ზემელამდე ჩემი მასწავლებელი სალმის მიცემით დაღლილა. ვიღა არ იცნობდა ვინ არ უჩერდებოდა – პაპიროსის გამყიდველი ქურთის ბიჭიდან დაწყებული – ჭალარა აკადემიკოსით დამთავრებული. სალამში და ყურადღებაში გამორჩევა არ იცოდა. მისი უახლოესი მეგობარი და კოლეგა მისი ჭირისა და ლხინის თანაზიარი ირაკლი.ბაქრაძე მომიყვა:

,,ირაკლი აბაშიძის იუბილედან მოვდივართ. მოხატა მოქარგა იქაურობა სვიმონმა. ირაკლიმ მითხრა თვითონ – ვუსმენდი კაცო და ეტკებოდი – საიდან მოდის ეს ძვირფასი სიტყვებიო... მოვდივართ დაღლილები – ქეიფმა რავარი დაღალა იცის მუშაობაზე უფრო! საღამოზე გენერალი რომ იყო ჩვენებური ძვირფასი კაცი გიორგი ყურაშვილი იმასთან ვართ წვეული. ბალიშზე ერთი თავის მიდება ყველაფერს მირჩევნია მაგრამ ყურაშვილს რავა ეღალატება. მოუადექით ბელინკის ამოსახვევს და – აგერ სადარბაზოდან ერთი ტარაკანივით შავად გამჭვარტლული ულვაში კაცი გამოძვრა ცალ ხელში დაგორგლილი მავთული ცალშიც რაღაც მილები უჭირავს... დაინახა სიმონი და გაუნათდა სახე. სიმონიც შებრუნდა მისკენ და – ხო იცი ვისთანაც ვართ

მისასვლელები-მეთქი დაექაჩე სახელოში. რას ლაპარაკობო – გაიკვირვა სიმონმა – ეხუმრები შენ ამ კაცს – ღღეს ოც ოჯახში მაინც მოხსნა ღლის წესრიგიდან „გარშოკის“ პრობლემა. სანტეხნიკია ჩვენი. აბა ჩემო კალისტრატე – მიეხალისა ულვაშას – გადიგრიხე ულვაშები და შეკედიო ჩემთან.

რანაირი ენაკვიმატიც იყო მისი მოწაფე ხარ და გეცოდინება არადა რომ არავის სწყინდა მისი ხუმრობა! შეხვედრას მიწყობენო და – წავყვეთ ერთხელ ერთ პოეტს ღღეში რომ ორ დუჟინ ლექსს წერს თავის სოფელში. იღბალი არ გინდა? ძველი კლუბი პქონიათ ჩამოშავდა ჭერი და დირექ გვარიანი ბრაგვანი მოიღო ამ ჩვენი პოეტის თავზე. მივცივდით წამოვაყენეთ... – ბეწვზე გადარჩიო – დაამშვიდა სიმონმა გაბურბუსალებული პოეტი – ხომ დაიღუპებოდით დირე ხელზე რომ დაგცემოდაო...

იცინა მაგრამ რა იცინა ამაზე თვითონ ამ ჩვენმა პოეტმა.

ეს ცნობილი ხალხი ხომ პატივს სცემდა და აფასებდა სიმონს უბრალო ხალხს კიდევ უფრო უყვარდა. თვითონ ხომ მთლად ირეოდა მუშაკაცზე. მახსოვს რაჭისკენ მივდივართ. გზის გადაღმა გლეხი ხნავდა ხარით... მანქანა გამაჩერებინა საგზლის კალანჩხა წამოიღეო მითხრა და გადავიდა ხნულში. გლეხმა ხარები შეაჩერა. მივიდა მიესალმა ხარის ქედზე ჭიქა დადგა დაილოცა მაგრამ რა დაილოცა – ასე მეგონა ხარიც უსმენდა... ბოლოს – მაგ შენს კოურიან მარჯვენას ვენაცვალე მაგით გიჭირავს საქართველოო – ჯერ ხარს ემთხვია ქედზე და გლეხის ხელისკენ რომ დაიხარა გადაგვერია გლეხი კაცი იქით ჩაუჩოქა სიმონს და მუხლზე მოხვევა დაუპირა...

მე შენ გეტყვი ერთხელ ნანახი და გაცნობილი დაავიწყდებოდა ვინმე. ან სალამსა და დახმარებას დაუკავებდა და დაუძვირებდა. შენც გემახსოვრება – საშხატვრო აკადემიაში მისაღებ გამოცდებზე ქართულის კომისიის თავმჯდომარედ იყო რამდენჯერმე. პირველად რომ მიიწვიეს გამოცდის წინ რექტორს ფანჯარასთან მიუყვანია გადაუხედინებია და მორიდებულად უთხოვნია: ბატონო სიმონ ხომ ხედავთ ათასი მშობელი და ახლობელი მაინც უცდის და ელოდება ნიშანს. გამწარებული ხალხია ყველაფერს რომ იკადრებს და ყველაფერს რომ კუდს გამოაბამს... ამიტომ გთხოვთ გარეთ რომ გახვალთ ნურავის გაუჩერდებით და დაელაპარაკებითო... სიმონს ფანჯრიდან ჯობი გადაუშვერია და უთქვამს – აგერ ბატონო ხის ქვეშ რომ კაცი დგას მაგასთან ერთი ჭური ღვინო მაინც მექნება დალეული და სალამი როგორ დავუკავოო. გასცინებია რექტორს და მეტი აღარც უკადრებია მისთვის ამნაირი რამ...

წმინდა კაცი იყო და ამიტომ არ ეშინოდა არაფრის...

მახსენდება სიმონ მასწავლებლის ძველებური საერთოაიენიანი სახლი ვერაზე ბინა, რომელიც არ იკეტებოდა ამ სიტყვის არა მხოლოდ გადატანითი არამედ პირდაპირი მნიშვნელობითაც – სხირტლაძეების ბინას არც საკეტი ედო და არც ურდული. ქალბატონი თამარი იგონებს: „თუ შინ იყო სტუმარი გამოულეველი გვყავდა. ხელმოკლედ კი ვცხოვრობდით მაგრამ ისეთი ხალხი გვსტუმრობდა ყველი პური და კეთილი გული არ შეგრცხვებოდა ადამიანს. ზოგჯერ უცხო ადამიანის წინაშე რომ მოვიბოდიშებდი უბრალო სუფრისთვის სვიმონი მეტყოდა – გული ჩემო თამარ გული დავდოთ მაგიდაზე ეთალოთ და არ გათავდებაო... გალაკტიონს უყვარდა ჩვენთან ამოსელა ამ დაბალ ჭერს და მაღალ სულს გაუმარჯოსო – იტყოდა ხოლმე... რემონტის თავი სად

გვქონდა მაგრამ კარ-ფანჯარა რომ ნამეტანი შეგველანძლა გადავაღებინოთ-მეთქი სიმონს ვუთხარი. შენ იციო მიპასუხა. დავუძახე ხელოსანს მოვურიგდი და იმანაც დაიწყო საღებავის შეზავება. სიმონი წავიდა: არ გასულა ნახევარი საათი და – თამარ! თამარ! – მესმის ეზოდან აქო შინებული სიმონის ხმა. რა იყო-მეთქი სიმონ დავრჩა რამე? კარის სახელური ხომ არ შეუღებავსო?! ახლა იწყებს-მეთქი. არიქა სახელურზე საღებავი არ გადაასმევინო გალაკტიონს აქვს ხელი შენავლებიო. ასე დამიტოვა სახელურები შეულებავად".

განუხორციელებელი პოეტი განუხორციელებელი მეცნიერი – ეს ყველაფერი უარაუდებია ეჭვმიუტანელი კი ის გახლავთ რომ სვიმონ სხირტლაძე იყო განხორციელებული ხორცშესხმული მოძღვარი. ტიპიურობისა რა მოგახსენოთ მაგრამ მომავლის მასწავლებელი კი სწორედ მისნაირი წარმომიდგენია – კაცი რომელიც თავის პიროვნებაში გააერთიანებს პოეტსაც მეცნიერსაც აღმზრდელსაც. ჩვენს კლასს მართლაც იღბალი ჰქონია: – მომავლის მასწავლებელი გვზრდიდა ადამიანებად გვწვრთნიდა მოქალაქეებად გვგეშავდა ქართველებად...

სიმონ სხირტლაძე სამოცდაცამეტში ახალ ბინაში გადავიდა მიცკევიჩის ქუჩაზე. კლასელები ახალმოსახლეობის მილოცვას ვაპირებდით მაგრამ როგორც ხდება ხოლმე თავი ვერ მოვაბით. მერე მე მომიწია კარგა ხნით თბილისიდან წასვლამ და შინ რომ დავბრუნდი ოჯახში პირველად ეს მითხრეს – სვიმონ სხირტლაძე ყოფილა ძალიან მძიმედ კლასელებმა დაგირეკესო...

.. ორი დღის შემდეგ ზღვა ხალხი მიაწყდა მიცკევიჩის ქუჩას... ტაატით აეღიოდით ვიწრო კიბეზე... მეშვიდე სართულზე მიეცათ ბინა ჩვენი ფეხმტკივანი მასწავლებლისათვის.

კარის ჩარჩოზე მოწაფური ხელით ეწერა:

აჰა მესტუმრა ვისაც ველოდი
ჩემი მტერი და ჩემი ძმობილი
მალე ის სევტიც გამომეცლება
რომელსაც ზურგით ვარ მინდობილი.
ვიცი ცრემლები აგივსებთ თვალებს
დაჭენანებათ გზა გაწყვეტილი
რომ ჩავიტანე ცივ სამარეში
გული დაჭრილი და დაფლეთილი...

ადამიანმა ყველაფერი შეიძლება ნახოს... მეც შევაბიჯე ოთახში რომ მენახა აბსურდი – დადუმებული სიმონ სხირტლაძე.

პედაგოგისათვის რაიმე ფიზიკური ნაკლი მთელი ტრაგედიაა. ბაშვის დაგეშილი და დაუნდობელი თვალი ხშირად მასწავლებლის სრულიად უმნიშვნელო ფიზიკურ ზადსაც კი ისეთ მეტსახელს მიაკერებს მთელი ცხოვრება რომ ველარ ჩამოიცილებ. სიმონ სხირტლაძეს კი ამ ხელჯოხიან კაცს – ღმერთი რჯული დავიფიცავ – კოჭ-

ლობა ჩვენს თვალში უხდებოდა კიდეც! ვინ რას შეპკადრებდა – სამეფო ნიშნებიანთ დაჰქონდა გაშეშებული ფეხი და განუკურნელი ხელჯოხი ხელჯოხი კი არა – არგანი კვერთხი.

თუმცა არა ჩემს მასწავლებელს მეტსახელი მაინც ჰქონია. ეს მერე გავიგე როცა მისაღებ გამოცდებზე ქართულ ხეპირს ვაბარებდი. ერთ მაღალ ხმელ უფრო ბრტყელი რომ ეთქმის სათვალიან კაცთან მოვხვდი ძალიან გულისხმიერად გამომცადა წერილად მაამბობინა ყველაფერი. შიგადაშიგ ჩემს მონათხრობს მოკლე და ცოტა არ იყოს უცნაურ კომენტარებს ურთავდა: „ჰო ჰო... მასე... ა გიწერ ხუთიანს... მოვხაზე უკვე... მაგრამ ჯერ ქუდს არ გაუკეთებ. ირაკლი შენც ჰკითხე..." – „მე მგონი საკმარისია" – დინჯად უპასუხა კოლეგამ. „საკმარისია ხომ? ა დავიწერე თითქმის ფრიადი... ჰო ვინ გასწავლიდა ქართულს?" – „სიმონ სხირტლაძე"... გამომცდელის კალამი უჩვეულოდ დიდი ხუთიანის თაჯზე გაიყინა: „სიმონი? ჰო... ჰო... ეს ისე სხვათა შორის კი ნუ შეგეშინდება... ისე... ნიშანზე არ იმოქმედებს... აბა მითხარი ვინ იყო სიმონ მესვეტე?" – მებუკე და მენაბდე კი გამეგონა მაგრამ თუ მესვეტეც არსებობდა არ ვიცოდი.. გამომცდელმა შემატყო ფერმა როგორ გადამიარა და – „ეს ისე სიტყვაზე... სიმონ მესვეტე შენი მასწავლებელია. ასე ვეძახდით... ისწავლი წელს იმ სვიმეონ მესვეტეს საც... ჩათვლა გექნება ჩემთან... პირველ სემესტრში... რასაკვირველია თუ არ ჩაიჭრები ისტორიაში – როგორც მარი იტყოდა... ეს ისე სხვათა შორის... სვეტზე იყო ის სვიმეონი სამოცდაცხრა წელს. თაყის სიცოცხლეში წვეთი არ დაულევია და ხორცი არ უჭამია... წაიკითხავ მერე მის ცხოვრებას ბატონმა კორნელიმ გამოსცა... „კიმენი" წაგიკითხავს? ეს ისე სხვათა შორის... ნიშანზე არ იმოქმედებს... ა დავამთავრე ხუთიანის გაფორმება... წაიკითხავ და მიხვდები რატომ ვეძახდით ჩვენს სიმონს მესვეტეს" – და ნიშნის გასწერიე ასეე უცნაური მაგრამ გარკვეული ხელრთვით გამოიყვანა „ტრ. რუხაძე".

ბატონ ტრიფონის სემინარებისთვის აღარ დამიცდია – აგვისტოს ბოლოს საჯარო ბიბლიოთეკის დიდი დარბაზის კუთხეში რის ვაივაგლახით მიღებული „კიმენის" პირველ ტომს ჩაეკირკიტებდი – „ცხოვრება სვიმეონ მესვეტისა"... თავად ტექსტს გაჭირვებით მაგრამ მაინც ვიგებდი – დაქარაგმებებმა გამაწამა. მერე მათზეც გავიხედნე თვალი და ნელ-ნელა სტრიქონ-სტრიქონ გამიცოცხლდა საკვირველი ცხოვრება საკვირველი კაცისა – უცნაური მოვლინებით დაწყებული ვიდრე ამა სოფლით გასვლამდე „და შვა დედაკაცმან მან ღირსმან ძე თვისი ულმობელად". რატომ „ულმობელად?" რა შუაშია აქ ულმობლობა და შეუბრალებლობა? რას უნდა ნიშნავდეს ეს „ულმობელად?" ჩემი მასწავლებლის წყალობით ძველ ქართულში ასე თუ ისე ვერკვეოდი – ცხადია სკოლის პირობაზე – ყოველ შემთხვევაში „შუშანიკისა" და „ვეფხისტყაოსნის" შემდეგ კარგად ვიცოდი რომ სიტყვას მნიშვნელობა შეიძლება დროთა განმავლობაში ისე შეეცვალოს რომ სულაც საპირისპირო გაგება შეიძინოს. „ულმობელად შობა" გაუგებარია – დედამ ძე შეიძლება შვას წვალებით ტკივილით ან უმტკივნეულოდ... ევრიკა ტკივილს სენს ავადმყოფობას ძველად ხომ სალმობა ერქვა სა-ლმობ-ა... მაშინ სიტყვა უ-ლმობ-ელ-ი უმტკივნეულოს უნდა ნიშნავდეს. წიგნს ლექსიკონი არ ერთვოდა და ასეთი პატარ-პატარა საკუთარი აღმოჩენებით წახალისებულმა წინ გავუტიე. მოკლედ

სვიმეონი უმტკივნეულოდ მოვლინებია ქვეყანას. მაგრამ დღიდამის მართას მისგან ენება მაინც მიუღია როცა ანგელოზის სიტყვა – ჩვილს მხოლოდ მარჯვენა ძუძუ მოაწოვეო – დაპვიწყნია და ერთხელ უნებლიეთ ჩვილისთვის მარცხენა ძუძუ შეუძლევია. მართას ეს ძუძუ გახმობია. სვიმეონ მესვეტეს მთელი თავისი სიცოცხლე ხმელა პურსა და წყალზე გადაუყვია ეგ კი არა ჩვილობისას თუ ღვიძამისი ხორცს შეჰამდა იმ დღეს თურმე ძუძუსაც არ სწოვდა, სამოცდაცხრა წელი განმარტოებით ყოფილა დაყუდებული..

... არ სვამდა არ ჭამდა არავის ეკარებოდა... ერთადერთი – ზიარი სახელი თორემ ჯერჯერობით თითქოს არ ჩანდა მიზეზი ჩემი მასწაელებლის მესვეტელ მონაათლისა და უცებ:

„და აქუნდა მას სიტყუაX გამოჩინებული ვითარცა სრულსა კაცსა. და მისცემდა პასუხსა მეტყველთა მისთა მეცნიერად: და იყო იგი ბრძენ ვონებითა და სრულ გულისხმისყოფითა და საცნე მადლითა სულიერითა და იტყოდა სიტყუასა სულიერებისსა..."

აქუნდა მას სიტყუაX გამოჩინებული. იტყოდა სიტყუასა სულიერებისსა.

ჩემთვის უკვე ახლა ყველაფერი ნათელი გახდა. ნათელი გასაგები და თქვენ წარმოიდგინეთ სარწმუნო გახდა ისიც რომ სვიმეონს თავისი სიტყვით შეეძლო სასწაული მოეხდინა – კეთროვანი განეკურნა ეშმაკეულნი განესხა თვით მკვდრეთითაც კი აღედგინა ადამიანი..

მე ორ წელიწადს ეუსმენდი სიმონ სხირტლაძეს...

მე მწამდა ძალა სიტყვისა.

1984 წ.



აი, ვინ იყო სიმონი!

მუხრან მაჭავარიანი

ერთი შეხედვით ქართველი კაცი მხიარულია ლაღია

სინამდვილეში ეს ,,მხიარული'' კაცი რაც თავი ახსოვს გამუდმებით ებრძვის იმ დიდ სევდას ბედმა რომ არგუნა.

რიხიანი ქართული სიმღერები ცეცხლოვანი ქართული ცეკვები არის არა ქართველი კაცის ,,უდარდელი'' ბუნების გამოხატულება (როგორც ეს ბევრსა ჰგონია) არამედ – ეს გახლავთ ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა შინაგანი სევდის წინააღმდეგ.

წუთისოფლის ამაოება არავის ეგონოს მიზეზი ამ ქართული სევდისა;

არა!

მისი უმთავრესი მიზეზი სხვაა;

ყოველმა გონიერმა ქართველმა ვისაც თავის გულში ერთხელ მაინც ჩაუხედავს შესანიშნავად იცის – რაა იგი!

სწორედ ასეთი ქართველის განსახიერება გახლდათ სიმონ სხირტლაძე.

მთელი თბილისი იცნობდა სიმონს!

იცნობდა ყველა ვინც ღონიერი ქართული სიტყვის ეშხს გრძნობდა ვინც ამ სიტყვის ყადრი იცოდა.

როგორც განუყრელი ხელჯოხი ასევე მუდმივად ეჭირა ხელში მონუსხული მსმენელი.

მისი პირით მზე ლაპარაკობდა.

ის დაბადებული იყო, თავისი ჯოხით მოსესაკით გაეპო მეწამული ზღვა

ის დაბადებული იყო რომ ეთქვა სიტყვა რომელიც საუკუნეებს გაუძლებდა.

მე იგი გიორგი შატბერაშვილმა გამაცნო მისმა მეგობარმა დიდებულმა კაცმა.

დუქანში სამნი ვსხედვართ: სიმონი გიორგი და მე.

ქართული ლექსის ღონიერ სტრიქონებს ფიჭვის შეშასავით გაუდის ტკაცატკუცი..


ღვინის ძალას იძენს სიტყვა სიტყვის ძალას – ღვინო.


ნაღდი ქართველი კაცი იყო სიმონი – საკუთარ სევდასთან მებრძოლი ქართველი.

ვისაც მისგან ჩატარებული გაკვეთილი მოუსმენია – არასოდეს დააეიწყდება არც ის რაც მაშინ სიმონმა თქვა არც თვით სიმონი.

ბრწყინვალე პედაგოგი ბრწყინვალე მჭევრმეტყველი ბრწყინვალე ადამიანი – აი ვინ იყო სიმონი!

1984 წ.











მელიტონ ხახარულაძე
სიმონის მამა



სიმონი 2 წლის



სიმონი 5 წლის



სიმონი 16 წლის



სიმონი 25 წლის



სიმონი 55 წლის



ჯული, შოთა, თამარ და სიმონ სხირტლაძეები




სიმონი თავის ძმისშვილ მელორ სხირტლაძესთან ერთად



დუდი და სიმონიკა







ლექციის შემდეგ, 60-იანი წლები



გალაქტიონი და სიმონ სხირტლაძე.
1943 წ.






ჯუანშერ ჯურხაძე, ითხებ გრიშაშვილი,
სიმონ სხირტლაძე



სიმონი და ჯუანშერი



სიმონი მეგობრებთან



ბენო გორგიაშვილი, თამარ და სიმონ
სხირტლაძეები, არჩილ ტოგონიძე, გიორგი გონაძე



სიმონ სხირტლაძე და კოლაუ ნადირაძე



ქართველ მეცნიერებთან ერთად.
უნივერსიტეტის ბაღში.



კოტე დაუშვილი და სიმონი
მეგობრებთან




სამხატვრო აკადემიის პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად
(წინა პლანზე აკადემიის რექტორი აპოლონ ქუთათელაძე და
უჩა ჯაფარიძე, 1962 წ.)



კაპიტონ ლაშხი და სიმონ სხირტლაძე



ფილიპე სხირტლაძე და სიმონი (ფოტოს უკანა მხარეს სიმონის წარწერაა: „ფილიპე და მე წუთისოფელს ვაფერადებთ")




სიმონის ძეგლთან. რაჭა, სოფელი მრავალძალი, 1989 წ.



სიმონის შვილიშვილი ანი
დალაქიშვილი თავის მეუღლესთან
ალეკო სიხარულიძესთან



სიმონ სხირტლაძის შვილთაშვილები:
საბა ნარიმანიშვილი, ნიკუშა და ნუკა სიხარულიძეები,
ანა, ნიკოლოზ და გუგა ნარიმანიშვილები



შ ი ნ ა ა რ ს ი

გაბრიელ ქიქოძე – ეპისკოპოსი იმერეთისა 9
სულხან-საბა ორბელიანის გადანახული საგანძურიდან 17
პირველი ქართული სტამბა 38
დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ნაკადი დავით გურამიშვილის პოეზიაში ... 40
ორი სახელის იდენტურობის გამო 55
ვინ შეურჩია ბარათაშვილის უკვდავ ლექსს სათაური 61
ილია ჭავჭავაძის ერთი უცნობი წერილისა და
მისი გამომწვევი მიზეზის გამო 65
ილია ჭავჭავაძე და რაჭველთა იმიგრაცია 74
მრავალძალი 78
აკაკი მრავალძალში 90
იაკობ გოგებაშვილი და გაბრიელ ქიქოძე 94
დანიელ ჭონქაძე 109
ჭოლა ლომთათიძე 113
მამია გურიელი 120
ძეგლის დადგმა თვით ერის უკვდავებაა 126
რა არის „მარტოობის ლექსი“? 128
უცნობი ფურცლები ვაჟა-ფშაველას ფსიქოლოგიური და პედაგოგიური
ნააზრევიდან 130
დაგვიანებული შენიშვნები 148
ივანე მაჩაბელი და სალი კლდის საიდუმლო 153
რაც გადარჩა 156
მჭევრმეტყველი ქართველი ქალი 158
დიდი პოეტის მეგობარი 169
უსათაურო ლექსები 175
ჩანაწერები უბის წიგნაკიდან 175
უბის წიგნაკიდან 179

მოგონებები

ზურაბ კიკნაძე
ხელოვანი და პედაგოგი 185
გრიგოლ აბაშიძე
გამორჩეული მამულიშვილი 188
ოთარ ჭელიძე
მწვრთნელი სულისა 190
თამაზ ჩხენკელი
გულწმინდა კაცი 194

ელგუჯა მაღრაძე
სიტყვით დამპურებელი — 196
ლერი ალიმონაკი
ჯერ მერანი დაბმული მყავს — 199
მურმან თავდიშვილი
ანთებული კლავიში — 202
თამაზ ქეჩანტირაძე
ძალა სიტყვისა — 208
მუხრან მაჭავარიანი
აი, ვინ იყო სიმონი! — 222

რედაქტორი ელზა მეტრეველი
მხატვარი გია ხუციშვილი
გამომცემლები გია და დათო ნარიმანიშვილები
კომპიუტერული მომსახურება ირაკლი ჩირაძე